# სარბიელი

ყოველკვირეული სპორტული გაზეთი — 9-15 თებერვალი, 2009 №6 (3499) — ფასი 1 ლარი


## გატაცებული ბეჟუაშვილი გაათავისუფლეს!




სარბიელის არქივიდან



სარბიელის არქივიდან

## კუპერს ხალხი შემოეცალა!

### მჭედლიძე, სალუქვაძე, კვირკველია, და შაშიაშვილი — გამორიცხულია, კალაძე და ყენია — ძალიან საეჭვოა

ირლანდიელი ფეხბურთელებისთვის ხელსაყრელი, ქართველებისთვის კი ცუდი პერიოდი; ირლანდიის ნაკრები სრული შემადგენლობით, ქართველები კი წამყვანი ფეხბურთელების გარეშე; ირლანდიის ნაკრები შინ, საქართველო კი სტუმრად...

ცოტაა? ყველაფერი „კელტების" სასარგებლოდ მეტყველებს და ახლავე შეიძლება ითქვას, რომ 11 თებერვალს ექტორ რაულ კუპერს ძალიან გაუჭირდება. ეს „ძალიან გაუჭირდება" რბილად ნათქვამია.

ნაკრები გუშინ ჩაფრინდა დუბლინში. რაც შეეხება შემადგენლობას: გამორიცხულია ლევან მჭედლიძის (ტრავმა), ლაშა სალუქვაძის (ტრავმა), დავით კვირკველიას (ოჯახური პრობლემები) და გიორგი შაშიაშვილის (ტრავმა) თამაში.

დუბლინში ჩავა კახა კალაძე, თუმცა მისი თამაში ძალიან საეჭვოა, ისევე, როგორც ლევან ყენიასი.

ბოლო ინფორმაციით, „ჯვაროსნებს" დუბლინში ოთარ მარცვალაძე შეემატებათ...

მოკლედ, ურთულესი გამოცდა ელით ჩვენებს...

## რაში და, რაგბიში? საქართველო ხომ ძალიან საიმედოა



### 38:5 გერმანიაში!



ჰექტორ რაულ კუპერმა ქართული „გამარჯობა“-თი დაიწყო პრესკონფერენცია და ირლანდიასთან მატჩისწინა ამბებზე ისაუბრა. 11 თებერვალს დუბლინში ის მატჩია, რომელმაც უნდა გაარკვიოს — შეინარჩუნებს თუ არა საქართველოს ნაკრები ჯგუფიდან გასვლის მცირე შანსს. რა თქმა უნდა, ამის ალბათობა ძალიან მცირეა, მაგრამ როგორც იტყვიან, იმედი ბოლოს კვდება.
ქაღარა არგენტინელი იღბლიანი მწვრთნელი არასოდეს ყოფილა და აგერ, საქართველოშიც „აგრძელებს“ „ტრადიციას“. რა ამბავია ამდენი ტრავმები? მოახლოვდება სანაკრებო თამაში და დღე არ გადის, რომელიმე ფეხბურთელი არ გამოგვაკლდეს. კუპერს პრესკონფერენციაზე შესავალი არ გაუკეთებია — ეგრევე კითხვები...

# ჰექტორ რაულ კუპერი: ასათიანმა თვითონ განაცხადა უარი ნაკრებზე

— ვიცით, რომ რამდენიმე ფეხბურთელის დუბლინში თამაში საეჭვოა. ბოლო ინფორმაციები გვითხარით მათზე...

— ბოლო დღეებში პრობლემები მართლაც დაგროვდა. მქონდა საშუალება, ფეხბურთელებთან პირადად მესაუბრა. ახლა 2-3 მოთამაშეა, რომელთა მდგომარეობა საეჭვოა. ზოგიერთმა კლუბმა ფაქსი გამოგვიგზავნა, სადაც წერია, რომ ფეხბურთელს ტრავმა აქვს. ოთხშაბათამდე ჯერ კიდევ დროა და იმედი ვიქონიოთ, რომ დანაკლისი შედარებით მცირე იქნება...

...ზოგჯერ ხდება, კლუბი არასწორ ინფორმაციას აგზავნის ფეხბურთელის ჯანმრთელობაზე, ამჯერადაც ასე იყო: ჩვენ გადავამოწმეთ, დავუკავშირდით ფეხბურთელს და მან გვითხრა, რომ მწყობრშია.

**— რომელი კლუბია, გვეტყვით?**

— დასახელება არ ღირს. მსგავსი შემთხვევები ხშირად მეც მქონია, როცა კლუბში ვმუშაობდი. გვყავდა ფეხბურთელები, რომლებსაც თავიანთ ნაკრებში თამაში ძალიან სურდათ, მაგრამ კლუბი არგენტინის ფეხბურთის ფედერაციას ატყობინებდა, ფეხბურთელი დაშავებულიაო. მეც კლუბის ინტერესებს ვიცავდი — სხვაგვარად არ გამოდიოდა.

**— ასეთი პრობლემები შეიძლება, უწყვეტად იყოს...**

— ჩვენ ფაქსს არ დავუჯერებთ, მაინც გამოვიძახებთ ფეხბურთელს და ნაკრების ექიმი შეამოწმებს მის მდგომარეობას — შეუძლია თუ არა თამაში. ერთიც, ჩვენ სწორედ იმისთვის ვმუშაობთ, რომ 2-3 კაცის გამოკლებამ დიდი პრობლემები არ შეგვიქმნას და მათი სრულფასოვანი შემცვლელები გვყავდეს.

**— კონკრეტულად ვთქვათ იმ ფეხბურთელებზე, რომელთა დუბლინში თამაში საეჭვოა. კახა კალაძე, ლევან ყენია...**

— ყენიას საკითხი, სავარაუდოდ, დადებითად გადაწყდება. ის გამოჯანმრთელებისკენ მიდის. კალაძე კი დუბლინში აუცილებლად ჩამოვა — ეს შემიძლია გითხრათ.

**— ლაშა სალუქვაძემაც ტრავმა მიიღო და მის ნაცვლად გურამ კაშია გამოიძახეთ, თუმც მან გვითხრა, სამი დღეა, არ მივარჯიშია, ფეხი მტკივაო...**

— კაშიას ჩვენთვის მსგავსი არაფერი უთქვამს.

**— კიდევ არიან ლეგიონერები, რომლებიც ადრე არცთუ ცუდად თამაშობდნენ ნაკრებში, თქვენი ფორმატის ნაკრებში კი არ უთამაშიათ. მაგალითად, ჯაბა კანკავა...**

— ჩვენ ყველას ვაკვირდებით და ვცდილობთ, შეცდომა არ დავუშვათ. რაც შეეხება კანკავას, ის ჩემი თვალთახედვის არეშია, თუმცა ვიცი, რომ კარგა ხანს ტრავმირებული იყო. კანკავა კარგი ფეხბურთელია და მომდევნო მატჩებში შანსი მიეცემა.

**— რას იტყვით გიორგი მერებაშვილზე? ის საქართველოს ჩემპიონატში გამორჩეული ფეხბურთელია და შეუძლია ნაკრების შეტევი ხაზის წამყვან ფიგურად იქცეს?**

— მერებაშვილი ნიჭიერი და კარგი ფეხბურთელია. ვფიქრობ, ის ეროვნულ ჩემპიონატში საუკეთესოა მეტოქესთან ერთი-ერთზე თამაშისას.

**— მალხაზ ასათიანის არგამოძახების მიზეზი რა არის? ისევ გაუგებრობა თუ ფორმაში არყოფნა?**

— მასთან არანაირი პრობლემა არ მაქვს და ვფიქრობ, უკეთესია, თვითონ ასათიანს ჰკითხოთ, რატომ არ სურს ნაკრებში თამაში. მან თვითონ განაცხადა უარი ნაკრებზე. ერთ-ერთი მატჩის წინ მალხაზმა მიუღებელი მოთხოვნები წამოაყენა. დიახ, სანაკრებო თამაშის დღეებში რომ ფეხბურთელი კლუბის ინტერესებს უფრო წინ აყენებს, ეს მიუღებელია.

**— ირლანდიას შარშან ეთამაშეთ და შეისწავლიდით, რა სახის მეტოქეა და რა ნაკლი აქვს საქართველოს ნაკრებს მათთან თამაშისას გამოსასწორებელი...**

— ცხადია, ყოველთვის ვითვალისწინებ მეტოქის თავისებურებს, მაგრამ არასოდეს ვაგებ ჩემი გუნდის თამაშს ამის მიხედვით. საქართველომ თავისი ფეხბურთი უნდა გადაიტანოს მინდორზე, თუმც, ცხადია, უშუალოდ მატჩისას გარკვეული ცვლილებები იქნება. რაც შეეხება ნაკლს: ირლანდიასთან ამჯერად მეტი ყურადღება გვჭირდება დაცვაში და სისწრაფე თავდასხმისას. ჯოვანი ტრაპატონის კარგი გუნდი ჰყავს, რომელიც მშვენივრად იყენებს 4-4-2 სქემას.

**— რობი კინი ახლახან „ლივერპულიდან“ „ტოტენჰემში“ დაბრუნდა. რამდენად იმოქმედებს კლუბის შეცვლა მის თამაშზე?**

— კინი დიდი ფეხბურთელია და დუბლინში მისი შესაძლებლობების გათვალისწინება მოგვიწევს. კინი საკმაოდ ტექნიკურია, კარგად იყენებს სივრცეებს და ძალიან სახიფათოა. ის რიგითი მოთამაშე არ არის.

**— რამდენად იმოქმედა შედეგზე იმან, რომ ირლანდიას თბილისის ნაცვლად მაინცში „ვუმასპინძლეთ“?**

— ნეიტრალურმა მინდორმა გარკვეული უპირატესობა წაგვართვა, თუმც სულაც არ ვარ დარწმუნებული, რომ ირლანდიას თბილისში მოვუგებდით.

**— თუ ხედავთ პლუსს, რაც საქართველოს ნაკრებს დუბლინში შეიძლება ჰქონდეს?**

— მთავარი: ესაა გამარჯვებულის მენტალიტეტი. ფეხბურთელს თავისი ნაკრები უნდა უყვარდეს, ხოლო ნაკრებს ბრძოლის ჟინი და გამარჯვების წყურვილი უნდა ჰქონდეს. ასეთი განწყობით ჩავალთ დუბლინში.

**ილია ნანობაშვილი**

# სლოვენია მორჩა, ხორვატია იწყება



გელა შეყილაძე

**საქართველოს** 17-წლამდელთა ნაკრებმა სლოვენიის ქალაქ კოპერში მასპინძლებთან ორი ამხანაგური მატჩი გამართა.

ჩვენებმა სლოვენიასთან ჯერ 2:3 წააგეს, მერე 1:0 მოუგეს.

პირველ მატჩში გელა შეყილაძემ ასეთი შემადგენლობა ათამაშა: *აზნიაშვილი, ნ. კვეკვესკირი, მ. კობახიძე, მირცხულავა, აფაქიძე (ც. ხარაბაძე 73), ლ. ელიზბარაშვილი, ა. სირბილაძე (ხოჭოლავა 70), ნ. ძალამიძე, კუხიანიძე (გ. ჩელებაძე 73), ბ. დეკანოიძე (გ. ჭანტურია 50), ლ. ჩაფიძე.*

გოლები ნიკა ძალამიძემ (მე-15 წუთზე) და ლაშა ჩაფიძემ (35) გაიტანეს.

მეორე თამაში ჩვენებმა უკეთ ჩაატარეს და ლაშა ჩაფიძის 41-ე წუთზე გატანილი გოლით მოიგეს კიდეც — ქართველმა თავდამსხმელმა ორი მეტოქე მოატყუა და შორიდან შეაგდო.

ჩვენების შემადგენლობა ასეთი იყო: *მეშველიანი, ნ. კვეკვესკირი, მირცხულავა, ც. ხარაბაძე, ლ. ელიზბარაშვილი, ნ. ძალამიძე (ბ. დეკანოიძე 78), კუხიანიძე (კუბლაშვილი 80), გ. ჩელებაძე (მ. ლორია 70), გ. ჭანტურია (ა. სირბილაძე 57), ლ. ჩაფიძე (ხოჭოლავა 67).*

6 თებერვალს საქართველოს ნაკრები ხორვატიაში გაემგზავრა, სადაც მასპინძელ 17-წლამდელებთან ორ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს.

# ძლიერნი ამა ევროპისანი: თამაშობს მხოლოდ კობი




**რა** ხდება 11 თებერვლის წინ, როგორ ითამაშეს ევროპაში ქართველმა ლეგიონერებმა?

„შალკემ“ ბუნდესლიგაში „ვერდერს“ 1:0 მოუგო და ცხრილში ცოტა ზემოთ აიწია, თუმც ჩემპიონთა ლიგაში გასასვლელ სამეულამდე ფეხი ჯერ არ მიუწვდება.

„კობიმ“ 90 წუთი გაატარა მინდორზე და საყრდენ ნახევარმცველად გაისარჯა. პირველ ტაიმში ჩვენიანმა ყვითელი ბარათიც მიიღო. ლევან ყენია კი, გეცოდინებათ, ტრავმირებული იყო და ვარჯიშს გუშინწინდლა შეუდგა.

სენსაცია გამოაცხო ალექსანდრე იაშვილის „კარლსრუემ“ — ორი ბურთით აგებდა „ჰამბურგთან“, მაგრამ 3:2 იმარჯვა. აი, ჩვენიანს ამ გმირობაში მონაწილეობა არ მიუღია, განაცხადშიც არ იყო.

მეორე ბუნდესლიგაში არც ლევან ცქიტიშვილი („ვენი“) და არც ოთარ ხიზანეიშვილი („აუგსბურგი“) 18-კაციან სიაში არ ყოფილან, მათე ღვინიანიძემ კი სრულად ითამაშა „მიუნხენ 1860“-ში. „ლომებმა“ სტუმრად „მაინცს“ 2:2 დასტყუეს და ღვინიანიძემ პირველ გოლში დიდი წვლილი — საგოლე კომბინაციაში მონაწილეობდა.

იტალიაში „მილანმა“ აუტსაიდერ „რეჯინას“ შინ ვერ სძლია — 1:1. კახა კალაძემ სათადარიგოთა სკამიდან უყურა მატჩს.

ზურაბ ხიზანიშვილს „ბლექბერნ“ — „ასტონ ვილას“ (0:2) პრემიერლიგურ მატჩში, რა თქმა უნდა, არ უთამაშია. ჩვენიანი სათადარიგო იყო.

**ილია ნანობაშვილი**

# სალუქვაძემ დაშავდა

**ესპანურ** შეკრებაზე მყოფმა ყაზანის „რუბინმა“ ამხანაგური მატჩი გამართა შვედურ „გიოტებორგთან“ და ლაშა სალუქვაძის გოლით 1:0 იმარჯვა.

სალუქვაძე მოედანზე 35-ე წუთზე გამოჩნდა და მე-80 წუთზე თავურით იხეირა.

მის გარდა, „გიოტებორგთან“ დავით კვირკველიამ და ნუკრი რევიშვილმა 90-90 წუთი ითამაშეს.

არასასიამოვნო ისაა, რომ სალუქვაძე დაშავდა და ნაკრებს გამოაკლდა...

ამის შემდეგ „რუბინმა“ კიევის „დინამოსთან“ გამართა საკონტროლო მატჩი და 0:1 წააგო.

ყაზანელთა შორის კვირკველიამ სრულად ითამაშა.

**კახა შალამბერიძე**



# ბეუქლიშვილი დააბრუნეს!

## მართლა ითხოვდნენ თუ არა 50 ათასს?



**7 თებერვალს,** დილის 7 საათზე ზუგდიდისკენ მიმავალ მსაჯებს ორჭოსანის გადასახვევთან კრიმინალები დახვდნენ და დელეგატ თამაზ კოსტავას კუთვნილი „მერსედესი" გაიტაცეს, თან მძევლად არბიტრი მალხაზ ბეუქლიშვილიც გაიყოლეს.

როგორც თავიდან გავრცელდა ინფორმაცია, ბეუქლიშვილის გამოსასყიდად კრიმინალებმა 50 ათასი დოლარი შემოთვალეს.

ბეუქლიშვილის და კოსტავას გარდა, მანქანაში კიდევ ორი მსაჯი იჯდა — ზურაბ ჯვარიძე და ბესო ჭიჭინაძე. ისინი მალევე დაკითხეს გორის პოლიციაში.

როგორც ისინი ამბობდნენ, გამტაცებლები გამართული ქართულით საუბრობდნენ, „მერსედესი" კი სოფელ ორჭოსანისკენ გააქანეს.

დაუდასტურებელი ინფორმაციით, გამტაცებლებს ბეუქლიშვილი ცხინვალში ჰყავდათ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილების უფროსმა ამირან კაჭახიძემ გუშინ ეს გვითხრა:

„საქართველოს მთავრობა აქტიურადაა ჩართული პროცესში, რათა მალხაზ ბეუქლიშვილი მალე დაუბრუნდეს თავის ოჯახს და იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად იქნება. არ ვიცი, საიდან მოიგონეს 50 ათასი დოლარი, ჩემი ინფორმაციით, გამტაცებლებს არანაირი თანხა არ შემოუთვლიათ. ის კი დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ მალხაზს იქ კარგად ექცევიან. ამ ინფორმაციას სანდო წყაროდან ვფლობ, თუმცა მის ვინაობას ვერ დავასახელებ".

„სარბიელი" შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურსაც დაუკავშირდა, თუმცა მათ თავიანთ ვებგვერდზე მიგვითითეს, იქ დევს განცხადება და გაეცანითო.

ჩვენც ამ განცხადებას აქვე გთავაზობთ...

**ნუკრი ლოლაძე**





## ჯერაც უცნობმა პირებმა ქართველი მსაჯი და მანქანა გაიტაცეს

### შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

7 თებერვალს, დაახლოებით 07:00 საათზე, რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიიდან გადმოსულმა, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულმა პირებმა ყაჩაღური თავდასხმის შედეგად, თბილისი-გორის საავტომობილო გზაზე, სოფელ ორჭოსანის გადასახვევთან გაიტაცეს დასავლეთის მიმართულებით მიმავალი ავტომანქანა „მერსედესი". მათ მანქანიდან ჩამოსვეს სამი მგზავრი და მალხაზ ბეუქლიშვილთან ერთად ავტომანქანა წაიყვანეს სოფელ ორჭოსანის მიმართულებით.

**P.S.** წუხელ, დაახლოებით 22 საათისთვის მალხაზ ბეუქლიშვილი ტყვეობიდან დაიხსნეს.

ეროვნული კატეგორიის მსაჯს მეგობრები, თანამშრომლები, ოჯახის წევრები და ჟურნალისტები სოდ-ის შენობასთან დახვდნენ...

ამდროინდელი ინფორმაციით, ბეუქლიშვილი ქართველმა სამართალდამცავებმა დასაკითხად დაიტოვეს.

ზუსტად ვერ ვამბობთ, რა და როგორ მოხდა, თუმცა იმის თქმა შეგვიძლია, რომ ბეუქლიშვილი ცხინვალში ჰყავდათ ყაჩაღებს და შსს-ის პრესსამსახურის ცნობით, უსასყიდლოდ გაათავისუფლეს.

გავიგეთ ისიც, რომ დაზარალებულს ყაჩაღები ნორმალურად ექცეოდნენ და ფიზიკურ შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია.

დანარჩენს გამოძიება დაადგენს და ჩვენც უფრო მეტი ინფორმაციის მოწოდებას შევძლებთ.

და ერთიც: სამწუხაროდ, ყაჩაღებმა არ დააბრუნეს მანქანა, „მერსედესი", რომელიც ვეტერან ქართველ ფეხბურთელს, თბილისის „დინამოს" სახელოვან მცველ თამაზ კოსტავას ეკუთვნოდა. თუმცა როგორც შევიტყვეთ, ამ საქმეზე მუშაობა გრძელდება და იმედია, დადებითადაც დასრულდება.

სარბიელელები ვულოცავთ მალხაზ ბეუქლიშვილს მშვიდობით გადარჩენას.





# ლევან მჭედლიძეს ტრავმა არ ასვენებს

**ტრავმა** ფეხბურთის განუყრელი ნაწილია და იშვიათად, რომელიმე ფეხბურთელის კარიერაში ამას დაღი არ დაესვა. თუმც ტრავმაცაა და ტრავმაც — ლევან მჭედლიძე ძალიან გაწამდა, 18 წლის ბიჭს ტკივილი ჩრდილივით დასდევს და ამიტომაცაა, რომ თავის პოტენციალს ვერ ავლენს.

მშვენიერი 30 წუთი „რომასთან", ძირითადში გამოჩენა „ჯენოასთან" და...

მჭედლიძეს ისევ გაახსენა თავი ნაცნობმა სენმა.

„პალერმოს" ფორვარდმა ორშაბათს გუნდის ვარჯიშზე საშინელი ტკივილი იგრძნო და დიაგნოზიც სწრაფად დაისვა — მარცხენა მუხლის სახსრის მყესების დაზიანება და გვერდითი მყესების დაჭიმვა.

„მჭედლიძის ყვირილმა ყველანი შეგვძრა, მაგრამ იმედია, მისი ტრავმა ძალიან სერიოზული არ იქნება" — თქვა „პალერმოს" მცველმა ფედერიკო ბალძარეტიმ.

ქართველ ფორვარდს მკურნალობა მოუწევს. სავარაუდოდ, ის ერთ თვეში დაიწყებს ვარჯიშს, ხოლო თამაში თვენახევარში თუ შეეძლება.

ასე რომ, საქართველოს ნაკრების გაზაფხულის შესარჩევის მატჩებისთვის (კვიპროს-ჩერნოგორიასთან) ლევანი მზად უნდა იყოს...

**ილია ნანობაშვილი**

# დევდარიანი დევობს: გოლს პლუს პასი

**დავით დევდარიანი** ნელ-ნელა ეჩვევა „ორჰუსის" ძირითად გუნდს და მეტიც, ერთ-ერთი საუკეთესოა, რასაც მწვრთნელი ერიკ რასმუსენიც აღნიშნავს.

21 წლის ქართველმა ამჯერად დანიის ბოლო წლების რჩეულ გუნდს, „მიდტიულანდს" გოლი და საგოლე პასი „უსახსოვრა". შეხვედრა 3:3 დასრულდა, დევდარიანმა 83 წუთი გაატარა მინდორზე და 30-ე წუთზე ანგარიში გახსნა, რასაც მეტოქემ საპასუხო გოლი მიაყოლა, თუმც ერთ წუთში დავითმა ჯერი ლუსენას გაატანინა.

ჩვენიანმა მარცხენა ნახევარმცველად ითამაშა.

**ილია ნანობაშვილი**



ჯერი ლუსენა და დავით დევდარიანი

# ცხადაძის დებიუტი აზერბაიჯანთან

**საქართველოს** ახალგაზრდულ ნაკრებს კახა ცხადაძე რომ უთავკაცებს, ახალი ამბავი არ არის. შესარჩევი ციკლის წილისყრა 4 თებერვალს მოეწყო და ჩვენი მომავალი მეტოქეებიც ცნობილია — თურქეთი, ირლანდია, შვეიცარია, ესტონეთი და სომხეთი. შესარჩევი მატჩები სექტემბრიდან დაიწყება, მანამდე კი ცხადაძე ამხანაგურ შეხვედრებში გამოცდის შეგირდებს. პირველ ტესტ-მატჩს ჩვენი ახალგაზრდები 25 თებერვალს აზერბაიჯანთან გამართავენ.

**ნუკრი ლოლაძე**

# საქართველოს 20 ჩემპიონატი

## უმაღლესი ლიგა — II წრე. 18 ტური

7 თებერვალი. 14 საათი

**სქ გაგრა — ლოკომოტივი თბილისი 0:0**

თბილისი. "ამერი". 500 მაყურებელი

გაგრა: თევდორაძე, ქაჯაია, გიგაური, კოზლენკო, კუპრეიშვილი, ცხადაია, ჩარგეიშვილი, შარიქაძე (გაეაშელიშვილი 85), აბაშიძე (ლ. სეთურიძე 71), გაბედავა (ჯარმელაშვილი 66), ბ. ცხადაძე

*სათადარიგონი:* ხომერიკი, მოსიაშვილი, გაბუნია, ტყემელაშვილი

მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე

ლოკომოტივი: გ. ლომაია, ბებუა, ხუმარაშვილი, გუშარაშვილი, დ. ფოფხაძე, დიაკენიშვილი, სარალიძე, კ. მახარაძე, შ. კვანტალიანი, ნულაძე (ი. გილაური 64), ჩირიკაშვილი

*სათადარიგონი:* ბელელური; ბარბაქაძე, მებალიშვილი, რობაქიძე, კაიშაური, ა. კობიაშვილი

მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე

გაფრთხილება: გიგაური (76), ჩირიკაშვილი (80)

მსაჯები: ლ. სილაგავა, ზ. ფიფია, ლ. თოდრია, ვ. ელისაბედაშვილი

7 თებერვალი. 14 საათი

**მგლები ზუგდიდი — სქ ზესტაფონი 0:1**

ზუგდიდი. "გ. თუთბერიძე". 2 000 მაყურებელი

0:1 გელაშვილი (47)

მგლები: სომხიშვილი, ქითანავა, აქუბარდია, რ. ონიანი, რაქვიაშვილი (ა. ბაჯელიძე 72), გულორდავა, გუჩუა, ჯოჯუა (ინჯგია 55), ქირია (ხურციძე 87), გ. თოდუა, ბაკარანძე

*სათადარიგონი:* ქალდანი, ბ. ნოზაძე, ხუხია, ფიშკარიანი

მწვრთნელი: ბესიკ შეროზია

ზესტაფონი: მამალაძე, უ. ლობჟანიძე, ს. თოდუა, გ. ხიდეშელი, მაკარიანი, ძარია (ლ. მელქაძე 86), ნ. კვასხვაძე (შ. გრიგალაშვილი 65), დაუშვილი, ბენაშვილი, იონანიძე (გ. ჭელიძე 72), გელაშვილი

*სათადარიგონი:* რ. კვასხვაძე, გორგიაშვილი, მ. კაკალაძე, კვესიეშვილი

მწვრთნელი: გია გეგუჩაძე

გაფრთხილება: დაუშვილი, ძარია

მსაჯები: პ. დოგრაშვილი, კ. გაბრიაძე, ი. კაკაბაძე, გ. კიკაჩეიშვილი

8 თებერვალი. 14 საათი

**სქ ბორჯომი — ოლიმპი რუსთავი 1:2**

ბორჯომი. "ჯ. ზეინკლიშვილი". 100 მაყურებელი

0:1 ჩხეტიანი (24), 1:1 პავლიაშვილი (37), 1:2 ჩიკვილაძე (55)

ბორჯომი: შეყრილაძე, ნ. ლომიძე, ი. ლომიძე, მენთესაშვილი, ლაცაბიძე, ლ. დათუნაშვილი (გაჩეჩილაძე 62), ტუხაშვილი (ქათამაძე 70), ლობჟანიძე, დარსანია, პავლიაშვილი, ი. კიკნაძე (ლაბაძე 80)

*სათადარიგონი:* ოქრომელიძე, გოგსაძე, დევიძე, მანთიძე

მწვრთნელი: ჯუნგლი ქართველიშვილი

ოლიმპი: მ. ალავიძე, გ. ონიანი, აკუასაგა (თ. ლონლაძე 46), მაჭავარიანი, ჩიკვილაძე, დობროვოლსკი, ბაბუნაშვილი, გ. სეთურიძე, დეკანოსიძე (ხუბუა 46), გ. ჩხეტიანი (მიკუჩაძე 75), მეგრელაძე

*სათადარიგონი:* სტურუა, რეხვიაშვილი, კაკულია

მწვრთნელი: ვარლამ კილასონია

გაფრთხილება: ი. ლომიძე, დათუნაშვილი

გაძევება: ი. ლომიძე (55)

მსაჯები: გ. დოგრაშვილი, გ. ჩიგოგიძე, კ. მაჩიტიძე, ი. ურუშაძე

7 თებერვალი. 14 საათი

**ვიტ ჯორჯია თბილისი — მესხეთი ახალციხე 1:0**

გორი. "თ. ბურჯანაძე". 400 მაყურებელი

1:0 ლიპარტია (41)

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, ჯაფარიძე, ყველაშვილი, ა. კვახაძე, ხურცილავა, კლიმიაშვილი, რაზმაძე (გ. ჯანელიძე 77), გ. დათუნაიშვილი, გ. მელქაძე, ლიპარტია (მგელაძე 88), ბერიაშვილი (ზაქრაძე 64)

*სათადარიგონი:* ა. მიქაბერიძე, კვალინიძე, ადამაძე, მაისაშვილი

მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე

მესხეთი: ბათიაშვილი, მემარნიშვილი, ფარულავა, ლ. მერებაშვილი, ვ. ხორგუაშვილი, ლ. ვაშაკიძე, ლ. თედიაშვილი (პ. ხორგუაშვილი 46), ზ. ჩხეტიანი, ლეკიშვილი, ლ. ქებაძე (სუდაძე 77), სამადაშვილი

*სათადარიგონი:* ძამუნაშვილი, ქოჩორაშვილი, ინასარიძე, ბეჟანიძე, ყულიჯანიშვილი

მწვრთნელი: კობა თედიაშვილი

გაფრთხილება: მემარნიშვილი, ყველაშვილი

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, ზ. ხუციშვილი, ზ. ბერულავა, ვ. გუმბერიძე

8 თებერვალი. 14 საათი

**სიონი ბოლნისი — სპარტაკი ცხინვალი 0:0**

ბოლნისი. "თ. სტეფანია". 400 მაყურებელი

სიონი: გ. ქანტურია, ორბელაძე, სვანიძე, ი. ვაშაკიძე, ჯ. მუჯირი, დიდავა, გ. ხიდეშელი (დავითაშვილი 46), ზ. ჭელიძე (ბობოხიძე 80), შალამბერიძე, რ. გოცირიძე, ი. შენგელია (ლ. ბაჯელიძე 72)

*სათადარიგონი:* ბობლიაშვილი, ალადაშვილი, ქემოკლიძე, კაკაშვილი

მწვრთნელი: ოთარ კორღალიძე

სპარტაკი: გ. იაშვილი, გ. თურმანიძე, კ. ავალიანი, ქორიძე, მგალობლიშვილი, ქურასბედიანი (ხაჭიპერაძე 84), გ. კვახაძე, ჯანგიძე, სირბილაძე (მეტრეველი 46), ჩივაძე (მაისურაძე 46), შ. ჯიქია

*სათადარიგონი:* კოდალაევი, გაბელაია, ი. კობახიძე

მწვრთნელი: სერგო გაბელაია

გაფრთხილება: დიდავა, ჯანგიძე, კვახაძე, ჭელიძე

მსაჯები: ლ. კვარაცხელია, ზ. მენთეშაშვილი, ი. უკლება, ა. ნონიკაშვილი

# 5 წუთის ძელები და ნულები

**„გაგრამ“** ანთალიაში გაიარა შეკრება და შემადგენლობაც, ასე თუ ისე, გააძლიერა, „ლოკომოტივმა“ კი ზამთრის შეკრება გვიან დაიწყო, საგურამოს ბაზის იქით არ გასულა, თითზე ჩამოსათვლელი ტესტ-მატჩები ითამაშა და, რაც მთავარია, ლიდერები მოისაკლისა: როგორია, ერთიმეორეს მიყოლებით ვიტალი დარასელიას, რატი ალექსიძეს და ლევან ცქიტიშვილს რომ დაკარგავ?!

რას მივანიშნებთ ამით? იმას, რომ „გაგრას“ უპირატესობას ველოდით, თუმც უფრო საფრეო თამაში იყო და პირიქით, თუ რომელიმეს უნდა მოეგო, ეს „ლოკომოტივია“.

„ლოკომოტივს“ დასუსტების მიუხედავად, სახე არ დაუკარგავს — პირველ წრეში თუ თითქმის მთლიანად ლიდერებზე იყო დამოკიდებული, ამჯერად უფრო მეტს კომბინირებდნენ, გუნდურად თამაშობდნენ. ცალკე ვიტყვით ახალბედა შალვა კვანტალიანზე და ირაკლი ჩირიკაშვილზე. „ჩირიკა“ აქამდეც არ იყო უცნობი ფეხბურთელი, აი, კვანტალიანის თამაში კი სიურპრიზი გამოდგა: ეს ბიჭი შემტევ ნახევარმცველად ირჯებოდა.

85 წუთი ფეხბურთს კი არა, „ფეხბურთი-ლაითს“ უფრო ჰგავდა. არანაირი ფანტაზია, არც ტემპი, არც კარში დარტყმები.

სტუმართაგან ნიკა გუშარაშვილსა და კვანტალიანს გაუცუდდათ შანსები, მასპინძლებმა კი ერთადერთხელ ააფორიაქეს გიორგი ლომაია — ლევან შარიქაძემ ეშმაკურად ჩააწოდა საჯარიმო, ბურთი მეკარის წინ დახტა, თუმც ლომაიამ მაინც მოიგდო ხელებში.

აი, ბოლო ხუთ წუთში კი გაეხსნათ სუნთქვა ფეხბურთელებს, ჩხვლეტები „ლოკომოტივმა“ დაიწყო და ჯერ კვანტალიანმა ეფექტური თავურით მოარტყა ბურთი ხარიხას, მერე კი კახა მახარაძის პასმა ჩირიკაშვილი რევაზ თევდორაძეს შეატოვა, სტუმართა ნახევარმცველმაც ოდნავ მახვილი კუთხიდან გაისროლა და თევდორაძის ასხლეტით ბურთი ძელს მოხვდა.

ძელები ვერ დალუნა, მაგრამ „გაგრა“ მაინც არ დარჩა ვალში და ზედ მსაჯის სასტვენის წინ თამაზ ჩარგეიშვილის გაჭიმულ პასს ბაჩანა ცხადაძემ ლამაზი თავური შეაგება — ბურთი ზემოდან გადასცდა კარს.

მოკლედ, ამ ხუთწუთეულმა „ჩაყლაპა“ იქამდე ნანახი.

ჰო, „გაგრას“ უკრაინელი ვლადიმირ კოზლენკო მართლაც ყოჩაღი მცველი ჩანს, ხოლო აფრიკელი ლეგიონერი, ნიგერიელი ოვონიკოკო ტრიბუნაზე იჯდა, რაკილა კლუბს ჯერ განაცხადში არ შეუყვანია.

**ილია ნანობაშვილი**

# შენ რომ ჩემი წაქცეული შვილი ვერ დაინახეო?!

**ექვსკვირიანი** შესვენება დამთავრდა და ეროვნულმა ჩემპიონატმა მაჯისცემა დაიწყო. საერთოდ, მარათონის განახლებას ხალხი მონატრებული ხვდება, ემოციები მატულობს, საქართველოში კი... საქართველო ხომ „გამორჩეული“ ქვეყანაა — რა ბუმი, რის ბუმი, სტადიონზე გულშემატკივარი არ დადის და ძალაა?!

ბევრი ფეხბურთელისგან გაგვიგია, უმაყურებლოდ თამაშისას აზარტი გვეკარგება და რა გიკვირთ, რომ დონე მაღლა არ იწევსო. ძალიან გვინდა გვჯეროდეს, რომ ეს ფეხბურთელები გულით ლაპარაკობენ და არა თავის გამართლების მიზნით...

მეთვრამეტე ტურს მივხედოთ...

ხუთი მატჩი, ხუთი გოლი, ორი ფრე, სამი მინიმალური სხვაობით მოგება — სხვა თუ არაფერი, დაძაბული მაინც გამოდგა ეს შაბათ-კვირეული...

ლიდერმა თბილისის „ვიტ ჯორჯიამ“ ჯაბა ლიპარტიას გატანილით სძლია ახალციხის „მესხეთს“, რომელსაც შემადგენლობა დაუსუსტდა და თუ უმაღლეს ლიგაში ადგილს შეინარჩუნებს, ეს ისევ სხვა გუნდების უფხობის ხარჯზე.

ჰო, ლიპარტიას გოლს მესხების პროტესტი მოჰყვა.

ახალციხელთა თავკაცმა კობა თედიაშვილმა თქვა, ჩემი ვაჟი ლეჟავა მინდორზე წაქცეული იყო და თანაგუნდელებმა ვიტელებს სთხოვეს, თამაში არ გააგრძელოთო, მათ კი ყური არ ათხოვეს, შეტევა არ გააჩერეს და გოლი გაგვიტანესო.

„ვიტ ჯორჯიას“ მწვრთნელმა ნესტორ მუმლაძემ კი „ბრალდება“ არ მიიღო, მაგ დროს უკვე „მესხეთის“ საჯარიმოში იყვნენ ჩემი ბიჭები და აბა, ასეთ მომენტში ბურთის აუტზე გადაგდება ვის გაუგიაო.

ასეა თუ ისე, მუმლაძის გუნდმა წაუგებელი სერია 13 მატჩამდე აიყვანა და 9 ქულით დაუსხლტა ტურში დასვენებულ „დინამოს“, რომელსაც ორი თამაშით ნაკლები აქვს.

„ვიტ ჯორჯია“ ჩემპიონობის მთავარ ფავორიტად რჩება.

გია გეგუჩაძემ პირველი ოფიციალური მატჩი მოიგო „ზესტაფონის“ თავკაცის რანგში. ფეროელებმა ზუგდიდის „მგლებს“ ნიკა გელაშვილის ლამაზი გოლით სძლიეს — ბურთი მასპინძელთა კარის ცხრიანში შევარდა.

საინტერესოა, რომ გეგუჩაძემ როინ კვასხვაძის ნაცვლად კარი ზურაბ მამალაძეს ანდო, რომელიც პირველ წრეში სწორედ „მგლებში“ თამაშობდა.

ცოტა გააქვს, ცოტას უშვებს — ეს „ზესტაფონია“, რომელიც მეოთხეზეა, თუმც მესამეადგილოსან რუსთავის „ოლიმპს“ ქულით ჩამორჩება და თან თამაში ნაკლები აქვს.

თავის მხრივ, „ოლიმპმაც“ დაგეგმილი სამი ქულა აიღო — ან კი რა უნდა გასჭირვებოდა ბორჯომში, სადაც ბოლო დღეებში შეკოწიწებული გუნდი დახვდა.

რუსთაველებმა 2:1 მოიგეს და უკვე მერამდენედ, გადამწყვეტი გოლი თენგიზ ჩიკვილაძემ შეაგდო. მცველის ასეთი შედეგიანობა კარგა ხანია, არ გვინახავს ჩვენს ჩემპიონატში — ეს ჩიკვილაძის მეექვსე გოლია მიმდინარე ჩემპიონატში — „ოლიმპის“ გატანილთა მესამედი მასზე მოდის.

გლდანური მატჩისა არ იყოს, უგოლოდ დაშორდნენ ერთმანეთს ბოლნისის „სიონი“ და ცხინვალის „სპარტაკი“.

ცხრილს თუ ჩახედავთ, მიხვდებით, რა მნიშვნელობის ქულები დაკარგეს ბოლნისელებმა, თუმც ძალიანაც არ გაგვკვირვებია ეს შედეგი — ცხინვალის „სპარტაკმა“ შემადგენლობა გააძლიერა და ვფიქრობთ, ცხრილის ფსკერიდან დაიძვრება.

**ილია ნანობაშვილი**

### XIX ტური

14 თებერვალი. შაბათი
ოლიმპი – გაგრა
ლოკომოტივი – სპარტაკი

15 თებერვალი. კვირა
მესხეთი – მგლები
დინამო – სიონი
ზესტაფონი – ბორჯომი

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 8 — | მათე ვაწაძე | *დინამო* |
| | ვახტანგ კვარაცხელია | *ვიტ ჯორჯია* |
| | ნიკა გელაშვილი | *ზესტაფონი* |
| | ილია სპასოევიჩი | *დინამო* |
| 7 — | ირაკლი კიკნაძე | *ბორჯომი* |
| | ლევან ცქიტიშვილი | *ლოკომოტივი* |

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ვიტ ჯორჯია | 17 | 12 | 4 | 1 | 30:10 | 20 | 40 | 8 | 6 | 1 | 1 | 16:5 | 11 | 19 | 9 | 6 | 3 | 0 | 14:5 | 9 | 21 |
| 2 დინამო | 15 | 10 | 1 | 4 | 32:12 | 20 | 31 | 7 | 6 | 1 | 0 | 22:5 | 17 | 19 | 8 | 4 | 0 | 4 | 10:7 | 3 | 12 |
| 3 ოლიმპი | 16 | 7 | 7 | 2 | 18:10 | 8 | 28 | 8 | 4 | 4 | 0 | 9:2 | 7 | 16 | 8 | 3 | 3 | 2 | 9:8 | 1 | 12 |
| 4 ზესტაფონი | 15 | 8 | 3 | 4 | 16:9 | 7 | 27 | 8 | 5 | 0 | 3 | 10:5 | 5 | 15 | 7 | 3 | 3 | 1 | 6:4 | 2 | 12 |
| 5 სიონი | 16 | 6 | 7 | 3 | 17:10 | 7 | 25 | 8 | 2 | 4 | 2 | 9:8 | 1 | 10 | 8 | 4 | 3 | 1 | 8:2 | 6 | 15 |
| 6 ლოკომოტივი | 16 | 7 | 2 | 7 | 20:15 | 5 | 23 | 8 | 4 | 0 | 4 | 9:5 | 4 | 12 | 8 | 3 | 2 | 3 | 11:10 | 1 | 11 |
| 7 მგლები | 17 | 5 | 3 | 9 | 16:23 | -7 | 18 | 9 | 4 | 1 | 4 | 10:7 | 3 | 13 | 8 | 1 | 2 | 5 | 6:16 | -10 | 5 |
| 8 მესხეთი | 16 | 4 | 4 | 8 | 12:24 | -12 | 16 | 8 | 2 | 3 | 3 | 8:10 | -2 | 9 | 8 | 2 | 1 | 5 | 4:14 | -10 | 7 |
| 9 გაგრა | 17 | 4 | 4 | 9 | 13:26 | -13 | 16 | 9 | 4 | 3 | 2 | 10:9 | 1 | 15 | 8 | 0 | 1 | 7 | 3:17 | -14 | 1 |
| 10 ბორჯომი | 16 | 2 | 5 | 9 | 15:35 | -20 | 11 | 7 | 1 | 3 | 3 | 7:10 | -3 | 6 | 9 | 1 | 2 | 6 | 8:25 | -17 | 5 |
| 11 სპარტაკი | 15 | 2 | 2 | 11 | 11:26 | -15 | 8 | 8 | 1 | 1 | 6 | 8:16 | -8 | 4 | 7 | 1 | 1 | 5 | 3:10 | -7 | 4 |

# გარიგებული მატჩების მიჩუმათება არც გვიცდია

**საქართველოს მე-20 ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მეორე ეტაპი განახლდა. მოგეხსენებათ, ეროვნულ ჩემპიონატს საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა ატარებს. ჩვენც მის გენერალურ მდივან პაატა ბურჭალიანს ვესაუბრეთ და რამდენიმე სიახლეც შევიტყვეთ...**



სარბიელის არქივიდან

— კლიმატური პირობები ხელს გვიწყობს, რათა მატჩები თებერვალში ჩავატაროთ. გეხსომებათ, წინა წლებში დიდთოვლობა გვიშლიდა ხელს. საბედნიეროდ, წლეულს კარგი ამინდებია.

**— „დინამო“ — „ზესტაფონის“ გადადებული საპირველეტაპო მატჩი როდის ჩატარდება?**

— უახლოეს დღეებში გვექნება ამ საკითხზე მსჯელობა. კალენდარი კი არის შედგენილი, მაგრამ ყველანაირად ვეცდებით, გუნდებისთვის სასურველი დღე მოვძებნოთ.

**— პროფესიული ფეხბურთის ლიგამ ჩემპიონატის დაწყების წინ გადაწყვიტა, გაყიდული ბილეთებიდან შემოსული თანხა აგვისტოს ომისას დაზარალებულთა ფონდში გადაერიცხა. ამ მხრივ რა ხდება?**

— რა თანხაც შემოვიდა, მთლიანად გადაერიცხეთ ლტოლვილთა დახმარების ფონდში.

**— საქართველოს დავით ყიფიანის თასის ნახევარფინალის წილისყრა როდის ჩატარდება?**

— თებერვლის ბოლოს ან მარტის დასაწყისში. ამის მიზეზსაც გეტყვით: ის გუნდები, რომლებიც ნახევარფინალში არიან, ჩემპიონატშიც ხვდებიან ერთმანეთს. გასულ წლებში ასეთ ვითარებაში მატჩების გაცვლაზე ბევრი მითქმა-მოთქმა იყო საზოგადოებაშიც და პრესაშიც. აქედან გამომდინარე, ეჭვები საბოლოოდ რომ გამოვრიცხოთ, კენჭისყრის ვადა მაქსიმალურად გადავწიეთ.

**— ყველასთვის საინტერესო თემას მივადექით: შარშან ფეხბურთის ფედერაციამ და პროფლიგამ გარიგებულ თამაშებთან დაკავშირებით განაცხადეს, რომ რამდენიმე მატჩზე იყო ეჭვი და მასალები პროკურატურას გადაეცა, მაგრამ, როგორც ხშირ შემთხვევაში ხდება, მერე ყველაფერი მიჩუმათდა...**

— ეს მართლაც ყველასთვის საინტერესო საკითხია. მერწმუნეთ, რომ ფეხბურთის ფედერაციაში და პროფესიული ფეხბურთის ლიგაში ამის მიჩუმათება არავის სურს — ეს ქართულ ფეხბურთს მხოლოდ ზიანს მოუტანს. იმასაც გეტყვით, რომ ამ დღეებში დიმიტრი რამიშვილს, ნოდარ ახალკაცს და რევაზ არველაძეს ამ თემაზე ჰქონდათ საუბარი. გარიგებულ თამაშებს ვერასდროს შევეგუებით და შესაბამის ორგანოებთან აქტიურად ვთანამშრომლობთ. დანარჩენი მათი პრეროგატივაა. მე-20 ეროვნულში საეჭვო თამაშები ჯერ არ ყოფილა და ჩვენ დაკვირვებას გავაგრძელებთ. თუ რამ შევნიშნეთ, რეაგირება მალევე მოჰყვება.

**— კიდევ ერთ მტკივნეულ საკითხს უნდა შევეხოთ. სეზონის დაწყების წინ ყველა გუნდმა 300 ათასი ლარის საგარანტიო წერილი წარმოადგინა, მაგრამ რამდენიმემ ჩემპიონატის პირველი ნაწილი გაჭირვებით ჩაამთავრა. მაგალითად „ბორჯომი“ და ახალციხის „მესხეთიც“ გვეყოფა. ასეთი გარანტია თავის მოტყუება ხომ არ არის?**

— ჩემპიონატი სანამ დაიწყებოდა, „ბორჯომმა“ ერთ-ერთმა პირველმა შემოიტანა საწევრო თანხა, 30 000 ლარი და საკმაოდ მყარი დოკუმენტაციაც წარმოადგინა. ამიტომ ველარ ვიფიქრებდით, რომ „ბორჯომი“ ასეთ დღეში აღმოჩნდებოდა. „მესხეთს“ კი საწევრო თანხის ნაწილი წინა სეზონში პრემიალური თანხით გავუქვითეთ და ნაწილი შემოიტანეს. სხვათა შორის, დეკემბრის დასაწყისში კლუბის აწ უკვე ყოფილმა პრეზიდენტმა გია მესხელმა მწვრთნელ-ფეხბურთელების დავალიანება მთლიანად დაფარა. „ბორჯომის“ ამჟამინდელ მდგომარეობას რაც შეეხება, ამ გუნდის მოხსნა გვინდოდა გათამაშებიდან, მაგრამ სიტუაცია შეიცვალა, რაც იმითაც მოწმობს, რომ მწვრთნელად ოთარ გაბელია მივიდა — ის წყალწაღებულ გუნდში არ მივიდოდა.

**— პროფესიული ფეხბურთის ლიგა წლეულს რა სიახლეებს გვპირდება?**

— მოგეხსენებათ, მედიაკომპანია „კოლხიდა“ 200 ათას დოლარს გამოდის. ასევე სახელმწიფო პროგრამა, რომლითაც პრემიალური ფონდის გაზრდა 200 ათასი ლარით იგეგმება. შესაძლოა, 300 ათასი ჩემპიონატის პრიზიორებზე გადანაწილდეს, 50-50 ათასით კი სუპერთასის და დავით ყიფიანის თასის საპრიზო ფონდი გაიზარდოს.

**— სხვა რა პროექტი გაქვთ?**

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და პროფესიულ ფეხბურთის ლიგა ორი-სამი სტადიონისთვის უცხოეთიდან ბალახის ჩამოტანას გეგმავს. ეს უმაღლეს ლიგაში მოთამაშე გუნდების სტადიონებს ეხებათ. არ დაგიმალავთ და, ვარიანტებად განიხილება რუსთავის „ფოლადი“, თბილისის „მიხეილ მესხი“, მცხეთის „არმაზი“ და კიდევ ერთი სტადიონი. ვიტელთა ხელმძღვანელობა ამ პროექტის დამტკიცებას ელოდება და ამბობენ, სტადიონს მთლიანად გავარემონტებთო. ასევე არ შემიძლია, არ ვთქვა ზუგდიდში მიმდინარე ამბები. ამ ქალაქს ორი გუნდი ჰყავს. „მგლების“ დამფუძნებელმა ლაშა დარასელიამ კლუბის პრეზიდენტობა მხარის გუბერნატორ ზაზა გოროზიას დაუთმო და დიდ მიზნებს ისახავენ. მომავალ სეზონში „მგლების“ მთავარი სამიზნე ევროთასებზე თამაში იქნება. „ბაიას“ რაც შეეხება, თენგიზ სიჭინავა დიდ საქმეს აკეთებს, მაისში ზუგდიდს ევროპული დონის ბაზა ექნება და სტადიონის რეკონსტრუქციასაც გეგმავს. ამის გამო, სავარაუდოდ, „მგლები“ ბოლო ორ საშინაო მატჩს სხვა ქალაქში გამართავს.

**ნუკრი ლოლაძე**

# ნაკენჭარი ევროპა და ვინ ვინ არის

**შვეიცარია, თურქეთი, ირლანდია, სომხეთი, ესტონეთი — საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების მეტოქეები ევრო 2011-ის შესარჩევში ესენი იქნებიან. დანიის ქალაქ ორჰუსში გამართული კენჭისყრისას 52 ნაკრები ათ ჯგუფში გადანაწილდა (8 ხუთგუნდიანი და 2 ექვსგუნდიანი). ჩვენები მეხუთე კალათაში იყვნენ. შესარჩევის ფორმატზეც: ჯგუფის გამარჯვებულები და ოთხი საუკეთესო მეორეადგილოსანი პლეი ოფში გავლენ. ეს 14 გუნდი შინ და სტუმრად მატჩებით იმ შვიდეულს გამოავლენს, რომლებიც მასპინძელ დანიას შეუერთდებიან 2011 წლის ფინალურ ეტაპზე სათამაშოდ...**

**კალენდარი**

2009. 5 სექტემბერი
**ესტონეთი — საქართველო**
2009. 9 სექტემბერი
**საქართველო — თურქეთი**
2009. 9 ოქტომბერი
**ირლანდია — საქართველო**
2009. 14 ნოემბერი
**საქართველო — ირლანდია**
2009. 18 ნოემბერი
**შვეიცარია — საქართველო**
2010. 3 თებერვალი
**საქართველო — ესტონეთი**
2010. 30 მაისი
**საქართველო — შვეიცარია**
2010. 11 აგვისტო
**სომხეთი — საქართველო**
2010. 4 სექტემბერი
**თურქეთი — საქართველო**
2010. 7 სექტემბერი
**საქართველო — სომხეთი**

**ეგებ**, ვინმემ თქვას, გრანდები აგვცდნენ და ხელსაყრელი ჯგუფიაო, მაგრამ შვეიცარიასა და თურქეთს 21-წლამდელებში მშვენიერი შედეგები აქვთ. გეცოდინებათ, ივნისში ამ ასაკში ევროჩემპიონატის ფინალური, ეტაპი გაიმართება შვედეთში, სადაც ვერც ერთი ჩვენი ჯგუფოსანი ვერ მოხვდა, თუმც შვეიცარიასა და თურქეთს იქამდე ოდენ თითო გოლი დააკლდათ.

მართალია, ახლა შემადგენლობები სხვანაირი იქნება, მაგრამ ტრადიციები მაინც გამოსარჩევია.

მოდით, მეტოქეებზე უფრო ვრცლად ვთქვათ...

### შვეიცარია (I კალათა)

123 მატჩი +45=30-48 180:173

რაგინდარა ეროვნების ხალხს ნახავთ შვეიცარიაში, რაც ბოლო წლებში ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებსაც ეტყობა — უკვე შავკანიანი ფეხბურთელებიც ბლომად ჰყავთ.

ამასწინათ ვწერდით, შვეიცარიელები გიორგი ივანიშვილსაც რომ ეპოტინებოდნენ, თუმც ქართველმა ფორვარდმა იუარა და საქართველოს ნაკრები აირჩია.

არცაა გასაკვირი, რომ ნეიტრალური ქვეყნის ფეხბურთის შეფებს ივანიშვილის გადაბირება სურდათ. ეს ბიჭი უკვე წლებია, შვეიცარიაში ცხოვრობს და „ციურიხის“ ახალგაზრდული გუნდის ბომბარდირია.

წინა შესარჩევ ციკლში შვეიცარიის 21-წლამდელთა ნაკრებმა (მწვრთნელი პიერ-ანდრე შურმანი) ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა და წარმოიდგინეთ, ბოლო ორი ევროპის ჩემპიონატის ტრიუმფატორ ჰოლანდიას შინაც მოუგო და სტუმრადაც. პლეი ოფში კი შურმანის შეგირდებს ესპანეთი გადაეღობათ — 2:1, 1:3.

შვეიცარიელებს ამ ასაკში ჰყავთ ერენ დერდიოკი, რომელიც „ბაზელის“ ბომბარდირია და მასზე ევროპის სახელიანი კლუბები ნადირობენ, თუმც დერდიოკი უკვე ეროვნული ნაკრების კაცია და საეჭვოა, ახალგაზრდებში „ჩამოალაბორანტონ“.

გამოსარჩევია ივანიშვილის ციურიხელი თანაგუნდელი, თავდამსხმელი იზეთ მეჰმეთიც — სავარაუდოდ, დერდიოკისგან განსხვავებით, მას 21-წლამდელებში ათამაშებენ.

### თურქეთი (II კალათა)

125 მატჩი: +54=32-39 168:150

ჩვენი მეზობლების 21-წლამდელებს „ტრაბზონსპორის“ ყოფილი ფეხბურთელი, შოთა და არჩილ არველაძეების კარგი ნაცნობი ჰამი მანდირალი წვრთნის. ის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იყო 90-იანი წლების თურქეთის ნაკრებში.

როცა თურქ ახალგაზრდებზე ვლაპარაკობთ, პირველ რიგში ბათუჰან კარადენიზი უნდა ვახსენოთ — ის სუპერტალანტია და ერთ-ერთმა ვებგვერდმა მსოფლიოს 30 უნიჭიერეს ფეხბურთელს შორის მეშვიდე ადგილი მიაკუთვნა (სადაც ლევან ყენია 30-ეზე დაასახელეს).

ცნობისთვის, ბათუჰან კარადენიზი 1991 წელსაა დაბადებული და „ბეშიქთაშის“ ახალგაზრდულ გუნდში 180 მატჩში 200-ზე მეტი გოლი გაიტანა.

ეს ბიჭი ამჟამად „ესქიშეჰირსპორშია“ განათხოვრებული და ამ სეზონში 5 მატჩში 9 გოლი შეაგდო.

რაც შეეხება წინა შესარჩევს, თურქები თავიანთ ჯგუფში პირველზე გავიდნენ. თუმც ფინალურ ეტაპამდე ბალარუსმა არ მიუშვა — 1:0 და 0:2 პლეი ოფში.

### სომხეთი (III კალათა)

66 მატჩი: +14=8-44 54:168

წინა შესარჩევში სომხებმა ისტორიული მოგება მიითვალეს: თურქეთთან იყვნენ ჯგუფში და 2:1 იმარჯვეს ერევანში. ასევე, აქტივშია ჩეხეთთან ფრე, ლიხტენშტაინთან ორგზის გამარჯვება და საბოლოოდ, მესამე საფეხური.

სხვა თუ არაფერი, საქართველო-სომხეთი კავკასიური დერბია და ამხანაგური მატჩიც რომ იყოს, ოფიციალურთან მიახლოებული დატვირთვა ექნებოდა.

### ირლანდია (IV კალათა)

78 მატჩი: +22=14-42 86:116

ირლანდიელები ახალგაზრდულ ასაკში წარმატებით ვერ დაიკვეხნიან. მართალია, ინგლისის ძლიერ კლუბებში ბლომად ჰყავთ ფეხბურთელები, მაგრამ იქ წამყვან როლებში არ არიან.

ცნობისთვის, ირლანდიის 21-წლამდელებს დონ გივენსი წვრთნის, რომელიც შარშან ეროვნულ ნაკრებსაც თავკაცობდა.

წინა შესარჩევში ირლანდიას ბოლო ადგილი ერგო ჯგუფში, თუმც ერთი საამაყო მოგება კი გაურია — პორტუგალიასთან.

### ესტონეთი (VI კალათა)

64 მატჩი: +2=6-56 25:185

სტატისტიკიდანაც ჩანს, რომ ესტონელები ახალგაზრდებში, რბილად რომ ვთქვათ, ვერ დევკაცობენ. წინა შესარჩევშიც ბოლოზე გავიდნენ და 52 ნაკრებს შორის უცუდესი შედეგი აჩვენეს.

ესტონეთის ახალგაზრდულ ნაკრებს გერმანელი ფრანკ ბერნჰარდტი წვრთნის.

### საქართველო (V კალათა)

66 მატჩი: +15=12-39 62:139

ახალ მწვრთნელს ახალი იმედი მოაქვს. რა ხეირი მივიღეთ პეტარ სეგრტით წინა შესარჩევში? ორი მოგება და ექვსი მარცხი, ბურთების საშინელი სხვაობით. სეგრტის საამაყოდ მხოლოდ რუსეთთან საშინაო გამარჯვება (2:0) და ესპანეთთან შინ ხარისხიანი თამაში თუ გამოდგება.

ვნახოთ, რას მოგვიტანს კახა ცხადაძე: საერთო აზრით, მას უფრო კარგი „მასალა“ უპყრია ხელთ.

დაველოდოთ...

**ილია ნანობაშვილი**

**ურთიერთშეხვედრები**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2000. | სომხეთი | (სტ) | ამხ. | 1:0 |
| 2002. | თურქეთი | (სტ) | ამხ. | 1:0 |
| 2002. | შვეიცარია | (სტ) | შეს. | 0:2 |
| 2003. | ირლანდია | (შ) | შეს. | 1:1 |
| 2003. | შვეიცარია | (შ) | შეს. | 0:2 |
| 2003. | ირლანდია | (სტ) | შეს. | 1:1 |
| 2005. | თურქეთი | (სტ) | შეს. | 0:0 |
| 2006. | თურქეთი | (შ) | შეს. | 0:2 |
| 2007. | თურქეთი | (შ) | ამხ. | 1:2 |

## ქართული სიტყვა უცხო პრესაში

**გია გრიგალავა — ამ ბიჭზე იანვარში ბევრი დავწერეთ და, სავარაუდოდ, მომდევნო ნომრებშიც მოგვიწევს. უფრო მეტი მოგვიწევს, თუ 19 წლის მცველი საქართველოს ნაკრებში თამაშს დათანხმდება. ის ახლა გზაგასაყარზეა: რუსეთი ან საქართველო! ნიჭიერი და გამორჩეული რომ არის, ამას ლაპარაკი რად უნდა, „სკა როსტოვიდან" „აიაქსში" თუნდაც გასინჯვაზე წასვლა ხომ ზღაპარივითაა. ახლა გრიგალავა „მოსკვას" ფეხბურთელია და ვეჭვობთ, ამ ტრანსფერმა მისი საქართველოს ნაკრებში თამაშის შანსი შეამცირა, თუმც ჯერ თვითონ ფეხბურთელმაც არ იცის, რომელს აირჩევს. რუსულმა „სპორტ-ექსპრესმა" რუსულპასპორტიან გრიგალავას ინტერვიუ ჩამოართვა, სადაც ბევრ საინტერესოს წაიკითხავთ...**

**„მან მოსკოვის „სპარტაკს" „მოსკვაში" გადასვლა ამჯობინა და ამ კლუბისთვის მართლაც სერიოზული შენაძენია. რა ვიცოდით გრიგალავაზე? ძალიან ცოტა. ის მაღალი მცველია, „სკა როსტოვში" თამაშობდა და ამასწინათ „აიაქსში" ისინჯებოდა. ასევე ის ვიცოდით, რომ გიას მამა მორაგბე გახლდათ" — წერს „სპორტ-ექსპრესის" ჟურნალისტი...**



# გია გრიგალავა: სუფთა სისხლის ქართველი ვარ

— მამაჩემი საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონია რაგბიში. მას ვგავარ, მაღალი ვარ, 1,90 მეტრი... თუმც მამის კვალს არ გავყევი. რაგბი კარგია, ფეხბურთი კი უკეთესი.

**— ქართულ ფეხბურთში თქვენი კერპი ვინ არის?**

— მურთაზ ხურცილავა.

**— გინახავთ, როგორ თამაშობდა?**

— არა.

**— ქუთაისში დაიბადეთ, ფეხბურთი კი როსტოვში ისწავლეთ...**

— 8-9 წლის ვიყავი, როსტოვში რომ ჩამოვედით საცხოვრებლად. რუსულად ერთი სიტყვაც არ ვიცოდი, თუმც ვისწავლე და ახლა უაქცენტოდ ვსაუბრობ. ვიფიქრე, როსტოვში სკოლაში სიარულის გარდა რა მეკეთებინა. ჰოდა, მივედი საფეხბურთო სექციაში და თავდამსხმელად დავიწყე თამაში, ახლა კი მცველი ვარ. გარკვეული დროის მერე მშობლები საქართველოში წავიდნენ, მე კი დავრჩი.

**— რუსეთის მოქალაქე როგორ გახდით?**

— ეს ხანგრძლივი და რთული პროცესი იყო. რუსეთში კარგა ხანს ვცხოვრობდი, მაგრამ მაინც მომიწია კაბინეტიდან კაბინეტებში სიარული...

**— იურიდიულად კვლავაც „სკა როსტოვის" ფეხბურთელი ხართ და „მოსკვაში" იჯარით გადახვედით. როსტოვულ კლუბში რა მოხდა, პირველი დივიზიონიდან რატომ მოიხსნეს თავი?**

— კრიზისის გამო. ამჯერად მეორე დივიზიონში აპირებენ გამოსვლას. ცხადია, იქ აღარ დავბრუნდები! მინდა, რომ ზაფხულში „მოსკვასთან" სრულყოფილი კონტრაქტი გავაფორმო.

**— „აიაქსში" იყავით გასინჯვაზე. გვითხარით, საიდან გაჩნდა შეთავაზება და რატომ ვერ დარჩით ამსტერდამში?**

— „სკა როსტოვში" მოვიდა ფაქსი, ეს ჩემი აგენტის, სერბი დეიან იაკომოვიჩის დამსახურებაა. ჩავალაგე ბარგი და წავედი ამსტერდამში. „აიაქსის" ბაზაზე პირველად რამაც მოახდინა შთაბეჭდილება, მინდვრების სიმრავლე იყო. აიაქსელთა ძირითადი გუნდი პორტუგალიაში იყო შეკრებაზე, ამიტომაც ახალგაზრდებში ვივარჯიშე და ვითამაშე. ვფიქრობ, ენის არცოდნამ დამალალატა — მწვრთნელები და ფეხბურთელები რაღაცას მიხსნიდნენ, მე კი ვერ ვიგებდი, მთარგმნელიც არავინ მყავდა...

**— მოსკოვის „სპარტაკი" გიწვევდათ. წარსულში იყო ასეთი ფრაზა — „სპარტაკი" მხოლოდ ერთხელ ეძახის ფეხბურთელს და უარის თქმა არ შეიძლება...**

— მე სხვაგვარად გადავწყვიტე. მართალია, „სპარტაკს" მცველები სჭირდება და იქ ძირითადში თამაში რეალური იქნებოდა, მაგრამ როდესაც ყველაფერი გავაანალიზე, „მოსკვა" ავირჩიე.

**— „მოსკვას" ვარჯიშებს ვუყურე და ერთი განსაკუთრებით დამამახსოვრდა: ორმხრივი თამაში ფულზე...**

— ეს ყოველდღე არ ხდება. გეტყვით: მწვრთნელმა მიოდრაგ ბიჟოვიჩმა შემოიტანა წინადადება, შეკრებაზე საუკეთესოდ მოვარჯიშე ფეხბურთელებისთვის საპრიზო ფონდი დაეწესებინა — თითოეულს ათასი რუბლი. წესი ასეთია: ბურთი უნდა მოარტყა ძელს, ხარიხას ან სხვა რაიმეს... ვისაც საუკეთესო მაჩვენებელი ექნება, ჯეკპოტს მოხსნის. როცა ფულადი ინტერესია, აზარტიც გემატება. გუნდში გვყავს პიროვნება, რომელიც ვარჯიშის მერე ფულს კრებს.

**— რუსეთ-საქართველოს შორის არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობის გამო წუხხართ?**

— თანაც, როგორ! სახლში უკრაინის გავლით ვბრუნდები. შარშან როსტოვიდან დონეცკამდე მანქანით ჩავედი და მხოლოდ იქიდან გავფრინდი თბილისში. საწყენია, რომ ქვეყნებს შორის ასეთი ურთიერთობაა. რას ვიზამ? მიუხედავად რუსული პასპორტისა, სუფთა სისხლის ქართველი ვარ და პლუს, ყველაფრის გაკეთება შემიძლია, რისი გაკეთებაც ქართველმა აუცილებლად უნდა იცოდეს.

**— ღვინოებში ერკვევით?**

— იმდენად ვერა, როგორც მამა და ბაბუა. ქუთაისში გვაქვს სახლი, სადაც ბაღი და ვაზი გვაქვს — საფეხბურთო მინდვრის ნახევარი ტერიტორია უკავია ვაზს. სარდაფში ღვინოების კოლექცია გვაქვს. მამა ამინდის გამო წუხს-ხოლმე — რაც მეტი მზეა, ღვინო მით უკეთესი გამოდის. ბაღში ყოველთვის ბევრი ხილია, ვაშლი, მსხალი... თუ დრო მაქვს, მოსავალს მე თვითონ ვილებ ხოლმე.

**— თქვენს მშობლიურ ადგილებს აღწერთ, მე კი თვალწინ მიდგას ფილმ „მიმინოს" ფერწერული კადრები...**

— გენიალური ფილმია ნამდვილ ქართველზე! „მიმინოს" ხშირად ვუყურებ და ყოველთვის ვნახულობ ახალ-ახალ დეტალებს. ქართველის ნიმუში — ეს სწორედ კეთილი მიმინოა და არა სხვა რამ. რეჟისორმა გიორგი დანელიამ მოიფიქრა, მსახიობმა ვახტანგ კიკაბიძემ კი შეასრულა. ქედს ვიხრი მათ წინაშე.

**— რომელი ქვეყნის ნაკრებში ითამაშებს ნამდვილი ქართველი გრიგალავა?**

— არც რუსეთის ნაკრებში დავმკვიდრებულვარ და არც საქართველოში. გზაგასაყარზე ვარ... ორივე ვარიანტი შესაძლებელია. ვისკენ ვიხრები? მოდით, ჩემში დარჩეს — ნუ ეცდებით, მათქმევინოთ.

# დინამომ ტომიჩი 4 თვით ჩამოიყოლა

**თურქულ** შეკრებაზე თბილისის „დინამომ" კიდევ სამი მატჩი ჩაატარა და შინ დაბრუნდა.

დინამოელებმა ყაზახურ „ჟეტისუს" 1:0 სძლიეს, გერმანულ „ბაბელსბერგს" 3:2, უკრაინულ „ტავრიას" კი — 3:0.

ყაზახებთან „დინამომ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ოვონო (გ. ლორია 46), თომაშვილი (მინდორაშვილი 83), კაკუბავა, კრშკო, ჩარასი, შ. კაშია, ხმალაძე (ნემსაძე 72), დიღმელაშვილი, გველესიანი (ლომაია 58), კოშკაძე, ჯიუსი (ქანთარია 46).*

ერთადერთი გოლი კამერუნელმა ლეგიონერმა დონალდ დერინგ ჯიუსმა შეაგდო, როცა 32-ე წუთზე მილოშ კრშკოს გრძელი პასით ისარგებლა.

მორიგ თამაშში „დინამომ" გერმანიის რეგიონალლიგის ლიდერი „ბაბელსბერგი" 3:2 დაამარცხა.

რაინერ ცობელმა ასეთი შემადგენლობა დააყენა: *გ. ლორია (ოვონო 46), მინდორაშვილი, გ. კაშია, კაკუბავა (კრშკო 46), ხმალაძე, ტომიჩი (შ. კაშია 65), ნემსაძე (დიღმელაშვილი 71), ნერგაძე (ჩარასი 78), ლომაია, გ. მერებაშვილი (კოშკაძე 57), ჯიუსი (სპასოევიჩი 57).*

გოლები გიორგი მერებაშვილმა (2) და დონალდ ჯიუსმა გაიტანეს.

ბოლო ამხანაგური კი სიმფეროპოლის „ტავრიასთან" იყო — 3:0.

სიმფეროპოლელთა შორის ორივე ქართველმა ლეგიონერმა — ლადო ბურდულმა და ვასილ გიგიაძემ სრულად ითამაშეს.

თბილისელთაგან გოლები გიორგი მერებაშვილმა (25-ე წუთზე), შოთა კაშიამ (36) და ილია სპასოევიჩმა (74) გაიტანეს.

**„დინამო":** *გ. ლორია, თომაშვილი (მინდორაშვილი 77), კრშკო (ტომიჩი 46), კაკუბავა, ჩარასი (ჯიშკარიანი 77), შ. კაშია, ხმალაძე (ნემსაძე 77), დიღმელაშვილი (ქანთარია 80), ლომაია (გველესიანი 46), გ. მერებაშვილი (კოშკაძე 46), ჯიუსი (სპასოევიჩი 46).*



დანილო ტომიჩი

ერთიც: „დინამომ" 4-თვიანი კონტრაქტი გააფორმა ჩერნოგორიელ ახალწვეულ დანილო ტომიჩთან.

შეთანხმებით, თუკი ფეხბურთელი სეზონის ბოლომდე საკუთარ შესაძლებლობებს წარმოაჩენს, მასთან კონტრაქტი ავტომატურად 3 წლით გაგრძელდება.

ტომიჩის კომენტარი „დინამოს" ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა: „საქართველოზე ჩემი თანამემამულე ილია სპასოევიჩისგან თბილისში ჩამოსვლამდეც ბევრი რამ ვიცოდი. „დინამო" მდიდარი ტრადიციების კლუბია და აქ გატარებულ მცირე პერიოდში ამაში თავად დავრწმუნდი. გუნდში ნამდვილი პროფესიონალები მუშაობენ: ხელმძღვანელობა, მწვრთნელები, ფეხბურთელები... ბედნიერი ვარ, რომ დინამოელი ოფიციალურად გავხდი. ვარჯიშებზე ძალ-ღონეს არ ვიშურებთ და იმედი მაქვს, ბევრ გამარჯვებას მოვიპოვებთ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩერნოგორიის მსგავსად, საქართველოც მართლმადიდებლური ქვეყანაა და აქ უცხოდ არ ვიქნები".

**კახა ზალამბერიძე**

# დარჩება სისე ზესტაფონში?

**„ზესტაფონში"** ორი სატრანსფერო სიახლეა — გუნდიდან წავიდა ნახევარმცველი ნიკა სტეფანიშვილი და მოვიდა სენეგალელი იდრისა სისე.

სისე გასინჯვაზეა და თუ მწვრთნელებს თავს მოაწონებს, დაიტოვებენ კიდეც.

ვნახოთ, რა თვალით შეხედავს გია გეგუჩაძე ახალწვეულს...

**ოთარ მხეიძე**

# ექსამერელი ამერთან

**რუსთავის** „ოლიმპი" სეზონის განახლებამდე გამართულ ბოლო ამხანაგურ მატჩში პირველლიგელ „ამერს" შეხვდა და ექსამერელი თენგიზ ჩიკვილაძის გოლით 1:0 მოუგო.

„ოლიმპმა" შეხვედრა ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: *მ. ალავიძე (სტურუა), დობროვოლსკი (თ. ლონდაძე), გ. ონიანი, მაჭავარიანი, ჩიკვილაძე, აკუასაგა (რეხვიაშვილი), ბაბუნაშვილი, დეკანოსიძე (კაკულია), მეგრელაძე (გ. ჩხეტიანი), მიკუჩაძე (გ. მიქაბერიძე), გ. სეთურიძე.*

„ამერის" თერთმეტეული კი ასეთი იყო: *ლ. ნადირაშვილი, დ. მჭედლიშვილი, კაკაბაძე, ხატიაშვილი, გვაძაბია, ბენდელიანი, ბოჯგუა, ლაფერაშვილი, ხუციძე, ტიკურიშვილი, ნ. ქებაძე.*

*შეცვლაზე შევიდნენ: გვენცაძე, ჟღენტი, ბარამიძე, მელიქიშვილი, ბახტაძე, ბურჯანაძე, გ. ნადირაშვილი, ქარსელაძე, გოგიჩაიშვილი, ქვრივიშვილი, ფუტკარაძე, ა. შენგელია, ჯინიკაშვილი, ჯოხაძე.*

**ოთარ მხეიძე**

# ბორჯომმა ოთარ გაბელია დაიბევა



**ეროვნული** ჩემპიონატის განახლებამდე ახალციხის „მესხეთი“ და „ბორჯომი“ ერთხელაც გადაეჯიბრნენ ერთმანეთს — 4:4.

ახალციხელთაგან გოლები სამადაშვილმა, ლეკიშვილმა, თედიაშვილმა და ნაჭყებიამ გაიტანეს, ბორჯომელთაგან კი კიკნაძემ (2), ბაქრაძემ და ნიკა ლომიძემ.

კობა თედიაშვილმა „მესხეთი“ ასეთი შემადგენლობით ათამაშა: *ძამუნაშვილი, მემარნიშვილი, ლ. მერებაშვილი, ქოჩორაშვილი, ვ. ხორგუაშვილი, პ. ხორგუაშვილი, ლ. თედიაშვილი, ლ. ვაშაკიძე, ლეკიშვილი, ლ. ქებაძე, სამადაშვილი.*

*შეცვლაზე შევიდნენ: თელიაშვილი, ყულიჯანიშვილი, კუტალია, ინასარიძე, ხუდაძე, ბეჟანიძე, ნაჭყებია.*

„ბორჯომმა“ რამდენიმე ახალბედა ათამაშა, მწვრთნელი კი ისევ ჯუნგლი ქართველიშვილი გახლდათ, თუმცა გადაწყვეტილია, რომ სეზონის ბოლომდე გუნდის კონსულტანტად ოთარ გაბელია დაინიშნება და, ფაქტობრივად, ის უხელმძღვანელებს „ბორჯომს“.

**კახა ზალამბერიძე**

# ლომაია კაპიტნად

**თბილისის** „ლოკომოტივმა“ სეზონის განახლებამდე „ვიტ ჯორჯია 2“-თან გამართა სპარინგ-მატჩი და 2:1 მოიგო.

უმაღლესლიგელთაგან გოლები ნიკა გუშარაშვილმა და გიორგი მოდებაძემ გაიტანეს, შემადგენლობა კი ასეთი იყო: *გ. ლომაია, გუშარაშვილი, კაიშაური, ბებუა, სარალიძე, დიაკვნიშვილი, წულაძე, კახელიშვილი, დ. ფოფხაძე, ჩირიკაშვილი, კვანტალიანი.*

*შეცვლაზე შევიდნენ: კ. მახარაძე, მაჭავარიანი, რობაქიძე, ლ. ჩაგელიშვილი, ზ. ჩხეტიანი, ცქიტიშვილი, ი. გილაური, ა. კობიაშვილი, გ. მოდებაძე, ბარბაქაძე.*

ეს იყო ლევან ცქიტიშვილის ბოლო მატჩი „ლოკომოტივში“. ამიერიდან მის ნაცვლად გუნდის კაპიტანი მეკარე გიორგი ლომაია იქნება.

**კახა ზალამბერიძე**

# სიმურგმა გორიც მოიარა

**საქართველოში** შეკრებაზე მყოფმა ზაქათალის „სიმურგმა“ კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი გამართა პირველლიგელ გორის „დილასთან“ და 2:1 მოიგო.

ზაქათალელთა ქართველებიდან კახა ჩხეტიანმა, მიხეილ მახვილაძემ და დავით ბოლქვაძემ ძირითად შემადგენლობაში ითამაშეს, გრიგოლ დოლიძე კი ტრავმის გამო უქმობდა.

**ოთარ მხეიძე**

## კვიპრის ქრონიკა

### უეფამ მსაჯები დაგვინიშნა

**27 მარტს** საქართველოს ნაკრები მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში კვიპროსს ესტუმრება. მატჩს ლარნაკას სტადიონი „ანტონის პაპადოპულოსი“ უმასპინძლებს.

უეფამ ამ თამაშზე ფრანგი მსაჯები დანიშნა: ფრედი ფუტლერი (არბიტრი); ემანუელ ბოისდენგენი და ფრეჯი არშაი (ასისტენტები); ფილიპ კალი (მეოთხე მსაჯი).

მსაჯთა დამკვირვებელი ჩეხი ევზენ ამლერი იქნება, კომისარი კი უნგრელი იშტვან ჰუშარი.

რაც შეეხება 1 აპრილის საქართველო — ჩერნოგორიის მატჩს.

მსაჯები ჩრდილოირლანდიელები იქნებიან: დევიდ მალკოლმი (არბიტრი), პოლ მანი და ტომას ფეირფილდი (ასისტენტები); ალან ბლექი (მეოთხე მსაჯი).

მსაჯთა დამკვირვებელი ესტონელი ენო ტუტკი იქნება, კომისარი კი ბელგიელი ალექსის პონე.

### ქუხილავა ბულგარეთში

**ბულგარეთის** ფეხბურთის კავშირმა ვარნაში მიიწვია ქართველი მსაჯი შოთა ქუხილავა.

17-24 თებერვალს ვარნაში უეფას თასის შესარჩევი ეტაპი გაიმართება ფუტსალში და ერთ-ერთი მსაჯი სწორედ ქუხილავა იქნება.

„გაგრა“ უმაღლეს ლიგაში დასარჩენად იბრძვის და ლეგიონერების დამატებაზეც არ ამბობს უარს. ცოტა ხნის წინ გუნდს 16 წლის ნიგერიელი აბაიომი ოვონიკოკო სეუნი შეუერთდა. ოვონიკოკომ პირველივე ამხანაგურ მატჩში ორი გოლი გაიტანა და კლუბის ხელმძღვანელობამაც მისი დატოვება გადაწყვიტა. ნიგერიელ ფეხბურთელთან ინტერვიუ „გაგრას“ ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა...

www.fcgagra.ge




გოდერძი ჩიხრაძე და აბაიომი ოვონიკოკო სეუნი

# საქართველო მაგარია!

## ოვონიკოკოს გაგრამ ლონდონი დაავიწყა

— როგორ მოგმართოთ?

— იბადანში ყველა იომის მეძახის. აქ უკვე ოვო შემარქვეს. ოვონიკოკო ჩემი გვარია, ხოლო აბაიომი — სახელი, სეუნი კი ნიშნავს, მადლობა ღმერთო, რომ შვილი მოგვეცი. დედისერთა ვარ და შერქმეული სახელი ძალიან მომწონს.

— „გაგრაში“ როგორ მოხვდით?

— ჩემი აგენტის მეშვეობით.

— რა გვარია?

— ამას ვერ გეტყვით.

— არც იმას იტყვით, თქვენი აგენტი საქართველოში ვის დაუკავშირდა?

— ეს ნამდვილად არ ვიცი. მთავარია, რომ „გაგრაში“ ყველა ძალიან თბილად დამხვდა, პატივს მცემენ და ცდილობენ, ახალ გარემოში თავი კარგად ვიგრძნო. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მთელ კლუბს.

— კლუბის პრეზიდენტის გაცნობა მოასწარით?

— რა თქმა უნდა, ის ჩინებული პიროვნებაა. თბილად მიმიღო, როცა აქ ჩამოვედი, „გაგრას“ პირველი გუნდი შეკრებაზე ანთალიაში იყო. პრეზიდენტმა მითხრა, ახლა ვერ ესწრება ანთალიაში შენი წაყვანა, მაგრამ თუ თავს მოგვაწონებ, მაშინ მომდევნო შეკრებებზე ჩვენთან იქნებიო...

ასევე დიდი მადლობა მინდა ვუთხრა, კლუბის ვიცე-პრეზიდენტ გოდერძი ჩიხრაძეს. როგორც ამჩნევთ, ქართული სახელების გამოთქმა მიჭირს და ჩამისწორეთ, თორემ სირცხვილია, იტყვიან, ოვომ ლაპარაკი არ იცისო...

— როგორც ვიცი, რამდენიმე ქართული სიტყვა უკვე ისწავლეთ...

— დიახ. კლუბის წარმომადგენლები, რომლებიც ჩემთან დროის უმეტეს ნაწილს ატარებენ და ადაპტაციაში მეხმარებიან, ცდილობენ, ქართული სიტყვები მასწავლონ. მისალმება, დამშვიდობება და სხვა სიტყვები ვისწავლე. გარდა ამისა, „გაგრას“ მეორე გუნდთან ერთად ვვარჯიშობდი და ბიჭებმა იქაც თბილად მიმიღეს.

— საკონტროლო შეხვედრაც ჩაატარეთ...

— ნამდვილად არ ვიცი, რა გუნდს ვეთამაშეთ, მაგრამ ორი გოლის გატანა მოვახერხე. ძალიან გამიხარდა. ფსიქოლოგიურად მძიმე მომენტი იყო. ჩემი თავის იმედი კი მქონდა, მაგრამ მაინც ძნელია, როდესაც შენი თამაშის საყურებლად არიან მოსულები და იცი, რომ უნდა შეგაფასონ. როცა ბურთი მივიღე და დავამუშავე, ტრიბუნებიდან ეგრევე მხარი დამიჭირეს, მეც გავთავისუფლდი წნეხისგან და ავთამაშდი.

— კარგი შეფასება გქონდათ?

— დიახ. მითხრეს, შენი დარჩენის საკითხი თითქმის გადაწყვეტილიაო. ახლა პრეზიდენტს ველოდებით, შევხვდებით, დავილაპარაკებთ და ყველაფერი მოგვარდება.

— საქართველოზე რაიმე გსმენოდათ?

— სანამ ჩამოვიდოდი, არაფერი.

— ახლა რას ფიქრობთ?

— მაგარია!

— რა მოგეწონათ?

— ქალაქი დავათვალიერე და მომეწონა. ყველგან ვიყავი...

— თქვენს ქალაქს სჯობს?

— თქვენ თქვენი ქალაქი მოგწონთ, მე — ჩემი. იბადანი უფრო დიდია, ბევრი ხალხი ცხოვრობს, აქ კი ასე არაა. პირველი, რაც შევამჩნიე, ბევრი მანქანაა. ადრე მოსკოვშიც ვიყავი და იქ სულ საცობები იყო. ერთ ამბავს მოვყვები. არ ვიცი, რომელ ქუჩაზე ვიყავით, ძალიან დაღლილი გახლდით და საცობში რომ მოვყევით, ძალაუნებურად ჩამეძინა. როცა გამოვიღვიძე, ორი საათი გასულიყო და ჩვენ ისევ იმ ადგილას ვიდექით. მაშინ ვთქვი, რომ იმ ქვეყანაში ცუდად იყო საქმე.

— არ შეგცივდათ?

— მოსკოვში მაგრად ციოდა, თან ნოემბერში ვიყავი. აქ რომ ჩამოვედი, ეს სიცივე მოსკოვის სიცივესთან რა მოსატანია? მაისურით დავდიოდი. მერე ნელ-ნელა შემცივდა და მივხვდი, რომ ხუმრობა არ შეიძლებოდა. ჩვენთან დიდი ოკეანეა, მაგრამ ცურვა არ ვიცი. აქ ბიჭები შემპირდნენ, ზღვაზე უნდა წაგიყვანოთო. რად მინდა, ცურვა მაინც არ ვიცი...

— კლუბში რას გეუბნებიან? პირველ გუნდში როდის გათამაშებთო?

— ახლა ფეხის თითი მტკივა და ვმკურნალობ. მალე მოვშუშდები და იმედია, ანთალიიდან დაბრუნებულ „გაგრას“ ძირითად გუნდს შევუერთდები.

— როდემდე აპირებთ აქ დარჩენას?

— ჩემი სურვილია, მაღალ დონეზე ვითამაშო. ამ ეტაპზე საქართველოში მოვსინჯავ ძალებს, მერე კი ვნახოთ... ძალიან მაინტერესებს აქაური ჩემპიონატის დონე.

— რომელ გუნდს გულშემატკივრობთ?

— „ბარსელონას“.

— რატომ?

— მომწონს „ბარსელონა“, ძლიერი გუნდია, ყველაზე მაგარი კი სამუელ ეტოოა. ჩვენ ნიგერიაში შეძლებულ ოჯახად ვითვლებით. დედა მეუბნებოდა, არ წახვიდე საქართველოში, ლონდონში წაგიყვან და „ჩელსის“ ან „არსენალის“ თამაშს დავესწრებითო. „გაგრადან“ მოწვევა რომ მივიღე, აღარც ლონდონი მახსოვდა, აღარც „ჩელსი“. შანსი გამომიჩნდა, ევროპაში მეთამაშა, დედას ლონდონზე უარი ვუთხარი და თბილისში წამოვედი.

— ნიგერიაში რომელ გუნდში თამაშობდით?

— პროფესიონალურ დონეზე არ მითამაშია. მე ხომ ჯერ მხოლოდ 16 წლის ვარ. ისე, ბრაიტონის აკადემიაში ვირიცხებოდი. ჩემზე ძლიერი ფეხბურთელებიც თამაშობენ იქ, მაგარი ბიჭები არიან. ნიგერიის 17-წლამდელთა ნაკრების თავკაცმა მითხრა, თუ საქართველოს უმაღლეს ლიგაში ითამაშებ და თავს გამოიჩენ, ნაკრებში გამოგიძახებო. მეც ამის იმედი მაქვს.

— ქართული კერძები გასინჯეთ?

— დიახ. ყველაფერს გავუგე გემო და მომწონს. ხინკალიც ვჭამე, ხაჭაპურიც, მაგრამ ყველაზე მაგარი ქართველებს პური გაქვთ, ლავაშზე უკვე შეყვარებული ვარ...

— შეყვარებული გყავთ?

— შეყვარებული ნიგერიაში დავტოვე, ლარა ჰქვია, ხშირად მირეკავს და ძალიან მენატრება. აქაური გოგონებიც მომწონს, ბიჭები მეხუმრებიან ხოლმე რაღაცებს, მაგრამ მე ყურს არ ვუგდებ, ლარას ერთგული ვარ.

— მორწმუნე ხართ?

— დიახ, კათოლიკე ვარ და როცა თავისუფალი დრო მაქვს, ბიბლიას ვკითხულობ. ეს წიგნი სულ თან დამაქვს.



გიორგი დარასელია

# ისრაელში ქართველები ლიდერობენ

**გიორგი დარასელიას** და ელიშა ლევის გაწევრთნილი ჰაიფას „მაკაბი“ ისრაელის უმაღლეს ლიგას ისევ ერთპიროვნულად ლიდერობს.

ჰაიფას „მაკაბიმ“ მორიგ საშინაო შეხვედრაში ბოლოადგილოსან რამათგანის „მაკაბის“ დაუხვდა და 2:0 მოუგო.

ამასთან ერთად, ქულები დაკარგა ჰაიფელთა უშუალო კონკურენტმა ნათანიას „მაკაბიმ“, რომელმაც სტუმრად თელ-ავივში „ბნეი იეჰუდასთან“ ოდენ ფრე გაახერხა — 1:1.

რაც შეეხება, პირველ ლიგაში მოთამაშე ირაკლი გეფერიძის ჰაიფას „ჰაპოელს“ — სტუმრად ბეერ შევაში 1:1 ითამაშა და 19 ტურში 40 ქულით კვლავ ერთპიროვნული ლიდერია.

ამ მატჩში გეფერიძე 64-ე წუთზე შევიდა მინდორზე.

**ოთარ მხეიძე**

# თარგამაძე თავშია



**გერმანიის** მეორე ბუნდესლიგის მე-19 ტურში დავით თარგამაძის „ფრაიბურგმა“ „ოსნაბრიუკი“ 4:1 დაამარცხა და ლიდერობა შეინარჩუნა. ქართველი ფეხბურთელი 83-ე წუთზე ჩაერთო თამაშში და გაფრთხილებას დასჯერდა.

ფრაიბურგელთაგან გოლები ბეხმანმა, როდიონოვმა, შუსტერმა და შეააბმა გაიტანეს.

თარგამაძის გუნდს 36 ქულა აქვს და ბუნდესლიგაში გადასვლის მთავარი ფავორიტია.

სარბიელელები სამძიმარს
ვუცხადებთ ჩვენს
თანამშრომელს კარინა
ხალილოვას
**ძმის**
გარდაცვალების გამო

# ბიზნესის ჩემპიონთა ლიგა

SBM GEORGIA · LG

**1/16 ფინალი**
8 თებერვალი, 10 საათიდან
ნიკორა 5:1 ალგორითმი-2
პეპსი 7:1 AMTS-JAMC
ვისოლი 5:0 საქართველოს უნივერსიტეტი
პატრული 0:0 (3:2პ) სპორტმედია
პალიტრა 2:2 (4:3პ) BP
ალგორითმი-1 6:4 იუ ჯი თი
შერატონი 5:0 სამგორი-94
ოლიმპიური ვარსკვლავი 5:0 ქორ სტანდარტბანკი

**1/8 ფინალი**
15 თებერვალი, 11 საათიდან
ნიკორა — პეპსი
ვისოლი — პატრული
პალიტრა — ალგორითმი-1
შერატონი — ოლიმპიური ვარსკვლავი

**1/4 ფინალი**
22 თებერვალი, 11 საათიდან
სპორტის დეპარტამენტი — ნიკორა ან პეპსი (A)
სეუ — ვისოლი ან პატრული (B)
იბერია ბ/ჯ — პალიტრა ან ალგორითმი (C)
სარბიელი — შერატონი ან ოლიმპიური ვარსკვლავი (D)

**1/2 ფინალი**
1 მარტი, 12 საათიდან
A — B
C — D

**ფინალი**
8 მარტი, 12:00

# ბიზნესლიგა იზრდება

**ბიზნესის** ჩემპიონთა ლიგის ორგანიზატორი „სპორტ ბიზნეს მენეჯმენტი საქართველოს“ ოფისში ბიზნესის თასის წილისყრა და სუპერლიგისა და უმაღლესი ლიგის განრიგის შედგენა მოეწყო.

შეგახსენებთ, რომ შეჯიბრის პირველი ეტაპის მერე, რომელიც ერთი კვირის წინ დასრულდა, ათ საუკეთესო გუნდს სუპერლიგაში უნდა გაეგრძელებინა თამაში, დანარჩენები კი უმაღლეს ლიგაში გამოვიდოდნენ. მაგრამ ორგანიზატორებმა დებულება შეცვალეს და სუპერლიგას ორი გუნდიც დაამატეს — „პატრული“ და „ოლიმპიური ვარსკვლავი“.

დებულების ცვლილების მიზეზზე „სპორტ ბიზნეს მენეჯმენტი საქართველოს“ დირექტორ *ზაალ ჩიტალაძეს* ვკითხეთ: „ტურნირი იმდენად პოპულარული გახდა, რომ კიდევ რამდენიმე ორგანიზაციამ გამოთქვა მონაწილეობის სურვილი და ისინი უკვე მზად არიან, უმაღლეს ლიგაში ჩაებან. აქედან გამომდინარე, უმაღლესი ლიგის კალენდარი ძალიან რომ არ გადატვირთულიყო, გადავწყვიტეთ, იქიდან ორი საუკეთესო გუნდისთვის სუპერლიგაში თამაშის უფლება მიგვეცა.“

აქვე გეტყვით, რომ თუ კიდევ სურს რომელიმე კომპანიას უმაღლეს ლიგაში თამაში, შეუძლია, „სარბიელში“ შემოგვეხმიანოს და ჩვენ ტურნირის ორგანიზატორებთან დავაკავშირებთ.

სუპერლიგა და უმაღლესი ლიგა თასის გათამაშების დასრულების მერე, 15 ან 22 მარტს დაიწყება.

სუპერლიგის პირველ ტურში გუნდები ასე დაწყვილდნენ: „პეპსი“ — „ვისოლი“, „იბერია ბიზნეს ჯგუფი“ — „სარბიელი“, „პატრული“ — „ნიკორა“, „პალიტრა“ — „ოლიმპიური ვარსკვლავი“, „ალგორითმი“



ზაალ ჩიტალაძე

— სეუ, „სპორტის დეპარტამენტი“ — „შერატონი“.

თასზე კი გუნდები პირველ ეტაპზე დაკავებული ადგილების მიხედვით დაწყვილდნენ, ხოლო ოთხი საუკეთესო გუნდი — „სპორტის დეპარტამენტი“, „იბერია ბიზნეს ჯგუფი“, „სარბიელი“ და სეუ გათამაშებაში მეოთხედფინალიდან ჩაებმებიან.

ორგანიზატორების სურვილია და ამაზე მოლაპარაკებაც მიმდინარეობს, რომ ნახევარფინალი და ფინალი სპორტის სასახლეში ჩატარდეს და ფინალი ტელევიზიით გადაიცეს.

ისე კი, ტურნირს საქართველოს უნივერსიტეტის (ტექნიკური უნივერსიტეტის ყოფილი VII კორპუსი) სპორტული დარბაზი მასპინძლობს.

ერთი სიახლეც, რაზეც ტურნირის დირექტორი *გია ჯანგავაძე* გვესაუბრა: „თავიდანვე ვთქვით, რომ საქართველოში არსებული მძიმე მდგომარეობის გამო საპრიზო ფონდს საქველმოქმედო მიზნებისთვის გამოვიყენებდით. ამისთვის უკვე შევიძინეთ ბურთები და სპორტული ფორმები, რომლებსაც დევნილ და ობოლ ბავშვებს გადავცემთ. სუპერლიგის მატჩების წინ ეს ბავშვები გუნდებთან ერთად გამოვლენ მოედანზე და საჩუქრებსაც მიიღებენ.“

**კოტე კიკელია**

## საქართველოში დავიბადე და...

# არც ისტორიის მჯერა და არც სტატისტიკის

**აზერბაიჯანის** პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტი რამინ მუსაევი აღშფოთებულია მსოფლიოს ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის დასკვნით, რომელშიც საქართველოს ჩემპიონატმა აზერბაიჯანისას მნიშვნელოვნად გაუსწრო...



— ასეთი სახის რეიტინგების არ მჯერა. ამგვარი კლასიფიკაცია არაობიექტურია. შეუძლებელია, ისეთ ქვეყნებს ჩამოვრჩებოდეთ, სადაც ფეხბურთი ჩვენზე ნაკლებადაა განვითარებული...

...საქართველოში დავიბადე და ეს ქვეყანა ჩემთვის უცხო ნამდვილად არ არის. ამდენად, იქ მიმდინარე პროცესებზე კარგად ვარ ინფორმირებული. ეს ეხება ფეხბურთსაც...

...ვერაფრით დავიჯერებ, რომ საქართველოს ჩემპიონატი აზერბაიჯანისას სჯობს. ეს ტყუილია!

...საფეხბურთო ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციას შეუძლია, რაც მოესურვება, ის დაწეროს. მთავარია, ჩვენს პროგრესს ფიფა-უეფაში ხედავენ.

**კახა ზალამბერიძე**

# ტოპ-350 და სამი ქართული

**თითქმის** ერთწლიანი შესვენების შემდეგ, მსოფლიოს 350 საუკეთესოში სამი ქართული კლუბი გამოჩნდა — თბილისის „დინამო“ მუდმივად იყო ამ ცხრილში, წინა თვეში „ვიტ ჯორჯიაც“ დაემატა, ახლა კი „ზესტაფონმაც“ „შემოანათა“.

მსოფლიო ფეხბურთის ისტორიის და სტატისტიკის საერთაშორისო ასოციაცია ყოველთვიურად, ბოლო ერთი წლის შედეგების მიხედვით ადგენს რეიტინგს, რომლის ლიდერი კვლავაც „მანჩესტერ იუნაიტედია“, ათეულში კი სამი სამხრეთამერიკული კლუბია...

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | (1) | მანჩესტერი | 292 |
| 2 | (2) | ბაიერნი | 272 |
| 3 | (4) | ბარსელონა | 268 |
| 4 | (3) | ლივერპული | 267 |
| 5 | (5) | ბოკა ხუნიორსი | 263 |
| 6 | (6) | ჩელსი | 245 |
| 7 | (8) | ესტუდიანტესი | 230 |
| 8 | (10) | სან პაულუ | 223 |
| 9 | (7) | რომა | 222 |
| 10 | (11) | ლიონი | 217 |
| 240 | (244) | დინამო | 75 |
| 280 | (284) | ვიტ ჯორჯია | 69 |
| 350 | (358) | ზესტაფონი | 61 |

**ილია ნანოზაშვილი**

## კვირის ქრონიკა

### მუჯირი ძირითადში ჯდება

**მოსკოვის** „ლოკომოტივმა“ ორი ამხანაგური მატჩი გამართა ესპანურ შეკრებაზე: დანიურ „ესბიერგთან“ 2:2 ითამაშა, ირლანდიურ „ბოჰემიანსს“ კი 2:1 სძლია.

მუჯირმა ორივეჯერ ძირითად შემადგენლობაში ითამაშა.

### ტატანაშვილი მეორეს სჯერდება

**კვიპროსულ** შეკრებაზე მყოფმა დიმიტრი ტატანაშვილის „პლზენმა“ სლოვაკურ „დუბნიცას“ 4:1 მოუგო.

ქართველი თავდამსხმელი მეორე ტაიმში ჩაერთო თამაშში, თუმცა ამჯერად გოლი არ გაუტანია.

შაბათს კი „პლზენი“ ბელგრადის „რადს“ გაეჯიბრა — 2:0.

ტატანაშვილი ამჯერადაც მეორე ტაიმში, 68-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე.

### სირაძე და გვაზავა დაასვენეს

**დავით სირაძის** და ლევან გვაზავას გროზნოს „ტერეკი“ თურქულ შეკრებაზე ბულგარულ „ლევსკის“ გაეჯიბრა და მეტოქე 1:0 დაამარცხა.

„ტერეკის“ მთავარმა მწვრთნელმა ვიაჩესლავ გროზნიმ არც ერთი ქართველი არ ათამაშა.

### კვეკვესკირს როსტოვი ნახავს

**საქართველოს** 19-წლამდელთა ნაკრების ნახევარმცველი ირაკლი კვეკვესკირი რუსული „როსტოვის“ ახალგაზრდულ გუნდს სოჭურ შეკრებაზე გაჰყვა.

აქამდე კვეკვესკირი მოსკოვის „დინამოს“ ახალგაზრდულ გუნდში იყო, ერთი ხანობა თბილისის „ამერშიც“ ისინჯებოდა, როსტოველებთან კი 15 თებერვლამდე ივარჯიშებს.

შეგახსენებთ, რომ „როსტოვის“ ძირითად გუნდში კახა მყავანაძე ისინჯება.



# ცვეიბა ბალაფშის ნავში გადაჯდა

## აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი რუსებს ლესელიძეს უმზადებს

**თბილისის** „დინამოს" და საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ახრიკ ცვეიბა ეგრეთ წოდებული აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად დაინიშნა.

ცვეიბას თქმით, ის ლესელიძეში საფეხბურთო ბაზის აშენებას გეგმავს, სადაც ორი ბალახისსაფარიანი, ორი ხელოვნურსაფარიანი მოედანი და ერთი სამვარსკვლავიანი სასტუმრო განთავსდება...

„აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად დამნიშნეს და ჩემი მიზანი ქვეყანაში ფეხბურთის განვითარებაა. 20 წლის უმოქმედობით და იზოლაციაში ყოფნით, ძალიან დავიღალეთ და გამოცოცხლება გვინდა. ჩვენი ქვეყანა დანგრეულია და იმედი გვაქვს, რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებით რაღაც შეიცვლება, რის შედეგადაც ხალხი ინვესტიციების ჩადებას დაიწყებს სამომავლო პერსპექტივისთვის...

–ჯერ ბევრს ნამდვილად არ ვითხოვთ, მაგრამ კარგად იცით, რომ საბჭოთა პერიოდში აფხაზეთი ნიჭიერი ფეხბურთელებით ცნობილი იყო. ლესელიძეში არსებული საწვრთნელი ბაზით კიევის „დინამო", თბილისის „დინამო", „ზენიტი" და სხვა უამრავი კლუბი სარგებლობდა. გარდა ამისა, იქ ვეტერანთა ტურნირები და სხვა ღონისძიებები ტარდებოდა. ამიტომ მიმაჩნია, რომ ამ ბაზის აღდგენას აზრი აქვს. სასტუმროში ფეხბურთელებს დასვენების და ვარჯიშისთვის ყველა პირობა ექნებათ. იმედი გვაქვს, ჩვენთან რუსეთის მეორე ლიგის გუნდები მაინც ჩამოვლენ. მით უმეტეს, რომ ლესელიძის ბაზა ადლერის აეროპორტიდან 13 კილომეტრში, ზღვის ნაპირზე, ეკოლოგიურად სუფთა გარემოშია".

ახრიკ ცვეიბა საქართველოს და ქართველ მეგობრებსაც შეეხო:

„წარმოშობით აფხაზეთიდან ვარ, მაგრამ ექვსი წელი საქართველოში ვთამაშობდი და ქართულ ენას სრულყოფილად ვფლობ. საქართველო-აფხაზეთის ომში ჩემი ახლო მეგობრები დაიღუპნენ, რომლებთან ერთად ჯერ კიდევ სოხუმის „დინამოში" ვთამაშობდი. ომი სიკვდილის გარეშე არ არსებობს, ხოლო როდესაც მეზობლები ომობენ, ეს გაცილებით მტკივნეული და საშინელია. ჩემს ქართველ ნაცნობებს ყველაზე ხშირად მოსკოვში ვხვდები. ჩემთვის ძნელია ამ თემაზე საუბარი, ისევე, როგორც მათთვის, რადგან როცა აფხაზეთს ვეხებით, ომს გვერდს ვერ ავუვლით. მიუხედავად ამისა, ერთმანეთს მაინც ვხვდებით და ურთიერთობაც გვაქვს. დარწმუნებული ვარ, მხოლოდ მჭიდრო ადამიანური კავშირები და მეგობრობა გადაარჩენს ჩვენს ხალხს".

**ქახა შალამბერიძე**

---

**ახრიკ ცვეიბას** თავისი კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო წლები კიევის „დინამოში" გაუტარებია. მას შემდეგ კიდევ 9 ქართველი ყოფილა უკრაინის უტიტულოვანეს კლუბში...

საინტერესოა, რას საქმიანობს დღეს ცვეიბა. ჩვენც უკრაინულ „სპორტ-ექსპრესთან" მისი ინტერვიუდან ჩვენთვის საინტერესო კითხვა-პასუხებს გთავაზობთ:

**— ამჟამად რას საქმიანობთ?**

— აგენტი გახლავართ. ვყიდულობთ, ვზრდით და ვასაქმებთ ფეხბურთელებს. მაგალითად, დნეპროპეტროვსკის „დნიპროში" ჩვენი კლიენტი ჯაბა კანკავა თამაშობს.

**— დიდი ხანია, კიევში არ ყოფილხართ?**

— დეკემბრის ბოლოს კახა ალადაშვილის საქმეს ვაგვარებდით. ჩვენ ჯენტლმენური შეთანხმება გვქონდა კიევის „დინამოსთან" — თუ მოთამაშე ვერ შეეწყობოდა გუნდს, უნდა წაგვეყვანა და გვეზრუნა მასზე.

**— კიევში ბინა გაყიდეთ?**

— ჯერ კიდევ 1995 წელს და ახლა ვნანობ. რა ავიღე? 100 ათასი დოლარი. ახლა კი ასეთი ბინები კიევში ნახევარი მილიონი ღირს...

# ხუთი ქართველი ტოპტალანტებში

**რამდენად** იწონებდა საქართველო დსთ-ში ყოფნას, სხვა საკითხია, მაგრამ... ჩვენმა რუსმა კოლეგებმა ქართული ფეხბურთი „დაინდეს" და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის 20 ყველაზე ნიჭიერ მოთამაშეს შორის 5 ქართველი შეიყვანეს.

ეს ვებგვერდ „პროფუტბოლის" ვერსიაა.

სიაში არიან 1989 წელს და შემდეგ დაბადებულები. ამ ხუთიდან ერთი, გია გრიგალავა რუსეთის მოქალაქეა, თუმცა იმედი ჯერ არ დაგვიკარგავს — ვინძლო, ხუთჯვრიანი მაისურა ჩაიცვას.

ლევან მჭედლიძე, ლევან ყენია, გიორგი მაკარიძე და ირაკლი შეყილაძე — ისინი საუკეთესო ცამეტეულში არიან და ისიც აღვნიშნოთ, რომ ტოპ-20-ში მაკარიძე ერთადერთი მეკარეა.

იცით, კიდევ რა იპყრობს ყურადღებას? ის, რომ პირველი ექვსი ტალანტიდან ოთხი კავკასიელია: მჭედლიძე-ყენიას ოს-ქართველი ალან ძაგოევი და ინგუში არტიომ ძიუბა „უმშვენებენ" მხარს.



ლევან მჭედლიძე

1. ალან ძაგოევი (ცსკა, რუსეთი):

ამ 18 წლის ბიჭზე დღეს მთელ რუსეთს „აბოდებს" და ბევრჯერ დაწერილა, ედუარდ სტრელცოვის მერე რუსეთს ამ ასაკში მისნაირი ტალანტი არ ჰყოლიაო.

გეხსომებათ, „სარბიელში" ადრე დავწერეთ ძაგოევის წარმომავლობაზე — მამამისი, ტარიელი კახეთში, ახმეტის რაიონის სოფელ ფიჩხოვანშია დაბადებული, ალანის ძმა, გელა თბილისში მოევლინა ქვეყანას, თვითონ ცსკა-ს ვარსკვლავი კი ბესლანში დაიბადა.

2000 წლამდე ალანი ზაღოშვილის გვარს ატარებდა და თურმე სკოლაში მასწავლებლებს უწყრებოდა — „რატომ ზაღოშვილი? მე ხომ ოსი ვარ".

ტარიელ ძაგოევი კი ჰყვება, თბილისში სამსახურში ხშირად მახსენებდნენ, 1989 წლის 9 აპრილის მიტინგზე ოსები რატომ არ დაღიოდითო და ამიტომაც მოგვიხდა ბესლანში საცხოვრებლად გადასვლაო.



ლევან ყენია

2. ალექსანდრ პრუდნიკოვი (სპარტაკი, რუსეთი):

ტარანის ტიპის თავდამსხმელია და მისი ძალა საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმაც იწვნია მინსკში, როდესაც 0:4 წავაგეთ. პრუდნიკოვმა იმ მატჩში დუბლი შეასრულა.

3. ლევან მჭედლიძე (პალერმო, იტალია):

იღბლიანი ფეხი აქვს. სერია A-ს მეექვსე ტურში „იუვენტუსს" სტუმრად გადამწყვეტი გოლი გაუტანა და მთელი ევროპა აალაპარაკა. თუმც იტალიელები ადრეც იცნობდნენ მას — საქართველოს ნაკრებში თამაშისას შოტლანდიას გაუტანა გოლი, რითაც იტალიას ევროპის ჩემპიონატზე გასვლის შანსები გაუზარდა.

4. დმიტრი ლიოპა (დნიპრო, უკრაინა):

„დნიპრო" მის გარეშე წარმოუდგენელია. ლიოპა, როგორც ნიჭიერი ნახევარმცველი, ოლეგ პროტასოვმა აღმოაჩინა, დღეს კი ეს ბიჭი უკრაინის ეროვნული ნაკრებისკენ მიიწევს.



გიორგი მაკარიძე

5. არტიომ ძიუბა (სპარტაკი, რუსეთი):

პრუდნიკოვ-ძიუბას წყვილი „სპარტაკის" მომავალია. ტექნიკურია და კარგი დარტყმა აქვს, რითაც მეტოქის დაცვას მუდმივად დაძაბულობაში ამყოფებს.

6. ლევან ყენია (შალკე, გერმანია):

ლევან ყენია რომ „შალკეში" მივიდა, ეს საქართველოს ნაკრების ექს-თავკაცის, კლაუს ტოპმიოლერის დიდი დამსახურებაა. ლევანმა მშვენივრად ითამაშა „შალკეს" ახალგაზრდულ გუნდში, ახლა კი ძირითადებთან ერთადაა.

მას უკვე გერმანიაშიც დიდი სახელი აქვს.

9. გიორგი მაკარიძე (ლე მანი, საფრანგეთი):

17 წლისამ ითამაშა საქართველოს ეროვნულ ნაკრებში და ერთი პერიოდი გერმანულ „მიუნხენ 1860"-ში იყო ათდღიან სტაჟირებაზე. ახლა კი „ლე მანშია", სადაც კიდევ მისი ორი თანამემამულე ირიცხება: ამირან სანაია და ვახტანგ ფანცხავა.



ირაკლი შეყილაძე

13. ირაკლი შეყილაძე (ემპოლი, იტალია):

მჭედლიძის ნაცვლად იტალიურმა „ემპოლიმ" ვუნდერკინდი შეყილაძე მიიყვანა. ჯერჯერობით, იტალიაში მას თავი არაფრით გამოუჩენია, მაგრამ ეჭვგარეშეა, ეს დროის ამბავია. შესაძლოა, ირაკლი იჯარით გაუშვან სხვა კლუბში, რათა თამაშის პრაქტიკა ჰქონდეს.

ცნობისთვის, ქართველი ფეხბურთელების დახასიათება რუსულიდან ვთარგმნეთ.

**ილია ნანობაშვილი**



# ამისულაშვილი უკვე რუსეთის მოქალაქეა

ალექსანდრე ამისულაშვილმა რუსეთის მოქალაქეობა მიიღო.

აქამდეც ცნობილი იყო, რომ ნალჩიკის „სპარტაკის" ქართველი მცველი ამას აპირებდა, ახლა კი ყველაფერი საბოლოოდ მოგვარდა და ამისულაშვილი კლუბში ლეგიონერად აღარ ჩაითვლება.

კარიერის განმავლობაში ალეკო ქუთაისის „ტორპედოში", „სამტრედიაში", თბილისის „დინამოში", კიევის „დინამოში", დნეპროპეტროვსკის „დნიპროში", სიმფეროპოლის „ტავრიასა" და იაროსლავლის „შინიკში" თამაშობდა.

საქართველოს ნაკრებში კი 9 მატჩი ჩაატარა და 1 გოლი გაიტანა.

ამასობაში კი, თურქულ ბელეკში მყოფმა ნალჩიკის „სპარტაკმა" რუსეთის ქვედადივიზიონელ „სიბირს" ამხანაგურ მატჩში 2:1 მოუგო.

ამისულაშვილმა და გოგიტა გოგუამ ძირითად შემადგენლობაში ითამაშეს, შესვენების შემდეგ კი მწვრთნელმა მთელი გუნდი შეცვალა.

**ბახა ზალამბერიძე**

# ბეგლარიშვილს ტვენტემ აპრილი გამოატანა

„ფონდი არველაძის" ხელშეწყობით იანვრის ბოლოს საქართველოს ასაკობრივი ნაკრებების ნახევარმცველი ზაქარია ბეგლარიშვილი ენსხედეს „ტვენტეს" სარეზერვო გუნდში იყო გასინჯვაზე.

ბეგლარიშვილი ახლახან სამშობლოში დაბრუნდა, თუმცა ფონდის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, აპრილში ჰოლანდიაში ხელმეორედ ჩავა და უკვე „ტვენტეს" პირველ გუნდში გამოცდიან.

**ოთარ მხეიძე**

# ხიზანა გამოჩნდა

გამოდის, ზურაბ ხიზანიშვილი მხოლოდ სათასოდ სჭირდება „ბლექბერნს". პრემიერლიგაში ქართველს ჯიუტად არ ათამაშებენ, სათასო მატჩებში კი ჩნდება ხოლმე მინდორზე.

ხიზანიშვილმა „სანდერლენდთან" 120 წუთი ითამაშა, მისიანებმაც 118-ე წუთზე გატანილით 2:1 იმარჯვებს.

ჩვენიანმა ცენტრალურ მცველად ითამაშა და ორჯერ სახიფათო თავურით გამოირჩა.

# ომარი და 8 ქართველი

რუსეთის პირველდივიზიონელი მახაჩყალის „ანჟი" თურქულ შეკრებაზე წავიდა და თან რვა ქართველი ფეხბურთელი იახლა.

ომარ თეთრაძის გუნდში გიორგი ნავალოვსკი, ედიკ საჯაია, გოჩა ხოჯავა, ზურაბ არზიანი, რევაზ ჯიქია, კახა ალადაშვილი, ოთარ მარცვალაძე და სანდრო იაშვილი მოემზადებიან.

# კვარაცხელიას ფარტენაძე დახვდა

ბელარუსული მინსკის „მტზ-რიპოს" ქართველი ლეგიონერი გივი კვარაცხელია ახალ, გაუარესებულ პირობებს დათანხმდა და გუნდთან ხელშეკრულება გააგრძელა.

„მტზ-რიპო" შეკრებაზე თურქეთშია, იქ გამგზავრებამდე კი ამხანაგური მატჩი გამართა მოგილიოვის „დნეპრთან" და 1:3 დამარცხდა.

ამ მატჩში კვარაცხელიას არ უთამაშია, სამაგიეროდ, ითამაშა ექსბათუმელმა ფარტენაძემ, ვინც გუნდში გასინჯვაზეა.

**ბახა ზალამბერიძე**

# დეკანოსიძე თურქეთში და ქართველები ნემანში

ქართველი ფეხბურთელი ლაშა დეკანოსიძე ბელარუსულ ბატე-ს თურქულ შეკრებაზე გაჰყვა.

გეხსომებათ, ბატე-მ 21 წლის ახალწვეული შარშან ჩემპიონთა ლიგის განაცხადშიც შეიყვანა, თუმცა მაშინ ლაშას თამაშმა არ მოუწია.

და ერთიც: გროდნოს „ნემანში" ორი ქართველი ფეხბურთელი ისინჯება — 19 წლის თორნიკე სულაძე და 18 წლის მეკარე ავთანდილ კაკალაძე.

**ოთარ მხეიძე**

## ქართული სიტყვა უცხო პრესაში

# გიორგი დემეტრაძე: ეგებ კუპერმა გამომიძახოს...

**გიორგი დემეტრაძე ზამთრის შესვენებაზე „ბაკის" დროულად ვერ შეუერთდა, რისი მიზეზიც მისი ავადმყოფობა ყოფილა. აზერბაიჯანულმა ვებგვერდმა WWW.AZERISPORT.COM-მა ქართველ ფორვარდს ინტერვიუ ჩამოართვა...**



**— აზერბაიჯანიდან წინადადება რომ მიიღეთ, გადაწყვეტილების მიღება გაგიჭირდათ?**

— ქართველი ფეხბურთელებისგან გაგონილი მქონდა, რომ აზარბაიჯანულ კლუბებში დიდი ინვესტიციები ჩაიდო. როცა „ბაკის" მენეჯერმა პირობები ამიხსნა, დავთანხმდი და არც ვნანობ. საინტერესო კლუბში მოვედი, ხოლო აქაური ჩემპიონატი პრინციპული მატჩებით სავსეა. ეს ყველაფერი მომწონს.

**— ანთალიური შეკრება კი მთავრდება...**

— მწვრთნელი ყველა ფეხბურთელის შესაძლებლობებს ნახავს ამ შეკრებაზე. „ბაკიმ" რამდენიმე კარგი ფეხბურთელი დაიმატა და გაძლიერება ჩემპიონატშიც დაგვეტყობა.

**— მიზნად ჩემპიონობა გაქვთ დასახული?**

— „ბაკი" ფინანსური და სათამაშო თვალსაზრისითაც აზერბაიჯანის ერთ-ერთი წამყვანი კლუბია. როცა ახალწვეულები გუნდს შეეჩვევიან, ჩვენი გაჩერება უკვე შეუძლებელი იქნება, თუმც მეტოქეებიც ძლიერები გვყავს.

**— საქართველოს ნაკრებში 15 წელი ითამაშეთ. როგორ შეაფასებდით თქვენს გამოსვლას ქვეყნის მთავარ გუნდში?**

— ბევრი ლამაზი მოგონება დამრჩა. ნაკრებში წარმატებაც მქონდა და წარუმატებლობაც. მართალია, საქართველოს ბევრი მნიშვნელოვანი მატჩი არ მოუგია, მაგრამ გულშემატკივრებს დაუვიწყარი მომენტები ვაჩუქეთ. ნაკრების ახლანდელი თავკაცი ექტორ რაულ კუპერი გუნდში აღარ მეძახის, მაგრამ არც არაფერში ვადანაშაულებ. გეცოდინებათ, ტრავმა მქონდა და ეგებ, როცა გამოვკეთდები, დამიძახოს.

**— ამბობენ, დემეტრაძემ ზამთრის არდადეგები იტალიაში კახა კალაძესთან ერთად გაატარაო...**

— ის ჩემი მეგობარია და ხშირად ვხვდებით ერთმანეთს. ძალიან მიხარია კახას მილანური წარმატებები. ზოგჯერ ვნახულობ დროს და კიეველ თუ თბილისელ საერთო მეგობრებთან ერთად ვიკრიბებით ხოლმე.

# მუჯირმა ოდენ ორი დაინახა



აზერბაიჯანული „ბაკის" ქართველი ნახევარმცველი ამირან მუჯირი ჩემპიონობისთვის ბრძოლაში მთავარ კონკურენტებად ბაქოს „ინტერსა" და „ხაზარ-ლენქორანს" მიიჩნევს...

„ყველა გუნდს სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, მაგრამ ჩემი აზრით, ჩემპიონობისთვის ბრძოლა „ინტერს", „ხაზარ-ლენქორანსა" და ჩვენს შორის გაიმართება" — აღნიშნა მუჯირმა, ვინც 9 გოლით პირველ წრეში გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

„ბაკი" მეორე ადგილზეა და ჩემპიონობის კარგი შანსი აქვს.

შეგახსენებთ, რომ „ბაკიში" მუჯირის გარდა გიორგი დემეტრაძე და გიორგი ადამია ირიცხებიან.

**ბახა ზალამბერიძე**

# ბაკიმ, ადამია ჯერ ვერ გაიფორმეთო

აზერბაიჯანული „ბაკის" ვიცე-პრეზიდენტ ზეინალ მამედოვის თქმით, ქართველი თავდამსხმელი გიორგი ადამია კლუბში ჯერ ოფიციალურად არ გადასულა...

„ადამია ჩვენთან ოფიციალურად ჯერ არ გადმოსულა. საამისოდ, „ნეფთჩის" ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკება კიდევ უნდა გავმართოთ. კვირის ბოლომდე თურქული შეკრებიდან ბაქოში დავბრუნდებით და ამ დროისთვის ანთალიიდან „ნეფთჩიც" ჩამოვა. ქართველი თავდამსხმელის სანაცვლოდ „ნეფთჩი" 100 ათას მანათს ითხოვს, მაგრამ ამ თანხის შემცირება გვსურს. გიორგისთან კონტრაქტის გაფორმებას სეზონის ბოლომდე ვაპირებთ, ხოლო როგორ აეწყობა მისი კარიერა ჩვენს გუნდში, დრო გვიჩვენებს" — განაცხადა მამედოვმა — „იგრძნობა, რომ „ნეფთჩიდან" წასვლის შემდეგ, ადამიას სამი თვე არ უთამაშია. „ბაკიში" ვარჯიშით ფორმა ნელ-ნელა აღიდგინა... ჩვენ მისი შეძენა გვინდა, მაგრამ როგორც აღვნიშნე, „ნეფთჩისთან" მოლაპარაკება კიდევ ერთხელ უნდა გავმართოთ. ალბათ, საბოლოოდ დადებით პასუხს მივიღებთ. ვცდილობთ, ადამია მისაღებ ფასად შევიძინოთ და ჩემი აზრით, ამას შევძლებთ".



**ბახა ზალამბერიძე**

# ცქიტიშვილმა ვეენში 33 აიღო



**მეორებუნდესლიგური** „ვეენ ვისბადენის“ ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ქართველი ახალწვეული ლევან ცქიტიშვილი უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობს.

როგორც შევიტყვეთ, ცქიტიშვილმა 33 ნომერი მაისურა აირჩია.

„ძალიან მიხარია, რომ ისევ გერმანიაში ვარ. ყველაფერს გავაკეთებ, რათა „ვეენ ვისბადენს“ მეორე ბუნდესლიგაში დარჩენაში დავეხმარო“ — განუცხადა კლუბის ოფიციალურ ვებგვერდს 32 წლის ქართველმა ფეხბურთელმა.

**ბახა შალამბერიძე**

# გრიგალავამ მოსკვა მაგდებურგთან მოირგო

**რუსეთის** მოქალაქე გია გრიგალავა „სკა როსტოვიდან“ პრემიერლიგის „მოსკვაში“ გადავიდა. ამსტერდამის „აიაქსში“ გასინჯვაზე მყოფი გრიგალავა მოსკოველებმა ერთი წლით ინათხოვრეს, ოღონდ საბოლოო შესყიდვის უფლებით.

„მოსკვა“ რუსეთში ბოლო წლებში მუდმივად ცხრილის ზედა ნაწილშია, ასე რომ, 19 წლის გრიგალავასთვის ეს ზორბა ნაბიჯია...

„მოსკვამ“ თურქულ ბელეკში გერმანულ „მაგდებურგთან“ პირველი ამხანაგური შეხვედრა გამართა და გრიგალავას არაოფიციალური დებიუტიც ამ მატჩში შედგა.

რეგიონალლიგელ მეტოქესთან რუსებმა 0:1 წააგეს, გია გრიგალვა კი მინდორზე მეორე ტაიმიდან გამოჩნდა.

**ბახა შალამბერიძე**

# ოდიკაძეს ალექსიძე შეუამხანაგურდა



რატი ალექსიძემ (მარჯვნივ) „დიორ ეტოს“ მაისურა მოირგო

**უნგრულმა** „დიორ ეტომ“ თურქული შეკრება მოსკოვის „სპარტაკთან“ ამხანაგური მატჩით დაიწყო — 0:2.

დავით ოდიკაძემ სრულად ითამაშა, რატი ალექსიძე კი 88-ე წუთზე შევიდა მოედანზე.

მოგვიანებით „დიორ ეტო“ მაკედონიურ „რაბოტნიჩკის“ გაეჯიბრა და 3:0 დაამარცხა.

ამჯერად ალექსიძემ ძირითად შემადგენლობაში ითამაშა და მეორე ტაიმში შეცვალეს. ოდიკაძე კი შესვენების შემდეგ გამოჩნდა მოედანზე.

„დიორის“ კიდევ ერთი ქართველი, თეიმურაზ შარაშენიძე კი, რომელიც სარეზერვო გუნდის წევრია, ერთ-ერთ უნგრულ გუნდთან ტესტ-მატჩში (5:0) გოლით და საგოლე პასით გამოირჩა.

16 წლის შარაშენიძემ პირველი ტაიმი ითამაშა.

**ბახა შალამბერიძე**

# ორ-ორი ქართველის 1:1

**თურქულ** შეკრებაზე უნგრული „დიორ ეტო“ და ავსტრიული „შტურმი“ ერთმანეთს გაეჯიბრნენ — 1:1.

დავით ოდიკაძემ სრულად ითამაშა, რატი ალექსიძე კი მინდორზე მე-60 წუთზე შევიდა.

90-90 წუთი ითამაშეს შტურმელმა ქართველებმა — გიორგი შაშიაშვილმა და ილია კანდელაკმა.

მომდევნო მატჩში „შტურმი“ ასევე უნგრულ „დებრეცენთან“ 0:1 დამარცხდა.

კანდელაკმა სრულად ითამაშა, შაშიაშვილი კი არ გამოჩენილა.

**ოთარ მხეიძე**

# მოდებაძე ჩერნომორეცშია

**ირაკლი მოდებაძე,** რომელმაც უკრაინის ჩემპიონატში ჯერ კიდევ 18 წლისამ დაიგდო სახელი, ოდესის „ჩერნომორეცში“ ისინჯება.

24 წლის ფორვარდი 2007 წლის ნოემბერში თავისი ნებით წავიდა ზაპოროჟეს „მეტალურგიდან“ და მას შემდეგ უკლუბოდაა — ტრავმა აწუხებდა და ოპერაციაც გაიკეთა.

მოდებაძე ხუთი წელი თამაშობდა ზაპოროჟიულ კლუბში და პირველივე სეზონში დაიმკვიდრა გუნდის ძირითადში ადგილი, ყოჩაღად თამაშობდა საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებში და ერთხელ კლაუს ტოპმიოლერმა ეროვნულ გუნდშიც დააყენა.

„ჩერნომორეცმა“ უკვე ამხანაგური მატჩიც გამართა მოლდოვურ „ზიმბრუსთან“ — 1:0.

მოდებაძე მოედანზე 68-ე წუთზე გამოჩნდა.

ამ მატჩში „ზიმბრუს“ შემადგენლობაში არ გამოჩენილა ქართველი მცველი მამუკა ლომიძე.

ერთიც: „ჩერნომორეცში“ ისინჯებოდა კიევის „არსენალის“ სარეზერვო გუნდის წევრი, 20 წლის ლევან გულორდავაც, თუმცა ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა...

**ილია ნანობაშვილი**



# ქებაძემ გაიტანა და... გავიდა

**კვიპროსის** თასის მერვედფინალი ლევან ქებაძის „ეთნიკოსმა“ კი გაიარა, თუმცა თემურ ქეცბაიასა და კლიმენტი წიტაიშვილის „ანორთოსისმა“ — ვერა.

„ეთნიკოსმა“ თანაქალაქელ „აშნას“ სტუმრად 5:1 მოუგო, შინ კი 3:1 სძლია და ერთი გოლი ქართველმა ფორვარდმა გაიტანა.

რაც შეეხება „ანორთოსისს“: ლიმასოლის „აპოლონთან“ შინ 2:1 კი იმარჯვა, მაგრამ სტუმრად 1:2 წააგო და დამატებით დროში ველარას გახდა — 1:3.




**ბახა შალამბერიძე**

# გიორგი ივანიშვილი დიდებშიც გამოჩნდა

**19 წლის** გიორგი ივანიშვილმა „ციურიხის“ ძირითად გუნდში ითამაშა. შვეიცარიელებმა ავსტრიულ „აუსტრია ლუშტენაუსთან“ 1:3 წააგეს.

ივანიშვილი 62-ე წუთზე შევიდა მინდორზე, როცა მისიანები 0:1 აგებდნენ. ავსტრიელთა შორის კი მირზა ბჟალავას არ უთამაშია.

ისევ ივანიშვილზე: მან წინა კვირას ორი ტესტ-მატჩი ჩაატარა „ციურიხის“ 21-წლამდელებში და ორივეში თითო გოლი გაიტანა.

**ილია ნანობაშვილი**

# გრიშიკაშვილი დარჩა, ცანავა კი წავიდა

**საქართველოს** ეროვნული ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ ყოფილი მეკარე სოსო გრიშიკაშვილი ტრავმირებულია და სომხურ „მიკას“ ანთალიურ შეკრებაზე ვერ გაჰყვა.

გრიშიკაშვილი სომხურ კლუბში დღე-დღეზე უნდა გადასულიყო, თუმცა ჯერჯერობით გაურკვეველია, ახლა რა მოხდება...

სამაგიეროდ, ივო შუშაკის „მიკამ“ ანთალიაში სხვა ქართველი ფეხბურთელი, ექსბათუმელი ირაკლი ცანავა წაიყვანა, ვინც გუნდში გასინჯვაზეა.

სომხური კლუბი თურქეთში 18 თებერვლამდე დარჩება.

**ბახა შალამბერიძე**

## კვირის ქრონიკა

### გიგიაძის კინკილა

**თურქულ** შეკრებაზე მყოფმა სიმფეროპოლის „ტავრიამ“ პოლონურ „ზაგლებესთან“ ორი ტესტ-მატჩი გამართა. პირველში 4:0 იმარჯვა და ვასილ გიგიაძემ 27-ე წუთზე პენალტით იხეირა. ქართველი ფორვარდი გოლიდან ნახევარ საათში შეცვალეს.

მეორედ ყირიმელებმა 3:0 მოიგეს და ლადო ბურდულმა პირველი ტაიმი ჩაატარა.

### ორნი კუნძულზე

**კიევის** „დინამო 2“ შეკრებაზე კვიპროსში გაემგზავრა, თან ორი ქართველი, ლაშა თოთაძე და თემურ ფარცვანია იახლა და პირველი ამხანაგური მატჩიც გამართა ჩეხურ „სლოვანთან“ (2:2).

ფარცვანიამ და თოთაძემ ძირითად შემადგენლობაში ითამაშეს, თუმცა ლაშა 32-ე წუთზე შეცვალეს.

მორიგ მატჩს „დინამო 2“ 9 თებერვალს „იაბლონეცთან“ გამართავს.

### ციმაკურიძის სამი ტესტი

**ლუგანსკის** „ზარიამ“ თურქულ შეკრებაზე ზედიზედ სამი საკონტროლო მატჩი გამართა.

ბოსნიურ „ბორაცს“ უკრაინელები 1:1-ზე გაეყარნენ, აზერბაიჯანულ „ყარაბახს“ კი 1:0 სძლიეს.

გიორგი ციმაკურიძემ ორივე მატჩში მეორე ტაიმი ითამაშა.

მესამე თამაში ხორვატულ „ოსიეკთან“ იყო — 1:1.

ციმაკურიძე ამჯერად ძირითადში იყო და სრულად გაისარჯა.

### კანკავას გოლი ფრეს ეყო

**ისრაელში** შეკრებაზე მყოფი დნეპროპეტროვსკის „დნიპრო“ რუსულ „როსტოვს“ გაეჯიბრა — 2:2.

უკრაინელთა ძირითად შემადგენლობაში იყო ჯაბა კანკავა, რომელმაც 32-ე წუთზე გოლი გაიტანა.

მეორე ტაიმში „დნიპრომ“ ბექა გოცირიძეც ათამაშა, სანდრო კობახიძეს კი არ უთამაშია.

კიდევ ერთი ქართველი კახა მჟავანაძე კი როსტოველთა შორის მეორე ტაიმში გამოჩნდა მოედანზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასული სეზონის საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი გიორგი მერებაშვილი დღესაც გამორჩეულია ეროვნულ პირველობაზე. „სარბიელმა“ მერებაშვილი მიმდინარე სეზონის პირველი ეტაპის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელა და ალბათ უკვე დროა, გიორგიმ კარგ უცხოურ კლუბში გააგრძელოს კარიერა. ეს საკითხი მომწიფებულია, მაგრამ იმას წყალი არ გაუვა, რომ მერებაშვილი ჩემპიონატს თბილისის „დინამოში“ ჩაამთავრებს — მას საქართველოდან წასვლამდე ტიტულები უნდა...


სარბიელის არქივიდან

# გიორგი მერებაშვილი: ევროპისთვის მზად ვარ

— როგორ შეაფასებ საქართველოს ჩემპიონატის პირველ ეტაპს?

— თავიდანვე ძალიან საინტერესოდ განვითარდა მოვლენები. ფავორიტებმა მოულოდნელი ქულები დავკარგეთ და ამან უფრო დაძაბა ჩემპიონატი. „დინამომაც“ ცუდად დაიწყო სეზონი, მაგრამ მერე თამაში გამოვასწორეთ და ძალიან მნიშვნელოვანი ქულები ავიღეთ. მჯერა, რომ მეორე წრეს უკეთ ჩავატარებთ და გუნდიც უფრო სანახაობრივ ფეხბურთს აჩვენებს.

— საქართველო-რუსეთის ომმა დიდი გავლენა მოახდინა გუნდებზე?

— არც შეიძლებოდა, ამას ხელი არ შეეშალა გუნდებისთვის. ჩვენს მაგალითზეც რომ ვთქვათ, შეკრებიდან ახალჩამოსულები ვიყავით, სეზონის დაწყებას ველოდით და... ამ დროს ომი დაიწყო. ყველანი ძალიან ვნერვიულობდით და, რა თქმა უნდა, ფეხბურთისთვის არავის ეცალა. ფაქტობრივად, თავიდან გაგვიხდა დასაწყები ის, რაც უკვე გაკეთებული გვქონდა შეკრებაზე.

— ვის თვლი ჩემპიონობის მთავარ ფავორიტად?

— „დინამოს“ და „ვიტ ჯორჯიას“ ყველაზე კარგი შანსი აქვთ, თუმცა „ზესტაფონიც“ არ უნდა დავივიწყოთ.

— ზამთრის შესვენებაზე „დინამოს“ კაპიტანი დავით ოდიკაძე გაუშვა, თუმცა რამდენიმე ფეხბურთელიც შეიმატა. როგორ ფიქრობ, გუნდი გაძლიერდა?

— ოდიკაძის სახით მართლა დიდი დანაკლისი განვიცადეთ, ის სერიოზული ძალა იყო გუნდისთვის. რაც შეეხება ნამატს, ვფიქრობ, დანილო ტომიჩი, ალექსანდრე კოშკაძე, მარკოს ჩარასი და შოთა ლომია გუნდს გააძლიერებენ. ამ შეკრებიდანაც ჩანს, რომ ჯერ თამაში არ წაგვიგია და მართლა კარგ თამაშს ვაჩვენებთ. ეს ბიჭები კონკურენციას აუცილებლად გააძლიერებენ.

— ბოლო წლებში „დინამოს“ უცხოელი მწვრთნელები ჰყავს. როგორ შეადარებ ერთმანეთს ჩეხ დუშან უჰრინს და მის შემცვლელ გერმანელ რაინერ ცობელს?

— უჰრინს კომენტარი არც სჭირდება. ძალიან მაღალი დონის მწვრთნელი იყო. თუნდაც ის, რომ წლების წინ ევროპის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს, ბევრს ნიშნავს. მისგან უამრავი რამ ვისწავლე და ბედნიერი ვარ, რომ ასეთ პიროვნებასთან მუშაობის საშუალება მომეცა. რაც შეეხება ცობელს, ძალიან მომთხოვნია და ყოველთვის ბოლომდე იხარჯება ვარჯიშებზე. თითოეულ ელემენტს დეტალურად გვიხსნის. მჯერა, რომ მის ხელში „დინამო“ წარმატებებს მიაღწევს.

— ნაკრებზეც ვთქვათ. ჰექტორ რაულ კუპერმა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატიდან მიგიწვია ნაკრებში და ბულგარეთთან შესარჩევ მატჩშიც გათამაშა. ახლა კი ირლანდიასთან მოახლოებული თამაშისთვისაც გამოგიძახა...

— ყველა ქართველი ფეხბურთელის ოცნებაა საქართველოს ნაკრებში თამაში და ბედნიერი ვარ, რომ ეს ავიხდინე. ახლა უნდა ვეცადო, რომ გუნდში ადგილი დავიმკვიდრო და წარმატებებს მივაღწიო. ნაკრების მწვრთნელებს დიდ მადლობას ვუხდი ნდობისთვის და ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რომ მათი და გულშემატკივრების იმედი არ გავაცრუო.

— რა შანსი აქვს საქართველოს ირლანდიასთან 11 თებერვლის მატჩში?

— ირლანდიის დამარცხების შანსი ნამდვილად გვაქვს, მაგრამ ეს ძალიან ძნელი იქნება. ჩვენს მეტოქეს კარგი ფეხბურთელები ჰყავს და ნებისმიერ გუნდს გაუჭირდება დუბლინიდან სამი ქულის წაღება, თუმცა ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ და ყველაფერს გავაკეთებთ წარმატების მისაღწევად და ქართველი ხალხის გასახარებლად.

— და ერთიც: ვიცით, რომ რამდენიმე ევროპულ კლუბს სურს შენი შეძენა. როგორია სამომავლო გეგმები?

— რამდენიმე ევროპული კლუბი მართლა იჩენს დაინტერესებას და ვფიქრობ, უკვე მეც მზად ვარ სერიოზულ გუნდში სათამაშოდ. ჩემი აზრით, საქართველოს ჩემპიონატში მაქსიმუმი გავაკეთე. „დინამო“ ჩემი ოცნების გუნდი იყო და არის, მაგრამ მგონი, აქ დარჩენით უკვე ვეღარ გავიზრდები... ვნახოთ, რა იქნება სეზონის მერე...

**ბაჩა შალამბერიძე**

# რატომ გაიზარდა გადასახადი ავაზაში?

## ხვიჩა გულბათაშვილი: რაღაც გამოსავალი უნდა მოინახოს

მიხეილ მესხის სახელობის საფეხბურთო სკოლა „ავაზა“ საკმაო ხანია, არსებობს და ბევრი ცნობილი ფეხბურთელიც გაუზრდია. რამდენიმე თვის წინ „ავაზას“ კომპანია „ველაჯიო“ ამოუდგა მხარში და მაღალი ხარისხის ხელოვნურსაფარიანი მოედანი გაკეთდა. გარემონტდა გასახდელები და საშხაპეებიც... პირობები კი გაუმჯობესდა, თუმცა იანვრიდან სკოლაში ბავშვებზე გადასახადი გაიზარდა და 50 დოლარი გახდა. თუ გავითვალისწინებთ, როგორი სოციალური მდგომარეობაა დღეს ჩვენს ქვეყანაში, ადვილი მისახვედრია, რომ „ავაზაში“ ბავშვის მიყვანა ბევრ ოჯახს გაუჭირდება. ჩვენც ამ სკოლაში მომუშავე მწვრთნელ ხვიჩა გულბათაშვილს, ვინც 1995-96 წლებში დაბადებულ მოზარდებს წვრთნის, პირველად სწორედ გადასახადზე ვკითხეთ...


ნუგზარ სუპარიძის ფოტო

## მალე პირველ ლიგაში გუნდი გვეყოლება

— „ველაჯიომ“ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო. ფაქტობრივად, ეს კომპანია სკოლის პატრონია და ასე ულის.

— გასაგებია, კერძო სკოლაა, მაგრამ საქართველოში ბევრი ასეთი სკოლაა, თუმცა გადასახადი 50 ლარს არ სცილდება. ბავშვები სხვაგან რომ გადავიდნენ, ამას საშიშროებას ხელმძღვანელობა ვერ გრძნობს?

— სამწუხაროდ, ამის ძალიან დიდი ალბათობაა. ვინც ვერ გადაიხდის, წასვლა მოუწევს. არადა, როგორია, ოთხი წელი ბავშვს ზრდი და ერთი ხელის მოსმით ყველაფერი წყალში გეყრება. ალბათ რაღაც გამოსავალი უნდა მოინახოს.

— თუმც ისიც შევიტყვეთ, გადასახადი 60 ლარი გახდებაო...

— ეს გარკვეულ ასაკებზე — 1999, 2000 და 2001 წლებში დაბადებულ ბავშვებზე გავრცელდება 60-ლარიანი ტარიფი. სხვები 50 დოლარს გადაიხდიან.

— რამდენი ხანია, რაც მწვრთნელად მუშაობთ და რა ლიცენზიას ფლობთ?

— უკვე ოცი წელია, ამ საქმეში ვარ. უმაღლესი და პირველი ლიგების გუნდებშიც მიმუშავია მწვრთნელის თანაშემწედ. „ავაზაში“ კი ექვსი წელია, ვსაქმიანობ და B ლიცენზიას ვფლობ. მინდა, მარტში A ლიცენზიაც ავიღო.

— სკოლის ძირითადი მიზანი რა არის?

— „ველაჯიო“ პირველი ლიგის გუნდის გაკეთებას გეგმავს და სკოლის აღზრდილებით იქნება დაკომპლექტებული.

— სელექციას თუ აწარმოებენ სკოლაში?

— რა თქმა უნდა. როგორც ვიცი, ახლა სკოლაში კომისია შედგება და ნიჭიერ ბავშვებს გადასახადს შეუმცირებს, ან საერთოდ გაათავისუფლებს გადასახადიდან.

— თქვენს სკოლასთან ახლოს არის თბილისის „დინამოს“ საწვრთნელი ბაზა. წლების განმავლობაში „დინამოში“ საკმაოდ მაღალი დონის მწვრთნელები მუშაობდნენ — ივო შუშაკი, იოჰან ბოსკამპი, დუშან უჰრინი... მათ ვარჯიშებს თუ ადევნებთ თვალს ცოდნის გასაღრმავებლად...

— რამდენჯერმე დავსწრებივარ. დიდი ფეხბურთი მაინც სხვა სპეციფიკაა, ბავშვთა ფეხბურთისგან საკმაოდ განსხვავდება.

— საიდან იღებთ თქვენი პროფესიისთვის საჭირო ინფორმაციას?

— ძირითადად ინტერნეტით. დღევანდელ ფეხბურთში ყოველდღიურად ხდება ცვლილებები და თვალყური თუ არ მიადევნე, წინ ვერ წახვალ.

**ნუკრი ლოლაძე**


ნუგზარ სუპარიძის ფოტო

ერთა თასი. გერმანია. ჰაიდელბერგი. 7 თებერვალი

## გერმანია 5:38 საქართველო

# სველი დასაწყისი

## საქართველო გერმანული ტალახიდან მშრალი ამოვიდა

გერმანია: დევისი, კრაუზე, სიმი, მიორი, ფონ გლუმბკოფი, ვოდიკერი, ბრენერი, ფაბერი, გუნგორი, ტაკაენდესა, ვილჰელმი, ბრაირლი, ვახა, ეკერტი, სტრაუჩი

სათადარიგოები: კასტენი, ტუსაჩი, პუგი, შმიდტი, ვაიდემანი, ზიბერი, პომმაიერი, რიდი

საქართველო: კვირიკაშვილი, მაჩხანელი, კაჭარავა, ი. გიორგაძე, ჩხიკვაძე, მალაღურაძე, აბუსერიძე (კაპ); გორგოძე, ურუშაძე, ჩხაიძე, უჩავა, ზედგინიძე, ზირაქაშვილი, ნატრიაშვილი, შველიძე

სათადარიგოები: ა. გიორგაძე, ხინჩაგიშვილი, ბასილაია, ლაბაძე, სამხარაძე, ზიბზიბაძე, ბარკალაია

*ქართველთაგან ლელოები გაიტანეს ირაკლი ჩხიკვაძემ, დავით ზირაქაშვილმა, ირაკლი მაჩხანელმა, დავით კაჭარავამ და ორჯერ მამუკა გორგოძემ*



**დავით ზირაქაშვილმა ლელო კი გაიტანა, მაგრამ ტრავმა მიიღო და, სავარაუდოდ, პორტუგალიასთან შეხვედრას გამოტოვებს**

**საქართველოს** ნაკრებმა 2009-2010 წლების ერთა თასი და ამავდროულად 2011 წლის ახალი ზელანდიის მსოფლიოს თასის საკვალიფიკაციო ტურნირი დამაჯერებელი გამარჯვებით დაიწყო. ჩვენმა „ლელოებმა“ ერთა თასის დებიუტანტ გერმანიის ნაკრებს გასვლაზე 38:5 მოუგეს.

თამაში უცნაურად დაიწყო — მასპინძლებმა ბარე ორი თავით ძლიერ სტუმრებს გაუბედეს და, ლელო დაუდეს. მაგრამ ქართველები მალევე გამოფხიზლდნენ, მეტოქის ჩათვლის მოედანს მიეძალნენ და ირაკლი ჩხიკვაძემ პირველი ლელო გაიტანა.

გარდასახვა ამ მომენტშიც და მერეც, რამდენიმე გაფუჭდა. ამ კომპონენტში ჩვენებიც და გერმანელებიც გვარიანად სცოდავდნენ. წვიმდა, ჰაიდელბერგი მოედანიც ატალახებული იყო და დამრტყმელებს ხელს უშლიდა.

ტაიმის ბოლოსკენ „ლელოები“ დავით ზირაქაშვილმა ლელოთი წინ გაიყვანა, თუმც სამწუხაროდ, ამ მომენტში ტრავმა მიიღო და სავარაუდოდ, 14 თებერვალს პორტუგალიასთან თბილისურ მატჩს გამოტოვებს.

ქართველებმა პირველი ტაიმი მხოლოდ 10:5 მოიგეს, რაც მეტოქის ძალის გათვალისწინებით, დამაკმაყოფილებელი ანგარიში ნამდვილად არ იყო. ერთა თასის დებიუტანტ ნაკრებთან უფრო დამაჯერებელი გამარჯვება გვჭირდებოდა.

როგორც ჩანს, ავსტრალიელმა მწვრთნელმა შეგირდებს დიდ შესვენებაზე ზუსტი მითითებები მისცა. მეორე ტაიმში საქართველოს ნაკრები გამოცოცხლდა და მეტოქეს აგრძნობინა, ვინ იყო მოედანზე ბატონი. თითოჯერ ირაკლი მაჩხანელმა და დავით კაჭარავამ, ორჯერ კი მამუკა გორგოძემ დაალელოვეს გერმანელები.

სხვათა შორის, გორგოძემ რვა ნომრად ითამაშა. აქამდე ის ნაკრებში მეორე ხაზში იდგა ხუთნომრიანი მაისურით, თუმცა ფრანგულ კლუბ „მონპელიეშიც“ შეუცვალეს პოზიცია და ლეინმაც რვაზე ათამაშა. ისე კი, ალბათ, დიდი განსხვავება არც არის, გორგოძე სად ითამაშებს — მეორე თუ მესამე ხაზში. თავის საქმეს ორივეგან კარგად აკეთებს.

მთლიანობაში ჩვენებმა 6 ლელო და 4 გარდასახვა გაიტანეს. ახლა მთავარია, კარგად დაწყებული საქმე ასევე გაგრძელდეს და 14 თებერვალს ყური ავუწიოთ პორტუგალიას, რომელმაც შაბათს შინ დასანანი მარცხი იწვნია რუსეთთან.

**ნიკა ბოპაძე**

7 თებერვალი

**ესპანეთი 10:19 რუმინეთი**

**პორტუგალია 14:18 რუსეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 31 | 6 |
| ესპანეთი | 3 | 1 | 0 | 2 | -25 | 5 |
| საქართველო | 1 | 1 | 0 | 0 | 33 | 3 |
| რუმინეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 9 | 3 |
| გერმანია | 2 | 0 | 0 | 2 | -44 | 2 |
| პორტუგალია | 1 | 0 | 0 | 1 | -4 | 1 |

ექვსი ერი. პირველი ტური

# ინგლისი იგებს, მაგრამ ბორძიკობს

**წლევანდელი** ექვსი ერი ყველაზე ტიტულოვანი ინგლისის და აუტსაიდერი იტალიის რკენით დაიწყო. ინგლისელთა დამაჯერებელი სხვაობით გამარჯვების მიუხედავად ყველა მიმომხილველმა შეთანხმებულივით ერთხმად ახსენა „ვარდების“ კრიზისი.

ინგლისის ლეგენდარულ კაპიტანს მარტინ ჯონსონს მწვრთნელის პოსტზე ყველაფერი ისე იოლად ვერ გამოსდის, როგორც მოედანზე გამოსდიოდა. მისმა გუნდმა შემოდგომის ტესტებზე პრაქტიკულად ვერაფერი დაუპირისპირა სამ სამხრეთელ ვეშაპს. ბლომად ხარვეზები ჩანდა იტალიასთანაც, რასაც შედარებით ძლიერი მეტოქე, თუნდაც უელსი მეტ ქულად აზღვევინებს. ინგლისელები მოქმედ ჩემპიონ „დრაკონებს“ შემდეგ შაბათს ხვდებიან.

რაც შეეხება კონკრეტულად ამ თამაშს, აქ ინგლისს ჰქონდა პრობლემები, მაგრამ გამარჯვება სათუოდ არ გაუხდია. ათმა ნომერმა ენდი გუდმა ნაკრებში დაბრუნება უკვე მეორე წუთზე გატანილი ლელოთი აღინიშნა და შემდეგ დარტყმებით კიდევ 7 ქულა მიითვალა. მისიანებმა პირველივე ტაიმში გატეხეს ტრავმების გამო, ისედაც შემადგენლობაშეთხელებული იტალიელები და შესვენებაზე 22:6 ანგარიშით გავიდნენ, მეორე ნახევარში კი მშვიდად მიიყვანეს მატჩი ბოლომდე.

7 თებერვალი. თვიქნემი

**ინგლისი 36:11 იტალია**

ინგლისი: დ. არმიტეიჯი, საკი, ტინდალი, ფლატი, კუეტო; გუდი, ელისი; ისტერი, ს. არმიტეიჯი, ჰასკელი, კრედი, ბორსვიკი (კაპ), ვაიკერი, მირსი, შერიდანი

სათადარიგოები: ჰარტლი, ვაიტი, კროფტი, უორსლი, ფოდენი, გერატი, ტაიტი

*ნლ: გუდი, ელისი (2), ფლატი, კუეტო; 2გ: გუდი; 2ჯ: გუდი*

იტალია: მასი, რობერსონი, კანალე, გარსია, მირკო ბერგამასკო; მარკატო, მაურო ბერგამასკო; პარისე (კაპ), ძანი, სოული, ბორტოლამი, დელარი, კასტროჯოანი, ონგარო, პეროჯინი

სათადარიგოები: ფესტუჩია, ნიეტო, რეატო, მონტარიოლი, ტონიოლატი, მაკლინი, პრატიჩეტი

*ლ: ნიკო ბერგამასკო; 2ჯ: მაკლინი*

7 თებერვალი. დუბლინი

**ირლანდია 30:21 საფრანგეთი**

ირლანდია: კერნი, ბოუი, ოდრისკოლი (კაპ), პ. უოლესი, ფიცჯერალდი, ოგარა, ლეკი, ჰეისლიპი, დ. უოლესი, ფერისი, ოკონელი, ოკალაჰანი, ჰეიესი, ფლანერი, ჰორანი

სათადარიგონი: ბესტი, კურტი, ოკელი, ლემი, სტრინგერი, დარსი, მერფი

*3ლ: ჰეისლიპი, ოდრისკოლი, დარსი; 3გ: ოგარა; 3ჯ: ოგარა*

საფრანგეთი: პუატრენო, მალზიე, ფრიცი, ჟოზიონი, მედარი, ბიუ, ტილუბორდე, არინორდოკი, ოდრაგო, დუზატუა, ნალე (კაპ), შაბალი, ლეკური, მარკოვსკი, ფორე

სათადარიგონი: კაისერი, მასი, მილო-შლუსკი, პიკამოლი, პარა, ბაზი, იმონსი

*2ლ: არინორდოკი, მედარი; 1გ: ბიუ; 2ჯ: ბიუ*

დღის მეორე თამაშში, უდაძაბულეს ბრძოლაში ირლანდიამ შინ დაამარცხა მარად მისი გამამწარებელი საფრანგეთი.

# რუსებმა დრო დაგვიზუსტეს

**საქართველოს** ნაკრები ერთა თასის მატჩს რუსეთთან 21 მარტის ნაცვლად 22-ში ჩაატარებს.

რუსებმა, როგორც იქნა, თამაშის გამართვის ზუსტი ადგილიც დაასახელეს. რუსეთ-საქართველოს უპრინციპულეს მატჩს უკრაინული მარიუპოლი უმასპინძლებს, სადაც ძირითადად რუსები ცხოვრობენ და ძნელი მისახვედრი არ არის, რატომ შეარჩია ჩვენი მეზობლების რაგბის კავშირმა ეს ქალაქი.

„ილიჩევეცის“ სტადიონი 18 000 გულშემატკივარს იტევს და მოედნის საფარის მდგომარეობა იდეალურია.

თამაშზე დასწრებას უკრაინაში მცხოვრები ქართველები გეგმავენ და არ არის გამორიცხული, „ლელოების“ საქომაგოდ საქართველოდანაც წავიდეს გულშემატკივარი.

# ქართული ლელო ჩერჩილისთვის



**ინგლისელებს ჩერჩილის თასი ოთხჯერ აქვთ მოგებული**

**6-20 ივნისს** საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ჩრდილოეთ ამერიკაში ჩავა, სადაც „ჩერჩილის თასზეა“ მიწვეული. ეს პრესტიჟული ტურნირი აშშ-სა და კანადაში იმართება.

კანადაში თამაშები ონტარიოში მოეწყობა, შტატებში კი — ოჰაიოსა და კონექტიკუტის შტატებში. ტურნირში მონაწილე ექვსი გუნდი ორ ჯგუფში გადანაწილდა. ისიც ვთქვათ, რომ საქართველო, კანადა და აშშ ეროვნული ნაკრებებით გამოვლენ, დანარჩენები კი ოკეანის გაღმა A გუნდებს ჩაიყვანენ.

„ჩერჩილის თასი“ 2003 წლიდან ტარდება და ინგლისის, კანადისა და აშშ-ის ნაკრებები მასში მუდმივად მონაწილეობენ, დანარჩენი გუნდები კი იცვლებიან.

აქ წარმოდგენილ შეჯიბრის განრიგში მატჩების დაწყება თბილისის დროითაა მითითებული.

**ნიკა ბოპაძე**

**ჩერჩილის თასის მფლობელები**

ინგლისი: 2003, 2005, 2007, 2008

ახალი ზელანდია: 2004, 2006

**ჩერჩილის თასი 2009**

A ჯგუფი: კანადა, საქართველო, ირლანდია A

6 ივნისი, ოტავა (კანადა)

**23:00 კანადა — საქართველო**

10 ივნისი, კინგსთონი (კანადა)

**03:00 კანადა — ირლანდია A**

14 ივნისი, კოლამბუსი (აშშ)

**21:00 ირლანდია A — საქართველო**

B ჯგუფი: აშშ, არგენტინა A, ინგლისი A

6 ივნისი, ოტავა (კანადა)

**21:00 არგენტინა A — ინგლისი A**

10 ივნისი, კინგსთონი (კანადა)

**01:00 აშშ — არგენტინა**

14 ივნისი, კოლამბუსი (აშშ)

**23:00 აშშ — ინგლისი A**

20 ივნისი, ჰართფორდი (აშშ)

**19:00 მეხუთე ადგილისთვის**

**21:00 მესამე ადგილისთვის**

**23:00 ფინალი**

# საქართველოს და ევროპის ახალგაზრდებს დარჩათ



**დიღომში** მდებარე ძიუდოს აკადემიის დარბაზმა საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, სადაც ნაკრების ლიდერების არყოფნაში თავის გამოჩენის შანსი ახალგაზრდებს მიეცათ.

ეროვნულ პირველობას ტრავმის გამო ბადრი ხასაია და რამაზ ნოზაძე გამოაკლდნენ. ორივე სარეაბილიტაციო კურსს გადის. დაისვენეს ოლიმპიურმა ჩემპიონმა მანუჩარ კვირკველიამ და მსოფლიოს ჩემპიონმა დავით ბედინაძემ.

თქმა არ უნდა, ლიდერების გარეშე ჩემპიონატი გარკვეულ ხიბლს კარგავს, თუმც ინტერესი მაინც დიდი იყო და ეს არცაა გასაკვირი. გულშემატკივარმა ცივ დარბაზში ახალბედების ქინიანი ჭიდაობა და რამდენიმე ლამაზი გდებაც ნახა.

ერთი, რაც ცუდად მოგვხვდა თვალში და ამაზე ადრეც ვწერდით, დარბაზის ფოიეში მიმოფანტული ნაგავია. ახლად გახსნილმა დარბაზმა უკვე სამ ჩემპიონატს უმასპინძლა — ძიუდოს, თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობას და ეს პრობლემა ვერაფრით მოგვარდა. შენობაში ნაგვის ურნები არ არის და ხალხი ნაგავს პირდაპირ ძირს ყრის.

ამ ამბავზე გამოკიდება არ გვინდა, მაგრამ დაგვეთანხმებით, კოხტად მოწყობილი დარბაზის კუთხეში მიყრილი ნაგავი ძალიან ცუდად ჩანს...

55 კგ

17 წლის ქემალ ხარაბაძემ გულშემატკივრებთან ერთად თავი სპეციალისტებსაც მოაწონა. ჭაბუკთა შორის ევროპის ვერცხლის პრიზიორი დლის ტექნიკურ მოჭიდავედ დაასახელეს. ფინალში მან ასევე აჭარელ გიორგი გვენეტაძეს მოუგო. საინტერესოა, რომ აჭარელმა მოჭიდავეებმა წონაში სამი მედალი მოიპოვეს.

60 კგ

უჩა შავაძემ, ვინც შარშან ახალგაზრდებში ევროპული ოქრო დააგემოვნა, კარგად იჭიდავა და ჩემპიონობასაც გამოჰკრა ხელი. მან ფინალში პაატა ბიწაძე წააქცია. ეს ბიჭი ნაკრების თავკაცმა ბეგი დარჩიამაც გვიქო.

66 კგ

დაძაბული გამოვიდა ამ წონის ფინალიც. მწვრთნელები გამუდმებით კამათობდენ მსაჯებთან. მოჭიდავეები კი ძალიან ცდილობდნენ და ქულის მოსაპოვებლად დიდი ბრძოლა მიდიოდა. გადამწყვეტ მომენტში ვითარება ისე დაიძაბა, რომ მოჭიდავეთა მწვრთნელ-გულშემატკივრები კინალამ ხალიჩაზე შევარდნენ. საბოლოოდ გამარჯვება ანტონ მამაგეიშვილს დარჩა...

74 კგ

ოლიმპიური ჩემპიონი მანუჩარ კვირკველია უქმობდა და ახალგაზრდებს მშვენიერი შანსი მიეცათ პირველობის მოსაპოვებლად. ეს შანსი გენადი გოგიშვილმა გამოიყენა და ორწლიანი პაუზის შემდეგ ჩემპიონი გახდა.

ფინალი ფრთხილი გამოვიდა. გარისკვა არც გოგიშვილს და არც მამუკა ხიმშიაშვილს სურდა. პარტერში გოგიშვილმა მეტოქისთვის ქულის ართმევა შეძლო, მერე კარგად დაიცვა თავი და ჩემპიონი გახდა.

84 კგ

როგორც ვთქვით, ბადრი ხასაია ისვენებდა. თუმცა ის უსაქმოდ ნამდვილად არ იყო. დავით ქარჩავას აძლევდა მითითებებს და საკმაოდ კარგადაც. ქარჩავამ ოქრო მოიგო.

ფინალში მეტოქეებმა ერთმანეთს ძვლები ამტვრიეს. აკაკი ჯოხაძეს ხელი სტკიოდა და ამის გამო ცოტა გაუჭირდა ჭიდაობა, თუმც მოგებასთანაც ახლოს იყო, მაგრამ...

პირველ პერიოდში ჯოხაძის გამარჯვების შემდეგ ქარჩავა გამოცოცხლდა და ანგარიში გაათანაბრა.

გადამწყვეტ პერიოდში ჯოხაძე იგებდა, მაგრამ შეხვედრის დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე ქარჩავამ ულამაზესი ორქულიანი გდება გაუკეთა და უმძიმესი ბრძოლიდან ოქრო გამოიტანა.

96 კგ

ალეკო ბურდილაძე ფიზიკურად ისე კარგად იყო მომზადებული, რომ მგონი, ფინალში მის მეტოქეს სერგო ნინუას არც სჯეროდა გამარჯვებისა. ამ ბიჭმა საოცარი ძალა გამოაჩინა და თავიდანვე დაანახა ყველას, არაფრის დამთმობი რომ არ იყო. პირველი პერიოდის მოგების შემდეგ, მეორეც სათავისოდ დაამთავრა — ჩოქბჯენში ჩამდგარი მეტოქე მოიხელთა და გადაატრიალა.

120 კგ

ეს ფინალიც გვარიანად დაძაბული გამოვიდა და დიდი ვნებათაღელვაც გამოიწვია. მოჭიდავეებმა ერთმანეთს ძვრა ვერ უყვეს და გამარჯვებულის ბედი პარტერმა და, უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, ბურთულამ გამოავლინა.

პერიოდი უქულოდ გაილია, ჩოქბჯენში რევაზ ჭელიძე ჩადგა, მაგრამ მეტოქემ ვერაფერი მოუხერხა. იგივე განმეორდა მეორე პერიოდში, ოღონდ საპირისპიროდ. ჭელიძემ ვერ შეძლო გურამ ფერსელიძისთვის ქულის ართმევა ღა ყველაფერი მესამე პერიოდში გაირკვა.

დრო აქაც უქულოდ გაილია და ბურთულას ამოღებაზე მიდგა საქმე. ცხადი იყო, გამარჯვებული ის იქნებოდა, ვისაც ჩოქბჯენში ჩადგომა მოუწევდა. ორივე მოჭიდავე ძალიან დაღლილი იყო და მეტოქის გადაბრუნებას ვერ შეძლებდა. ასეც მოხდა — ჩოქბჯენში ჭელიძე ჩადგა და ოქროც მოიგო. მცდელობის მიუხედავად ფერსელიძე ვერას გახდა.

*ჩემპიონატის დასრულების შემდეგ „ანტიკოსთა“ ნაკრების თავკაც ბეგი დარჩიას გავესაუბრეთ:*

— ჩემპიონატით კმაყოფილი ვარ. ახალგაზრდებს თავის გამოჩენის შანსი მიეცათ და გამოიყენეს კიდეც. მართალია, ლიდერები არ ჭიდაობდნენ, მაგრამ ეს მათ გამარჯვებებს არანაირად არ აკნინებს. პირველი სამი წონის ჩემპიონები მომეწონა.

ჯემალ ხარაბაძე ჯერ 17 წლისაა, მაგრამ ძალიან კარგად იჭიდავა. თუმცა ჯერ პატარაა და ახალგაზრდების ევროპის ჩემპიონატისთვის მოვამზადებთ. ლაშა გოგიტიძეს ტრავმა აქვს და თუ ვერ მოახერხა ჯანზე მოსვლა, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ დიდების ევროპირველობაზე ხარაბაძის წაყვანა, თუმცა ჯერ ვნახოთ.

12 თებერვლიდან თბილისში შეკრებას დავიწყებთ. სასტუმრო „ბატესტაში“ დავბინავდებით და ფალავანთა კლუბში ორი კვირა ვივარჯიშებთ. თვის ბოლოს უნგრეთის ოქროს გრან-პრი გველის. მანამდე კი კარგად უნდა მოვემზადოთ. შეკრებას სამი შემადგენლობით გავივლით.

უნგრეთის შემდეგ შეკრებებს გავაგრძელებთ. ჩვენ საერთო ფიზიკური მოსამზადებელი ეტაპი ვერ გავიარეთ. იანვარში ჩასატარებელი ჩემპიონატი გადმოგვიწიეს და გეგმები აგვერია.

ბათუმში შეკრებაზე ოთხი შემადგენლობით წავალთ. იქ უკვე ლიდერებიც იქნებიან, თუმცა ისინი ევროპის ჩემპიონატზე არ იჭიდავებენ და მსოფლიოსთვის მოემზადებიან.

ერთ-ერთი შეკრება შეიძლება, ლიტვაშიც გავიაროთ. მათ გვთხოვეს, რომ ერთობლივად გაგვევლო მომზადება და ვფიქრობთ.

**ლევან მაისურაძე**

55 კგ
1 ქემალ ხარაბაძე (აჭარა)
2 გიორგი გვენეტაძე (აჭარა)
3 ზურაბ კეკელიძე (აჭარა)
3 თორნიკე ტოტიკაშვილი (გარდაბანი)

60 კგ
1 უჩა შავაძე (აჭარა)
2 პაატა ბიწაძე (თბილისი)
3 რევაზ ლაშხი (ბორჯომი)
3 საჩინო დავითაია (სენაკი)

66 კგ
1 ანტონ მამაგეიშვილი (ქუთაისი)
2 მანუჩარ ცხადაია (ხობი)
3 ტარიელ ებრალიძე (თბილისი)
3 პაატა ბაკურიძე (თბილისი)

74 კგ
1 გენადი გოგიშვილი (თბილისი)
2 მამუკა ხიმშიაშვილი (აჭარა)
3 დავით კობერიძე (თბილისი)
3 ზაზა შავაძე (აჭარა)

84 კგ
1 დავით ქარჩავა (თბილისი)
2 აკაკი ჯოხაძე (გარდაბანი)
3 დავით უბირია (აფხაზეთი)
3 ალუდა ხუნჭუა (ხობი)

96 კგ
1 ალეკო ბურდილაძე (რუსთავი)
2 სერგო ნინუა (ქუთაისი)
3 მიხეილ ქაჯაია (წყალტუბო)
3 ვლადიმერ ქარჩავა (ოზურგეთი)

120 კგ
1 რევაზ ჭელიძე (ოზურგეთი)
2 გურამ ფერსელიძე (აჭარა)
3 დავით ჯიმშელეიშვილი (წყალტუბო)
3 დიმიტრი ჯავახიშვილი (გარდაბანი)



დამოუკიდებლობამ ჩვენ ქვეყანას პრობლემებიც მოუტანა. გამონაკლისი არც სპორტი ყოფილა. საერთო გაჭირვებამ ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი უცხოეთში წაიყვანა. ზოგმა სხვა ქვეყნის სახელით წარმატებას მიაღწია, ზოგიც ერთ ჩვეულებრივ სპორტსმენად დარჩა... ეს თემა საკმაოდ მტკივნეული და საკამათოა. რთულია განსაჯო, ვინ როგორ მოიქცა კონკრეტულ მომენტში და ვინ დაუშვა შეცდომა. ვფიქრობთ, რომ შეცდომები იყო და თუ ამ ყველაფრიდან სწორ დასკვნებს ვერ გამოვიტანთ, მომავალში კიდევ დავდგებით ამ პრობლემების წინაშე. ჩვენი რესპოდენტიც ერთ-ერთი იმათგანია, ვინც საქართველო დატოვა და დღეს სხვა ქვეყნის სახელით გამოდის. თავისუფალი სტილით მოჭიდავე, რუსეთის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი **გიორგი კეტოევი** მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი და პეკინის ოლიმპიადის პრიზიორია. კეტოევი, იგივე ქეთიშვილი, 1985 წლის 19 ნოემბერს თბილისში დაიბადა. მისი ოჯახი ახლაც საქართველოში ცხოვრობს. 23 წლის მოჭიდავემ ძალიან ბევრი რამის მოგება მოახერხა და პეკინის ოლიმპიადაზეც ჩემპიონობის ფავორიტთა შორის იყო, თუმცა ნახევარფინალში რევაზ მინდორაშვილთან დამარცხდა... გიორგის რუსეთში დავურეკეთ და ინტერვიუზეც სიამოვნებით დაგვთანხმდა, ოლიმპიადის ამბები გაიხსენა და სხვა საინტერესო თემებზეც გველაპარაკა...




# გიორგი კეტოევი: იქიდან გაჭირვებას გამოვექეცი

— ახლა ვლადიკავკაზში ვარ შეკრებაზე. ერთ კვირაში კი სოჭში გავემგზავრებით და მოსამზადებელ ეტაპს იქ გავივლით. მალე საერთაშორისო ტურნირებიც გვეწყება. თუმცა ჩემთვის მთავარი ევროპის ჩემპიონატია. ევროპირველობას კარგ ფორმაში უნდა შევხვდე.

— თებერვლის მეორე ნახევარში კიევის საერთაშორისო ტურნირზე არ იჭიდავებ?

— მინდა ჭიდაობა, მაგრამ ჯერ არ ვიცი რას ვიზამ. ვარჯიშს გავაგრძელებ და გამოჩნდება, როგორ უნდა მოვიქცე. მწვრთნელები გადაწყვეტენ, სად უნდა ვიჭიდაო. მთავარია, რომ ტრავმა არ მაწუხებს და სრული დატვირთვით ვვარჯიშობ. თან კარგადაც დავისვენე.

— გადაღლილი იყავი?

— კი, ძალიან. ფსიქოლოგიურად დავიტვირთე. რაღაც მომენტში ხვდები, რომ დასვენება გჭირდება. ბევრს ვჭიდაობდი და გადავიღალე, თუმცა ახლა უკვე ყველაფერი რიგზეა.

**— ოლიმპიადის ამბებს გაგახსენებ. პეკინში ჩემპიონობის ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებოდი, მაგრამ რევაზ მინდორაშვილთან წააგე.**

— ნათქვამია, ვინც ძლიერია, ხალიჩაზე ის იგებსო. მინდორაშვილმა მომიგო და ამაში საპრობლემოს ვერაფერს ვხედავ. რას ვიზამ, სპორტია და ყველაფერი ხდება. ჭიდაობა ასეთია, ხან შენ მოიგებ, ხან მოგიგებენ. რეზოს მეხუთედ შევხვდი და ამჯერად მან მაჯობა.

— როგორ ფიქრობ, მაინც რა იყო წაგების მიზეზი?

— დრო არ მეყო. ვფიქრობ, ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა, მაგრამ დროის პრობლემა შემექმნა. იმედი მაქვს, მომავალში ღვთის ნებით ყველაფერი კარგად იქნება.

— ბრინჯაოს ფინალი გერმანიის სახელით გამომსვლელ დავით ბიჩინაშვილს მოუგე, თუმცა რაღაც უგულოდ ჭიდაობდი...

— გულგატეხილი ვიყავი და იმიტომ. ბუნებრივია, წაგება განვიცადე — ოლიმპიადისთვის ხომ დიდხანს ემზადები. ბიჩინაშვილი ჩემი ძმაკაცია, მაგრამ ხალიჩაზე ძმაკაცობას ივიწყებ. იქ შენი მეტოქე, შენი მტერია. მოსაგებად ყველაფერი უნდა გაიღო.

— ეს შენთვის პირველი ოლიმპიადა იყო. როგორი შთაბეჭდილება დაგიტოვა? უფრო რთულია გამარჯვება, ვიდრე, ვთქვათ, მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატზე?

— ჩემთვის რთული არანაირად არ ყოფილა. ფსიქოლოგიურად კარგად ვიყავი მომზადებული და თავდაჯერებულიც ვჭიდაობდი. უბრალოდ, ვგრძნობდი, რომ მაინც სხვა მნიშვნელობის ტურნირი იყო. ოლიმპიურ სოფელში რომ გავივლიდი და ვთქვათ, მაიკლ ფელპსს დავინახავდი, ვხვდებოდი, რომ იქ გამარჯვებას სულ სხვა ფასი ჰქონდა.

— ოლიმპიადა საქართველო-რუსეთის ომს დაემთხვა. შენი ოჯახი და ახლობლები აქ ცხოვრობენ. ეს სიტუაცია რამდენად გიქმნიდა დისკომფორტს?

— რა თქმა უნდა, ძნელი იყო. სულ უცხო ქვეყანაში რომ იყოს ომი, იმას განიცდი ადამიანი და ეს ყველაფერი ხომ საქართველოში ხდებოდა, სადაც დავიბადე, გავიზარდე და სადაც ჩემი მშობლები ცხოვრობენ.

— რუსი მეგობრები რას გეუბნეოდნენ ამის შესახებ?

— არაფერს. უბრალოდ იცოდნენ, ახლობლები საქართველოში რომ მყავდა და ამის გამო წუხდნენ. ამ თემაზე არ ვსაუბრობდით. რა გითხრათ, ეს საკითხი სხვაგან არის გასარკვევი, პოლიტიკოსების მიერ. მე არ მინდა საუბარი. მოდი, სპორტზე ვილაპარაკოთ...

— კარგი. თქვი, წლეულს მთავარი ევროპის ჩემპიონატიაო. მსოფლიოს პირველობაზე ჯერ არ ფიქრობ?

— ჯერ ევროპაზე უნდა გამოვიდე კარგად. მერე მსოფლიოს ჩემპიონატისთვის დავიწყებ მზადებას. იქამდე დიდი დროა. ზოგიერთ ტურნირს გამოვტოვებ, ეს ჩვეულებრივი ამბავია. გზადაგზა გამოჩნდება, სად მიჯობს ჭიდაობა. ამას მწვრთნელები გადაწყვეტენ.

— ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატები თავისთავად და, რუსეთის ჩემპიონატი მნიშვნელოვანია ნაკრებში მოსახვედრად...

— თუ რუსეთის ჩემპიონატი არ მოიგე, ყველაფერი გვერდზე დაგრჩება. ისე ვერც ნაკრებში მოხვდები და ვერც მნიშვნელოვან ტურნირზე იჭიდავებ. ეს დამკვიდრებული წესივითაა. ამიტომ, ჯერ შიდა კონკურენცია უნდა დაძლიო და მერე იფიქრო საერთაშორისო ტურნირებზე. აქ კი როგორი კონკურენციაა, გეცოდინებათ.

— საქართველოში ჩამოსვლას რამდენად ხშირად ახერხებ?

— ბოლოს როდის ვიყავი, აღარც მახსოვს. ძნელია, როცა მთელი წელი ტურნირებზე და შეკრებებზე ხარ, ოჯახისთვის მოიცალო. თორემ ჩამოსვლა როგორ არ მინდა. როგორც გითხარი, მშობლები და ახლობლები მანდ მყავს.

— ბევრი რამ მოიგე. წარმატებული მოჭიდავე ხარ. გული არ გწყდება, საქართველოს სახელით რომ არ გამოდიხარ?

— არჩევანის საშუალება არ იყო. ძალიან რთულ სიტუაციაში ვიყავი. საჭმლის ფულიც არ მქონდა და ამიტომ წავედი. ბუნებრივია, გამიჭირდა. ახალგაზრდა ვიყავი და მარტო მომიხდა სხვა ქვეყანაში წასვლა. ჩემი ახლობლები მანდ დარჩნენ. თუმც დღეს სხვა სიტუაციაა, რუსეთში თავს კარგად ვგრძნობ. აქ პატივს მცემენ და მაფასებენ.

— ვიცით, რომ გვარის გამოცვლა არ გინდოდა და ამას ძალიან განიცდიდი...

— არ მინდა ამ თემაზე ლაპარაკი, სპორტზე ვილაპარაკოთ...

— როგორ ატარებ თავისუფალ დროს. გირჩევნია დაისვენო თუ, ვთქვათ, მეგობრებთან ერთად სადმე წახვიდე?

— მეგობრებთან ერთად ვსეირნობ, ჯოკერს ვთამაშობ. აბა, ოთახში როგორ დავჯდები მთელი დღე?! ნამდვილად ვერ გავძლებ ასე. როცა თავისუფალი დრო მაქვს, ყოველთვის ვცდილობ მაქსიმალურად გამოვიყენო.

— კომპიუტერით ხშირად ერთობი?

— მართლა არ ვარ კომპიუტერის დიდი მოყვარული. თუმცა თუ დამჭირდა, ვიყენებ. ყველაფერს თავისი ადგილი აქვს.

— ბოლოს ერთსაც გკითხავ, არ გიფიქრია, რომ ჩამოხვიდე და საქართველოს სახელით იჭიდაო?

— ახლა ვერაფერს ვიტყვი. აქ ყველა პირობა მაქვს და კარგად ვარ, თუმცა მომავალში რა იქნება, ვნახოთ.

— ანუ, გადაწყვეტილი არაფერია?

— გამორიცხული არ არის, თუმცა ახლა გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი, დრო გვიჩვენებს.



**ლევან მაისურაძე**



## ქევხიშვილი შტატების მერე მთელ ამერიკას შეეჭიდება

**პეკინის** ოლიმპიადის მონაწილე მარიამ ქევხიშვილი ამერიკის საუნივერსიტეტო პირველობებზე წარმატებულ გამოსვლას განაგრძობს.

ფლორიდის საუნივესიტეტო პირველობაზე გამარჯვების მერე ქართველმა ბირთვის მკრელმა 30-31 იანვარს ტეხასის შტატის საუნივერსიტეტო ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა და 32 მონაწილეს შორის საუკეთესო შედეგი აჩვენა. მარიამმა ბირთვი 17 მეტრსა და 16 სანტიმეტრზე ჰკრა.

წლევანდელ საუნივერსიტეტო ტურნირებზე ქევხიშვილმა უკვე ზედიზედ მესამედ იმარჯვა (წინა შედეგები — 17.17 მ, 17.10 მ.).

შეგახსენებთ, რომ ფლორიდის შტატში მცხოვრები ქართველი სპორტსმენი ამერიკის ნაციონალურ ლიცენზიას ფლობს, რაც მას საშუალებას მისცემს თებერვლის მიწურულს გასამართ ამერიკის ჩემპიონატში პირველად მოსინჯოს ძალა. იქიდან გამომდინარე, რომ ქევხიშვილს 2009 წლის საკმაოდ სტაბილური შედეგები აქვს, მისგან ამერიკის ჩემპიონატში საპრიზო ადგილზე გასვლაც რეალურია.

„2009 წელს უკვე სამ სტუდენტურ ჩემპიონატზე გავიმარჯვე. ტეხასის შტატის პირველობის მოგების შემდეგ, ცოტას შევისვენებ, ძალებს აღვიდგენ და მომდევნო საუნივერსიტეტო ტურნირისთვის მოვემზადები, რომელიც 13-14 თებერვალს გაიმართება.

ვფიქრობ, ამერიკის ნაციონალური ჩემპიონატისთვის, რომელიც თებერვლის მიწურულს ჩატარდება, მაქსიმალურად კარგ ფორმაში ვიქნები. მართალია, ტეხასში გამოსვლის წინ მცირე ტრავმა მქონდა, მაგრამ ახლა ყველაფერი რიგზეა" — თქვა სპორტის დეპარტამენტის ვებგვერდთან ინტერვიუში მარიამ ქევხიშვილმა.

**ნიკა ძოპაძე**



## რეიტინგსია

### კაცები

| | | |
|---|---|---|
| 1 (1) | რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 14260 |
| 2 (2) | როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 11000 |
| 3 (3) | ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 9010 |
| 4 (4) | ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 7360 |
| 5 (5) | ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 5030 |
| 6 (9) | ენდი როდიკი (აშშ) | 4610 |
| 7 (6) | ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) | 4350 |
| 8 (8) | ჟილ სიმონი (საფრანგეთი) | 4170 |
| 9 (15) | ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) | 3480 |
| 10 (11) | დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 3395 |
| 11 (10) | ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 3230 |
| 12 (13) | გაელ მონფილზი (საფრანგეთი) | 3190 |
| 13 (12) | დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 2980 |
| 14 (7) | ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი) | 2955 |
| 15 (17) | რობინ სოდერლინგი (შვედეთი) | 2695 |
| 16 (16) | სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) | 2690 |
| 17 (18) | ნიკოლას ალმარო (ესპანეთი) | 2620 |
| 18 (14) | ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 2600 |
| 19 (22) | ტომი რობრედო (ესპანეთი) | 2500 |
| 20 (23) | რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი) | 2440 |
| 21 (19) | იგორ ანდრეევი (რუსეთი) | 2430 |
| 22 (20) | მარინ ჩილიჩი (ხორვატია) | 2330 |
| 23 (21) | ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 2280 |
| 24 (24) | მარდი ფიში (აშშ) | 2270 |
| 25 (26) | ივო კარლოვიჩი (ხორვატია) | 2190 |
| 26 (25) | რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 2120 |
| 27 (27) | მარატ საფინი (რუსეთი) | 2070 |
| 28 (28) | ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) | 1950 |
| 29 (36) | მარიო ანჩიჩი (ხორვატია) | 1895 |
| 30 (30) | დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) | 1892 |

### ქალები

| | | |
|---|---|---|
| 1 (2) | სერენა უილიამსი (აშშ) | 9432 |
| 2 (3) | დინარა საფინა (რუსეთი) | 9150 |
| 3 (1) | ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 8580 |
| 4 (4) | ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 8216 |
| 5 (7) | ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 6640 |
| 6 (6) | ვინუს უილიამსი (აშშ) | 6144 |
| 7 (8) | სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 5510 |
| 8 (5) | ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 5492 |
| 9 (10) | აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) | 3977 |
| 10 (11) | ნადია პეტროვა (რუსეთი) | 3882 |
| 11 (17) | მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 3316 |
| 12 (13) | ფლავია პენეტა (იტალია) | 3280 |
| 13 (12) | კაროლინ ვოზნიაკი (დანია) | 3230 |
| 14 (16) | ალიზ კორნე (საფრანგეთი) | 3192 |
| 15 (14) | ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი) | 3166 |
| 16 (15) | პატი შნიდერი (შვეიცარია) | 3030 |
| 17 (9) | მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3030 |
| 18 (19) | დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) | 2880 |
| 19 (18) | ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 2644 |
| 20 (24) | ძიე ჟენგი (ჩინეთი) | 2386 |
| 21 (23) | ანაბელ მედინა (ესპანეთი) | 2332 |
| 22 (20) | კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) | 2224 |
| 23 (22) | ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 2200 |
| 24 (28) | კაია კანეპი (ესტონეთი) | 2090 |
| 25 (25) | აგნეს სჟავაი (უნგრეთი) | 2059 |
| 26 (26) | აი სუგიამა (იაპონია) | 2030 |
| 27 (27) | სიბილ ბამერი (ავსტრია) | 1899 |
| 28 (31) | ალისა კლეიბანოვა (რუსეთი) | 1830 |
| 29 (29) | ნა ლი (ჩინეთი) | 1718 |
| 30 (46) | კარლა სუარეს (ესპანეთი) | 1692 |



## შარაპოვა ისევ უქმობს

**მარია შარაპოვა** აღარ ჩავა აღარც პრიზის ღია პირველობაზე, რომელიც 9 თებერვალს იწყება. ამას გარდა 21 წლის რუსი პრიმა დამოტოვებს 16 თებერვალს დასაწყებ დუბაის ორმილიონიან ტურნირსაც და ვინ იცის, საერთოდ როდის დაუბრუნდება კორტს.

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა ეგრეც ვერ მოირჩინა მხრის ტრავმა და აგვისტოს მერე უთამაშებლობის გამო მსოფლიო რეიტინგსიის პირველი საფეხურიდან მე-17-მდე დაეცა და განუხრელად განაგრძობს უკუსვლას. მაშა ვერც ავსტრალიის ღია პირველობაზე ჩავიდა, სადაც 2008 წელს მოგებული ტიტულის დაცვა ეკუთვნოდა.

# რაკრაკ-სერენა



**სერენა უილიამსმა მესამედ მოიგო ავსტრალიის ღია პირველობა და მესამედვე დაბრუნდა ქალთა რეიტინგსიის კენწეროში. როგორც თავად ამბობს, პირველობა არად ულირს, მთავარია, დიდრონი ტურნირების მოგება შეძლოს. ახლა ის 27 წლისაა და ამას გაცილებით იოლად აკეთებს, ვიდრე 20 წლისა. დინარა საფინა ფინალში ისე გაანადგურა, რომ რუსი დაჯილდოვების ცერემონიალზე მაყურებელს უბოდიშებდა — მაპატიეთ, ასე უსუსურად რომ ვითამაშე, სერენას ხელში თავს ბურთის მიმტან გოგონად ვგრძნობდიო. სერენა კი ნაფინალევ პრესკონფერენციაზე ჩვეული არხეინობით რაკრაკებდა**

**— ეს თქვენი მეათე სლემტიტულია, რა ადგილს დაიკავებს ის სხვათა გვერდით?**

— ათი სლემტიტულიდან ეს ყველაზე ახალი და თბილია. მისი მოგება არანაკლებ მინდოდა, ვიდრე წინა ცხრის, რა ვიცი, უბრალოდ მინდოდა და მოვიგე.

**— მოტივაციის ნაკლებობა ხომ არ განგიცდიათ?**

— სულაც არა. გამარჯვებისკენ ერთი გრძნობა მიბიძგებდა: ძალიან მინდოდა სლემტიტულების სია ათამდე დამემრგვალებინა. საკუთარი თავი დავარწმუნე, რომ თუ ახლა ვერ მოვიგებდი მეათე ტიტულს, მაშინ იქნებ ვერასდროს მომეგო. ცხოვრება სავსეა მოულოდნელობებით, ვინ იცის, ასეთი შანსი იქნებ არც გამიჩნდებოდა მომავალში. მთავარია, რომ თავს შანსის გაფლანგვის უფლება არ მისცე.

**— თქვენ და დინარა ავსტრალიის ჩემპიონობის გარდა მსოფლიოს პირველი ჩოგანისთვისაც იბრძოდით. დინარამ აღიარა, რომ ფინალის წინ ამის გააზრებამ თავიდანვე აანერვიულა. თქვენ რა განწყობით დაიწყეთ ფინალი?**

— ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, რა ნომერი ვარ რეიტინგში — პირველი თუ მეათე. მატჩის დროს გონებას არ ვაფორიაქებ მსგავსი ფიქრებით „ოჰო! მე ახლა პირველ ჩოგანს ვხვდები?!“ ან „ვაა! იანკოვიჩმა მეოთხედფინალში წააგო! მე და დინარას შორის ვის შეხვდება პირველობა?“. ეს ყველაფერი მოგვიანებით გასააზრებელი „რამეებია“, მანამდე კი მთავარია კარგად თამაში.

**— როგორ მოახერხეთ მეტოქის ასე დაჩაგვრა?**

— ადრევე შევადგინე კარგი გეგმა. როდესაც გეგმას მივყვები, ტრადიციულად კარგად ვთამაშობ და თითქმის ყოველთვის ვიგებ. თუ ვერ ვიგებ და, მოწინააღმდეგეს მაინც ბოლომდე ვწურავ ხოლმე.

**— თქვენ უკვე მოგებული გაქვთ ოთხივე სლემტურნირი და ასე ვთქვათ, „მეორე წრეზე წახვედით“, მეორე დიდი სლემის შესასრულებლად „როლან გაროსის“ და „იუეს ოუფენის“ მოგება გჭირდებათ...**

— ასეთ რამეებზე მაინც და მაინც არ ვფიქრობ. გინდათ გითხრათ რაზე ვფიქრობ? — „წლეულს მოვიგე ერთი, მაშ, რატომ არ მოვიგო მეორეც?“ თუ მეორეს მოვიგებ, ჩემი ფიქრები ასეთ კალაპოტში მოექცევა — „რატომ მესამეც არა?“, „რატომ მეოთხეც...“ ხომ მიმიხვდით. აი, ასე ვუდგები ამ საკითხს და თუ ამ მოგებებში დიდი სლემის კვადრატიც შეიკვრება, ამას დამატებით ჯილდოდ მივიღებ. ბავშვი რომ კარგად ისწავლის გაკვეთილებს და დედიკო კრემიან ნამცხვარს მისცემს, აი იმ კრემს გავს დიდი სლემის შესრულება, პირველ ჩოგნად გახდომა... ჩვენს საქმეში უმთავრესი კი მაინც კონკრეტული ტურნირის მოგებაა.

**— ასეთ ფორმას როგორ მიაღწიეთ?**

— მართლაც კარგი ჩოგბურთი ვითამაშე არა? ახალი წლის მერე ვუმატებ და მელბურნში მივაღწიე ფორმის პიკს. მერე იცით, კიდევ რა იყო? გუშინ კაცების ნახევარფინალს ვუყურე — ნადალ-ვერდასკოს — ნამდვილი სიგიჟე იყო, არანორმალურად მაგრად თამაშობდნენ. მაგრამ ამავე დროს გულში ასეთი განცდა შემიჩნდა — რასაც ეგენი აკეთებენ, ნაწილობრივ მეც ხომ შემიძლიამეთქი. თუ გინდათ ასე ჩათვალეთ, რაღაც შთაგონებასავით მეწვია. დღეს დილით ცოტა წავივარჯიშე და ...შედეგიც. დამეხმარა წყვილებში თამაშიც — მე და ვინუსი ფინალამდე მოვედით და ესეც მოვიგეთ, ასე რომ ფორმის მისაღწევად არც პრაქტიკა მაკლდა.

**— ფინალი რომ მოიგეთ, თასი დიდი სიყვარულით ჩაიხუტეთ. ნუთუ ასე ძლიერ მოგენატრათ?**

— არ ვიცი... ისე ნამეტანი ნუ გაგაკვირვებთ კორტზე ჩემი ქცევები.

**— პრესკონფერენციაზე ჟურნალისტები ალოდინეთ. საფუძვლიანად გამოგიცვლიათ, გარეთ ვინმე ხომ არ გელოდებათ?**

— ნეტა მართლა ასე იყოს... სამწუხაროდ ისეთი არავინ არსებობს, რომელიც გარეთ დამელოდებოდა...

**— ასე ჩანდა, რომ თქვენ უკვე პირველი მოგებული გათამაშების შემდეგ აიღეთ მატჩის სადავეები.**

— სადავეები მესამე გეიმის შემდეგ ავიღე. ყოველთვის ვცდილობ, კარგად მოვაწოდო და ასე ვაკონტროლო ჩემი თამაში. დინარას მოწოდებაც რომ მოვიგე, ვიფიქრე — აქედან რაც შეიძლება მეტი უნდა გამოვწურო-მეთქი.

**— არ გაგიჩნდათ ასეთი შეგრძნება, რომ დინარა თქვენს ხელში იტანჯებოდა?**

— არა, ასეთი რამ არ მიგრძვნია. ის ყოველთვის უკანასკნელ ქულამდე იბრძვის (არადა, სერენა უილიამსმა დინარა საფინა ფინალში 6:0 6:3 გაანადგურა).

**— წლეულს რამდენ ტურნირზე თამაშს გეგმავთ? ნუთუ საკუთარ თავს მთელი კალენდრის ათვისებას აიძულებთ? რამდენიმე წლის წინ მინიმუმამდე შეკვეცეთ ტურნირთა რაოდენობა და ამან კარგად არ იმოქმედა თქვენს რეიტინგზე...**

— ხვალ აუცილებლად ვუყურებ კაცების ფინალს — ასეთია ჩოგბურთთან დაკავშირებით ჩემი უახლოესი გეგმები. რაც შეეხება თამაშს, კალენდარში ბევრი სავალდებულო ტურნირია და მათ ცხადია არ გამოვტოვებ. ტურნირთა ზუსტი რაოდენობის დასახელებას ნუ მომთხოვთ. ისე კი გეტყვით, რომ დატვირთული სეზონი მექნება.

**— ათი სლემტიტული, უდიდესი სახელი ქალთა სპორტში, პოპულარობა საზოგადოებაში... კიდევ დაგრჩათ ისეთი მიზანი, რისთვისაც ბრძოლა გიღირთ?**

— რა თქმა უნდა! ბრძოლა ყოველთვის და ყველაფერზე ღირს. ვინუსს ხშირად ველაპარაკები ამ თემაზე და ჩვენ ერთზე შევთანხმდით — მარადიულობამდე შევრჩებით კორტს. ახლა ხომ მაგრად ვთამაშობ და ვფიქრობ, რომ ასე მაგრად კიდევ დიდ ხანს ვითამაშებ.

**— კორტზე პირველობა ალბათ ცხოვრების დაბალანსებაში გეხმარებათ...**

— აბსოლუტურად მართალი ხართ. ყოველთვის ბედნიერი ვარ, ბედნიერების შეგრძნებით ვიღვიძებ, საკუთარ თავს არაფერს არ ვაიძულებ. თუ რომელიმე ტურნირზე თამაში მეზარება, არც მივდივარ. თუ მცირე ტრავმა მაქვს, ბოლომდე ვიშუშებ და მერე გავდივარ კორტზე. ჩემს ცხოვრებაში ღმერთს პირველი ადგილი უკავია და მისი წყალობით ყველაფერი თავის ადგილზე დგას.

**— რას ნიშნავს, იყოთ ყველაზე მდიდარი ქალი, არა მხოლოდ ჩოგბურთში, არამედ საერთოდ სპორტში?**

— თავიდან ჩემი ოცნება ჩოგბურთში პირველობით შემოიფარგლებოდა, ჩემი ერთ-ერთი მაგალითი იყო ბილი ჯინ კინგი და ვცდილობდი მიმეღწია იმისთვის, რასაც მან მიაღწია. მაგრამ მე მასაც გავასწარი და ჩემს ოცნებასაც. დამარქვით თუ გინდათ, პიონერი და პირველგამკვალავი. ბევრისთვის ახლა მე გავხდი მაგალითი. შეიძლება ხუთ, ათ წელიწადში ვინმემ გამასწროს და სპორტში ჩემზე მეტი ფული იშოვოს. გული არ დამწყდება, პირიქით, ეს ძალიან კარგიცაა.

**— მოგებული თანხით კი ხართ რეკორდსმენი, მაგრამ სპორტულ რეკორდსმენობას არ გეგმავთ? მარგარეტ კორტმა 24 სლემტურნირი მოიგო. ამ რეკორდზე შეტევა ხომ არ გსურთ?**

— ერთეულებში მოიგო 24 სლემტურნირი?!

— დიახ.

— აარა, გმადლობთ... დარჩეს მარგარეტს თავისი რეკორდი: ასეთ შედეგს რომ მივაღწიო, მთელი ცხოვრება შემართულმა უნდა ვითამაშო. რომ მოვინდომო, კი შევძლებ, მაგრამ სადღეისოდ მხოლოდ რამდენიმეს მოგებაზე ვფიქრობ.

**— რაფაელ ნადალი თუ როჯერ ფედერერი? რომელს უქომაგებთ ხვალ?**

— აუ, ნამდვილად არ ვიცი... ორივეს დიდი ფანი ვარ... ალბათ მაინც რაფას გამარჯვება მინდა, მაგრამ როჯერი მოიგებს... არ ვიცი... მერე ორივეს უნდა ვთხოვო ავტოგრაფი.

**— წელან კაცთა ნახევარფინალი ახსენეთ. არ გინდათ, რომ ოდესმე 5-საათიან და 14-წუთიან მატჩში ითამაშოთ?**

— არ ვიცი... მაგრამ იცით რაზე მიფიქრია? როჯერს ან რაფას რომ ვეთამაშო, რამდენ ხანს გავუძლებ? ალბათ 5 წუთში მომიგებენ სეტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ნადალმა ფედერერის მატარებელი გააჩერა

# მოუბოდიშე ჩემპიონი



როჯერ ფედერერს დიდი სლემის 13 ტურნირი აქვს მოგებული და პიტ სამპრასის რეკორდამდე ერთადერთიღა აკლია — ეს კარგი ამბავი. მაგრამ ავსტრალიაში „მხიარულმა როჯერმა" ერთი ცუდი ამბავიც გაისიგრძეგანა — თუ ამ რეკორდს მოხსნის, დიდი შანსია, რომ მას მალე სხვამ გადაუსწროს. ის „სხვა" სულ ახლოსაა, მის გვერდით დგას და მოსვენებას უკარგავს.

რაფაელ ნადალი ბოლო წლებში ფედერერის ბედისწერად იქცა — ყველგან უგებს, სადაც შეხვდება და მიუხედავად იმისა, რომ თავად ნადალი, ალბათ მაინც მოკრძალების გამო, ფედერერს უწოდებს ამ ეპოქის საუკეთესო ჩოგბურთელს, მთავარ საჩოგბურთო კითხვაზე პასუხი ყველასთვის გაცემულია — სადღეისოდ საუკეთესო ჩოგბურთელი ნადალია და არა ფედერერი.

22 წლის მალიორკელმა უკვე მეხუთე სლემფინალი მოუგო შვეიცარიელს, რომელიც მანმადე „ნადალის კორტზე" თიხისსაფარიან „როლან გაროსზე" მარცხდებოდა, მაგრამ შარშან ბალახიანი „უიმბლდონიც" დაუთმო, ერთი კვირის წინ კი მაგარსაფარიანი „აუსტრალიან ოუფენიც" ჩააბარა. ეს ბოლო წაგება განსაკუთრებით მწარე აღმოჩნდა, რადგან ფედერერმა ნადალში გარდასახული ბედისწერა ბრწყინვალე თამაშის მიუხედავადაც ვერ დაამარცხა. დაჯილდოების ცერემონიალზე კი მთავარი პრიზის მაგივრად მოვერცხლილი „ფიანდაზიღა" რომ შეხვდა, გულამოსკვნით ატირდა და 5 წლით უმცროსი მეტოქის დასამშვიდებელი გახდა.

ნამატჩევ პრესკონფერენციაზე ნადალი ცოტა დაბნეულიც კი ჩანდა და ფედერერს აგერ მერამდენედ მოუბოდიშა...

**— ეს თქვენთვის დიდი სლემის მეექვსე ტიტულია. რითია ის სხვათაგან გამორჩეული?**

— მართლაც განსაკუთრებულია. მთელი ცხოვრება ვოცნებობდი, სლემტურნირი ჰარდის საფარზეც მომეგო. ძალიან ბევრი ვიშრომე, თიხის გარეთ ჩემი ჩოგბურთი რომ გამეუმჯობესებინა. ახლა ბედნიერი ვარ, მაგრამ ამავე დროს გულში სიმშვიდეს ვერ ვგრძნობ. კორტზე დიდი ემოციები დაიღვარა. მე იქ საუკეთესო ჩოგბურთელის პირისპირ ვიდექი, რომელიც კი ოდესმე მინახავს — როჯერ ფედერერის პირისპირ. ჩემი ბიძა მიგელ-ანხელი კი მეუბნებოდა, რომ ყველა დროის უდიადესია როდ ლეივერი, რომელმაც ორჯერ შეასრულა დიდი სლემი! წარმოგიდგენიათ? ზედიზედ ორჯერ მოიგო ოთხივე სლემტურნირი, თანაც შუალედში ექვსი-შვიდი წელი არ თამაშობდა.

დღეს ყველაფერი განსაკუთრებული იყო. როჯერს ვუბოდიშებ იმისთვის, რომ მოვუგე. ვიცი, რომ ახლა ძალიან უჭირს. ყველაფრის მიუხედავად ვიტყვი, რომ ის დიადი ჩემპიონია, საუკეთესოა და ჩვენი სპორტისთვის უმნიშვნელოვანესი ადამიანია. ვწუხვარ მის გამო და ამავე დროს ვულოცავ.

**— მესამე სეტში ექიმი მოითხოვეთ. ტრავმა გიშლიდათ თამაშში ხელს თუ დასასვენებლად პაუზა გჭირდებოდათ?**

— ვერდასკოსთან ნახევარფინალის შემდეგ ოდნავ დამეჭიმა ოთხთავა კუნთი. ფინალის მესამე სეტში მწვრთნელს ვანიშნე — ექიმი მჭირდება მეთქი. არ მტკიოდა, მაგრამ ოდნავ მაწუხებდა. მე ის მეშინოდა, შემდეგ არ ამტკივებოდა და თამაშში ხელი არ შეეშალა. ამ მცირე პაუზამ მიშველა, მოვეშვი და ფეხი უკეთ ვიგრძენი. დაღლილი ვიყავი და ვარჯიშზე კონცენტრირება მიჭირდა, მაგრამ მწვრთნელმა დამქოქა. მითხრა, რომ ფინალშიც ბოლომდე, ყველა ბურთისთვის უნდა მებრძოლა და წამითაც არ დამკარგვოდა გამარჯვების რწმენა. სწორედ ამის წყალობით გავხდი დღეს ჩემპიონი.

**— პირველმა მოწოდებამ ძლიერ გაგაწვალათ?**

— რით უნდა გაეწვალებინე?

— ასე ჩანდა, ნელა აწვდიდით და არაერთხელ დაუშვით ორმაგი შეცდომა...

— რამდენი ორმაგი მქონდა?

— ოთხი.

— ოთხი ორმაგი შეცდომა არც ისე ბევრია ოთხნახევარსაათიანი თამაშისთვის, არ მეთანხმებით? მაგრამ მიგიხვდით კითხვას. საქმე ისაა, რომ როჯერისთვის ფორჰენდზე ძლიერი რომ მომეწოდებინა, ის უფრო ძლიერი დაბრუნებულით გამათავებდა. ამიტომ მის ბექჰენდზე ვაწვდიდი და ასე ვცდილობდი ბურთის სიჩქარის გაკონტროლებას. თუმცალა, ეს მაინც არც ისე წარმატებით გამომივიდა.

**— როგორ შეადარებთ დღევანდელ გამარჯვებას „როლან გაროსზე" და „უიმბლდონზე" ფედერერის ძველ დამარცხებებს?**

— „როლან გაროსზე" პირველმა ჩემპიონობამ მართლაც განსაკუთრებით გამახარა. ასევე იყო სხვა გამარჯვებებიც, რომლებიც ყველა მოვიპოვე თვით როჯერთან ბრძოლაში. „უიმბლდონის" მოგების შემდგომი განცდაც არასდროს დამავიწყდება. მანამდე ხომ ყველა „თიხის" მოთამაშედ მიცნობდა. რა გითხრათ... ყოველთვის სასიამოვნოა ახალის შეგრძნება. სასიამოვნო კი არა ბედნიერებაა, ოღონდ ახლა ჯერ მარტო არ დავრჩენილვარ და ჯერ არ მქონია დრო, რომ ეს ბედნიერება კარგად გამეაზრებინა.

**— როჯერი ასე ახლოს მივიდა პიტ სამპრასის სარეკორდო 14 სლემ-გამარჯვებასთან, მაგრამ დღეს ვერ მისწვდა. თქვენ ჯერ არ მოგიგიათ „იუეს ოუფენი", მაგრამ ყველა საფარს გაუშინაურდით. 22 წლისას მაინც საკმარისად ბევრი სლემტიტული გაქვთ და ამ ბიჭების დაწევას არ ფიქრობთ?**

— რა ვიცი, ჩემი ექვსითაც უზომოდ კმაყოფილი ვარ. ყოველთვის ვცდილობდი და ვეცდები, რომ თამაშის ხარისხი გავაუმჯობესო, მოვიგო თამაშები, ტიტულები... ყოველი მათგანის მოპოვება ძალიან ძნელი იყო და არა მგონია, მომავალში გაიოლდეს. პირველი სლემტურნირი რომ მოვიგე, რას ვიფიქრებდი, ამდენს თუ დავამატებდი? ჩვენი მარშრუტი ისეთია, რომ არ ვიცით, რომელ გაჩერებაზე მოგვიწევს ჩასვლა.

**— ფინალური მატჩის ბოლო სეტში თქვენი უპირატესობა გამოიკვეთა. თქვენსა და როჯერს შორის რა უფრო მეტად იყო მნიშვნელოვანი — ფიზიკური თუ მენტალური ბრძოლა?**

— ვფიქრობ, მან მეხუთე სეტში მეტი შეცდომა დაუშვა, მე კი ამ მხრივ უფრო სოლიდურად გამოვიყურებოდი და ამის წყალობით მოვიგე. თქვენ ასე არ ფიქრობთ? ერთ მომენტში როჯი ძალიან ახლოს იდგა ბრეიკთან, მაგრამ ხელუკულმა დარტყმისას შეცდომა დაუშვა, რომელიც უმნიშვნელოვანესი და გადამწვეტი იყო ჩვენს ბრძოლაში. ცხადია, ბევრი გადაწყვიტა მენტალურმა ფაქტორმაც. როჯერს დიდი ხანია ჩემთვის სლემ-ტურნირის ფინალში არ მოუგია და ახლაც ადამიანურად გაუჭირდა ამ წნეხთან გამკლავება.

**— თქვენ 13 ბრეიკპოინტი გადაარჩინეთ და ამან ხომ არ დათრგუნა ფედერერი? ისიც თქვა — ნეტა მეც ცაცია ვყოფილიყავიო. ეს ფაქტორი ნუთუ ასე გადამწყვეტია? თქვენ კი არ გისურვიათ, რომ მემარჯვენე ყოფილიყავით?**

— მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ სავსებით კმაყოფილი ვარ ცაციაობით და ამ მხრივ არაფრის შეცვლას არ ვისურვებდი. ისე კი გააჩნია, ვის ეთამაშები. როჯერთან შეიძლება კიდეც მშველოდეს ჩემი ცაციაობა, რადგან მემარჯვენე რომ ვიყო, გამუდმებით მომიხდებოდა მის მომაკვდინებელ ფორჰენდთან შეჯახება. ისე კი, თქვენც იცით, რომ როჯს ბექჰენდიც არანაკლებ ზუსტი და ძლიერი აქვს.

**— შარშან „უიმბლდონი" მოიგეთ, ახლა ჰარდის საფარიც დაიპყარით. თავს კორტის ნამდვილ მეფედ უნდა გრძნობდეთ...**

— თუ შეიძლება, კითხვის მეორე ნაწილი გამიმეორეთ.

**— თავს კორტის ნამდვილ მეფედ უნდა გრძნობდეთ...**

— ოოო, არა, არა... არც კი ვიცი, რა გიპასუხოთ. მე მოვიგე მნიშვნელოვანი მატჩი და სულ ესაა. ნამდვილად არ ვარ მეფე. ფინალამდე არ ვიყავი მეფე და ახლაც იგივე ვარ, რაც ფინალამდე ვიყავი. გამოდის რომ, მეფე არ ვყოფილვარ, არა?

**— დაჯილდოების წინ რა გითხრათ როდ ლეივერმა?**

— მითხრა, რომ პირველი ოთხი სეტი გასაგიჟებელ რიტმში ვთამაშობდი. მერე კი უბრალოდ მომილოცა. მითხრა, რომ ხალხს დიდი სიამოვნება მიანიჭა ამ ფინალმა და 15 ათასი მაყურებლიდან ერთსაც არ დაუტოვებია ტრიბუნა ოთხი საათის განმავლობაში. მე კი ჩემის მხრივ ვკითხე, რამდენი ადამიანი ესწრებოდა ამ კორტზე მის თამაშს.

**— ფლეისტეიშენში თამაშს ხომ არ შესთავაზებთ როჯერს? ასე უფრო ექნება რევანშის აღების შანსი.**

— ჯერ არ შევთავაზებ, მაგაში მე თვითონ უნდა წავივარჯიშო.

*ამ ინტერვიუში ნადალმა მეფობა „იუარა", მაგრამ ტახტს მაინც ვერ გაექცა. სამშობლოში ჩასულს ტრანსპარანტებზე მაინც დახვედრეს მაღალი ტიტული:*

**რაფაელ ნადალი, მეფე ავსტრალიისა**



*მაიკლ ფელპსი მარიხუანის მოწევაზე ჩავარდა და, მერე რა მწარედ! რამდენიმე დღის წინ ბრიტანულმა ტაბლოიდმა „ნიუს ოვ ზი ვორლდმა“ გამოაქვეყნა შარშან ნოემბერში გადაღებული ფოტო, რომელზეც ფელპსი შუშის გამჭვირვალე მოწყობილობიდან გემრიელად შეექცევა მათრობელა ბალახეულს.*

# ნარკომანია?

## ააფეთქა, დაბოლდა, გათათხეს




### ეს ამბავი ასე გასკდა:

**პაპარაცი** მალულად აედევნა შარშან გვიან შემოდგომას სამხრეთ კაროლინაში ჩასულ ოლიმპიურ ჩემპიონს. მდევარს სულ სხვა სენსაციის გეში ჰქონდა აღებული — ადგილობრივი უნივერსიტეტის საცხოვრებელ კორპუსში შესული ფელპსი, სავარაუდოდ, ახალ გელფრენდს უნდა შეხვედროდა და მისი ვინაობის გახეთქვა გაზეთს გემრიელ ლუკმად შეხვდებოდა. მაგრამ მაძებარმა ბევრად დიდი სენსაცია მოიხელთა. ფართიზე მისულმა ფელპსმა კიდეც იმხიარულა და ჩილიმის მსგავსი მილაკიდან, ბონგიდან მაგრადაც დაბოლდა. თანაც თვითონ დაიწყო, სანთებელით ისე ოსტატურად ააფეთქა მოსაწევი და ამ რთულ კონსტრუქციას ისე შინაურულად გაეთამაშა, რომ ვერავინ იტყვის, ამ საქმეში გამოცდილება აკლიაო.

ერთი თვე დადიოდა ფელპსის კაიფობაზე ხმები, ამ რამდენიმე დღის წინ ფოტომ მაინც იხილა დღის სინათლე და სენსაციამ ვულკანივით იფეთქა. უცებ ჩაიფერფლა ათასობით პატარა მოცურავისთვის სამაგალითოდ ქცეული სპორტსმენის უმწიკვლო იმიჯი. სერიოზული საფრთხე დაემუქრა 14-გზის ოლიმპიური ჩემპიონის სპორტულ მომავალს. მსოფლიოს ანტისადოპინგო სამსახურს თავისუფლად შეეძლო, სპორტსმენი სულ ცოტა ორწლიანი დისკვალიფიკაციით დაესაჯა, რადგან მარიხუანა აკრძალულ ნივთიერებებს შეიცავს, რომ აღარაფერი ვთქვათ სამოქალაქო კანონით მისი ხმარების აკრძალვაზე. მაგრამ მოცურავე ამ საფრთხეს გადაურჩა. აშშ-ს ოლიმპიურმა კომიტეტმაც მხოლოდ მორალურად დასაჯა, როცა მისი საქმე, ასე ვქვათ, საზოგადოებრივ სამსჯავროზე გამოიტანა.

ფელპსმა ბოდიში მოიხადა, მაგრამ არა კამერების წინ. საინფორმაციო სააგენტოთი გავრცელდა მისი მშრალი და ტრაფარეტული მონანიება — „მე ვაცნობიერებ, რომ იმედი გავუცრუე ყველას, ვისთვისაც სამაგალითო ვიყავი. ჩემი საქციელი უპატიებელია. მხოლოდ 23 წლის ვარ და სპორტში დიდი წარმატებების მიუხედავად, ისევე როგორც ყველა ახალგაზრდა, მეც შეიძლება, რომ შევცდე. ჩემს გულშემატკივრებს ბოდიშს ვუხდი და პირობას ვაძლევ, რომ მსგავსი რამ აღარასოდეს განმეორდება.“

იოლად კი გამოძვრა, მაგრამ მთლად სუფთადაც ვერა. მცირე ყოყმანის შემდეგ ფელპსი სამთვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა მისთანა პროფესიულად ყველაზე ახლომდგარმა ინსტანციამ, აშშ-ს ცურვის ფედერაციამ. ამით ალბათ არ დამთავრდება თანამედროვეობის უპოპულარულესი მოცურავის სპორტული კარიერა, მაგრამ ფელპსისთვის ეს უზარმაზარი ჩავარდნაა. გავიხსენოთ, რომ პეკინის ოლიმპიადამდე ის ცურვის გარდა თითქმის არაფერს არ აკეთებდა, წყალში თავჩაყოფილი ვარჯიშობდა, თითქმის არსად არ დადიოდა და საერთოდ, ძალიან ცოტას ლაპარაკობდა. მაგრამ აისრულა თუ არა ოცნება — ერთ ოლიმპიადაზე 8 ოქროს მედალი რომ მოიგო, მას მერე აუზი თვალითაც არ უნახავს, მეორე უკიდურესობაში გადავარდა და ცურვის გარდა ყველაფრითაა დაკავებული.

პოპულარობა და რეკლამებში პოზირება კარგია, იოლი მილიონებია, მაგრამ ამ სკანდალის შემდეგ გვარიანად შეუთხელდა სპონსორთა გრძელი რიგი. „დაბოლილი ფელპსის“ გაზეთში გამოჩენიდან რამდენიმე საათში მასთან ურთიერთობა გაწყვიტა მსხვილმა კომპანიამ „კილონგმა“, რომელიც პეკინის გმირის თავის სარეკლამო სახედ ქცევაზე მუშაობდა. გონებადაბინდულ „მზეჭაბუკს“ ზურგი შეაქცია მრავალმა მეგობარმა, თუმც არა ყველამ.

გზასაცდენილ ვარსკვლავს გამოექომაგა ოლიმპიურ ნაკრებში მისი თანაგუნდელი, 41 წლის მოცურავე ქალი დარა ტორესი, რომელიც ფელპსზე 18 წლით უფროსია და პეკინში მთელი გუნდი მეტსახელად „დედიკოს“ ეძახდა.

„მაიკლი ჩემს თვალწინ გაიზარდა და ჩემზე უკეთ არავინ იცის, როგორ დაძაბულ და ინტენსიურ რეჟიმში ცხოვრობდა. ის ოქროს მედლები ციდან კი არ ჩამოუვარდა! ახლა სპორტული წნეხისგან თავისუფალია და ცოტა გაერთო, შეცდა, მაგრამ ხომ მოიხადა ბოდიში? მეტი რაღა ქნას? ნუ მასწავლით, ისეც მშვენივრად ვიცი, რა რეაქცია შეიძლება გაუჩნდეს ხალხს ასეთ ფეხის წაცდენებზე და როგორ აბუქებს ამას პრესა. მე თვითონ ადრე პლეიბოისთვის რომ ვპოზირებდი, სპორტის სირცხვილი მიწოდეს, როცა მანამდე ქვეყნის სიამაყეს მეძახდნენ. ფელპსის გამო უცხო ქვეყანაში რვაჯერ რომ დაუკრეს ამერიკის ჰიმნი, მაშინ ხომ კარგი ბიჭი იყო? მერე შეიცვალა? ჩემი რჩევა იქნება, რომ ყველამ დავივიწყოთ ეს ამბავი და ბიჭს ძველ ცხოვრებაში დაბრუნებაში ვუშველოთ. 2012 წელს ლონდონშიც გამოადგება ქვეყანას.“

**ვანო კობიაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი




# შეკვეცილი ფორმულა?

**ფორმულა ერთის** ფინანსური მეფე და ფაქტობრივი გამგებელი ბერნი ეკლსტოუნი მალიმალ „იმუქრება“ — მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისი ვერას დაგვაკლებსო, მაგრამ მისმა, ასე დავარქვათ, საქმიანმა პარტნიორმა მაქს მოსლიმ საპირისპიროს მტკიცება იწყო.

მოსლი ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტია და საქმეში კარგადაა ჩახედული. ბებერი ეკლსტოუნის ამდენ დამამშვიდებელ განცხადებას შორის მან გამაფრთხილებელი მესიჯი გააგზავნა.

„ფორმულა' ერთი უდიდესი საფრთხის წინაშე დგას — ამბობს მოსლი — ეს ყველაზე დიდი კრიზისია ბოლო 40 წელიწადში და დიდია ალბათობა, რომ ჩვენს სპორტს აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენოს. პირდაპირ გეტყვით, უკვე დააზარალა. უდიდესი კონცერნებიც და შედარებით ნაკლები შესაძლებლობების საჯინიბოებიც ყველანაირად ამცირებენ ხარჯებს და შტატებს, რათა როგორმე თავი გაიტანონ. მერსედესი, ბმვ, ტოიოტა, რენო, ფიატი... ყველა ეს ავტომწარმოებელი გიგანტი აქტიურადაა ჩვენს ბიზნესში ჩართული და ჩვენთან გადაჯაჭვული. მათ გარეშე ფორმულა ერთი ვერ იარსებებს. არადა ბევრი კონცერნი სერიოზულად აპირებს ფორმულასთან თანამშრომლობის ვადების გადახედვას. დანამდვილებით ვიცი, ბმვში არაოფიციალურად განიხილება ფორმულა ერთის ცირკიდან გასვლის პერსპექტივა. „ჰონდას“ დაშლა მხოლოდ აისბერგის წვერია, მაგრამ ეს წვერიც არაა პატარა. ეს საჯინიბო წელიწადში დაახლოებით 300 მილიონს ხარჯავდა, მაგრამ კრიზისმა გადაიყოლა. შედეგად კი უმუშევარი დარჩა 700 ადამიანი.“

მოსლიმ ფორმულა ერთს შესთავაზა ფულის დაზოგვის თავისი ვარიანტი. მისი თქმით, წლიური 50 მილიონი სავსებით საკმარისი იქნება კონკურენტუნარიანი გუნდის შესანახად. და ეს თანხა უნდა დაწესდეს ზედა ზღვრად. ეს ხუთექვსჯერ ნაკლებია ზოგიერთი საჯინიბოს წლიურ ბიუჯეტზე. საშუალო დონეც გათანაბრდება, საშუალო და სუსტი გუნდების მეპატრონეები წელში აღარ გაწყდებიან და თამაშიდან გასვლას გადაიფიქრებენ. მოსლის გეგმის მიხედვით, ფორმულა ერთმა უარი უნდა თქვას ძვირადღირებულ ტექნიკურ ექსპერიმენტებზე, განსაკუთრებით აეროდინამიკულ ცდებზე და დაკმაყოფილდეს „წინაპართა დანატოვარით“. „სამეფო ფორმულა“ ტექნიკურად ისედაც საკმარისად შორს გაფრინდა და ახალი ფრთების ძიებაში მილიონები ტყუილად რალატო დავხარჯოთო.

თუ გუნდები დათანხმდებიან ხარჯების შემცირებას, მაშინ ავტომატურად შემცირდება რბოლებზე მოპოვებულ ქულათა ფულადი ანაზღაურება და ფორმულა ერთის შეფებსაც იაფი დაუჯდებათ რბოლების გამართვა.

„ყველა გუნდმა დრო ითხოვა ჩემს გეგმასთან საფუძვლიანად გასაცნობად და მოსაფიქრებლად, მაგრამ დრო ისედაც არ ითმენს, სწრაფად უნდა ვიმოქმედოთ, თუ არ გვინდა რომ 1969 წლის მსგავსად 13-14 ბოლიდით არ მოგვიწიოს ჩემპიონატის გამართვა.“

**ვანო კობიაშვილი**



# ველომრბოლი ძილში დაიღუპა



გარდაცვლილი ფრედერიკ ნოლფი

**სპორტმა** კიდევ ერთი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ახალგაზრდა ბელგიელმა ველომრბოლმა ფრედერიკ ნოლფმა დაიწყო, მაგრამ ვერ დაამთავრა თავისი პირველი მრავალდღიანი ველოტური. ძილში დაიღუპა გულის შეტევით.

22 წლის ნოლფი შარშან გახდა პროფესიონალი და ლეგენდარული თანამემამულის ედი მერქსის გუნდ „მერკატორში“ ჩაირიცხა. გუნდი მასზე დიდ იმედებს ამყარებდა და მერქსმა „ყატარის ტურზე“ იახლა. მის სიკვდილს არაფერი მოასწავებდა, ნოლფმა ასეულ ველომრბოლთან ერთად გაიარა ოთხი ეტაპი, ჩვეულებრივ დაწვა დასაძინებლად, 5 თებერვლის დილას კი გარდაცვლილი იპოვეს სასტუმრო „რიც კარლტონის“ ნომერში ყატარის დედაქალაქ დოჰაში.

ხუთ დღეში 22 წლისა უნდა გამხდარიყო.

„ეს დღეები ჩვეულებრივ ბიჭების გვერდით გავატარე, ფრედი საერთოდ არაფერს არ უჩიოდა, სხვებთან ერთად იცინოდა, მხიარულობდა...“ — პირგამეხებული ესაუბრებოდა კორესპონდენტებს მერქსი.

გუნდმა რა თქმა უნდა აღარ გააგრძელა ყატარში გამოსვლა. იმ დღეს მხოლოდ სტარტზე გავიდნენ ნოლფის მეგობრები, განსვენებულის ხსოვნას პატივი მიაგეს და ველოსიპედები უკან მოაბრუნეს.

მსოფლიოს ჩემპიონატი მთის თხილამურობაში. ვალ დიზერი (საფრანგეთი). 2-15 თებერვალი

# მთელი მსოფლიო ერთ ხეობაში

SKI ALPIN F/I/S
CHAMPIONNATS DU MONDE
Val d'Isère 2009
SAVOIE-FRANCE

**მთის თხილამურობაში მსოფლიოს ჩემპიონატი ყოველ ორ წელიწადში იმართება და მართალია, მისი მოგება ოლიმპიადის მოგებასავით ძვირად არ ფასობს, მაგრამ წონა მსოფლიოს ჩემპიონატების ოქროსაც არ აკლია. ფრანგული სამთო კურორტი ვალ დიზერი ამ სპორტში იგივეა, რაც ქალაქი მელბურნი ჩოგბურთში, ან რიო დე ჟანეირო ფეხბურთში, 1992 წლის ალბერვილის ოლიმპიადაზე კაცთა შორის ხუთი სამთო ეტაპიდან ოთხს ვალ დიზერის ფერდობებმა უმასპინძლა და მსოფლიოს თასის კალენდარშიც ყოველწლიურად ზის. მაგრამ რატომღაც ასე გამოვიდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატმა ამ ალპურ ლამაზ-ქალაქში პირველად შეიარა. კაცთა და ქალთა შორის მედლების ხუთ-ხუთი კომპლექტი თამაშდება — სლალომში, გიგანტურ სლალომში, სუპერგიგანტში, სწრაფდაშვებასა და კომბინაციაში (სლალომისა და სუპერგიგანტის კომბინაცია). შაბათამდე ოთხი კომპლექტი გათამაშდა...**



ლინდსი ვონი

### კუდრაჭა მინესოტელი

ფერდობებს პირველად ქალები შეესივნენ და სუპერგიგანტის ტიპის ტრასა ჩამოისრიალეს. ეს სახეობა ყველაზე პრესტიჟულად ითვლება, რადგან სწრაფი და ნაკლებად დაქსაქსული პროფილი მოთხილამურეებსაც მოსწონთ და მაყურებლებსაც. პირველი ოქრო ამერიკელმა ლინდსი ვონმა მოიპოვა, რომელმაც მასპინძელთა ჯილა მარი მარშანს წამის მესამედით აჯობა და გულზე პირველად დაიკიდა ვეება ოქროს ფირფიტა. ორი წლის წინ შვედურ არეში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვონს ორჯერ მოეცარა ხელი, სუპერგიგანტსა და სწრაფდაშვებაში, ანუ ორ ჩქაროსნულ სახეობაში აიღო ვერცხლი. მაგრამ მაშინ მას ეს წარუმატებლობად არ მიუღია, რაკიდა შვედეთში მხოლოდ 22 წლისა იყო და რეალურად არც გახლდათ საუკეთესო.


ჰერმან მაიერი

მაგრამ გაიზარდა, დაქალდა და აი თავისსაც მიაწია. ისე, ლინდსი ვონს მოკრძალებული და გულღია გოგონას იმიჯი აქვს და საერთოდ არ ჰგავს სხვა ამერიკელ სპორტსმენებს, რომლებიც პირველობის სურვილით თავით თხილამურებამდე გაელენთილები მხოლოდ საკუთარი „მეს" წარმოჩენით არიან დაკავებულები. ამასწინათ, ვალ დიზერში ჩამოსვლამდე, ვონმა მისთვის არატრადიციულ სახეობაში, სლალომში მოიგო მსოფლიოს თასის ერთ-ერთი ეტაპი და მეორე ადგილზე გასულ ფავორიტ მარია რეიხს მოუბოდიშა, მაპატიე, რომ შენი წილი გამარჯვება მე შემხვდაო.

ისიც ვთქვათ, რომ ვონი მსოფლიო თასის საერთო ჩათვლასაც ლიდერობს და დიდი შანსია მოიგოს კიდეც, რაც ოფიციალურად დაუმკვიდრებს სეზონის საუკეთესო ქალი მოთხილამურის სახელს. მანმადე კი კუდრაჭა მინესოტელი გოგონა მსოფლიოს ჩემპიონატზე იხვეჭს მედლებს.

### ბებერი კაცების ამბავი

კაცთა შორის კი სუპერგიგანტის ტიტული ასაკოვან ვარსკვლავს დარჩა. 34 წლის ფრანგმა დიდიე კუშემ რეკორდიც კი დაამყარა — გახდა ყველაზე ხნიერი მსოფლიოს ჩემპიონი და ძველი რეკორდი ჩამოართვა ავსტრიელ შტეფან ებერჰარტერს, რომელმაც 2003 წელს შვეიცარიის სენკტ მორიცში 33 წლისამ იჩემპიონა.

კუშე სიხარულით ფეხზე ვეღარ იდგა — ამ სიბერში ეს რა საჩუქარი მივართვი საკუთარ თავსო. იმ დღეს, ოთხშაბათს მშვენიერი მზიანი ამინდი იდგა, მაგრამ 1992 წლის მერე პრაქტიკულად მიტოვებული და ახლაღა განახლებული ძველი ტრასა გვარიანად მოყინულიყო.

„დილით რომ ავდექი და ფანჯარაში გადავიხედე, ვიფიქრე ჩემი დღე არაა მეთქი, მაგრამ სტარტის მერე ყველაფერი თავდაღმართში წავიდა, ყველა მანევრი კარგად გამომდიოდა და სრიალმა უდიდესი კმაყოფილება მომანიჭა, გამარჯვებამ ხომ საერთოდ... ნურც მკითხავთ."

მაყურებელთა გასახარად კუშემ შორს მოიტოვა დანარჩენები, მთელი წამით აჯობა მდევართა შორის საუკეთესოს, იტალიელ პიტერ ფილს. ბევრი დაეცა და არაერთი ფავორიტი გამოეთიშა შეჯიბრს. სხვები ბევრს ბორძიკობდნენ. მხოლოდ მე-12 იყო ყოყლოჩინა ამერიკელი ბოდე მილერი, ვინაც მარცხი ყველაფერს დააბრალა გარდა საკუთარი შეცდომებისა. ჩემპიონთან ორნახევარწუთიანი ჩამორჩენით მე-18 ადგილს დასჯერდა ლეგენდარული ჰერმან მაიერი, რომელიც ყველა დროის საუკეთესო სუპერგიგანტისტად ითვლება, მაგრამ წლებმა თავისი კვალი დაატყო და 37-ე წელში გადამდგარი პირველობისთვის ვეღარ იბრძვის. ახლა ის ოთხ ავსტრიელს შორის ბოლო იყო. ვეტერანს ოთხშაბათს სრიალისას სუსხმაც გაჰკრა კლანჭი — თურმე შეაციენა და თავი შეუძლოდ უგრძვნია, რის გამოც შაბათის სწრაფდაშვებაც გამოტოვა. დრონი მეფობენო... ეჰ, რა ზუსტად შეეფერება ჰერმინატორის სიტუაციას ეს ანდაზა.

### ვონზე ახალგაზრდა

პარასკევს დასანანი მარცხი შეემთხვა ლინდსი ვონს. მას თავისუფლად შეეძლო, მეორე ოქროც მოეპოვებინა, კომბინაციაში დილის სწრაფდაშვება კარგი გამოუვიდა, მაგრამ საღამოს სლალომში ერთი ბჭე გამოტოვა და საერთოდ გაუუქმეს შედეგი. არ ნაღვლობდა — სწრაფდაშვებაზეღა ვფიქრობო.

გამარჯვება კი 22 წლის ავსტრიელ კატრინ ზეტელს ერგო, ვისაც სწრაფდაშვება არცთუ კარგი გამოუვიდა — მხოლოდ მეხუთე შედეგი აჩვენა, მაგრამ სამაგიეროდ სლალომში უნაკლოდ ისრიალა და პირველობა აქ წაართვა კონკურენტებს. თავადაც უკვირდა როგორ მოვახერხეო — „ლინდსი იმდენად წინ იყო, რომ ყველა მას ვთვლიდით გამარჯვებულად. ის სლალომშიც ძლიერია, მაგრამ შეცდომა დაუშვა და მეც ვისარგებლე მოულოდნელი შესაძლებლობით."



კატრინ ცეტელი

მხოლოდ მეთხე იყო საუკეთესო სლალომისტი მარია რეიხი, რომელიც წინა დღით ვარჯიშისას დაცემულა და მსუბუქად დაშავებულს სწრაფდაშვებაში ნაჩვენები ცუდი შედეგით მედლის პრეტენზია გაუქრა.

### ლამის მაიერი

შაბათს კაცები სწრაფდაშვებაში შეეჯიბრნენ ერთმანეთს და ლამის აქაც მოიგო სუპერგიგანტის ჩემპიონმა დიდიე კუშემ. აქ ის მხოლოდ კანადელ ჯონ კუჩერას ჩამორჩა, ისიც 0,04 წამით.

ყოჩაღად გამოვიდა ჰერმან მაიერი, რომელმაც შემცივნული ბებერი სხეული გაითბო და მართალია მედალს ვერ შესწვდა, მაგრამ საპატიო მეექვსე ადგილზე გავიდა.

**ვანო კობიაშვილი**

**სუპერგიგანტი. ქალები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ლინდსი ვონი (აშშ) | 1.20,73 |
| 2 | მარი მარშანი (საფრანგეთი) | 1.21,07 |
| 3 | ანდრეა ფიშბახერი (ავსტრია) | 1.21,13 |

**სუპერგიგანტი. კაცები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | დიდიე კუშე (საფრანგეთი) | 1.19,41 |
| 2 | პეტერ ფილი (იტალია) | 1.20,40 |
| 3 | აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) | 1.20,43 |

**კომბინაცია. ქალები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | კატრინ ცეტელი (ავსტრია) | 2.20,13 |
| 2 | ლარა გუტი (შვეიცარია) | 2.20,69 |
| 3 | ელიზაბეტ გეორგლი (ავსტრია) | 2.21,01 |

**კომბინაცია. კაცები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ჯონ კუჩერა (კანადა) | 2.07,01 |
| 2 | დიდიე კუშე (საფრანგეთი) | 2.07,05 |
| 3 | კარლო იანკა (შვეიცარია) | 2.07,18 |

## ტურისტ-პაციენტი ჩემპიონი

მსოფლიოს საუკეთესო სამთო მოთხილემურეთა სრიალს შორიდან შესცქერის ივიცა კოსტელიჩი. ყოჩაღი ხორვატი ტრავმამ გამოაკლო მსოფლიოს ჩემპიონატს. კი ჩავიდა ვალ დიზერში, მაგრამ ზურგის ტკივილმა ექიმის კაბინეტში მიიყვანა და არა მთის წვერზე.




2003 წელს სლალომში მსოფლიო ოქროს მომგები და აგრეთვე იანიცა კოსტელიჩის ძმობითაც ცნობილი ივიცა კოსტელიჩი ზოგადად ცუდ ფორმას არ უჩივის, პირიქით, მსოფლიოს თასზე არაერთი ეტაპი მოიგო და საერთო ჩათვლასაც ლიდერობს, მაგრამ ერთ-ერთი ბოლო დაშვებისას ზურგის ძველი ტრავმა გაიმიზეზა და იძულებულია, საფრანგეთში ტურისტის, უფრო სწორედ კი პაციენტის როლს შეეგუოს.

„მეგონა, რომ ტკივილი გამივლიდა, მაგრამ უფრო გამიმძაფრდა, წელში ვერ ვიხრები — ჩივის კოსტელიჩი — დასანანია, სუპერგიგანტის გამოტოვება რომ მომიხდა."

ეროვნული ბიბლიოთეკა



# HAPPY BIRTHDAY

www.wikipedia.org

**9 თებერვალი**

1928 ჰოლანდიელი ფეხბურთის მწვრთნელი რინუს მიჰელსი
1931 ჩეხოსლოვაკიელი ფეხბურთელი იოზეფ მასოპუსტი
1959 შოტლანდიელი ფეხბურთელი და მწვრთნელი გორდონ სტრაჩანი
1971 შვედი ფეხბურთელი იოჰან მიალბი
1973 ბელარუსი ტანმოვარჯიშე სვეტლანა ბოგინსკაია
1979 რუსი ფიგურულად მოციგურავე ირინა სლუცკაია
1980 ბერძენი ფეხბურთელი ანგელოს ხარისტიასი

**10 თებერვალი**

1893 ამერიკელი ჩოგბურთელი ბილ ტილდენი
1903 ავსტრიელი ფეხბურთელი მათიას შინდელარი
1950 ამერიკელი მოცურავე მარკ სპიცი
1955 ავსტრალიელი მეგოლფე გრეგ ნორმანი
1970 მაროკოელი ფეხბურთელი ნურედინ ნაიბეტი

**11 თებერვალი**

1959 ბრაზილიელი ავტომრბოლი რობერტო მორენო
1963 ესპანელი ფეხბურთელი ხოსე მარი ბაკერო
1972 ინგლისელი ფეხბურთელი სტივ მაკმანამანი
1980 ავსტრალიელი ფეხბურთელი მარკ ბრეშიანო

**12 თებერვალი**

1934 ამერიკელი კალათბურთელი ბილ რასელი
1959 ამერიკელი კალათბურთელი ლარი ნენსი
1976 ახალზელანდიელი მორაგბე კრისტიან ქალენი
1980 ესპანელი ჩოგბურთელი ხუან კარლოს ფერერო

**13 თებერვალი**

1918 ამერიკელი მეგოლფე ბატი ბერგი
1947 ამერიკელი კალათბურთის მწვრთნელი მაიკ კრჟიჟევსკი
1952 ბელგიელი ველომრბოლი ფრედი მერთენსი
1956 ირლანდიელი ფეხბურთელი ლაიამ ბრედი
1960 იტალიელი საფეხბურთო მსაჯი პიერლუიჯი კოლინა
1971 შვედი ჰოკეისტი მატს სუნდინი
1974 დანიელი პოკერის მოთამაშე გას ჰანსენი
1979 მექსიკელი ფეხბურთელი რაფაელ მარკესი

**14 თებერვალი**

1951 ინგლისელი ფეხბურთელი კევინ კიგანი
1962 ფრანგი მორაგბე ფილიპ სელა
1967 ბულგარელი ჩოგბურთელი მანუელა მალეევა
1971 რუმინელი კალათბურთელი გეორგ მურეშანი
1973 ამერიკელი კალათბურთელი თაიუს იდნი
1977 ავსტრალიელი ველომრბოლი კედელ ევანსი
1978 ამერიკელი კალათბურთელი რიჩარდ ჰემილტონი
1982 სლოვაკი ჰოკეისტი მარიან გაბორიკი

**15 თებერვალი**

1904 ფრანგი ველომრბოლი ანტონინ მანი
1929 ბრიტანელი ავტომრბოლი გრემ ჰილი
1972 ჩეხი ჰოკეისტი იარომირ იაგრი
1973 ჩეხი მოთხილამურე კატერინა ნეუმანოვა
1973 ამერიკელი მოცურავე ემი ვან დიკენი
1974 ავსტრიელი ავტომრბოლი ალექს ვიურცი
1976 ესპანელი ველომრბოლი ოსკარ ფრეირე



ნბა-ს ყველა დროის ყველაზე ტანმაღალი მოთამაშე, რუმინელი გეორგ მურეშანი ფიცარნაგიდან 231 სანტიმეტრს აიზომებოდა, მაგრამ კარგა ხანი დასჭირდა ფეხზე მყარად რომ დამგარიყო. ნბა-ში 1993 წელს მივიდა და პირველ სეზონში მოედანზე საშუალოდ გატარებულ 13 წუთში 3,7-ჯერ იქცეოდა. მერე გათამამდა და მესამე პროფესიულ სეზონში საშუალო მონაგარი 14 ქულამდე და ასწია, რითაც სეზონის ყველაზე გაუმჯობესებული მოთამაშე შეიქნა.

მშობლები მაღალი კი ჰყავდა, მაგრამ ამ სიმაღლეს ჰორმონალური დარღვევის გამო უწია. ყმაწვილობაში ფარისებრ ჯირკვალზე ოპერაცია რომ არ გაეკეთებინა, ზრდასაც ვერ შეწყვეტდა და ვინ იცის, რა სიმაღლეს მიაღწევდა.





კევინ გარნეტი





პოლ პირსი





რეი ალენი

# ბოსტონური ტრიო შეიკრა

## ნელსონს ოლ სტარში ალენი შეცვლის

15 **თებერვალს** ყველა ვარსკვლავის მატჩში „ორლანდოს" გამთამაშებელ ჯამერ ნელსონის მაგივრად „ბოსტონის" მსროლელი რეი ალენი ითამაშებს. ნელსონი აღმოსავლეთის ვარსკვლავებში სათადარიგოთა შორის აირჩიეს, მაგრამ 27 წლის მოთამაშეს არ დასცალდა თავის პირველ ოლ სტარში თამაში. თეძოს ტრავმამ ის მთელი სეზონით გამოაკლო კალათბურთს.

აქ ნბა-ს კომისარმა დევიდ შტერნმა გამოიყენა პირადი უფლებამოსილება და ტრავმირებული მოთამაშის შემცვლელი პირადი შეხედულებით დაასახელა. ნელსონის ადგილზე პრეტენზიას აცხადებდა „კლივლენდის" გამთამაშებელი მო უილიამსი, მაგრამ შტერნმა მაინც გამოცდილ რეი ალენს უწყალობა ადგილი ვარსკვლავებში.

ამგვარად ვეტერანი ალენი თავის მეცხრე ოლ სტარს ითამაშებს და გულახდილად რომ ვთქვათ, ის ამას მო უილიამსზე მეტადაც იმსახურებს. შარშანაც მსგავს სიტუაციაში იყო, მაშინაც სხვისი ტრავმის ეს სხვა მისი თანაგუნდელი კევინ გარნეტი გახლდათ) შემდეგ აღმოჩნდა აღმოსავლეთის 12 საუკეთესო მოთამაშეს შორის, მაგრამ საერთო სურათი არათუ წაახდინა, პირიქით გაალამაზა კიდეც. აღმოსავლელებს ჩამორჩენის აღმოფხვრაში დაეხმარა და მატჩის უძვირფასეს მოთამაშე ლებრონ ჯეიმსზე მეტი ქულაც დააგროვა.

რეის დამატებით დიდად კმაყოფილები არიან მისი ბოსტონელი თანაგუნდელები — გარნეტი და პირსი. ორი წელი ერთ გუნდში ვთამაშობთ და ჩვენს ვარსკვლავურ ტრიოს ოლ სტარში სრულად ახლა მაინც წარმოვაჩენთო.

ისმოდა საუბრები, რომ ტრავმის გამო დასავლელებსაც დააკლდებოდათ მოთამაშე, მერე რა მოთამაშე, „ნიუ ორლეანის" სუპერგამთამაშებელი კრის პოლი, ვისაც საზარდულის ტრავმა აწუხებს და ორი თამაშიც გამოატოვებინა. მისი უთამაშებლობის შემთხვევაში დასავლელთა ხუთეულში ადგილს დაიკავებდა „დენვერის" გამთამაშებელი ჩონსი ბილაფსი, სათადარიგოთა სკამზე კი ადგილს შეავსებდა ასევე დენვერელი კარმელო ენტონი, რომელიც ექვსი წელია ნბა-შია და სულ ბომბარდირთა შორის ტრიალებს, მაგრამ მიზეზთა გამო მხოლოდ ორჯერ „გაავარსკვლავეს", მაგრამ მელოს მესამე ოლ სტარის იმედი ჩაეფუშა. პოლი გამოტოვებს ამ კვირის რიგით თამაშებს, 15 იანვრისთვის კი ფინიქსში ჩავა, რათა კუთვნილი ადგილი დაიკავოს ბრაიანტის, დანკანის, სტუდემაიერის და სხვა დასავლელი სუპერმოთამაშეების გვერდით.

# ბრენდი საბოლოოდ დაიმტვრა

**უსერიოზულესი** დანაკლისი განიცადა „ფილადელფია სიქსერზმა" — გუნდი სეზონის ბოლომდე დაემშვიდობა საუკეთესო მეფარე ელტონ ბრენდს, რომელმაც ორშაბათს მხრის ოპერაცია გაიკეთა.

„ფილადელფიამ" ეს მოთამაშე ამ სეზონის წინ გადმოიბირა „კლიპერსიდან", რომელთანაც ბრენდს ძველი კონტრაქტი ამოწურვოდა და უკეთესი პირობების ძიებამ ლოს ანჯელესიდან ქვეყნის მეორე კიდეზე, ფილადელფიაში მიიყვანა. „სიქსერზში" ბრენდს 5-წლიანი და 80-მილიონიანი კონტრაქტი გაუფორმეს და წინასწარ მიანიჭეს გამოკვეთილი სტატუსი — ის იქ ლიდერი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ ფილადელფიელები ბჭობდნენ, ბრენდს კი ამ დროს მხარი „სძვრებოდა". 29 წლის ვარსკვლავს ახლა მძიმე დროება უდგას, ტრავმამ მთელი წინა სეზონი გამოატოვებინა. და დაბრუნდა რათა ისევ დამტვრეულიყო... ბოლო ათი წელია ასოციაციის ერთ-ერთ საუკეთესო მძიმე ფორვარდად ითვლება, მაგრამ საუკეთესო პერიოდი მკურნალობაში გაეხარჯა.

ახალ გუნდში მან 29 თამაშის ჩატარება მოასწრო და მოაგროვა საშუალოდ 13,8 ქულა და 8,8 მოხსნა, რაც მის საკარიერო სტატისტიკის ფონზე უფერულ რიცხვებად მოჩანს.

„რა ვქნა? — წუხს კალათბურთელი — აქეთ რომ მოვდიოდი, მინდოდა გემრიელად მეთამაშა და ახალი, პერსპექტიული გუნდის შენებაში ჩემი აგური დამედო, მიმელო ამისგან სიამოვნება. სამწუხაროდ ყველაფერი ჩვენი სურვილისამებრ არ ხდება ხოლმე. ცხოვრებაში არ ვყოფილვარ ასე იმედგაცრუებული. ისღა დამრჩენია, წყნარად გავილალო და შემდეგი სეზონისთვის გადავდო ჩანაფიქრის ასრულება."

**ვანო კობიაშვილი**



# ევროლიგა

მეორე ჯგუფური ეტაპი. პირველი ტური. 28-29 იანვარი

**E ჯგუფი**

ოლიმპიაკოსი 73:70 ტაუ კერამიკა
პროკომი 60:62 მილანო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მილანო | 2 | 2 | 0 | +4 | 4 |
| ტაუ კერამიკა | 2 | 1 | 1 | +19 | 3 |
| ოლიმპიაკოსი | 2 | 1 | 1 | +1 | 3 |
| პროკომი | 2 | 0 | 2 | -24 | 2 |

**F ჯგუფი**

ბარსელონა 85:65 მაკაბი
ალბა 84:87 რეალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 2 | 2 | 0 | +5 | 4 |
| ბარსელონა | 2 | 1 | 1 | +18 | 3 |
| მაკაბი | 2 | 1 | 1 | +11 | 3 |
| ალბა | 2 | 0 | 2 | -34 | 2 |

**G ჯგუფი**

უნიკახა 69:71პანათინაიკოსი
პარტიზანი 84:76 ლოტომატიკა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 2 | 2 | 0 | +30 | 4 |
| უნიკახა | 2 | 1 | 1 | +1 | 3 |
| პარტიზანი | 2 | 1 | 1 | -10 | 3 |
| ლოტომატიკა | 2 | 0 | 2 | -21 | 2 |

**H ჯგუფი**

ცსკა 87:61 ციბონა
მონტეპასკი 87:79 ულქერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 2 | 2 | 0 | +44 | 4 |
| მონტეპასკი | 2 | 1 | 1 | +1 | 3 |
| ციბონა | 2 | 1 | 1 | -19 | 3 |
| ულქერი | 2 | 0 | 2 | -26 | 2 |



# NBA რეგულარული ჩემპიონატი

## კვირიდან კვირამდე

**3 თებერვალი**

კლივლენდი 101:83 ტორონტო
ინდიანა 111:116 მინესოტა
ფილადელფია 99:100 ბოსტონი
ნიუ ჯერსი 99:85 მილუოკი
ჰიუსტონი 107:100 ჩიკაგო
დენვერი 104:96 სან ანტონიო

**4 თებერვალი**

ორლანდო 125:96 კლიპერსი
ტორონტო 107:115 ლეიკერსი
ვაშინგტონი 88:115 ნიუ ჯერსი
დეტროიტი 93:90 მაიამი
ნიუ იორკი 102:107 კლივლენდი
მემფისი 104:93 ჰიუსტონი
მინესოტა 86:94 ატლანტა
ნიუ ორლეანი 93:107 ჩიკაგო
ოკლაჰომა 113:114 დენვერი
დალასი 104:99 პორტლენდი
გ. სტეიტი 124:112 ფენიქსი

**5 თებერვალი**

ფილადელფია 99:94 ინდიანა
ბოსტონი 109:110 ლეიკერსი
ძირითადი დრო: 101:101
იუტა 115:87 დალასი

**6 თებერვალი**

ინდიანა 107:102 ორლანდო
შარლოტი 97:102 ატლანტა
ნიუ იორკი 100:110 ბოსტონი
ნიუ ორლეანი 101:92 ტორონტო
ოკლაჰომა 102:93 პორტლენდი
მემფისი 105:126 კლიპერსი
ვაშინგტონი 103:124 დენვერი
საკრამენტო 107:111 იუტა
ფენიქსი 115:105 გ. სტეიტი

**7 თებერვალი**

ფილადელფია 94:84 მაიამი
ატლანტა 97:121 კლიპერსი
ნიუ ჯერსი 114:70 დენვერი
მემფისი 78:70 ტორონტო
დალასი 115:114 ჩიკაგო
ძირითადი დრო: 97:97
მილუოკი 121:126 დეტროიტი
ძირითადი დრო: 109:109
ჰიუსტონი 107:90 მინესოტა

### აღმოსავლეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ბოსტონი | 42 | 10 | 80,8 |
| ფილადელფია | 25 | 24 | 51,0 |
| ნიუ ჯერსი | 24 | 27 | 47,1 |
| ნიუ იორკი | 21 | 28 | 42,9 |
| ტორონტო | 19 | 34 | 35,8 |
| **ცენტრალური** | | | |
| კლივლენდი | 39 | 9 | 81,2 |
| დეტროიტი | 27 | 21 | 56,2 |
| მილუოკი | 24 | 29 | 45,3 |
| ჩიკაგო | 22 | 29 | 43,1 |
| ინდიანა | 20 | 31 | 39,2 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| ორლანდო | 37 | 12 | 75,5 |
| ატლანტა | 29 | 21 | 58,0 |
| მაიამი | 26 | 23 | 53,1 |
| შარლოტი | 19 | 30 | 38,8 |
| ვაშინგტონი | 10 | 40 | 20,0 |

### დასავლეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| სან ანტონიო | 33 | 15 | 68,8 |
| ნიუ ორლეანი | 29 | 18 | 61,7 |
| ჰიუსტონი | 31 | 20 | 60,8 |
| დალასი | 30 | 20 | 60,0 |
| მემფისი | 14 | 36 | 28,0 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| დენვერი | 34 | 17 | 66,7 |
| პორტლენდი | 30 | 19 | 61,2 |
| იუტა | 29 | 22 | 56,9 |
| მინესოტა | 17 | 32 | 34,7 |
| ოკლაჰომა | 12 | 38 | 24,0 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ლეიკერსი | 40 | 9 | 81,6 |
| ფინიქსი | 27 | 21 | 56,2 |
| გოლდენ სტეიტი | 16 | 35 | 31,4 |
| კლიპერსი | 12 | 39 | 23,5 |
| საკრამენტო | 11 | 40 | 21,6 |

# ლეიკერსი ბოსტონს ბედისწერად ექცა

**კვირის მატჩი**

5 თებერვალი. ბოსტონი

**ბოსტონი 109:110 ლეიკერსი**

20:23 32:28 29:26 20:24 8:9

ბოსტონი: რონდო (16 ქულა, 12 პასი, 8 მოხსნა), რ. ალენი (22), პირსი (21), გარნეტი (16), პერკინსი (4); პაუსი (16), პოუი (10), ტ. ალენი (2), დევისი (2)

ლეიკერსი: ფიშერი (13), ბრაიანტი (26 ქულა, 10 მოხსნა), უოლტონი (5), ოდომი (20), გასოლი (24 ქულა, 14 მოხსნა); ფარმარი (7), ვუჯიჩი (6), ვოუჯინიჩი (5), არიზა (2), მბა (2)

„ლეიკერსმა" შარშანდელი უკვე მეორედ აზლევინა „ბოსტონს". და ორივე ძალიან მწარე იყო. პირველად „ლეიკერსმა" შობაზე, 25 დეკემბერს ლოს ანჯელესში დაამარცხა ჩემპიონი და შეაწყვეტინა ზედიზედ მოგებათა 19-მატჩიანი სერია. ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა ამ ხუთშაბათსაც, როცა ბრაიანტმა და კომპანიამ ახლა უკვე ბოსტონში დასცეს ისტორიული „მოსისხლე" და კვლავ შეაწყვეტინეს სერია, ამ ჯერზე 12-მოგებიანი. ლოსანჯელესელებს ყველა ჩაგდებულ ბურთზე, ყველა ქცევაზე ეტყობოდათ, რომ ძალლის ნაკბენივით ახსოვთ, 2008 წლის ფინალში ბოსტონში უკანასკნელი განადგურება — 92:131.

კობი ბრაიანტმა ორი დღის წინანდელივით ვერ ააწიოკა მეტოქე. რაც უნდა იყოს, „ბოსტონი" „ნიუ იორკი" არაა და კევინ გარნეტის გუნდის დაცვას 61 ქულას ვერ გაუკეთებ. მაგრამ კობიმ თავისი საქმე მშვენივრად აკეთა და ლიდერს დროულად მიეხმარნენ მეფარეები — პაუ გასოლი და ლამარ ოდომი, რომლებმაც მთავარ ცენტრის ენდრიუ ბაინამის დამტვრევის შემდეგ ქოფაკებივით აიწყვიტეს.

თურმე როგორ მონატრებია ოდომს სასტარტო ხუთეული — გარნეტის კლანჭებს დაუძვრა, უდაძაბულეს თამაშში 20 ქულა გააკეთა და მატჩის ბედიც მან გადაწყვიტა, როცა დამატებითი დროის დასრულებამდე 16 წამით ადრე წყვილი საჯარიმოებით 110:109 დააწინაურა „ლეიკერსი". ბოლო წამებზე „ბოსტონის" ოლსტარელ სნაიპერებს — პოლ პირსს და რეი ალენს ჰქონდათ შანსი, მაგრამ ვერცერთმა ვერ გამოიყენა. „ბოსტონის" პოტენციურად მხსნელი ბოლო სროლა ალენმა შეასრულა, რომელიც ლოსანჯელესელებმა დაბლა დასცეს, მაგრამ მასპინძელთა პროტესტის მიუხედავად მსაჯებს ჯარიმა არ დაუსტვენიათ.

„ძალზე ემოციური თამაში იყო, ან სხვანაირად როგორ უნდა ყოფილიყო — ნამატჩევს ქოშინით ამბობდა „კელტების" კაპიტანი პოლ პირსი — ძალიან მინდა, კიდევ ერთხელ შევხვდეთ ფინალში და იქ გავარკვიოთ, რომელია ჩვენ ორს შორის მჯობნი."




## მედისონ სკვერის მისტერიები

### ბრაიანტის 61 ქულა

**სხვას** რომ ეს გაეკეთებინა, გმირად შერაცხავდნენ კობი ბრაიანტისგან კი მსგავსი სოლო-გამოსვლები აღარავის უკვირს, განსაკუთრებით 2006 წელს „ტორონტოსთვის" 81 ქულის ჩაგდების შემდეგ.

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" 30 წლის ლიდერმა ორშაბათს 61 ქულა აგემა „ნიუ იორკ ნიქსს" და ამ გუნდის დარბაზ „მედისონ სკვერ გარდენის" მრავლისმნახველ ისტორიაშიც შევიდა. კობიმ გაასწრო 1995 წელს 55 ქულის ჩამგდებ მაკლ ჯორდანსაც და 1984 წელს 60 ქულის მომხვეჭ ბერნარდ კინგსაც, აუღელვებლად გამოაცხო ახალი რეკორდი და მოედნიდან ისე გამოვიდა, თითქოს სამუშაოდან შესვენებაზე გასულიყოს და მაკდონალდსიდან ორი ჰამბურგერი და ბოთლა კოკა-კოლა წამოეღოს.



ლებრონ ჯეიმსი

მთელს ამ ამბავში ყველაზე გასაკვირი ბრაიანტის კარგი თამაში კი არა იყო. გაგაოცებდათ დამხვდურთა ქცევა — „ნიქსის" მოთამაშეები მეტოქის ლიდერს ხელს მხოლოდ სიმბოლურად უშლიდნენ, საპატიო გამცილებლებივით დაყვებოდნენ და დიდსულოვნად აძლევდნენ საკუთარი კალათის ამოვსების ნებას. არანაკლებ გაგაკვირვებდათ მაყურებლის რეაქცია — ხალხი ბრაიანტის ყოველ ზუსტ სროლაზე ხარობდა და „უძვირფასესი-უძვირფასესის" შეძახილით ამხნევებდა.

47 წლის წინ „ნიუ იორკს" ზუსტად 100 ქულა ჩაუგდო აწ განსვენებულმა უილტ ჩემბერლენმა და ვინ იცის, იქნებ მას მერე დაებედა ამ გუნდს ასეთი დატერორება? თუ ნიუ იორკელები მეტოქეს იმიტომ ქომაგობენ, რომ ბეჩავი „ნიქსის" ქომაგობა სირცხვილი გახდა?

## ლებრონის სამმაგი დუბლი გაუუქმეს

ლებრონ ჯეიმსი რისი ლებრონი და „მეფე" იქნებოდა, კობი ბრაიანტს რომ ჩამორჩენოდა. „ლეიკერსის" წასვლიდან ორ დღეში ნიუ იორკს „კლივლენდ კავალიერსი" ეწვია და „მედისონ სკვერ გარდენი" „მეფემაც" მოითარეშა.

ლებრონმა კობიზე რიხიანადაც კი დაიწყო, „ნიუ იორკს" პირველ მეოთხედში 20 ქულა უყელა, მაგრამ კარგად დაწყებული საქმე მერე ოდნავ გაამრუდა და ბრაიანტის შედეგს ვეღარ შეწვდა. მაგრამ მან მოახერხა ერთი უნიკალური რამ — 52 ქულასთან ერთად 11 პასი და 10 მოხსნა მოიხვეჭა და გახდა ნბა-ს ისტორიაში პირველი მოთამაშე, რომელმაც სამმაგი დუბლი 50 ქულით შეასრულა.

მაგრამ მეორე დღეს „მეფის" თავმოყვარეობას დიდი დარტყმა მიადგა — იაჰუმ გაავრცელა ერთი ვიდეო-ნაწყვეტი, სადაც ერთ ეპიზოდში ნათლად ჩანს, რომ ბურთს ლებრონი კი არა, მისი თანაგუნდელი ბენ ვოლესი ხსნის, შემდეგ მას ვითომ შემთხვევით ბურთი ხელიდან უვარდება... პირდაპირ ლებრონის ხელებში და მოხსნაც ლებრონს ეთვლება, რადგან ფარიდან ახსლეტილი და სხვათა ხელებზე „მოთამაშე" ბურთი საბოლოოდ მან დაიჭირა და საკალათბურთო ტერმინი რომ ვიხმაროთ, დააფიქსირა.

ნბა-ს სამსაჯო კომიტეტმა იხილა ეს ვიდეო-რგოლი და მეორე დღეს ლებრონს ერთი მოხსნა ჩამოაწერა, რითაც „კლივლენდის" ლიდერს ავტომატურად გაუუქმდა სამმაგი დუბლიც და მას მიჰყვა რეკორდიც.

**ვანო კობიაშვილი**

### კვირის ლიდერები

| | | |
|---|---|---|
| **ქულა** | | |
| კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) | 2.02 | 61 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) | 4.02 | 52 |
| ალ ჰარინგტონი (ნიუ იორკი) | 4.02 | 39 |
| კევინ მარტინი (საკრამენტო) | 6.02 | 37 |
| კევინ მარტინი (საკრამენტო) | 1.02 | 37 |
| კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) | 4.02 | 36 |
| პოლ პირსი (ბოსტონი) | 1.02 | 36 |
| ზაკ რენდოლფი (კლიპერსი) | 6.02 | 35 |
| კარმელო ენტონი (დენვერი) | 3.02 | 35 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) | 2.02 | 35 |
| დერონ უილიამსი (იუტა) | 6.02 | 34 |
| დერონ უილიამსი (იუტა) | 5.02 | 34 |
| სტივენ ჯექსონი (გ.სტეიტი) | 2.02 | 33 |
| ოჯეი მაიო (მემფისი) | 2.02 | 33 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) | 3.02 | 33 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) | 1.02 | 33 |
| **მოხსნა** | | |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) | 6.02 | 20 |
| სამუელ დალემბერტი (ფილ) | 5.02 | 20 |
| ემეკა ოკაფორი (შარლოტი) | 6.02 | 19 |
| დევიდ ლი (ნიუ იორკი) | 6.02 | 18 |
| ლუის სკოლა (ჰიუსტონი) | 3.02 | 18 |
| **პასი** | | |
| დუეინ ვეიდი (მაიამი) | 4.02 | 13 |
| კრის პოლი (ნიუ ჯერსი) | 2.02 | 13 |
| **ჩაჭრა** | | |
| ალ ჰარინგტონი (ნიუ იორკი) | 6.02 | 5 |
| თადეუს იანგი (ფილადელფია) | 5.02 | 5 |
| **დაფარება** | | |
| ჯერმენ ონილი (ტორონტო) | 4.02 | 9 |

### სეზონის ლიდერები ქულებში

| | | |
|---|---|---|
| კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) | 2.02 | 61 |
| ტონი პარკერი (სან ანტონიო) | 5.11 | 55 |
| ბრენდონ როი (პორტლენდი) | 18.12 | 52 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) | 4.02 | 52 |
| ჯამალ კროუფორდი (გ. სტ.) | 20.12 | 50 |
| ამარე სტუდემაიერი (ფინიქსი) | 5.11 | 49 |
| დევინ ჰარისი (ნიუ ჯერსი) | 30.11 | 47 |
| დირკ ნოვიცკი (დალასი) | 13.12 | 46 |
| კევინ დურანტი (ოკლაჰომა) | 23.01 | 46 |
| კარმელო ენტონი (დენვერი) | 10.12 | 45 |
| კევინ მარტინი (საკრამენტო) | 3.01 | 45 |




„დალასის" გამთამაშებელმა ჯეისონ კიდმა ოთხშაბათს „პორტლენდთან" შეხვედრაში 10 პასი გააკეთა და გადაასწრო ნბა-ს ყველა დროის საუკეთესო მეპასეთა სიაში მეოთხე ადგილზე მყოფ ლეგენდარულ ოსკარ რობერტსონს.

### ნბა-ს ყველა დროის საუკეთესო მეპასეები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ჯონ სტოქტონი | 15 806 |
| 2 | მარკ ჯექსონი | 10 334 |
| 3 | მეჯიქ ჯონსონი | 10 141 |
| 4 | ჯეისონ კიდი | 9 903 |
| 5 | ოსკარ რობერტსონი | 9 887 |
| 6 | აიზია ტომასი | 9 061 |
| 7 | გერი პეიტონი | 8 966 |
| 8 | როდ სტრიკლენდი | 7 887 |
| 9 | მორის ჩიკსი | 7 392 |
| 10 | ლენი ვილკენსი | 7 211 |
| 11 | სტივ ნეში | 7 200 |

კალათბურთი

გიორგი მარკოიშვილს ყველა ასაკობრივ ნაკრებში აქვს ნათამაშები. არის საქართველოს 4-გზის ჩემპიონი, საქართველოს თასის მფლობელი, 5-გზის დუდუ დადიანის მემორიალის გამარჯვებული, დასახელებული იყო საქართველოს საუკეთესო კალათბურთელად და „ვარსკვლავთა მატჩის“ ყველაზე სასარგებლო მოთამაშედ.
აი, ასეთია, იმ კალათბურთელის მიღწევები, რომელთან ინტერვიუსაც დღეს გთავაზობთ.
ახლა გიორგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდში თამაშობს და ფინანსური კრიზისის მიუხედავად გუნდის დატოვებას ჯერჯერობით არ აპირებს...



# ვინ მოაგვარებს პრობლემას?
## ჩვენი კალათბურთი ჩვენი ოჯახებისაა

— რატომ დაინტერესდი კალათბურთით?

— 9 წლის ვიყავი, ზურაბ სამხარეძესთან როცა მივედი „მართვეში“. მამაჩემი კალათბურთელია და ამიტომ კალათბურთთან შეხება გაცილებით ადრე მქონდა — დავდიოდი თამაშებზე, მიყვარდა ეს სახეობა და მინდოდა რომ კალათბურთელი გამოვსულიყავი.

**— რომელ ქართულ გუნდებში თამაშობდი?**

— დავიწყე თსუ-ში, ვითამაშე „დინამოში“, ეს ის პერიოდი იყო, როცა „დინამო“ კარგი გუნდი იყო. შემდეგ „სტუ-ჯეოსელი“, „ავიამშენი“, „ენერჯი-ინვესტი“, „ვითა“, წელს ისევ თსუ-ში ვარ, საიდანაც დავიწყე, მაგრამ გაჩერებას არ ვაპირებ.

**— უცხოური გუნდებიც ჩამოვთვალოთ?**

— მოსკოვის „დინამოში“, კიევის „კიევში“ ცოტა ხნით. სლოვენიიდან და საფრანგეთიდან მქონდა შემოთავაზება, მაგრამ გარემოების გამო ბოლო მომენტში მოლაპარაკება ჩაიშალა. იყო ხალხი, ვიზეც ეს იყო დამოკიდებული და საქმე წესიერად არ გააკეთეს. ამ ყველაფერმა გული ამიცრუა და დაახლოებით წელიწადნახევარი კალათბურთთან მჭიდრო კავშირი აღარ მქონდა.

**— რა განსხვავებაა ქართულ და უცხოურ გუნდებს შორის?**

— გულახდილად ვიტყვი, გული მწყდება, რომ თანამედროვე კალათბურთს საქართველო ჩამორჩა. გვყავდა ისეთი გუნდები, რომლებიც ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდნენ. ბოლო წლებია, სასიკეთო არაფერი ხდება და ერთ დონეზე ვართ გაჩერებულები. თუმცა მჯერა, რომ მოიძებნებიან ისეთი ადამიანები, რომელთა ძალისხმევითაც ქართული კალათბურთი მაღალ დონეზე ავა...

განსხვავება გუნდებს შორის იქიდან იწყება, რომ ძალიან მწირი დაფინანსება გვაქვს, აქედან გამომდინარე გუნდების დონე ისეთი არაა, რომ რომელიმე უცხოურ გუნდს გავუტოლდეთ.

**— თქვენი გუნდი თასის თამაშზე არ გამოცხადდა, მიზეზად ფინანსური პრობლემები დასახელდა. გუნდის ხელმძღვანელობა როგორ აპირებს სიტუაციის მოგვარებას?**

— კალათბურთელები ჩვენს გასაკეთებელს ვაკეთებთ. 4-5 თვე ვვარჯიშობთ როდესაც გავიგეთ, რომ დაფინანსებაზე უარი გვითხრა სპონსორმა ბანკმა, გადავწყვიტეთ, მოედანზე არ გავსულიყავით. ამით ვერაფერს მივაღწიეთ, მაგრამ ჩვენი პოზიცია დავაფიქსირეთ. უნივერსიტეტმა ელემენტარული პრობლემის გადაწყვეტა ვერ მოახერხა.

საქმე ის არის, რომ ხელმძღვანელობა არ აპირებს ამ პრობლემის მოგვარებას. უნდა მოხდეს დაფინანსების მოძიება. ეს მართალია, რთულია, მაგრამ არც იმდენად, რომ უნივერსიტეტმა ვერ მოახერხოს.

**— შექმნილი ვითარების გამო გიფიქრია გუნდის დატოვება?**

— გუნდის დატოვება ნამდვილად ვიფიქრე. არა მარტო გუნდის —საერთოდ კალათბურთის. ეს სულ რაღაც ერთი თვის წინ იყო, არც ისე შორეულ წარსულში. საწყენია, როცა ვილაცაზეა დამოკიდებული იმ საქმის წარმატება, რომელსაც შენ მთელი მონდომებით და სიყვარულით აკეთებ.

**— რომელ გუნდში გადახვიდოდი და რა კრიტერიუმებით აარჩევდი?**

— საქართველოს ყველა კარგ გუნდში მითამაშია და ყველგან წარმატებით. ერთადერთი, ელემენტარული პირობა ის მაქვს, რომ ვარჯიშზე მისვლა უნდა მიხაროდეს, მყავდეს კარგი მწვრთნელი, ძლიერი თანაგუნდელები.

**— თსუ-დან ბევრი მოთამაშე წავიდა...**

— ბარბაქაძეები, ყველაშვილი, დავით ბერიშვილი — ყველანი ფინანსური პრობლემების გამო წავიდნენ. შევსება დუბლებიდან 16-17 წლის ბიჭებით მოხდა. გუნდი კი პერსპექტიულია, მაგრამ არა ამ სეზონისთვის.

**— სუპერლიგაში რა შანსები გაქვთ?**

— არც პესიმისტი ვიქნები და არც ზედმეტად ოპტიმისტი. ვიცი, რომ გაგვიჭირდება. ჩვენთვის წარმატება ოთხეულში მოხვედრა იქნება.

**— შესაძლებელია გუნდი დაიშალოს?**

— გამორიცხული არაფერია. უბრალოდ, შეიძლება ვინმემ თქვას, მოდი, დავიშალოთო და გუნდიც ავყვეთ.

ჩვენი ჩემპიონატის დონე ადეკვატურია იმ მაყურებელთა რაოდენობისა, ვინც თამაშებზე დადის. გულშემატკივრების 80 პროცენტი ოჯახის წევრები და მეგობრები არიან.

**სალომე ძლიერიშვილი**

### 16-წლამდელთა ჩემპიონატი

**აფხაზეთი 51:117 მართვე-3**

16:25 8:27 12:34 15:31

აფხაზეთი: უძილაური (22 ქულა, 10 მოხსნა), კორძაძე (12)
მართვე 3: თევზაძე (26), მესხი (22)

**მართვე-1 76:73 მართვე-4**

17:16 30:16 14:20 15:21

მართვე-1: ბ. ბურჯანაძე (22 ქულა, 10 მოხსნა), გულმაგარაშვილი (21), გაფრინდაშვილი (17)
მართვე-4: ლოლიშვილი (26 ქულა, 13 მოხსნა), ჩოჩია (18)

**51-ე სკოლა 65:54 ბათუმი**

15:13 14:22 18:9 18:10

51-ე სკოლა: მეგენეიშვილი (21), ფხაკაძე (19 ქულა, 11 მოხსნა), მენაბდე (15 ქულა)
ბათუმი: თენეიშვილი (20), მიქელაძე (17)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 51-ე სკოლა | 6 | 5 | 1 | 11 |
| მართვე-4 | 6 | 3 | 3 | 9 |
| მართვე-3 | 4 | 4 | 0 | 8 |
| მართვე-1 | 5 | 3 | 2 | 8 |
| რუსთავი | 6 | 2 | 4 | 8 |
| აფხაზეთი | 7 | 0 | 7 | 7 |
| ქუთაისი | 3 | 2 | 1 | 5 |
| ბათუმი | 1 | 0 | 1 | 1 |

### 20-წლამდელთა ჩემპიონატი

**სამედიცინო 106:61 მართვე**

21:17 29:18 28:15 28:12

სამედიცინო: ჩქარეული (28), გაბისონია (20 ქულა, 21 მოხსნა, 7 პასი, 4 ჩაჭრა), ლეჟავა (20)
მართვე: ბააკაშვილი (17), მუმლაძე (16)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| რუსთავი | 5 | 4 | 1 | 8 |
| მაკაბი | 4 | 3 | 1 | 7 |
| აკადემია | 3 | 3 | 0 | 6 |
| სამედიცინო | 5 | 1 | 4 | 6 |
| მართვე | 5 | 1 | 4 | 6 |
| ქუთაისი | 4 | 1 | 3 | 5 |

ხელბურთი

# რუსია ევროპას ბეირუთიდან უყურებს

**ვლადიმერ რუსია** ლიბანურ „ბეირუთთან“ ერთად მოსამზადებელ ეტაპს გადის. ლიბანელები 12-24 თებერვალს საუდის არაბეთში აზიის ჩემპიონთა ლიგაზე ითამაშებენ. მათი პირველი მეტოქეც საუდეთის გუნდი იქნება.

ქართველ ხელბურთელს „ბეირუთთან“ ერთთვიანი კონტრაქტი აკავშირებს. რუსიამ რუმინულ „დინამოსთან“ ხელშეკრულება ფინანსური პრობლემების გამო გაწყვიტა. ჩვენებურს ბოლო დროს ხელფასს ვეღარ აძლევდნენ და თანამშრომლობაც შეწყდა. ვოვა ლიბანურ გუნდში თამაშს ამ ეტაპზე დათანხმდა, თუმცა რთული სათქმელია, ხანგრძლივ კონტრაქტს გააფორმებს თუ არა.

„ბეირუთს“, რომ მისი აყვანა ენდომება, ეს გასაკვირი სულაც არ არის. ვოვა „დინამოს“ ერთ-ერთი ლიდერი იყო და მით უმეტეს, ლიბანში თამაში არ გაუჭირდება.



„ბეირუთმა“ რუსიასთან ერთად ორი ამხანაგური მატჩი ჩაატარა ირანის ჩემპიონთან — ერთი წააგო და ერთიც მოიგო. რუსიამ 8 და 9 გოლით გამოიჩინა თავი.

ვოვამ გვითხრა, ახალ გუნდზე მაშინ ვიფიქრებ, ევროპაში სეზონი რომ დამთავრდებაო. ქართველი ახლა თავისუფალი აგენტია და ნორმალური გუნდის შოვნა წესით, არ უნდა გაუჭირდეს და ვნახოთ...

**ლექსო მაისურაძე**

# წამყვან დათუკაშვილს ფანები არ სწყალობენ



**სლოვენიის** ხელბურთელთა ჩემპიონატის განახლებამდე „გორენიე“ ამხანაგურ მატჩებს ატარებს. სერგო დათუკაშვილის გუნდი მოსამზადებელ ეტაპს გადის. ქართველის გუნდმა გასულ კვირაში „ნიხეს“ უმასპინძლა და 33:25 მოუგო.

ჩვენებური სლოვენიელთა ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე რომ არის, ეს ძველი ამბავია. დათუკაშვილმა ამჯერად 7 გოლი გაიტანა და გუნდში გამორჩეული იყო.

ერთი საინტერესო ამბავიც: „გორენიეს“ ვებგვერდზე გულშემატკივართა გამოკითხვა მიმდინარეობს, თუ ვინ არის მათთვის გამორჩეული ხელბურთელი. აქ ქართველ მოთამაშეს დიდად არ სწყალობენ. სერგოს გამოკითხულთა ხმების მხოლოდ ერთი პროცენტი აქვს.

„გორენიე“ ჩემპიონატის პირველი წრის შემდეგ მეორე ადგილზეა 21 ქულით და სამით ჩამორჩება ლიდერ „კოპერს“. ჩემპიონობისთვის სწორედ ეს ორი გუნდი იბრძვის.

ჩოგბურთი

# ბასილაშვილმა და ჩახნაშვილმა ჩოგნები დახარეს

**ნიკოლოზ ბასილაშვილმა** ამერიკულ დალასში 50 ათას დოლარიან ტურნირზე ითამაშა. 16 წლის მჩოგნე საკვალიფიკაციო ბადეში ბრიტანელ ბენჯამინ ლევის დაუპირისპირდა და 6:0 6:3 მოუგო.

მომდევნო მეტოქე იაპონელი პიროკი კონდონა იყო. ქართველი ჩოგბურთელი აზიელთან ვერაფერს გახდა, 4:6 5:7 წააგო და ტურნირს დაემშვიდობა.

მაკა ჩახნაშვილმა კი ავსტრალიის ღია პირველობაზე წარუმატებელი თამაშის შემდეგ საფრანგეთის ქალაქ ბელფორტში გაიქნია ჩოგანი. მაკა ტურნირზე მე-8 ნომრად იყო განთესილი, პირველ წრეში მასპინძელ ირენა პავლოვიჩს შეხვდა, 4:6 3:6 წააგო და ტურნირს დაემშვიდობა.



მაკამ ამ 25-ათას დოლარიან ტურნირზე წყვილებშიც ითამაშა და იქაც საწყის წრეში დამარცხდა. პოლონელ ხანდუკასთან ერთად ჩეხ ბირნეროვასთან და რუს მანასიევასთან 2:6 3:6 დათმო.

**ლექსო მაისურაძე**

## საქართველოს მე-19 ჩემპიონატი
სუპერლიგა. მე-2 წრე. მე-2 ტური

# თსუ-მ ნტდ გაატარა

**მეორე წრის** მეორე ტურში ლიდერი „ენერჯი" ისვენებდა, მისმა მდევარმა „ავიამშენმა" ბათუმში გასვლა იოლად მოიგო, ტურის ცენტრალურ მატჩში კი ერთმანეთს დაეჯახნენ საშუალოწონოსნები — თსუ და „სასოფლო".

სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს ბოლო დროს ვერ ულხინს, ფინანსური პრობლემების გამო რამდენიმე მოთამაშე დაკარგა, თუმც მაინც შერჩა საბრძოლო შემადგენლობა და თუ დაშლას გადაურჩა, ალბათ პლეი ოფისთვის ბრძოლასაც შეძლებს.

მაგრამ გუშინ უნივერსიტეტელებმა პრინციპული თამაში ისე წააგეს, რომ ბოლო გაბრძოლება პრაქტიკულად არ გამოუვიდათ. არადა პირველ ტაიმში მცირე სათამაშო უპირატესობას ფლობდნენ და ბოლო მეოთხედის დასაწყისში 5 ქულით წაიწიეს წინ, მაგრამ დარჩენილ 7 წუთში არაერთი შეტევა გააფუჭეს და „სასოფლოს" ერთხელ და საბოლოოდ დაწინაურების შანსი მისცეს. თსუ-ს უკანახაზელებისგან განსხვავებით „სასოფლოს" დაბლები ბექა წივწივაძე და გიორგი მარხვაშვილი თავისი გუნდის შეტევებს უნარიანად უძღვებოდნენ. მეფარე ლევან ტყეშელაშვილმა კი მნიშვნელოვან მომენტში ჩვეულად შორიდან დაბომბა მეტოქის კალათი. ბოლო წუთებზე 6-7 ქულით ჩამორჩენილმა თსუ-მ ვერც ტაქტიკური ჯარიმებით ამოილო დანაკარგი.

ამ მარცხის შემდეგ თსუ-მ დაკარგა ცხრილში მესამე ადგილი და ზურგსუკან ჩასაფრებული ნტდ წინ გაუშვა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ენერჯი | 9 | 9 | 0 | +189 | 18 |
| ავიამშენი | 10 | 8 | 2 | +167 | 18 |
| ნტდ | 10 | 7 | 3 | +116 | 17 |
| თსუ | 10 | 6 | 4 | +163 | 16 |
| სასოფლო | 10 | 6 | 4 | +68 | 16 |
| დინამო | 10 | 3 | 7 | -121 | 13 |
| ბათუმი | 9 | 3 | 6 | -113 | 12 |
| შსს | 10 | 2 | 8 | -147 | 12 |
| მგააბი | 10 | 0 | 10 | -322 | 10 |

6 თებერვალი. ბათუმი

**ბათუმი 90:114 ავიამშენი**

30:26 15:30 24:34 21:24

ბათუმი: მაისურაძე (28), თავართქილაძე (20), კეშელავა (18), ბოლქვაძე (9), კვერნაძე (2), გვაზავა, დოლიძე (8), ჩხაიძე, ოჩხიკაძე (5)

ავიამშენი: ი. ბერიშვილი (23), ნიკოლაძე (14), მათიაშვილი (26 ქულა, 12 მოხსნა), ნინიაშვილი (2), ა. ბოისა (7), ბერაია, კვირიკაშვილი (4), პირველაშვილი (20), ს. შერმადინი (2), დ. ბერიშვილი (16)

*მსაჯები: დავით ბერუკაშვილი, გურამ მიქელაძე*

*კომისარი: თენგიზ ქიქოძე*

8 თებერვალი. სპორტის სასახლე

**დინამო 88:52 მგააბი**

26:19 15:9 23:17 24:7

დინამო: ნანიტაშვილი (5), სორდია (19), ლაფანაშვილი (8), ხანიაშვილი (4), კობიძე (9); დოლიძე (15 ქულა, 11 მოხსნა), ბოლქვაძე (11), ხიზანიშვილი (11), ქადარია (3), გემაზაშვილი (2), გ. ბაქრაძე (1), სიგუა

მგააბი: ანთაძე (17), ახმედიანი (2), ელიკაშვილი (1), მჭედლიშვილი, ბიბილური (2); სუდაძე (10), ჯანგველაძე (9), კილაძე (6), ლონდარიძე (3), თევზაძე (2), აროშა

*მსაჯები: დავით არეშიძე, დავით მაჭავარიანი*

*კომისარი: როლანდ ხომერიკი*

**ნტდ 119:81 შსს**

30:14 31:17 31:20 27:30

ნტდ: ჩიტაშვილი (24), ნუცუბალიევი (12), ფაშაევი (18), სუხიშვილი (9), როდუმტა (2); ბახშიევი (17), ათუაშვილი (12), სარიევი (9), ტეტელაშვილი (8), კოლუაშვილი (8), გლოველი, დ. ბარბაქაძე

შსს: ბ. ნოზაძე (11), ბერუაშვილი, გოლეთიანი (17), ბაქრაძე (7), აბულაძე (2); შენგელია (22 ქულა, 17 მოხსნა), ნინუა (13), პატარაია (7), ბერაია (2), ფაიქრიძე, მიქაბერიძე

*მსაჯები: მაკა კუპატაძე, ზაზა მაჩალაძე*

*კომისარი: როლანდ გელოვანი*

**სასოფლო 81:74 თსუ**

19:20 18:23 15:13 29:18

სასოფლო: წივწივაძე (18), მარხვაშვილი (19), გულისაბედაშვილი (12), მ. ბერიშვილი (2), ათანელიშვილი (9); ტყეშელაშვილი (10), გ. ბარბაქაძე (9), ბოქოლიშვილი (2), ყველაშვილი

თსუ: გაფრინდაშვილი (2), კოხრეიძე (6 ქულა, 11 მოხსნა), ხეცურიანი (19), მარკოიშვილი (10), ახალკაცი (14); ფანჩულიძე (12), ლობაბერიძე (5), შანიძე (4), კუჭავა (2)

*მსაჯები: მაკა კუპატაძე, ხათუნა გაბედავა*

*კომისარი: მურმან ქურიძე*

## ქართული ლეგიონი გასულ კვირაში



ვიქტორ სანიკიძე (№13)

# სანიკიძემ ესტონეთს გადაუფრინა

**ამერიკელმა** ალ ჰორფორდმა ტრავმა მოირჩინა და ჯორჯიელთა ხუთეულში კუთვნილი ადგილი დაიბრუნა. შესაბამისად, ზაზა ფაჩულია მატჩის დაწყებას სათადარიგოთა სკამზე ხვდება და მერელა შედის.

ვერ ვიტყვით, რომ ჰორფორდი დაფრინავს და მეტოქეს შიშის ზარს სცემს, მაგრამ ასე თუ ისე, ძირითადის მოთამაშედ ის ითვლება. ოღონდ ისიც ვთქვათ, რომ მას ტრავმამ დაატყო ხელი და სწორედ ამის გამო ველარ არის ისეთი ყოჩაღი, როგორც ადრე.

თუმცა ზაზას მწვრთნელები მაინც საკმაოდ მსუყე დროს აძლევენ სათამაშოდ. ასე მაგალითად, ქართველმა ცენტრმა „მინესოტასთან" 94:86 მოგებულ მატჩში 23 წუთი გაატარა მოედანზე და 8 ქულა, 5 მოხსნა, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მოაგროვა.

ფაჩულიამ უფრო უკეთ ითამაშა „შარლოტთან". „ატლანტამ" 102:97 მოიგო. ქართველს ორმაგ დუბლამდე 2 მოხსნა დააკლდა. 25 წუთში 10 ქულა, 8 მოხსნა, 2 ჩაჭრა და 1 პასი გაშანსა.

წინა კვირის მესამე მატჩში „ატლანტამ" „კლიპერსთან" 97:121 წააგო. ზაზამ 21 წუთი ითამაშა და 12 ქულა და 4 მოხსნა მიითვალა.

ესპანეთში ხელი გამოიღო ნიკოლოზ ცქიტიშვილმა. მისმა „ფუენლაბრადამ" 103:80 მიანგრია „სარაგოსა". „სკიტამ" ძირითადში დაიწყო და 22 წუთში 14 ქულას, 1 მოხსნას და 1 პასს გამორჩა. ქართველის გუნდმა მე-8 ადგილზე აინაცვლა.

ტაისონ ელისის „კახასოლი" კი ცხრილის ფსკერზეა და ცალი თვალით ქვედა ლიგას უცქერის. „კახასოლმა" 20 ტურში მეთოხე გამარჯვება მოიპოვა. დალხენილად არც ვლადიმერ ბოისას „კოვამენორკაა". ვოვას გუნდმა 84:94 წააგო „მურსიასთან". ჩვენებური 15 წუთში 3 ქულას და 2 მოხსნას დასჯერდა.

ესტონეთში ვერ აჩერებენ ვიქტორ სანიკიძეს. „როკერებმა" ჩემპიონატში „კურემია" გამოიჭირეს — 100:56. სანიკიძემ 23 წუთში 22 ქულა, 11 მოხსნა და 7 დაფარება მოაგროვა. კარგად ითამაშა გიორგი ცინცაძემაც 24 წუთში 11 ქულას, 5 მოხსნას და 4 პასს მოუყარა თავი.

„ტარტუ როკმა" კიდევ ერთი მატჩი მოიგო, ტტუ 96:66 დაამარცხა. ჩვენები ძირითადში იყვნენ და ორივემ 29 წუთი ითამაშა.

ვიქტორმა 22 ქულა, 4 მოხსნა, 5 პასი, 3 ჩაჭრა და 2 დაფარება გააკეთა. გიორგის მონაგარი 9 ქულა, 2 პასი, 1 მოხსნა და 1 ჩაჭრა იყო.

ევროჩელენჯის G ჯგუფში „ბკ კიევმა" მეორე თამაშიც მოიგო და ცხრილის თავში მოექცა. უკრაინელებმა „გალათასარაი" ,95:62 დაამარცხეს. მანუჩარ მარკოიშვილი ძირითადში იყო და 33 წუთში 14 ქულა, 5 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა გაჩარხა.

მარკოიშვილის გუნდს ევროჩელენჯისგან განსხვავებით ჩემპიონატში გაუჭირდა. მესამეადგილოსან „დონეცკს" წვალებით, 81:80 მოუგო.

მანუჩარი 19 წუთში 10 ქულას, 3 მოხსნას, 1 ჩაჭრას და 1 პასს გამორჩა. კიეველებს 17 მოგება აქვთ და პირველ ადგილზე არიან.

**ნიკა კოპაძე**



# პაპინაშვილმა პარიზი მოვერცხლა

**გასულ** უქმეებზე საფრანგეთში ძიუდოისტებმა უპრესტიჟულეს პარიზის ტურნირზე იჭიდავეს. ფრანგულ ტატამზე 49 ქვეყნის ორასზე მეტმა ძიუდოისტმა მოიყარა თავი. წამყვანმა ქვეყნებმა უძლიერესი შემადგენლობები იახლეს. საქართველოს ნაკრები თბილისის მსოფლიოს თასზე კარგი გამოსვლის შემდეგ პარიზში 12 ძიუდოისტით ჩავიდა, მაგრამ ტატამზე ყველა არ გასულა.

**60 კგ**

ამირან პაპინაშვილს თბილისური მსოფლიოს თასის მოგების შემდეგ მადა გაეხსნა და პარიზშიც ყოჩაღად იჭიდავა — პირველ წრეში იაპონელ კიხეი აკიმოტოს იპონით აჯობა. მეორე წრეში საკმაოდ ძლიერი მონღოლი ბოლდბაატარი იუკოთი დაამარცხა და მეოთხედფინალში უზბეკ რიშოდ საბიროვზე გავიდა. აქ ამირანმა ჯერ იუკო და ვაზარი აილო, მერე კი იპონიც მიაყოლა და ნახევარფინალში ავსტრიელი ლუდვიგ პაიშერის პირისპირ დადგა. ქართველმა გამოცდილ მეტოქესთანაც კარგად იჭიდავა, იუკო აუღო და ფინალში გავიდა. იქ კი ფრანგ დიმიტრი დრაგინთან წააგო. მეტოქეებმა თითო ვაზარი გაცვალეს, თუმცა ფრანგმა ერთი იუკოც აილო და ჩემპიონიც ის გახდა. ამ წონაში კიდევ ერთმა ქართველმა ლევან ჩუბინიძემ სამხრეთკორეელ ჰეონ გვანგ ჩოისთან ვაზარით წააგო...

**66 კგ**

თბილისის მსოფლიოს თასის ფინალისტმა ნესტორ ხერგიანმა პარიზში პირველივე შეხვედრა წააგო — კუბელ რონალ ჟირონესთან იუკოთი დამარცხდა და ტურნირს დაემშვიდობა. ამ წონაში სხვა ძიუდოისტი არ გვყოლია.

**73 კგ**

აქ თენგიზ პაპოშვილი ჭიდაობდა. საქართველოს მოქმედმა ჩემპიონმა და თბილისის მსოფლიოს თასის ბრინჯაოს მედალოსანმა პირველივე შეხვედრა ჰოლანდიელ მაარტენ ვან ლიემპთან ორი ვაზარით წააგო და ტურნირს გამოეთიშა.

**81 კგ**

ლევან წიკლაურმა კოტდიუვარელ რომეო კონაპი კონეს იპონით აჯობა. ფრანგ აქსელ გლერგეტისთან კი ასევე სუფთად წააგო. გიორგი ბაინდურაშვილი კორეელ დაე-მან სონთან დამარცხდა.

**90 კგ**

თბილისის მერე ვარლამ ლიპარტელიანის პარიზშიც გვეიმედებოდა, მაგრამ სამწუხაროდ, ვარლამი უმედლოდ დაგვირჩა. ბრაზილიელ ჰუგო პესანას 2 ვაზარი აულო, მერე მასპინძელი ვინსენტ მასიმინო დაჩაგრა 1 ვაზარით და 1 იუკოთი, მაგრამ იაპონელ ტაკაში ონოსთან ჰანტეითი დამარცხდა.

**100 კგ**

ნოდარ მეტრეველმა კანადელ სკოტ ედვარდს 2 ვაზარით მოუგო, მერე კი იაპონელ ტაკამარა ენეისთან სუფთად დამარცხდა.

**+100 კგ**

თბილისის მსოფლიოს თასის მომგებმა ადამ ოქრუაშვილმა პარიზში ერთხელ იჭიდავა, ესპანელ ანგელ პარასასთან იპონით წააგო.



ამირან პაპინაშვილი

ნუგზარ სუსიაშვილის ფოტო

# მატერაციმ სანი გაძარცვა



**მარკო მატერაციმ** გაზეთ „სანს" სასამართლო დავა მოუგო. მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ფინალში ზიდანმა მატერაცის თავი რომ დაჰკრა, „სანმა" დაწერა, იტალიელმა ფრანგი რასისტული ნათქვამით შეურაცხყოო. გაზეთის ვერსიით, იტალიელმა ფრანგს მეძავი ტერორისტის შვილი უწოდა, მაგრამ მოგვიანებით გაირკვა, რომ ასე არ ყოფილა.

„სანმა" ბოდიში მოიხადა, თუმც „ინტერის" მცველმა ეს არ იკმარა და უჩივლა. ამბავი კი იმით დასრულდა, რომ სანელებმა მატერაცის რამდენიმე ასეული ათასი ევრო გადაუხადეს.

ასეთივე სასამართლო პროცესებით იტალიელმა ფეხბურთელმა შარშან „დეილი მეილს" და „დეილი სტარსაც" გადააზღევინა ფული.

**გაგა ხუციშვილი**

# ჩემს სახლში ყოფილხარ?



ჟოზე მოურინიუ

**ჟოზე მოურინიუმ** თქვა, ზლატან იბრაჰიმოვიჩი კრიშტიანუ რონალდუს ჯობიაო, რაც მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს უპასუხოდ არ დაუტოვებია. „მანჩესტერი" და „ინტერი" ერთმანეთს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში ხვდებიან და ჩანს, მოურინიუს ნათქვამიც მორიგი ილეთია მეტოქის ნერვების მოსაშლელად.

„ყველას აზრს პატივს ვცემ, მაგრამ ნება მიბოძეთ, „ინტერის" მწვრთნელს ვუთხრა, რომ ფიფას ჯილდო, „ოქროს ბურთი" და ჩემპიონთა ლიგის მედალი ჩემს სახლშია და არა იბრაჰიმოვიჩის — ბრძანა მანჩესტერელმა — მოურინიუს კარგი „ინტერი" ჰყავს, თუმც ჩვენი გუნდი გაცილებით ძლიერია და ამაზე ორი აზრი არ არსებობს".

პირველი მატჩი 24 თებერვალს მილანში გაიმართება, საპასუხო კი 11 მარტს მანჩესტერში.

# ფოლადისმჭამელი

**სოფიის** ცსკა-ს პრეზიდენტი ალექსანდარ ტომოვი ფულის მითვისებასა და საბუთების გაყალბებაშია ეჭვმიტანილი.

ტომოვმა და მისმა სამმა დამქაშმა კლუბის და ფოლადის ქარხანა „კრემიკოვცის" კუთვნილი 36 მილიონი ევრო სათავისოდ მიითვალა.

ქარხნის ყოფილ დირექტორს, 54 წლის პრეზიდენტს, დამქაშებიანად 20-წლიანი პატიმრობა ემუქრება.

შარშან ცსკა უეფამ ევროთასეზე არ დაუშვა, რადგან კლუბს ქვეყნის ბიუჯეტის დიდი ვალი ჰქონდა და ლიცენზია ვერ მიიღო.

ამჟამად გუნდი ჩემპიონატში მეორე ადგილზეა და „ლევსკის" ერთი ქულით ჩამორჩება.

ბულგარეთში კლუბის პრეზიდენტობა ხათაბალა საქმეა და ხშირად დაპატიმრებით ან მკვლელობით მთავრდება-ხოლმე.

2003-ში ცსკა-ს და „ჩერნო მორეს" ყოფილი პატრონი მოკლეს. ორი წლის მერე „ლოკომოტივის" პრეზიდენტი ნიკოლაი პოპოვი დაცხრილეს, მის შემცვლელ გეორგი ილიევს კი ექვსი თვის მერე სნაიპერმა ტყვია დაახალა.

ილიევის შემდეგ გაპრეზიდენტებული ალექსანდრ ტასევი საკუთარ „მერსედესში" შუბლგახვრეტილი ნახეს.

# მარადონამ რიკელმე შეინახა



**არგენტინის** ნაკრების მწვრთნელმა დიეგო მარადონამ საფრანგეთთან ამხანაგური მატჩისთვის 25 ფეხბურთელი გამოიძახა. მათ შორის ხუთი — არგენტინის ჩემპიონატიდან.

სიაში არ არიან ბოკახუნიორსელი რომან რიკელმე და სებასტიან ბატალია.

„ბოკა ხუნიორსი" კლაუსურასთვის ემზადებოდა (ამ უქმეებზე დაიწყო) და მარადონამ ფეხბურთელები კლუბს დაუტოვა.

ხუთი ფეხბურთელი ნაკრების მწვრთნელ-ექიმებთან ერთად პარიზში კვირას, 8 თებერვალს ჩაფრინდა, ორშაბათს კი მარსელში გაემგზავრა, სადაც საფრანგეთს ამხანაგურად 11-ში შეხვდება. ევროპელი ლეგიონერები გუნდს მარსელში შეუერთდნენ.

„მე თითქმის იდეალური ნაკრები მყავს. ასეთ შემადგენლობას ნებისმიერი მწვრთნელი ინატრებდა" — თქვა არმანდო მარადონამ — „ვინც ფრანგებთან იქნება, დაახლოებით იმავე გუნდით ვითამაშებთ მარტში, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში, ვენესუელას და ბოლივიის წინააღმდეგ".

*მეკარეები: ხუან პაბლო კარისო (ლაციო, იტალია), სერხიო რომერო (ალკმაარი, ჰოლანდია);*

*მცველები: ხავიერ ძანეტი, ნიკოლა ბურდისო, ვალტერ სამუელი (ინტერი, იტალია), მარტინ დემიკელისი (ბაიერნი, გერმანია), გაბრიელ ჰაინცე (რეალი, ესპანეთი), დანიელ დიასი (ხეტაფე, ესპანეთი), ემილიანო პაპა (ველეს სარსფილდი), მარკოს ანგელერი (ესტუდიანტესი);*

*ნახევარმცველები: ხავიერ მასკერანო (ლივერპული, ინგლისი), ფერნანდო გაგო (რეალი, ესპანეთი), მასიმილიანო როდრიგესი (ატლეტიკო, ესპანეთი), ხონას გუტიერესი (ნიუკასლი, ინგლისი), ლუის გონსალესი (პორტუ, პორტუგალია), კრისტიან ლედესმა (სან ლორენსო), დანიელ მონტენეგრო (ინდეპენდიენტე), ხუან სებასტიან ვერონი (ესტუდიანტესი);*

*თავდამსხმელები: ესეკიელ ლავეცი, ხერმან დენისი (ნაპოლი, იტალია), ლიონელ მესი (ბარსელონა, ესპანეთი), სერხიო აგუერო (ატლეტიკო, ესპანეთი), კარლოს ტევესი (მანჩესტერი, ინგლისი), ანხელ დი მარია (ბენფიკა, პორტუგალია).*

# დაააპატიმრეთ

Original heading is printed as:

# დააარტყა!

**„მანჩესტერ სიტის"** ფეხბურთელებმა ასე თუ გააგრძელეს, ციხეში მოუწევთ ბურთის დევნა.

ჯერ ხომ ძალადობაში ეჭვმიტანილი რობინო დაიბარეს პოლიციაში და დაკითხეს, ახლა მაიკა რიჩარდსის რიგი მოვიდა.

სიტელ მცველს 18 წლის ბიჭის ცემას აბრალებენ. სხეულის განზრახ დაზიანება ხუთ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

„სანი" წერს, რომ 24 დეკემბერს ღამის კლუბიდან გამოსულ ფეხბურთელს ტაქსის რიგში მდგომი ბიჭისთვის სახეში დაურტყამს. რიჩარდსი გასულ კვირაში დაკითხა პოლიციამ და როგორც რობინიო, თავდებით გაუშვა.

„სიტის" მწვრთნელ მარკ ჰიუზს პრობლემები არ ელევა. ამ ორი მოთამაშის ამბავს ისიც დაემატა, რომ მცველმა მაიკლ ჯონსონმა კაზინოში სიარულს მოუხშირა და ჰიუზი სათამაშო სახლიდან მის გამოთრევას ცდილობს.



მაიკა რიჩარდსი

გარდა ამისა, ბრაზილიელ ნახევარმცველ ელანოს მწვრთნელი საჯაროდ გაუკრიტიკებია და „სიტის" თავკაცთან ურთიერთობა წაუხდა.

**ირაკლი ნინიძე**

# ჰოლანდიას ესპანური სკამი ადარდებს



**ჰოლანდიის** ნაკრების მწვრთნელის ბერტ ვან მარვიიკის სადარდებელი ისაა, რომ კლაას იან ჰუნტელაარი და რაფაელ ვან დერ ვაარტი მადრიდის „რეალის" სათადარიგოთა სკამზე სხედან.

„არ მომწონს, რომ ჩემი ნაკრების ფეხბურთელები ყოველ ტურში არ თამაშობენ და პრაქტიკა აკლიათ. ეს ახლა პრობლემა არაა, მაგრამ ასე თუ გაგრძელდა, ძალიან ცუდი იქნება"— თქვა მწვრთნელმა ტუნისთან გასვლითი ამხანაგური მატჩის წინ.

ვან დერ ვაარტს დეკემბრის შემდეგ ძირითად შემადგენლობაში არ უთამაშია, ჰუნტელაარის დებიუტი კი „რეალში" 4 იანვარს შედგა და მას აქეთ ოთხჯერ შეცვლაზე შევიდა.

ვან მარვიიკმა ნაკრებში პირველად უხმო „ტვენტეს" მცველს ედსონ ბრააფჰეიდს და აიაქსელ გრეგორი ვან დერ ვიელს.

*მეკარეები: მაარტენ სტეკელენბურგი (აიაქსი), ჰენკ ტიმერი (ფეიენოორდი),*

*მცველები: ჯონ ჰეიტინგა (ატლეტიკო, ესპანეთი), იორის მატიისენი (ჰამბურგი, გერმანია), დირკ მარსელისი (პსვ), ანდრე ოიერი (ბლექბერნი, ინგლისი), ედსონ ბრააფჰეიდი (ტვენტე), გრეგორი ვან დერ ვიელი (აიაქსი);*

*ნახევარმცველები: დემი დე ზეუვი, სტინ შაარსი, დავიდ მენდეს და სილვა (ალკმაარი), უესლი სნეიდერი, რაფაელ ვან დერ ვაარტი (რეალი, ესპანეთი), იბრაჰიმ აფელაი (პსვ), მარკ ვან ბომელი (ბაიერნი, გერმანია), ნაიჯელ დე იონგი (სიტი, ინგლისი);*

*თავდამსხმელები: კლაას იან ჰუნტელაარი, არიენ რობენი (რეალი, ესპანეთი), დირკ კაიტი, რაიან ბაბელი (ლივერპული, ინგლისი), რობინ ვან პერსი (არსენალი, ინგლისი).*

# ფიფას 11 მსოფლიო

**მსოფლიოს** 2018 და 2022 წლების ჩემპიონატების მასპინძლობის მსურველთა განაცხადებების მიღება დასრულდა. ფიფას 11 კანდიდატი ჰყავს: ავსტრალია, ბელგია-ჰოლანდია, ინგლისი, ინდონეზია, იაპონია, სამხრეთ კორეა, მექსიკა, ყატარი, რუსეთი, ესპანეთ-პორტუგალია და აშშ.

„სასიხარულოა, რომ ამდენ ქვეყანას სურს მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა" — თქვა ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა.

ფიფელებმა განაცხადეს, რომ ეგვიპტესაც უნდოდა კანდიდატებში გარევა, მაგრამ ეგვიპტის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბრძანა, არც გვიფიქრიაო.

ფიფას პრესმდივანმა კი საპასუხოდ ქაღალდები დაალაგა: „ჯერ მოგვწერეს, რომ მასპინძლობა სურთ, მეორე დღეს კი განაცხადი უკან წაიღეს".

2018 და 2022 წლის ჩემპიონატების მასპინძელ ქვეყნებს გაისად დეკემბერში დაასახელებენ.

# მინდა, ვიყო გეი



ვიქტორია ადამსი და ჯორჯო არმანი

**ვიქტორია ადამსმა** ფრიად უცნაური რამ თქვა: ჰომოსექსუალისტები ძალიან მომწონან და მათთან სიამოვნებით ვმეგობრობო.

„ეს არასოდეს დამიმალავს — უთხრა ვიქტორიამ Vanity Fair-ს ინტერვიუში — ვგრძნობ, რომ ჩემში გეი ცხოვრობს, რომელსაც გარეთ სურს გამოღწევა."

სანამ ვიქტორია ადამსი ასეთნაირად მსჯელობს, მისი ქმარი, დევიდ ბექჰემი დუბაიში ბინის შეძენით არის დაკავებული. ამ ბინის დიზაინს კი ბექჰემს თვით ჯორჯო არმანი უკეთებს.

შეგახსენებთ, რომ დევიდი და ვიქტორია ამასწინათ არმანის ქვედა საცვლების რეკლამაში მოხვდნენ და დიზაინერისა და წყვილის ურთიერთობა იქიდან დაიწყო.




# ტევესს სიშავე დაუწუნეს

**პარასკევს** კარლოს ტევესის „ბენთლი" პოლიციამ გააჩერა და პატრონი ჩამოსვა. საქმე ის გახლდათ, რომ მანქანას მინები მეტისმეტად ჰქონდა ჩამუქებული, რაც ბრიტანული კანონებით აკრძალულია.

საქართველოში ეს ამბავი ვგებ ამით დამთავრებულიყო: ტევესი ვარ, ძმაო, ვერ მიცანი — ეთქვა ფეხბურთელს და გაეშვათ, მაგრამ სადაც ეს ამბავი მოხდა, ცოტა „უცნაური" პოლიციელები არიან და „მანჩესტერის" თავდამსხმელი უმანქანოდ დატოვეს — წასაყვანად ევაკუატორს გამოუძახეს.

თავად ტევესმა კი პატრის ევრას გამოუძახა, მისი „ბენთლით" განაგრძო გზა და ვარჯიშის დაწყებას დროულად მიუსწრო.

„სანი" იუწყება, რომ დაეგვიანა, ვინ იცის, როგორი რეაქცია ექნებოდა ალექს ფერგიუსონს, ვისაც კარლოს ტევესთან მაინცდამაინც შეხმატკბილებული დამოკიდებულება არ აქვსო.

# რჩევა მკერდის გადიდებისას რომანი კოულის ცოლისგან

**„ლივერპულის"** კაპიტნის სტივენ ჯერარდის მეუღლე ალექს კარენი გოგონებს აფრთხილებს: ჩემი შეცდომა არ დაუშვათ და მკერდი არ გაიდიდოთო.

„18 წლის ვიყავი, მკერდი რომ გავიდიდე და მას მერე დისკომფორტს ვგრძნობ. ელემენტარულად, ტანსაცმლის შერჩევა მიჭირს — დაიჩივლა ალექსმა — ამიტომ გოგონებს ვურჩევ, არ იჩქარონ. თუ მაინც აქვთ ოპერაციის გაკეთების სურვილი, ჯერ ბავშვები გააჩინონ და მკერდს მერე მიხედონ."

ჩელსელი ეშლი კოულის ცოლმა შერილმა კი რომანების წერა გადაწყვიტა. Girls Aloud-ის სოლისტმა ქალებისთვის განკუთვნილი მოდური რომანების დაწერის საფასურად მავანი გამომცემლობისგან 5-მილიონიანი შეკვეთა მიიღო და ასეთ ფულად, წერა-კითხვა რომც არ იცოდეს, მაინც დაწერს. თანაც რედაქტორთა მთელი ამალა მოემსახურება.

ასე რომ, წერეთ და იკითხეთ...



ალექს კარენი

# ადრიან მუტუ და გამოცდილება

**რუმინელმა** პორნოვარსკვლავმა ლაურა ანდრეშანმა აღიარა, მე და ერთ ჩემს დაქალს დიდებული ჯგუფური სექსი გვქონდა ადრიან მუტუსთანო.

„ადრიანი საწოლში გამოუცდელია — შეარცხვინა ლაურამ „ფიორენტინას" ვარსკვლავი — თუმცა მე მაინც მომეწონა."

ლაურა ანდრეშანმა იმითაც გაითქვა სახელი, რომ რუმინეთის ნაკრების ლამის ყველა ფეხბურთელთანაა ლოგინში ჩაგორებული.

იმედია, გამოუცდელი მუტუც კმაყოფილი დარჩა.



# ვინ, თუ არა რონალდუ



**ამბობენ,** ულტრაიისფერი სხივები ბალახის ზრდას უწყობს ხელსო. ალბათ, ასეა, რაკილა „ოლდ ტრეფორდზე" გაზონის მოვლისას ულტრაიისფერ დასხივებასაც იყენებენ.

და რაკი ამ ტიპის გამოსხივება სხეულის გარუჯვასაც უწყობს ხელს, „მანჩესტერ იუნაიტედის" მავან ფეხბურთელსაც უსარგებლია და ზედ მოედანზე გაშოტილა.

სტადიონის ტექნიკური სამსახურის თანამშრომელი, ვისგანაც ეს ამბავი გასკდა, ფეხბურთელის ვინაობას არ ამხელს, თუმცა ინგლისური გაზეთები წერენ, ვინ იქნება, თუ არა კრიშტიანუ რონალდუო.

# უეფა მიკროსკოპში

**სანკტ პეტერბურგში** ერთი ასეთი მუზეუმიცაა: მიკრომინიატურების მუზეუმი „რუსი ცაცია". ახლო მომავალში ამ კერძო მუზეუმში უეფას თასის 2 მილიმეტრი სიმაღლის ანალოგი გამოიფინება — მოგეხსენებათ, უეფას თასის ახლანდელი მფლობელი სწორედ ამ ქალაქის „ზენიტია".

„გვსურდა, მუზეუმში რაიმე ისეთი ექსპონატი გვქონოდა, რაც „ზენიტთან" იქნებოდა დაკავშირებული — თქვა მუზეუმის წარმომადგენელმა — როცა „ზენიტმა" უეფას თასი მოიგო, საკითხავი აღარც იყო, თუ რა ექსპონატი დაუკავშირდებოდა ამ კლუბის სახელს."

თავდაპირველად თასის ვერცხლისგან დამზადება სურდათ, მაგრამ 2-მილიმეტრიანი ვერცხლის თასი მოსავლელად ძნელიაო და, კალასგან დაამზადეს.

ექსპონატი მარტში გამოიფინება.



# ნადირობა სანტაკროჩეზე

**„ნაპოლის"** ახალგაზრდა ფეხბურთელ ფაბიანო სანტაკროჩეს სიხარულისთვის ერთბაშად რამდენიმე მიზეზი აქვს. ბრაზილიური ფესვების მქონე მცველს ჯერ „ახალი ნესტა" შეარქვეს, მერე „სკუადრა აძურაში" მიიწვიეს, „იუვენტუსმა" დაადგა თვალი და როგორც ხდება ხოლმე, წარმატებულ ფეხბურთელზე „ნადირობის" სეზონიც გაიხსნა.

„ნადირობა" ბარბარა პერტილიოს გამარჯვებით დასრულდა, ვინაც მოდელია და ტელესერიალებში თამაშობს.

ბარბარა და სანტაკროჩე პირველად სენ პოლში შენიშნეს ერთად, „ნაპოლისა" და „უდინეზეს" (2:2) ამასწინანდელი მატჩის მერე.



# არშავინის ტრანსფერი ჟირინოვსკიმ გაარჩია



ვლადიმირ ჟირინოვსკი

**„არ ხარ** მართალი, ანდრეი, რატომ მიეყიდე ინგლისურ კლუბს? — ასე იწყება ვლადიმირ ჟირინოვსკის დამრიგებლური მიმართვა „ზენიტიდან“ „არსენალში“ გადაბარგებული არშავინისადმი — ინგლისისგან ჩვენ ზარალის მეტი არაფერი გვახსოვს. მთელ მსოფლიოში რევოლუციების მოთავეები ინგლისელები არიან და ამ ქვეყანაში იმალებიან რუსული ფულით გამდიდრებული ოლიგარქები.

„ზენიტში“ თამაში თუ მოგწყინდა, ხომ შეიძლებოდა, „სპარტაკში“, „დინამოში“ ან „ლოკომოტივში“ გადასულიყავი?“

რუსული ლიბერალ-დემოკრატიის მამა არშავინს ჭკუას რომ არიგებდა, 17 მილიონ გირვანქად გაყიდული ფეხბურთელი უკვე ლონდონში იყო და ბრიტანულ გაზეთებს ესაუბრებოდა.

„დეილი მეილისთან“ არშავინმა ბავშვობა გაიხსენა:

„ერთხელ მანქანამ დამარტყა და ათი მეტრი ვიფრინე. ახლაც ვერ ვხვდები, როგორ გადავრჩი ცოცხალი“.

ქალებზე კი თქვა: „მომწონს ვიწროთეძოიანი ქალები პატარა უკანალით. მკერდის ზომას და თმის ფერს დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

არ მომწონს ქალი საჭესთან. ჩემი ნება რომ იყოს, ყველას ჩამოვართმევდი მართვის უფლებას“.

ეს იმიტომ, რომ ავტომობილს, რომელიც დაეჯახა, ქალი მართავდა.

ანდრეი არშავინს ჰყავს ცოლი და ორი შვილი.

ცოცქალიზაცორი

# 1X2 ამფსონეზი

სათამაშო სახლში ყურმოკრული

კოდი წყვილი შედეგი კოეფ-ტი სისტ

(რუბრიკის სპონსორია სკოლარის ულვაში)

— დვა ნოლს რო იგებ ყველაზე საშინელ „კარლსრუესთან“, ტრი დვა რატო უნდა წააგო, ტო!

— „ჰამბურგი“ ჩააქსოვე პატიოსან ბილეთში? რამ ჩაგაწერინა... ჰამბურგერივით კუში დაინახე და ავარდი არა? შენ მარტინ იოლი ტრენერი ხო არა გგონია, ძმაო. მამენტ, იოლი მე ნაყინი გამიგია. აბა, კაცი რო ნაყინის მოგებაზე დადგები...

— ვა! „ბაიერნს“ მოუგო ტოო და „კარლსრუე“ რაღა პონტია...

— იმენა ეგ პონტია, რო „ბაიერნის“ მერე დაბოლილი ხარ მთელი კვირა და მაგ ჰამბურგერივით თავში „ჰამბურგი“ გიტრიალებს. ეგ არი.

შენ ვაფშე იცი, მეცნიერებმა რა დაადგინეს? ტურებს შორის პრაბელი ერთკვირიანი რატოა, წვავ? ვერა?

იმიტო რო, ერთი კვირის განმავლობაში მოქმედებს ტვინზე წინა ტურის შედეგები. ქიმიაა, რა!

— პროსტაამც, რა ქიმია, კოლბა და სინჯარა უნდა იმას, რო „ჩელსიმ“ „ჰალს“ და „მილანმა“ „რეჯინას“ და „ჰამბურგმა“ „კარლსრუეს“ უნდა მოუგოს, ტო!

— ჰოო, კოლბაზე გამახსენდა, კაკა რატო არ გაყიდა ბერლუსკონიმ, ვერ ხვდები? ეგ არი, ძმაო, ეგა, გაიგე?

რამდენს ტენიდნენ არაბები? 100 მილიონს არა? რა ტაიმბოლად უნდა მაგათი ნავთიანი ფულები.

აგე, „რეჯინასთან“ კაკამ საყვარელი ნიჩია ნიჭიერად დაუსვა. ცვეტში ისპალნიტელია და იმიტო არ გაუშვა ბრიოლინიანმა სილვიომ „სიტიში“.

აბა, ვინა ჭამს იმას, რო „მილანმა“ „რეჯინა“ თამაშით ვერ დაჩაგრა. ნაყომარები ნიჩიაა და მაგ იქსზე ბერლუსკონიმ იმდენი მაყუთი მოიგო, რო მაგ შენ შეიხებს თავის ჭაბურღილებიანად იყიდის და ხურდაში აქლემებიც მოუვა.

— ვაა, აბა რაღა დავწერო, ტო! მესამე კვირაა შავ პალასაზე ვარ, ნეტა, მკითხავთან ხო არ მივიდე, ჰა?

— არა, ძმაო, არ გირჩევ...

— ვითომ, რატო, რო?

— იმიტო, რო მაგათაც ძაან დაუწიეს კუშებს და თან ტეხავენ.

**ძუში ძოწმარია**

ჩემი წაგებული ბილეთი:

| | წყვილი | შედეგი | |
|---|---|---|---|
| 001 | ჩელსი—ჰალი | 2 | (0:0) |
| 002 | მილანი—რეჯინა | 2 | (1:1) |
| 003 | პსვ— დენ ჰააგი | X2 | (6:0) |

მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ, მართლა მუშაობენ თუ არა მეცნიერები კუშების ახალი ჯიშის გამოყვანაზე.

114140 *



# კაკა იახტაა თუ თვითმფრინავი?

## მიშელ პლატინიმ შეიხს ყვითელი ბარათი აჩვენა

**უეფას** პრეზიდენტი მიშელ პლატინი ტოპ-კლუბების სატრანსფერო პოლიტიკის გაკონტროლებას აპირებს, რადგან „სიტის“ მიერ 100 მილიონ ევროდ კაკას ყიდვის მცდელობამ აანერვიულა.

პრეზიდენტის მრჩევლები ახლა მუშაობენ პროექტზე, რომლის მიზანიცაა, ჩემპიონთა და ევროპის ლიგის (ყოფილი უეფას თასი) მონაწილეთა ფინანსურად თანაბარ პირობებში ჩაყენება.

„თუ ვინმეს იახტის ან თვითმფრინავის ყიდვა სურს 100 მილიონად, ეს გასაგებია, მაგრამ როგორ შეიძლება, რომ ერთი ფეხბურთელი 100 მილიონი ღირდეს? ეს ხომ საშინელებაა სოციალური, ფინანსური თუ საფეხბურთო თვალსაზრისით?! პოლიტიკა უფრო გამჭვირვალე და სამართლიანი უნდა იყოს. ასობით მილიონის გადახდა მოთამაშეში, ფეხბურთის პოპულარობას ავნებს.

მაგალითად, რა უშლის ხელს „სიტის“, რომ ფული საფეხბურთო აკადემიას დაახარჯოს და კაკასნაირები გაზარდოს?

მერე აღარ დასჭირდება 100 მილიონის გაღება, რადგან თავად ეყოლება მაღალი კლასის ფეხბურთელები“.

მიშელ პლატინიმ ბრძანა, რომ თუ „მანჩესტერ სიტის“ არაბი შეიხები მილიონების გაფანტვას გააგრძელებენ, შესაძლოა, ევროთასებიდან მოკვეთონ და მათ ნაცვლად სხვა კლუბი დაუშვან, რომელიც უეფას წესებს დაიცავს.

პრეზიდენტის წინადადებას მარტში უეფას სტრატეგიულ საკითხთა კომიტეტი განიხილავს, რომელშიც ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ლიგების და ფედერაციების წარმომადგენლები და ფეხბურთელებიც შედიან. პროექტი არ შეეხება შინაურ ჩემპიონატებს და მხოლოდ ევროთასებზეა გათვლილი.

ახალი პროექტით, კლუბებს არ ექნებათ წლიურ შემოსავალზე მეტი თანხის დახარჯვის უფლება. მოთამაშეთა ჯამაგირებზეც ზედა ზღვარის დაწესებას აპირებენ და განაცხადში შეყვანილ ფეხბურთელთა რაოდენობის 40-დან 25-მდე დაწევასაც. დღეს ეს მხოლოდ იდეაა და კომიტეტი მარტში იმსჯელებს.

პლატინის აზრით, ფეხბურთელთა სამთვიანი განათხოვრებაც უნდა აიკრძალოს და მაგალითად, „მილანში“ დევიდ ბექჰემის გადასვლა მოიყვანა. მიაჩნია, რომ განათხოვრების ვადა ერთ წელზე ნაკლები არ უნდა იყოს.

ასევე, პრეზიდენტი წინააღმდეგია, რომ ერთმა ფეხბურთელმა სეზონის განმავლობაში, ერთსა და იმავე ჩემპიონატში, ან ევროტურნირში ორ სხვადასხვა კლუბში ითამაშოს.

**როგან თურქია**

# ტოშაკობა გრძელდება



**უელსის** ნაკრების მწვრთნელმა ჯონ ტოშაკმა კონტრაქტი ორი წლით გაახანგრძლივა. მისი ხელშეკრულება შემოდგომაზე იწურებოდა, მაგრამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ტოშაკს გარჯა დაუფასა და ევრო 2012-ის შესარჩევის ბოლომდე დატოვა.

„მოხარულები ვართ, რომ ჯონ ტოშაკი ნაკრებში კიდევ ორი წლით დარჩება“ — ნათქვამია ფედერაციის ოფიციალურ განცხადებაში.

ტოშაკმა გუნდი 2004-ში ჩაიბარა. მის ხელში 40 მატჩი ითამაშეს, 17 მოიგეს, რვა ფრედ დაასრულეს და დანარჩენი წააგეს.

უელსელები დიდ სანაკრებო ტურნირზე 1958 წლის მერე არ ყოფილან. მაშინ მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშეს.

**ირაკლი ნინიძე**

# ესპანეთი

## პრიმერადივიზიონი. XXII ტური

# 17 წლის მარტა გაქრა

**რეალი 1:0 რასინგი**

1:0 იგუაინი (49)
**რეალი:** კასილიასი, რამოსი, კანავარო, პეპე, ჰაინცე, ლ. დიარა, სნეიდერი (ხავი გარსია 71), რობენი (დრენტე 60), ვან დერ ვაარტი (მარსელო 78), რაული, იგუაინი
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
**რასინგი:** ტონიო, ორიოლი, ს. ნავასი, მარკანო, კოლსა, ვალერა, ლასენი (ლუჩინი 61), ჩიტე (მორალი 56), სერანო, პერეირა, ჟიგიჩი
მწვრთნელი: ლოპეს მუნისი
მსაჯი: კლოს გომესი
59 600 მაყურებელი
გაფრთხილება: ლ. დიარა, რობენი, ორიოლი, სნეიდერი, ვან დერ ვაარტი, ესპრინი, ლუჩინი

**სევილია 1:2 ბეტისი**

0:1 სერხიო გარსია (71), 0:2 ოლივეირა (84), 1:2 კანუტე (90)
გაფრთხილება: დუშერი, ფ. ნავარო, დუშერი, ესკუდე (სევილია), მარკ გონსალესი, არსუ, ოლივეირა, ნელსონი, დამია (ბეტისი)
გაძევება: დუშერი (69)

**ხეტაფე 1:1 ესპანიოლი**

0:1 ი. ალონსო (7), 1:1 სოლდადო (26)
გაფრთხილება: კორტესი, სოლდადო, კონტრა (ხეტაფე), ხარკე, დ. გარსია, ს. სანჩესი (ესპანიოლი)
გაძევება: მოია (65, ესპანიოლი)

**მალაგა 3:2 ალმერია**

0:1 უჩე (26), 0:2 ნეგრედო (45), 1:2 ლუკე (48), 2:2, 3:2 სალვა (64, 74)
გაფრთხილება: დამესი, ლუკე, ელისეუ, ველინგტონი, დუდა (მალაგა), ორტისი, პელერანო (ალმერია)
გაძევება: მანე (84, ალმერია)

**მალიორკა 1:1 დეპორტივო**

1:0 ადურიცი (56), 1:1 ვერდუ (77პ)
გაფრთხილება: კრესპი, კორალესი, ვარელა, კორალესი, ხოსემი (მალიორკა), მანუელ პაბლო, დე გუსმანი, ტომასი, ხ. როდრიგესი (დეპორტივო)
გაძევება: კორალესი (83)

**უელვა 0:3 ატლეტიკო**

0:1 აგუერო (3), 0:2, 0:3 ფორლანი (27, 33)
გაფრთხილება: ნეფი (უელვა), პაბლო იბანიესი, პერეა (ატლეტიკო)

**ვალიადოლიდი 2:1 ბილბაო**

1:0, 2:0 ვიქტორი (38პ, 59), 2:1 ორბაისი (64პ)
გაფრთხილება: კალვო, ხესუს გონსალესი (ვალიადოლიდი), იესტე, იესტე (ბილბაო)
გაძევება: იესტე (90)

**ვილიარეალი 2:1 ნუმანსია**

1:0 როსი (5), 1:1 არანდა (39), 2:1 როსი (69)
გაფრთხილება: ეგურენი, გოდინი, გონსალო, იორენტე (ვილიარეალი), პალასიოსი, ბორისი, არანდა, რაულ ბრავო (ნუმანსია)

**ბარსელონა — ხიხონი**
**ოსასუნა — ვალენსია**

წუხელ გვიან დამთავრდა და ცხრილში შეტანილი არ არის.
შედეგი იხ. 31-ე გვერდზე

**24 იანვარს** სევილიაში 17 წლის გოგონა მარტა დელ კასტილიო დაიკარგა და ჯერჯერობით ამაოდ ეძებენ. სევილიაში ბავშვის მხარდასაჭერი აქციები გაიმართა, მადრიდის „რეალის" ფეხბურთელები კი „რასინგთან" მატჩის წინ მოედანზე საგანგებო მაისურებით გავიდნენ, რომელსაც ეწერა — „ჩვენ ყველანი მარტა ვართ".

თამაში ვერ იყო ისეთი, რეალელ ფანებს რომ გაახარებდა, რადგან მათი გუნდი ერთ გოლს დასჯერდა, მაგრამ მათთვის სასიხარულო სხვა ამბავი იყო — გუნდმა ზედიზედ მეშვიდედ მოიგო და აქედან ექვსში გოლი ერთხელ გაუშვა.

მოკლედ, ხუანდე რამოსმა დაცვა დააყენა, ეს კი დიდად არ ეპიტნავებათ „რეალის" ქომაგებს, მათ 1:0-ებს 5:3-ბი ურჩევნიათ.

ფაბიო კაპელოს ხელშიც იგებდნენ ერთბურთიანი სხვაობით და ჩემპიონებიც გახდნენ 2007-ში, მაგრამ იტალიელი უცერემონიოდ დაითხოვეს. ასე რომ, ხუანდე რამოსს გოლების გამრავლებაზე ზრუნვა მოუწევს.

ერთადერთი გოლი კი „რასინგის" კარში გონსალო იგუაინმა შეაგდო — მცველიც ჩამოიშორა და მარჯვენა ფეხით მეკარეც უქმად დატოვა.

„თავიდან საერთოდ არაფერი გამოგვივიდა — თქვა რამოსმა — დაბნეულები ვიყავით და ბურთს იოლად ვკარგავდით. იგუაინის გოლმა გაგვახარა, თუმცა მეორეც რომ გასულიყო, უფრო დავმშვიდდებოდით. რაკი მეორე ველარ მივაყოლეთ, ავნერვიულდით და უხარისხო ფეხბურთის მიზეზიც ესაა. მთავარი კი ის ამბავია, რომ ზედიზედ მეშვიდე თამაში მოვიგეთ და გუნდი უფრო და უფრო თავდაჯერებული ხდება".

13 წელი ელოდა ამ გამარჯვებას „ბეტისი" — ქალაქურ დერბიში „თეთრ-მწვანეებმა" „თეთრ-წითლები" მათსავე მოედანზე 1996-ის აქეთ პირველად დაამარცხეს.

არც ერთი გუნდი მატჩის წინ კარგ ფორმაში არ იყო. „სევილიას" ზედიზედ ორი, „ბეტისს" კი ბოლო ექვსიდან ხუთი თამაში არ მოეგო.

დერბული ფეხბურთის პირველი ტაიმი მძიმე გამოვიდა და მხოლოდ მეორეში გაავნებინეს ბურთს გზა კარისკენ.

69-ე წუთზე „თეთრ-წითლებს" უხეშობისთვის ალდუ დუშერი გაუძევეს და ორი წუთის მერე გოლიც გავიდა.

სერხიო გარსიამ ცენტრიდან საჯარიმოში უზუსტესი პასი მიიღო და ერთი შეხებით შეაგდო მასპინძლების კარში.

განათხოვრებულმა და იანვარში „ბეტისში" დაბრუნებულმა რიკარდო ოლივეირამ ცამეტ წუთში სხვაობა ორამდე გაზარდა, ფრედერიკ კანუტეს საპასუხო გოლმა კი „სევილიას" ფანებს ოდნავ შვება მოჰგვარა და სულ ეს იყო.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 21 | 18 | 2 | 1 | 65:15 | 56 |
| რეალი | 22 | 15 | 2 | 5 | 44:27 | 47 |
| სევილია | 22 | 11 | 5 | 6 | 29:21 | 38 |
| ვალენსია | 21 | 11 | 4 | 6 | 42:32 | 37 |
| ვილიარეალი | 22 | 10 | 7 | 5 | 35:30 | 37 |
| ატლეტიკო | 22 | 10 | 5 | 7 | 47:33 | 35 |
| მალაგა | 22 | 10 | 5 | 7 | 37:33 | 35 |
| დეპორტივო | 22 | 10 | 4 | 8 | 27:29 | 34 |
| ვალიადოლიდი | 22 | 9 | 3 | 10 | 32:33 | 30 |
| ბილბაო | 22 | 8 | 5 | 9 | 32:35 | 29 |
| რასინგი | 22 | 7 | 7 | 8 | 24:26 | 28 |
| ხიხონი | 21 | 9 | 0 | 12 | 28:44 | 27 |
| ხეტაფე | 22 | 6 | 8 | 8 | 32:34 | 26 |
| ბეტისი | 22 | 7 | 4 | 11 | 29:30 | 25 |
| ალმერია | 22 | 6 | 6 | 10 | 26:35 | 24 |
| უელვა | 22 | 6 | 6 | 10 | 19:32 | 24 |
| ნუმანსია | 22 | 6 | 2 | 14 | 26:45 | 20 |
| ესპანიოლი | 22 | 3 | 9 | 10 | 20:35 | 18 |
| მალიორკა | 22 | 4 | 6 | 12 | 22:40 | 18 |
| ოსასუნა | 21 | 3 | 8 | 10 | 22:29 | 17 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ეტოო (ბარსელონა) | 19 |
| ვილია (ვალენსია) | 17 |

## სეგუნდადივიზიონი XXII ტური

**რაიო ვალეკანო — ერკულესი 1:0; ალბასეტე — ხერესი 0:2; ლევანტე — მურსია 2:1; სოსიედადი — სარაგოსა 1:1; სელტა — კასტელიონი 1:2; ალიკანტე — ხირონა 1:1; კორდობა — ალავესი 3:0; ელჩე — ლას პალმასი 1:1; უესკა — ხიმნასტიკი 3:2; სალამანკა — სევილია B 6:0; ტენერიფე — ეიბარი 2:0**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხერესი | 22 | 11 | 7 | 4 | 39:22 | 40 |
| ტენერიფე | 22 | 11 | 4 | 7 | 39:32 | 37 |
| ერკულესი | 22 | 9 | 9 | 4 | 32:19 | 36 |
| სარაგოსა | 22 | 10 | 6 | 6 | 37:25 | 36 |
| სოსიედადი | 22 | 8 | 11 | 3 | 22:15 | 35 |
| კასტელიონი | 22 | 8 | 10 | 4 | 31:23 | 34 |
| სალამანკა | 22 | 9 | 7 | 6 | 29:24 | 34 |
| რაიო ვალეკანო | 22 | 8 | 10 | 4 | 27:23 | 34 |
| სელტა | 22 | 8 | 8 | 6 | 25:23 | 32 |
| ხირონა | 22 | 8 | 8 | 6 | 23:23 | 32 |
| ლევანტე | 22 | 9 | 5 | 8 | 29:30 | 32 |
| ხიმნასტიკი | 22 | 7 | 9 | 6 | 33:26 | 30 |
| უესკა | 22 | 7 | 9 | 6 | 29:26 | 30 |
| ელჩე | 22 | 7 | 8 | 7 | 26:24 | 29 |
| ალბასეტე | 22 | 7 | 7 | 8 | 24:29 | 28 |
| მურსია | 22 | 8 | 4 | 10 | 22:28 | 28 |
| ლას პალმასი | 22 | 6. | 9 | 7 | 27:23 | 27 |
| ალავესი | 22 | 6 | 6 | 10 | 23:35 | 24 |
| კორდობა | 22 | 5 | 6 | 11 | 18:28 | 21 |
| ეიბარი | 22 | 5 | 6 | 11 | 15:30 | 21 |
| ალიკანტე | 22 | 3 | 6 | 13 | 17:37 | 15 |
| სევილია B | 22 | 1 | 7 | 14 | 14:36 | 10 |

**კოპა დელ რეი**

**სევილია — ბილბაო 2:1; ბარსელონა — მალიორკა 2:0**




# მადრიდელი ათლეტები რეკორდს ჩააბარეს

**მადრიდის** „ატლეტიკოს" თავკაცი ხავიერ აგირე „ვალიადოლიდთან" წაგების შემდეგ მოხსნეს და მის ნაცვლად აბელ რესინო დანიშნეს, რომელიც „ათლეტებს" სეზონის ბოლომდე გაუძღვება.

„ვალიადოლიდთან" თამაშის ჩათვლით გუნდმა შვიდმატჩიანი მოუგებელი სერია მიითვლა და მექსიკელი მწვრთნელიც ამ სერიას გადააყოლეს.

„ატლეტიკოს" პრეზიდენტმა ენრიკე სერესომ წაგების მერე თქვა, აგირეს მოხსნას არ ვაპირებო, მაგრამ ერთი დღის შემდეგ გადაიფიქრა და მექსიკელი უმუშევრად დატოვა.

ყოფილი მეკარე, 49 წლის აბელ რესინო „ატლეტიკოში" ცხრა სეზონი (1986-95) თამაშობდა, კარიერა კი 1996-ში, „რაიო ვალეკანოში" დაასრულა. მას ეკუთვნის მსოფლიო რეკორდი — 1275 წუთი გოლგაუშვებლად და ეს რეკორდი ლუის ენრიკეს გოლმა 1991 წლის 19 მარტს შეწყვიტა. რესინოს ესპანეთის ნაკრების მაისურა ორჯერ მოურგია.



ის მწვრთნელობდა „სიუდად დე მურსიაში", „ლევანტესა" და „ალიკანტეში".

რაც შეეხება ხავიერ აგირეს, ორწელნახევარი იმუშავა „ატლეტიკოში". პირველ სეზონში მეშვიდე ადგილზე გაიყვანა, მომდევნოში — მეოთხეზე და ჩემპიონთა ლიგაშიც ათამაშა ცხრაწლიანი შესვენების შემდეგ.

# ლასანა დიარამ ჰუნტელაარს მოუგო



ლასანა დიარა

**„რეალს"** ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის განაცხადში ორიდან ერთი ფეხბურთელის — დიარას ან ჰუნტელაარის — დამატების უფლება ჰქონდა და კლუბმა დიარა არჩია.

ფრანგ ნახევარმცველს და ჰოლანდიელ ფორვარდს „რეალში" გადასვლამდე ევროთასებზე ჰქონდათ ნათამაშები. უეფას წესის თანახმად „რეალს" ერთ-ერთი უნდა შეეყვანა განაცხადში და მწვრთნელმა ხუანდე რამოსმა გადაწყვიტა, რომ ლასანა დიარა უფრო გამოსადეგია, რადგან კლაას-იან ჰუნტელაარს ახალმოშუშებული აქვს ტრავმა.

„რეალი" მერვედფინალში „ლივერპულს" შეხვდება. პირველი მატჩი 25 თებერვალს მადრიდში გაიმართება, საპასუხო კი 10 მარტს ლივერპულში.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ორნი პირველად

**„ბარსელონას"** მცველი ხერარდ პიკე და ნახევარმცველი სერხიო ბუსკეტსი ესპანეთის ნაკრებში პირველად გამოიძახეს.

ევროპის ჩემპიონები 11 თებერვალს სევილიაში ინგლისს ამხანაგურად ეთამაშებიან. ვისენტე დელ ბოსკეს გუნდში ხუთი ბარსელონელია: პიკე, პუიოლი, ხავი, ბუსკეტსი და ინიესტა.

„ჩვენ აქედანვე უნდა ვიზრუნოთ მომავალზე და ნაბიჯ-ნაბიჯ წინ წავიწიოთ" — თქვა მწვრთნელმა.

ესაა ბოლო ამხანაგური მატჩი თურქეთთან მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრამდე, რომელიც 28 მარტს გაიმართება.

დელ ბოსკეს უყურადღებოდ არ დარჩენია „ბილბაოს" ფორვარდი ფერნანდო ლორენტე, რომლის დებიუტი ნოემბერში ჩილესთან შედგა და ამჟამად საუცხოო ფორმაშია.

***მეკარეები:*** *იკერ კასილიასი (რეალი), პეპე რეინა (ლივერპული, ინგლისი);*

***მცველები:*** *რაულ ალბიოლი, კარლოს მარჩენა (ვალენსია), კარლეს პუიოლი, ხერარდ პიკე (ბარსელონა), ალვარო არბელოა (ლივერპული, ინგლისი), ხუან კაპდევილია (ვილიარეალი), ხუანიტო (ბეტისი), სერხიო რამოსი (რეალი);*

***ნახევარმცველები:*** *სერხიო ბუსკეტსი, ხავი, ანდრეს ინიესტა (ბარსელონა), ხაბი ალონსო, ალბერტ რიერა (ლივერპული, ინგლისი), სანტი კასორლა, მარკოს სენა (ვილიარეალი), დავიდ სილვა (ვალენსია);*

***თავდამსხმელები:*** *დავიდ ვილია (ვალენსია), დანიელ გუიზა (ფენერბაჰჩე, თურქეთი), ფერნანდო ტორესი (ლივერპული, ინგლისი), ფერნანდო ლორენტე (ბილბაო).*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თურქი გაგერმანელდა



მესუთ იოზილის
გული გერმანიას ეკუთვნის

**ნორვეგიასთან** ამხანაგური მატჩისთვის იოახიმ ლიოვმა ნიჭიერი ახალგაზრდა მესუთ იოზილი, მიხაელ ბალაკი და ტორსტენ ფრინგსი გამოიძახა. 21-კაციან ნუსხაში პირველად მოხვდა „ჰოფენჰაიმის" მცველი ანდრეას ბეკი.

ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ბალაკს და ფრინგსს ტაქტიკის გამო მწვრთნელთან უთანხმოება მოუვიდათ, მაგრამ პრობლემა მოაგვარეს.

20 წლის იოზილს თურქეთის ნაკრები ეპატიჟებოდა, მაგრამ „ვერდერის" ნახევარმცველმა გერმანია არჩია.

„თურქეთის ფეხბურთის ფედერაციიდან იოზილს დაურეკეს, თუმც მან უთხრა, რომ ჩვენ ნაკრებში თამაში სურს" — თქვა იოახიმ ლიოვმა.

მეკარე რობერტ ენკე, რომელიც ევროჩემპიონატზე იენს ლემანის შემცვლელი იყო, სიის მიღმა დარჩა და მწვრთნელმა რენე ადლერს და ტიმ ვიზეს უხმო.

არ გამოიძახეს ლუკაშ პოდოლსკიც, რომელმაც ზურგის ტრავმა ახლახან მოირჩინა.

*მეკარეები:* *რენე ადლერი (ლევერკუზენი), ტიმ ვიზე (ვერდერი);*
*მცველები:* *ანდრეას ბეკი (ჰოფენჰაიმი), არნე ფრიდრიხი (ჰერტა), ანდრეას ჰინკელი (სელტიკი, შოტლანდია), ფილიპ ლამი (ბაიერნი), პერ მერტესაკერი (ვერდერი), სერდარ ტაშჩი (შტუტგარტი), ჰაიკო ვესტერნი (შალკე);*
*ნახევარმცველები:* *მიხაელ ბალაკი (ჩელსი, ინგლისი), ტორსტენ ფრინგსი, მესუთ იოზილი (ვერდერი), ტომას ჰიცლშპერგერი (შტუტგარტი), ნარკო მარინი (გლადბახი), საიმონ როლფსი (ლევერკუზენი), ბასტიან შვაინშტაიგერი (ბაიერნი), პიოტრ ტროხოვსკი (ჰამბურგი);*
*თავდამსხმელები:* *მარიო გომესი (შტუტგარტი), პატრიკ ჰელმესი, შტეფან კისლინგი (ლევერკუზენი), მიროსლავ კლოზე (ბაიერნი).*

# ლე მანში ჟანდიუპობაა

**შვეიცარიის** ნაკრების ყოფილმა თავკაცმა დანიელ ჟანდიუპომ „ლე მანი" ჩაიბარა. მანამდე ის კლუბის პრეზიდენტის მრჩევლად მუშაობდა. „ლე მანის" ყოფილმა მწვრთნელმა ივ ბერტუჩიმ წასვლა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც გუნდმა მის ხელში ხუთი მატჩიდან ოთხი წააგო და ერთი ფრე ითამაშა.

ჟანდიუპო შვეიცარიის ნაკრების (1986-89) გარდა, „სიონში", „ციურიხში", „ტულუზში", „სტრასბურში" და „კაენში" მუშაობდა.

# ლიუბოია ღამე ჭიქებით ვარჯიშობს



**„შტუტგარტის"** სერბი ფორვარდი დანიელ ლიუბოია უდისციპლინობის გამო კლუბიდან სეზონის ბოლომდე მოკვეთეს.

„ის პროფესიონალი ფეხბურთელისთვის შეუფერებლად იქცევა — თქვა მწვრთნელმა მარკუს ბაბელმა — უკვე ზედიზედ მეორე შემთხვევაა მოკლე პერიოდში."

ბაბელმა არ დააკონკრეტა თუ რა დააშავა 30 წლის სერბმა, რომელსაც „შტუტგარტთან" კონტრაქტი ივნისში ეწურება, მაგრამ „ბილდის" ცნობით, ფეხბურთელმა ღამის კლუბში მოულხინა და მეორე დღეს ვარჯიში გააცდინა.

„მას იანვარში სხვა კლუბში გადასვლის შანსი ჰქონდა, მაგრამ არ გამოიყენა და ეს კიდევ ერთი პრობლემაა" — განაცხადა „შტუტგარტის" სპორტულმა დირექტორმა ჰორსტ ჰელდტმა.

ლიუბოია გუნდში 2005 წელს მივიდა და მას შემდეგ სულ შარზე იყო. პირველივე სეზონში კლუბის შეფებს აუჯანყდა და ხელფასის გაორმაგება მოსთხოვა.

იგი ჯერ „ჰამბურგში", მერე კი „ვოლფსბურგში" გაანათხოვრეს, მაგრამ ვერც იქ გამოიჩინა თავი. ამ სეზონში სერბმა მხოლოდ სამი მატჩი ითამაშა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# გერმანია

## ბუნდესლიგა. XIX ტური

# ლევერკუზენი დიუსელდორფშია

**ბაიერნი 3:1 დორტმუნდი**
0:1 ვალდესი (2), 1:1 ზე რობერტო (24), 2:1, 3:1 კლოზე (88, 90)
ბაიერნი: რენსინგი, ლელი, ლუსიო, დემიკელისი, ლამი, ვან ბომელი, ზე რობერტო, შვაინშტაიგერი (ჰამით ალითინთოფი 72), რიბერი, კლოზე, ტონი (დონოვანი 72)
მწვრთნელი: იურგენ კლინსმანი
დორტმუნდი: ვაიდენფელერი, ოვომოიელა, ფ. სანტანა, სუბოტიჩი, ლი, ტინგა (საჰინი 46), კ. ბოატენგი, კრინგე (კელი 83), ჰაინალი, ვალდესი, ფრაი (ზიდანი 74)
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
გაფრთხილება: ჰაინალი, ლელი, ვაიდენფელერი, კ. ბოატენგი
მსაჯი: კემპტერი
69 000 მაყურებელი

**კოტბუსი 3:1 ჰანოვერი**
1:0, 2:0 რანგელოვი (39, 69), 3:0 ანგელოვი (74), 3:1 ფარენჰორსტი (83)
გაფრთხილება: ანგელოვი, ციბიგი (კოტბუსი), ეგიმანი, შულცი, ანდრესენი (ჰანოვერი)
გაძევება: ანდრესენი (67)

**არმინია 1:1 ჰერტა**
0:1 ვორონინი (14), 1:1 ვიშნიარეკი (41)
გაფრთხილება: კაუფი, მარქსი (არმინია), სისერო (ჰერტა)

**ლევერკუზენი 2:4 შტუტგარტი**
0:1 გომესი (3), 0:2 ჰიტცლშპერგერი (51), 1:2 კისლინგი (67), 1:3 გომესი (75), 2:3 ხარისტიასი (90), 2:4 სიმვიჩი (90ს.კ.)
გაფრთხილება: ვიდალი, კასტრო, ვიდალი (ლევერკუზენი), ოსორიო, ჯილბერტი, დელპიერი, ხედირა (შტუტგარტი)
გაძევება: ვიდალი (49)

**აინტრახტი 2:2 კიოლნი**
1:0 რუსი (33), 1:1 ნოვაკოვიჩი (57), 2:1 ფენინი (63), 2:2 ნოვაკოვიჩი (74პ)
გაფრთხილება: კიოლერი, რუსი (აინტრახტი), ერეტი, მათიპი (კიოლნი)
გაძევება: კრისი (73, აინტრახტი)

**კარლსრუე 3:2 ჰამბურგი**
0:1 გერერო (7), 0:2 ბენჟამინი (48), 1:2 ფრაისი (49), 2:2 ფედერიკო (53), 3:2 ფრაისი (90)
გაფრთხილება: ტიმი, და სილვა, დრპიჩი, ენგელჰარდტი, ენგელჰარდტი (კარლსრუე), ტროხოვსკი, იანსენი, გერერო, დემელი (ჰამბურგი)
გაძევება: პეტრიჩი (76, ჰამბურგი), ენგელჰარდტი (82, კარლსრუე)

**გლადბახი 1:1 ჰოფენჰაიმი**
1:0 ბაუმიოჰანი (44), 1:1 ველინგტონი (89)
გაფრთხილება: ფრიენდი, ბრედლი (გლადბახი), კომპერი, იბერცბერგერი, ედუ ჯესლი (ჰოფენჰაიმი)

**ვოლფსბურგი 2:0 ბოხუმი**
1:0, 2:0 ძეკო (21, 84)
გაფრთხილება: ბარძალი (ვოლფსბურგი), დაბროვსკი (ბოხუმი)

**„კარლსრუემ"** სეზონში მეხუთე, მაგრამ სანწაული თამაში მოიგო.

წინა ტურში „ბაირენის" მძლეველ „ჰამბურგთან" ორბურთიანი სხვაობით აგებდა და სამით უპასუხა.

მეკარესთან პირისპირ გასულმა პაულუ გერერომ სტუმრები დააწინაურა, მეორე ტაიმში კი კოლინ ბენჟამინმა სხვაობა გაზარდა.

წუთის შემდეგ ფრაისმა მცველის ჩათვლემით ისარგებლა და ერთი გაქვითა, რამაც მასპინძლები გამოაცოცხლა და ისე შეუტიეს, რომ საჯარიმოში შესულმა ჯოვანი ფედერიკომ ფრანკ როსტის კარში მეორე შეაგდო.

ხორვატმა მლადენ პეტრიჩმა მარკო ენგელჰარტს ხელი ჰკრა და გააძევეს, მაგრამ ხელნაკრავი მალე პეტრიჩს მიჰყვა, რადგან მეორე ყვითელი ბარათი მიიღო.

კაცნაკლულ ფეხბურთში „კარლსრუე" უფრო ყოჩაღი გამოდგა და ფრაისის გოლმა მასპინძლებს ბოლო წამს მოაგებინა.

მარკუს ბაბელის „შტუტგარტმა" იანვარში თასზე „ბაიერნთან" 1:5 წააგო, მაგრამ ბუნდესლიგაში ბაბელის გუნდი ხუთიდან ხუთ შეხვედრაში დაუმარცხებელია.

წინა ტურში „შტუტგარტმა" „გლადბახს" მოუგო, ახლა კი დიუსელდორფში იმარჯვა. დიუსელდორფში იმიტომ, რომ „ლევერკუზენის" სტადიონი რეკონსტრუქციაშია და გუნდი სეზონის ბოლომდე დაქირავებულ არენაზე ითამაშებს.

მარიო გომესმა მესამე წუთზე დააწინაურა სტუმრები — ახლოდან გაიტანა, ჰიცლშპერგერმა კი მეორის დასაწყისში შეაგდო მას შემდეგ, რაც გომესის წაქცევისთვის მასპინძელი ვიდალი გააძევეს.

ათკაცა ლევერკუზენელებმა მაინც მოახერხეს ერთის გაქვითვა — შტეფან კისლინგმა საჯარიმოში არეულობით ისარგებლა და 1:2.

ამის მერე დამხვდურები გასათანაბრებლად მიასკდნენ მეტოქის საჯარიმოს, მაგრამ კიდევ ორი გოლი მიიღეს საკუთარ კარში.

მესამე გომესმა მიითვალა, სიმკევიჩმა კი საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი და ორბურთიანი სხვაობა აღადგინა.

„ჰოფენჰაიმს" „გლადბახთან" ფრეც ეყო ლიდერობის შესანარჩუნებლად, რადგან მისმა მდევრებმა ვერ ივარგეს.

ბუნდესლიგაში შარშან გადაბარგებული გუნდების მატჩში გლადბახელები ალექსანდერ ბაუმიოჰანის გოლით იგებდნენ, ვინაც საჯარიმოს გარედან შეაგდო პირველი ტაიმის მიწურულს. მაგრამ თამაშის ბოლოსწინა წუთზე ველინგტონმა თავურით გაათანაბრა.

ცხრილის შუაში ჩაკარგული „შალკეს" და „ვერდერის" შეხვედრა მასპინძლების გამარჯვებით დასრულდა — გოლი ბენედიქტ ჰიოვედესმა თავურით გაიტანა და სტატისტიკას ერთი ახალი ამბავი დაუმატა — „ვერდერს" ბუნდესლიგაში სტუმრად უკვე ზედიზედ ექვსი ტურია, არ მოუგია.

მიროსლავ კლოზემ კი იურგენ კლინსმანი მორიგ რისხვას გადაარჩინა. ვინძლო, ფრანც ბეკენბაუერსაც აღარ სჯეროდა მოგების, კლოზემ იმ დროს გაიტანა ორი გოლი.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოფენჰაიმი | 19 | 12 | 3 | 4 | 45:24 | 39 |
| ბაიერნი | 19 | 11 | 5 | 3 | 42:26 | 38 |
| ჰერტა | 19 | 11 | 4 | 4 | 30:22 | 37 |
| ჰამბურგი | 19 | 11 | 3 | 5 | 29:27 | 36 |
| ლევერკუზენი | 19 | 10 | 3 | 6 | 39:26 | 33 |
| შტუტგარტი | 19 | 9 | 4 | 6 | 32:25 | 31 |
| ვოლფსბურგი | 19 | 8 | 6 | 5 | 38:26 | 30 |
| შალკე | 19 | 8 | 6 | 5 | 25:17 | 30 |
| დორტმუნდი | 19 | 7 | 9 | 3 | 29:23 | 30 |
| ვერდერი | 19 | 7 | 5 | 7 | 40:31 | 26 |
| კიოლნი | 19 | 7 | 3 | 9 | 22:28 | 24 |
| აინტრახტი | 19 | 5 | 5 | 9 | 26:33 | 20 |
| ჰანოვერი | 19 | 5 | 5 | 9 | 22:35 | 20 |
| არმინია | 19 | 3 | 9 | 7 | 18:29 | 18 |
| კოტბუსი | 19 | 4 | 4 | 11 | 15:32 | 16 |
| კარლსრუე | 19 | 5 | 1 | 13 | 18:36 | 16 |
| ბოხუმი | 19 | 2 | 8 | 9 | 21:32 | 14 |
| გლადბახი | 19 | 3 | 3 | 13 | 19:38 | 12 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| იბიშევიჩი (ჰოფენჰაიმი) | 18 |
| ჰელმესი (ლევერკუზენი) | 13 |

**II ბუნდესლიგა. XIX ტური**

**ალემანია — ჰანზა 3:3; ფრაიბურგი — ოსნაბრიუკი 4:1; კობლენცი — ფრანკფურტი 1:3; ალენი — აუგსბურგი 2:1; დუისბურგი — ვეჰენი 2:1; ინგოლშტადტი — ობერჰაუზენი 0:0; მაინცი — მიუნხენი 2:2; ზანკტ პაული — ფიურტი 0:3; ნიურნბერგი — ლაუტერნი დღეს გაიმართება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფრაიბურგი | 19 | 11 | 3 | 5 | 32:19 | 36 |
| ფიურტი | 19 | 10 | 5 | 4 | 45:26 | 35 |
| მაინცი | 19 | 9 | 6 | 4 | 36:22 | 33 |
| ლაუტერნი | 18 | 9 | 5 | 4 | 34:22 | 32 |
| ალემანია | 19 | 8 | 5 | 6 | 29:23 | 29 |
| დუისბურგი | 19 | 7 | 7 | 5 | 27:20 | 28 |
| აუგსბურგი | 19 | 8 | 4 | 7 | 26:24 | 28 |
| ზანკტ პაული | 19 | 8 | 4 | 7 | 30:35 | 28 |
| ალენი | 19 | 8 | 3 | 8 | 26:35 | 27 |
| ნიურნბერგი | 18 | 6 | 8 | 4 | 24:17 | 26 |
| მიუნხენი | 19 | 6 | 5 | 8 | 22:21 | 23 |
| ინგოლშტადტი | 19 | 6 | 4 | 9 | 24:34 | 22 |
| ობერჰაუზენი | 19 | 6 | 4 | 9 | 17:31 | 22 |
| ოსნაბრიუკი | 19 | 4 | 8 | 7 | 27:37 | 20 |
| ფრანკფურტი | 19 | 4 | 7 | 8 | 22:28 | 19 |
| ჰანზა | 19 | 4 | 6 | 9 | 28:33 | 18 |
| კობლენცი | 19 | 4 | 6 | 9 | 23:32 | 18 |
| ვეჰენი | 19 | 3 | 8 | 8 | 20:33 | 17 |

**III ლიგა**

**ფორტუნა — კიკერსი 2:0; ემდენი — დინამო 2:2; შტუტგარტი (მ) — უნიონი 0:3; რეგენსბურგი — ალენი 1:0; უნტერჰახინგი — პადერბორნი 2:1. აუე — კარლ ცაისი, ბურგჰაუზენი — ოფენბახი, ერფურტი — ბრაუნშვაიგი და ზანდჰაუზენი — ვერდერი (მ) გადაიდო**



დორტმუნდელთა მეკარე რომან ვაიდენფელერმა მიროსლავ კლოზეს რამდენიმე დარტყმა კი მოიგერია, მაგრამ ბოლოს მაინც ვერაფერს გახდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იტალია

## სერია A. XVIII ტური

# უკაკო დერბი

**ლეჩე 0:3 ინტერი**
0:1 იბრაჰიმოვიჩი (12), 0:2 ფიგუ (72), 0:3 სტანკოვიჩი (82)
გაფრთხილება: ესპოზიტო, ტირიბოკო, კასერტა (ლეჩე), იბრაჰიმოვიჩი, ბალოტელი (ინტერი)

**მილანი 1:1 რეჯინა**
0:1 დი ჯენარო (33), 1:1 კაკა (67პ)
გაფრთხილება: ბონერა, ფლამინი (მილანი), კორადი, კამპანიოლო, ბარილია, კოცა, ლანძარო, კარმონა (რეჯინა)

**რომა 3:0 ჯენოა**
1:0 სისინიო (26), 2:0 ვუჩინიჩი (47), 3:0 ბაპტიშტა (90)
გაფრთხილება: ტადეი, ტადეი (რომა), სკული, ბორე, ბიავა, იურიჩი, სკული (ჯენოა)
გაძევება: ტადეი (54), სკული (69)

**კალიარი 0:1 ატალანტა**
0:1 ჩიგარინი (66)
გაფრთხილება: ბ. ლოპესი, იანკო, ბ. ლოპესი, ბიონდინი, კონტი (კალიარი), ჩიგარინი
გაძევება: ბ. ლოპესი (40)

**კატანია 1:2 იუვენტუსი**
0:1 იაკუინტა (11), 1:1 მორიმოტო (51), 1:2 პოულსენი (90)
გაფრთხილება: სტოვინი, სილვესტრი, ტედესკო (კატანია), იაკუინტა, იაკუინტა, ამაური, სისოკო, ლეგროტალიე (იუვენტუსი)
გაძევება: იაკუინტა (12)

**ფიორენტინა 1:0 ლაციო**
1:0 ჯილარდინო (89)
გაფრთხილება: დაინელი, მონტოლივო, ჯილარდინო, მელო (ფიორენტინა), სილვესტრი, სილვესტრი, ლედესმა, სარატე, მუსლერა (ლაციო)
გაძევება: სილვესტრი (18)

**სამპდორია 2:2 სიენა**
0:1 ვერგასოლა (21), 1:1 ბელუჩი (45), 2:1 პაცინი (50), 2:2 მაკარონე (79)
გაფრთხილება: ფრანჩესკინი (სამპდორია), გალოპა (სიენა)

**ტორინო 1:1 კიევო**
1:0 ვენტოლა (64), 1:1 იტალიანო (83)
გაფრთხილება: პ. ძანეტი (ტორინო), მანტოვანი, რიგონი (კიევო)

**უდინეზე 1:0 ბოლონია**
1:0 სანჩესი (90)
გაფრთხილება: ბრიტოსი, მორასი (ბოლონია)

**პალერმო — ნაპოლი**
წუხელ გვიან დასრულდა და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არ არის. შედეგი იხ. 31-ე გვერდზე

**ბოლოადგილოსან** „რეჯინასთან" ფრის გამო თანაქალაქელ „ინტერთან" „მილანის" ჩამორჩენა ორი ქულით გაიზარდა.

ორ ქულას ორი კვირით გაჰყვა კაკაც — „მილანის" 11-გოლიანი ბრაზილიელი — რომელსაც მყესი დაეჭიმა და მომავალ უქმეებზე მილანურ დერბიში ვერ ითამაშებს.

იგი იტალია-ბრაზილიის ამხანაგურ მატჩსაც გამოტოვებს.

სწორედ კაკას პენალტმა იხსნა გუნდი ბოლოადგილოსანთან წაგებისგან.

დი ჯენარომ ათი მეტრიდან შეჭედა ბურთი კარში, კაკამ კი პატოს წაქცევის გამო დანიშნული პენალტი გამოიყენა.

„მძიმე და ნერვიული მატჩი გამოვიდა — თქვა კარლო ანჩელოტიმ — ქინი გვაკლდა, მაგრამ ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან მაინც გავიტანდით. სამწუხაროდ, ერთზე მეტი ვერ შევაგდეთ.

მომავალ დერბიზე ვფიქრობდით და ამან შეგვიშალა ხელი? არა, ეს არაფერ შუაშია. რამდენიც უნდა ყოფილიყო ქულათა სხვაობა „ინტერთან", ეს თამაში აუცილებლად მოსაგები გვქონდა და რაკი მხოლოდ ფრეს მივაღწიეთ, მომდევნო თამაშიც, ანუ დერბი, ასევე აუცილებლად მოსაგები გვაქვს".

„რეჯინას" თავკაცი ნევიო ორლანდი: „ჩემი გუნდით კმაყოფილი ვარ, თუმც მოგებაც შეგვეძლო. ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი გვაკლდა და მიუხედავად ამისა, გადასარევად ვითამაშეთ. ტაქტიკა შევცვალე და ამან გაამართლა. თუ „რეჯინა" სერია A-დან არ გავარდება, ეს დიდი მიღწევა იქნება ჩემს კარიერაში".

თავისი გუნდი „ინტერის" მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომაც აქო „ლეჩესთან" სამბურთიანი სხვაობით მოგების შემდეგ, მაგრამ მსაჯებსაც გადასწვდა.

პორტუგალიელი წინა კვირებშიც აკრიტიკებდა არბიტრებს და ახლაც ზლატან იბრაჰიმოვიჩის თაღლითობისთვის გაფრთხილებამ გააბრაზა.

„იმ ეპიზოდში ზლატანი კი არ იყო გასაყვითლებელი, მსაჯს პენალტი უნდა დაენიშნა — თქვა პორტუგალიელმა — ზუსტად ასეთი შემთხვევის შემდეგ, რომელიც ადრე მოხდა, არბიტრს ვუთხარი, ვინმე ხომ არ გაშინებს, ჩვენს წინააღმდეგ ასე რომ იქცევი-მეთქი და გამაძევა. ამიტომ ახლა მხოლოდ ის ვუთხარი, რომ მისი საქციელი უცნაური იყო".

უცნაური და იშვიათი კიდევ ის იყო, რომ ლუიშ ფიგუმ გოლი თავით გაიტანა, რასაც დეიან სტანკოვიჩის თავურიც შეეწია, მანამდე კი ზლატან იბრაჰიმოვიჩმა საჯარიმოს ხაზიდან დაბალი დარტყმით შეაგდო.

**მამა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 23 | 16 | 5 | 2 | 40:16 | 53 |
| იუვენტუსი | 23 | 14 | 4 | 5 | 38:20 | 46 |
| მილანი | 23 | 13 | 6 | 4 | 40:23 | 45 |
| ფიორენტინა | 23 | 13 | 2 | 8 | 32:20 | 41 |
| ჯენოა | 23 | 11 | 7 | 5 | 32:22 | 40 |
| რომა | 23 | 12 | 4 | 7 | 36:28 | 40 |
| კალიარი | 23 | 10 | 4 | 9 | 31:26 | 34 |
| ნაპოლი | 22 | 10 | 4 | 8 | 30:25 | 34 |
| ატალანტა | 23 | 10 | 3 | 10 | 28:25 | 33 |
| პალერმო | 22 | 10 | 2 | 10 | 30:28 | 32 |
| ლაციო | 23 | 9 | 4 | 10 | 32:36 | 31 |
| უდინეზე | 23 | 8 | 6 | 9 | 33:35 | 30 |
| სიენა | 23 | 7 | 5 | 11 | 18:25 | 26 |
| კატანია | 23 | 7 | 5 | 11 | 21:29 | 26 |
| სამპდორია | 23 | 6 | 7 | 10 | 22:28 | 25 |
| ბოლონია | 23 | 5 | 7 | 11 | 25:37 | 22 |
| ლეჩე | 23 | 4 | 10 | 9 | 22:35 | 22 |
| ტორინო | 23 | 4 | 7 | 12 | 23:38 | 19 |
| კიევო | 23 | 4 | 7 | 12 | 16:32 | 19 |
| რეჯინა | 23 | 3 | 7 | 13 | 20:41 | 16 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| დი ვაიო (ბოლონია) | 15 |
| ჯილარდინო (ფიორენტინა) | 14 |
| დ. მილიტო (ჯენოა) | 14 |
| იბრაჰიმოვიჩი (ინტერი) | 14 |

**სერია B. XXIV ტური**

ანკონა — პარმა 2:0; ალბინოლეფე — ემპოლი 0:0; ბრეშა — ბარი 0:0; ფროზინონე — სალერნიტანა 0:2; გროსეტო — სასუოლო 1:2; ლივორნო — პიაჩენცა 3:0; მოდენა — პიზა 3:3; რიმინი — ტრევიზო 2:2; ტრიესტინა — ასკოლი 1:2; ვიჩენცა — მანტოვა 1:0; ჩიტადელა — აველინო დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარი | 24 | 13 | 8 | 3 | 27:17 | 47 |
| ლივორნო | 24 | 11 | 12 | 1 | 36:16 | 45 |
| სასუოლო | 24 | 11 | 8 | 5 | 35:22 | 41 |
| ბრეშა | 24 | 11 | 7 | 6 | 29:22 | 40 |
| პარმა | 24 | 9 | 11 | 4 | 28:20 | 38 |
| გროსეტო | 24 | 11 | 5 | 8 | 40:37 | 38 |
| ემპოლი | 24 | 10 | 7 | 7 | 28:24 | 37 |
| ვიჩენცა | 24 | 9 | 8 | 7 | 29:17 | 35 |
| ტრიესტინა | 24 | 9 | 8 | 7 | 31:26 | 35 |
| ანკონა | 24 | 9 | 5 | 10 | 32:29 | 32 |
| რიმინი | 24 | 8 | 8 | 8 | 28:30 | 32 |
| მანტოვა | 24 | 7 | 8 | 9 | 24:28 | 29 |
| ალბინოლეფე | 24 | 6 | 10 | 8 | 20:24 | 28 |
| პიზა | 24 | 7 | 7 | 10 | 31:39 | 28 |
| ასკოლი | 24 | 7 | 6 | 11 | 18:27 | 27 |
| ტრევიზო | 24 | 5 | 11 | 8 | 25:31 | 26 |
| ფროზინონე | 24 | 6 | 8 | 10 | 26:33 | 26 |
| სალერნიტანა | 24 | 7 | 5 | 12 | 23:32 | 26 |
| ჩიტადელა | 23 | 5 | 10 | 8 | 21:24 | 25 |
| პიაჩენცა | 24 | 6 | 7 | 11 | 22:31 | 25 |
| აველინო | 23 | 4 | 10 | 9 | 21:32 | 22 |
| მოდენა | 24 | 3 | 9 | 12 | 28:41 | 18 |



„მილანი" ალექსანდრე პატოს წაქცევისთვის დანიშნული პენალტით გადაურჩა წაგებას



# კასანო ვენახში

**იტალიური** ღვინის ჩამომსხმელმა კომპანიამ Enoteca Regionale Sel Roero-მ გენუის „სამპდორიას" ფორვარდი ანტონიო კასანო სარეკლამო სახედ აირჩია და 365 ბოთლა ღვინო აჩუქა — თუ გამოიზოგავს, წლის განმავლობაში დღეში ერთი ეყოფა. ოღონდ ცნობილია, რომ კასანო ყურძნის წვენს არ ეტანება. ამას წინათ გამოსულ მის ავტობიოგრაფიაში წერია, ერთ ყლუპ თეთრ ღვინოს ხათრით თუ დავლევო.

კომპანიის პრეზიდენტი ლუჩანო ბერტელო ღვინის რეკლამაში ცნობილი ფეხბურთელების გარევას აპირებს და ჯერჯერობით კასანოს მიადგა, რადგან ქარხანა გენუასთან ახლოსაა.

სამპდორიელი ფორვარდი სხვადასხვა აქციებში მიიღებს მონაწილეობას და ვენახშიც გაივლის ყურძნის საკრეფად.

**მამა ხუციშვილი**

# ედუარდოს დაბრუნება



**ხორვატიის** ნაკრების მწვრთნელმა სლავენ ბილიჩმა რუმინეთთან ამხანაგური მატჩისთვის 22 კაცი გამოიძახა. მათ შორისაა ედუარდო „არსენალიდან".

ედუარდოს ერთი წლის წინ ფეხი მოტეხეს, ახლა კი ჯანზეა. „არსენალის" სათადარიგოთა გუნდში თამაშობს და მალე, ალბათ, ძირითად შემადგენლობაშიც გამოჩნდება.

ბილიჩის სიაში ორი დებიუტანტიცაა — მცველი ჰრვოიე კალე და ნახევარმცველი ივან იურიჩი.

*მეკარეები:* სტიპე პლეტიკოსა (სპარტაკი, რუსეთი), დანიელ სუბოსიჩი (ჰაიდუკი);

*მცველები:* ვედრან ჩორლუკა (ტოტენჰემი, ინგლისი), იოსიპ სიმუნიჩი (ჰერტა, გერმანია), რობერტ კოვაჩი (დორტმუნდი, გერმანია), ჰრვოიე კალე (ტრაბზონსპორი, თურქეთი), ჰრვოიე ვეიჩი (ჰაიდუკი), ივიცა კრიჟანაცი (ზენიტი, რუსეთი), დანიელ პრანიჩი (ჰერენვენი, ჰოლანდია);

*ნახევარმცველები:* ნიკოლა პოკრივაცი (მონაკო, საფრანგეთი), ლუკა მოდრიჩი (ტოტენჰემი, ინგლისი), ნიკო კრანჩარი (პორტსმუთი, ინგლისი), ივან იურიჩი (ჯენოა, იტალია), ოგნიენ ვუკოიევიჩი (დინამო, უკრაინა), ივო ილიჩევიჩი (ფიურტი, გერმანია), დარიო სრნა (შახტარი, უკრაინა), ივან რაკიტიჩი (შალკე, გერმანია);

*თავდამსხმელები:* მარიო მანძუკიჩი (დინამო), მლადენ პეტრიჩი, ივიცა ოლიჩი (ჰამბურგი, გერმანია), ნიკოლა კალინიჩი (ჰაიდუკი), ედუარდო და სილვა (არსენალი, ინგლისი).

# ანრი დახლზე

**„ბარსელონა"** ზაფხულში ტიერი ანრის გაყიდვას აპირებს, მიუხედავად იმისა, რომ მწვრთნელი ხოსეპ გვარდიოლა ფრანგის თამაშით კმაყოფილია. სანაცვლოდ კატალონიელები ფრანკ რიბერის ან იოან გურკუფის შეძენას შეეცდებიან.

„ას"-ის ცნობით, თუ გვარდიოლა დაიჟინებს, ანრი ეგებ დატოვონ კიდეც, მაგრამ ეს ნაკლებად სავარაუდოა, რადგან კლუბის შეფების საზაფხულო გეგმა სხვანაირია.

„ბარსამ" ფრანგი შემტევი 2007 წელს „არსენალისგან" 27 მილიონ ევროდ იყიდა. მას კონტრაქტი 2011-ში უმთავრდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კინმა ბენიტესს მედალი ესროლა

**„ლივერპული“** ჩემპიონი თუ გახდება, რობი კინი თავის წილ „ოქროს“ მედალზე უარს იტყვის.

ირლანდიელი მეგოლე „ტოტენჰემიდან“ „ლივერპულში“ რაფაელ ბენიტესმა დიდი ზარ-ზეიმით გასულ ზაფხულს გადაიყვანა (17 მატჩში 5 გოლი), მაგრამ 5 თვეში აითვალწუნა და ერთი კვირის წინ „მამლებს“ უკან მიჰყიდა.

კინის სანაცვლოდ ზაფხულში მერსისაიდელებმა 19 მილიონი გირვანქა გადაიხადეს, ახლა კი ლონდონურ კლუბს 12 მილიონად დაუთმეს.

„ბენიტესი ის მომექცა, რომ ჩემთვის „ლივერპულის“ ჩემპიონობა აღარაფერს ნიშნავს — გაბრაზდა ირლანდიელი — ჩემი ძმაა ამ კლუბის ფანი და ოქროს თუ მოვიგებ, ალბათ, მას ვაჩუქებ.

როცა გუნდის ნაწილი ხარ და სეზონის დასაწყისიდან ბოლომდე მუდმივად თამაშობ, მაშინ ჯილდო გეკუთვნის, მე კი ვერ ვიგრძენი, რომ ბენიტესს ვჭირდებოდი და ამიტომ, მათი გაჩემპიონების შემთხვევაში, მედალს არ დავიტოვებ. თავი არ დამიზოგავს და დარწმუნებული ვარ, რომ სხვა მწვრთნელის ხელში მეტი შანსი მექნებოდა“.

„ლივერპულის“ თავკაცს უცნაურობა სჩვევია. აჭყდება, ესა და ეს ფეხბურთელი მჭირდება და აუცილებლად მიყიდეთო. მერე, რაღაც დროის განმავლობაში ამ ფეხბურთელს მუდმივად ათამაშებს, მაგრამ უცბად აითვალწუნებს და სათადარიგოთა სკამზე აობებს.

ასე იყო ესპანელი ლუის გარსია, რომელიც ახლა „ატლეტიკოშია“, პიტერ კრაუჩი და ჯერმენ პენანტი „პორტსმუთში“ წავიდნენ, რაიან ბაბელიც იშვიათად გამოჩნდება-ხოლმე შეცვლაზე. ზოგჯერ ხაბი ალონსოს და დირკ კუიტსაც ერჩის და არ ათამაშებს. მხოლოდ ჯერარდი-ტორესის წყვილია ხელუხლებელი.

ამას წინათ „პორტსმუთში“ გადასულმა ჯერმენ პენანტმა თქვა, ბენიტესს ინგლისელები სძულსო.

„ლივერპულის“ ძირითად შემადგენლობაში ორი ინგლისელიღა დარჩა — ჯეიმი კარაგერი და სტივენ ჯერარდი.

პიტერ კრაუჩმა კი „სანს“ უთხრა: „მე, პენანტს და კინს ბენიტესი ერთნაირად მოგვექცა. არც ერთი ჩვენთაგანისთვის არასოდეს აუხსნია, თუ რატომ არ გვათამაშებდა“.

**როგან თურქია**

# ნერვიული მაისურა

**მოედანზე** მაისურის დაგდებისთვის პსჟ-მ მატეა კეჟმანი ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

გასულ კვირაში პარიზელები სათასო მატჩში „ბორდოსთან“ დამარცხდნენ. მეორე ტაიმში შეცვლილი სერბი ფორვარდი გაბრაზდა, მოედნიდან გასვლისას გახდილი მაისურა ძირს მოისროლა და გასახდელისკენ გაეშურა.

ფეხბურთელმა მეორე დღეს მოიბოდიშა, მაგრამ სასჯელი მაინც ვერ აიცილა.

„ეს გუნდი და მისი ფანები მიყვარს — თქვა კეჟმანმა — გონება წამიერად დამიბნელდა, რის გამოც ბოდიშს ვუხდი ყველას. ნერვიულობისგან მთელი ღამე არ მეძინა“.

# იანვარ-იუნაიტედი

**პრემიერლიგაში** იანვრის საუკეთესო ფეხბურთელად ნემანია ვიდიჩი, მწვრთნელად კი ალექს ფერგიუსონი აღიარეს.

„მანჩესტერმა“ გასულ თვეში ხუთიდან ხუთი მატჩი ისე მოიგო, რომ გოლი არ გაუშვია. სერბი მცველი კარგადაც მცველობდა და ორი გოლიც შეაგდო. ერთი „ჩელსისთან“, მეორე კი „ვესტ ბრომვიჩთან“.

ალექს ფერგიუსონისთვის ეს 22-ე აღიარებაა, ნემანია ვიდიჩისთვის კი პირველი.

# ინგლისი

## პრემიერლიგა. XXV ტური

# დატვირთეთ ეს კაცი!

### ტურის მატჩი

**ტოტენჰემი 0:0 არსენალი**

**ტოტენჰემი:** კუდიჩინი, ჩორლუკა (ჩიმბონდა 74), მ. დოუსონი, ვუდგეიტი, ასუ-ეკოტო, ლენონი (ტაარაბტი 87), ჯენასი, პალასიოსი, მოდრიჩი, პავლიუჩენკო (ბენტი 64), კინი

**მწვრთნელი:** ჰარი რედნაპი

**არსენალი:** ალმუნია, სანია, კოლო ტურე, გალასი, კლიში (გიბსი 87), ებუე, სონგი, დენილსონი, ნასრი, ადებაიორი (ბენდტნერი 37), ვან პერსი

**მწვრთნელი:** არსენ ვენგერი

გაფრთხილება: ებუე, ებუე, მოდრიჩი, კლიში

გაძევება: ებუე (37)

მსაჯი: დინი

36 021 მაყურებელი

**სიტი 1:0 მიდლსბრო**

1:0 ბელამი (51)

გაფრთხილება: ონილი (მიდლსბრო)

**ბლექბერნი 0:2 ასტონ ვილა**

0:1 მილნერი (26), 0:2 აგბონლაჰორი (90)

გაფრთხილება: მაკარტი, თუგაი (ბლექბერნი)

**ჩელსი 0:0 ჰალი**

გაფრთხილება: მიკელი (ჩელსი), ეშბი, რ. გარსია (ჰალი)

**ევერტონი 3:0 ბოლტონი**

1:0 არტეტა (40პ), 2:0, 3:0 ჟო (49, 90პ)

გაფრთხილება: ჰიბერტი (ევერტონი), მ. დევისი (ბოლტონი)

**სანდერლენდი 2:0 სტოკი**

1:0 ჯონსი (78), 2:0 ჰილი (90)

გაფრთხილება: ბერდსლი, კოლინზი (სანდერლენდი), დიაო (სტოკი)

გაძევება: ეთერინგტონი (66, სტოკი)

**ვესტ ბრომვიჩი 2:3 ნიუკასლი**

0:1 დაფი (27) 1:1 ფორტუნი (4), 1:2 ლოვენკრანდსი (9), 1:3 ს. ტეილორი (41), 2:3 ფორტუნი (73)

გაფრთხილება: ბარნეტი, კორენი (ვესტ ბრომვიჩი), რ. ტეილორი, ნოლანი (ნიუკასლი)

**უიგანი 0:0 ფულემი**

გაფრთხილება: ფიგეროა (უიგანი), დემპსი, პენტსილი (ფულემი)

**პორტსმუთი 2:3 ლივერპული**

1:0 ნაგენტი (62), 1:1 აურელიო (69), 2:1 ჰრეიდარსონი (78), 2:2 კუიტი (85), 2:3 ტორესი (90)

გაფრთხილება: ჰრეიდარსონი (პორტსმუთი)

**ვესტ ჰემი 0:1 მანჩესტერი**

0:1 გიგზი (62)

გაფრთხილება: ნილი (ვესტ ჰემი), ვიდიჩი (მანჩესტერი)

**მარტინ ონილი** მუშაობს — კარგა ხანია, პრემიერლიგის ზედა ოთხეულში არავინ ჩაჩხერილა და „ასტონ ვილა“ ჩაეჩხირა.

თამაშობს გუნდი და მესამე ადგილზეა. რაღა მესამე და, ასე თუ გააგრძელა, საჩემპიონო ამბავშიც კი ჩაყოფს ცხვირს.

სეზონის დასაწყისში „ჰალიც“ გაერია ცხრილის თავში, მაგრამ ქვევით მალევე ჩამოცურდა.

აი, „ასტონ ვილა“ კი პირიქით, მაღლა მაღლა მიიწევს და თვით „ჩელსის“ წამოასკუპდა თავზე.

ჭკვიანურად გათამაშებული კუთხურის შედეგად ჯეიმს მილნერმა შორ კუთხეში ჩააჩვია ბურთი და ვილელები „ბლექბერნთან“ დააწინაურა, გაბრიელ აგბონლაჰორმა კი მეორე ტაიმის ბოლოს წერტილი დასვა.

„ასტონ ვილამ“ ზედიზედ მეშვიდე გასვლითი მატჩი მოიგო.

„ჩელსის“ თამაშში კი „პროგრესია“ — წინა ტურში „ლივერპულთან“ დამარცხებულმა გუნდმა „ჰალისგან“ გოლი აღარ გაუშვა.

სამართლიანი კი იქნებოდა, ჩელსელებს რომ გაეტანათ, მაგრამ რაკი ვერ შეაგდეს, ფრე გამოვიდა და ლუიშ ფელიპე სკოლარის გუნდი მეოთხე საფეხურზე დაეშვა, რაც ძალიან არ მოეწონება რომან არკადიევიჩ აბრამოვიჩს. „ინტერიდან“ განათხოვრებული კვარეშმა ძირითად შემადგენლობაში იყო და თავი ვერაფრით გამოიჩინა.

პოლიციიდან თავდებით გაშვებული რობინიოსა და მაიკა რიჩარდსის „სიტიმ“ კრეიგ ბელამის გოლით სძლია „მიდლსბროს“, რომელსაც მოუგებელი სერია 13 მატჩამდე გაუგრძელდა.

ერთი კვირის წინ „ნიუკასლიდან“ „სიტიში“ გადასულმა მეკარე შეი გივენმა იფრინა და ოთხჯერ იხსნა კარი. ასევე ყოფილი ნიუკასლელი ბელამი კი ახალ გუნდს სამ ტურში მეორე გოლით შეეწია.

„სიტიდან“ „ევერტონში“ განათხოვრებულმა ბრაზილიელმა ჟომ კი პირველივე მატჩში თავი გაიგია. „ბოლტონთან“ ჯერ პენალტი მოინაგრა, რომელიც არტეტამ გამოიყენა, მერე დუბლი შეასრულა და გმირად იქცა. არადა, „სიტიში“ სათადრიგოთა სკამის ფორმას ამოწმებდა.

„ნიუკასლის“ მწვრთნელი ჯო კინეარი „ვესტ ბრომვიჩთან“ თამაშის დაწყებამდე ერთი საათით ადრე შეუძლოდ გახდა და საავადმყოფოში აღმოჩნდა, მაგრამ გუნდმა კარგი ამბით გაახარა — ბოლო შვიდ ტურში პირველად მოიგო.

მეკარესთან პირისპირ გასულმა დაფმა გახსნა ანგარიში, მაგრამ ფორტუნმა მალევე გაათანაბრა. „შალკედან“ გადასულმა პიტერ ლოვენკრადსმა ათი მეტრიდან დარტყმით „ნიუკასლის“ მაისურით პირველი გოლი შეაგდო, რასაც სტივენ ტეილორმა ტაიმის ბოლოს მესამე მიაყოლა, ხოლო ფორტუნმა მეორე ნახევარში სხვაობა ისევ შეამცირა.

ტურის გამორჩეული მატჩი კი „ტოტენჰემისა“ და „არსენალის“ ლონდონური დერბი გახლდათ.

თანაქალაქელთა თამაშებს ხშირად მოიხსენიებენ-ხოლმე დერბიდ, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ არის. ისტორიულად „ტოტენჰემი“ — „არსენალი“ ბევრად გამორჩეული თამაშია ვიდრე, ვთქვათ, „არსენალი“ — „ჩელსი“.

გუშინდელი მატჩიც ტრადიციულად უდაძაბულესი გამოდგა და უგულოდ დასრულდა. არადა, ბოლო წუთებზე ორივე კართან ისეთი მომენტები შეიქმნა, გოლს თითქოს აღარაფერი რომ აკლდა, მაგრამ...

**ირაკლი ნინიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 24 | 17 | 5 | 2 | 41:10 | 56 |
| ლივერპული | 25 | 15 | 9 | 1 | 42:17 | 54 |
| ასტონ ვილა | 25 | 15 | 6 | 4 | 40:24 | 51 |
| ჩელსი | 25 | 14 | 7 | 4 | 44:15 | 49 |
| არსენალი | 25 | 12 | 8 | 5 | 38:25 | 44 |
| ევერტონი | 25 | 11 | 7 | 7 | 34:28 | 40 |
| უიგანი | 25 | 9 | 7 | 9 | 26:24 | 34 |
| ვესტ ჰემი | 25 | 9 | 6 | 10 | 31:32 | 33 |
| სიტი | 24 | 9 | 4 | 11 | 42:32 | 31 |
| ფულემი | 23 | 7 | 9 | 7 | 22:19 | 30 |
| სანდერლენდი | 25 | 8 | 6 | 11 | 27:33 | 30 |
| ჰალი | 25 | 7 | 8 | 10 | 31:46 | 29 |
| ნიუკასლი | 25 | 6 | 9 | 10 | 33:42 | 27 |
| ბოლტონი | 25 | 8 | 3 | 14 | 27:37 | 27 |
| ტოტენჰემი | 25 | 6 | 7 | 12 | 26:31 | 25 |
| პორტსმუთი | 24 | 6 | 6 | 12 | 25:41 | 24 |
| სტოკი | 25 | 6 | 6 | 13 | 21:40 | 24 |
| ბლექბერნი | 24 | 5 | 8 | 11 | 27:40 | 23 |
| მიდლსბრო | 25 | 5 | 7 | 13 | 18:36 | 22 |
| ვესტ ბრომვიჩი | 25 | 6 | 4 | 15 | 24:47 | 22 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ანელკა (ჩელსი) | 14 |
| რობინიო (სიტი) | 11 |
| რონალდუ (მანჩესტერი) | 11 |

### ჩემპიონატი. XXXII ტური

შეფილდი — უენსდეი 1:2; ბირმინგემი — ბარნლი 1:1; ბლექპული — დონკასტერი 2:3; ქოვენთრი — ვულვზი 2:1; ნორვიჩი — ბრისტოლი 1:2; ნოტინგემი — ქუინზ პარკი 2:2; პლიმუთი — დერბი 0:3; რედინგი — პრესტონი 0:0; სუონსი — იფსვიჩი 3:0; უოტფორდი — საუთჰემპტონი, ბარნსლი — კრ. პალასი და ჩარლტონი — კარდიფი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვულვზი | 32 | 19 | 6 | 7 | 64:42 | 63 |
| რედინგი | 31 | 17 | 8 | 6 | 58:26 | 59 |
| ბირმინგემი | 31 | 16 | 9 | 6 | 38:28 | 57 |
| კარდიფი | 29 | 13 | 12 | 4 | 41:26 | 51 |
| შეფილდი | 32 | 14 | 9 | 9 | 43:29 | 51 |
| პრესტონი | 32 | 14 | 8 | 10 | 43:39 | 50 |
| სუონსი | 31 | 11 | 15 | 5 | 46:33 | 48 |
| ბრისტოლი | 31 | 12 | 11 | 8 | 40:36 | 47 |
| ქუინზ პარკი | 31 | 12 | 11 | 8 | 33:29 | 47 |
| ბარნლი | 31 | 13 | 8 | 10 | 44:44 | 47 |
| იფსვიჩი | 31 | 11 | 10 | 10 | 42:34 | 43 |
| უენსდი | 31 | 11 | 9 | 11 | 34:43 | 42 |
| კრ. პალასი | 29 | 11 | 7 | 11 | 39:34 | 40 |
| ქოვენთრი | 31 | 10 | 10 | 11 | 35:38 | 40 |
| ბლექპული | 31 | 9 | 10 | 12 | 32:41 | 37 |
| დერბი | 30 | 9 | 8 | 13 | 33:41 | 35 |
| პლიმუთი | 31 | 9 | 8 | 14 | 28:37 | 35 |
| ნოტინგემი | 31 | 8 | 10 | 13 | 34:43 | 34 |
| დონკასტერი | 30 | 9 | 7 | 14 | 24:35 | 34 |
| ნორვიჩი | 32 | 8 | 8 | 16 | 43:51 | 32 |
| ბარნსლი | 30 | 9 | 5 | 16 | 29:41 | 32 |
| უოტფორდი | 30 | 8 | 6 | 16 | 42:53 | 30 |
| საუთჰემპტონი | 31 | 6 | 10 | 15 | 29:48 | 28 |
| ჩარლტონი | 31 | 5 | 7 | 19 | 32:55 | 22 |



„ლივერპულმა“ მატჩის შემობრუნება დირკ კუიტის გოლით დაიწყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საფრანგეთი

### I დივიზიონი. XXIII ტური

ლე ავრი — რენი 1:0; ლორიანი — მონაკო 1:1; ნანსი — ოსერი 0:2; ნანტი — პსჟ 1:4; სენტ ეტიენი — კაენი 3:2; ტულუზი — ლე მანი 2:0; ლილი — სოშო 3:2; გრენობლი — ვალანსიენი 0:0; ნიცა — ლიონი 1:3; მარსელი — ბორდო წუხელ გვიან დამთავრდა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 23 | 13 | 7 | 3 | 30:15 | 46 |
| ბორდო | 22 | 12 | 6 | 4 | 39:22 | 42 |
| პსჟ | 23 | 13 | 3 | 7 | 32:23 | 42 |
| ტულუზი | 23 | 11 | 8 | 4 | 25:15 | 41 |
| ლილი | 22 | 10 | 9 | 3 | 34:23 | 39 |
| მარსელი | 22 | 10 | 8 | 4 | 37:25 | 38 |
| რენი | 23 | 9 | 11 | 3 | 25:15 | 38 |
| ნიცა | 22 | 9 | 6 | 7 | 26:23 | 33 |
| ლორიანი | 23 | 7 | 9 | 7 | 28:26 | 30 |
| მონაკო | 23 | 7 | 7 | 9 | 27:28 | 28 |
| ნანსი | 22 | 7 | 7 | 8 | 21:24 | 28 |
| გრენობლი | 23 | 6 | 8 | 9 | 13:21 | 26 |
| ნანტი | 23 | 7 | 5 | 11 | 21:32 | 26 |
| ლე მანი | 22 | 7 | 4 | 11 | 26:33 | 25 |
| კაენი | 22 | 5 | 9 | 8 | 27:28 | 24 |
| ოსერი | 23 | 6 | 6 | 11 | 16:23 | 24 |
| სენტ ეტიენი | 23 | 7 | 3 | 13 | 20:33 | 24 |
| სოშო | 23 | 3 | 11 | 9 | 23:30 | 20 |
| ვალანსიენი | 22 | 4 | 8 | 10 | 18:26 | 20 |
| ლე ავრი | 23 | 4 | 3 | 16 | 17:40 | 15 |

### II დივიზიონი. XXII ტური

აიაჩო — სედანი 0:2; ამიენი — შატორუ 1:1; ანჟერი — კლერმონი 4:2; გენგამი — ბასტია 4:1; ტურსი — დიჟონი 0:0; ბულონი — მეცი 1:1; ლანსი — ნიმი 1:0; სტრასბური — ბრესტი 2:2; ტრუა — ვანი 3:0; მონპელიე — რეიმსი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლანსი | 22 | 14 | 2 | 6 | 30:21 | 44 |
| ანჟერი | 22 | 11 | 8 | 3 | 33:19 | 41 |
| მეცი | 22 | 11 | 6 | 5 | 29:20 | 39 |
| მონპელიე | 21 | 10 | 6 | 5 | 36:18 | 36 |
| სტრასბური | 22 | 9 | 9 | 4 | 33:25 | 36 |
| ბულონი | 22 | 10 | 6 | 6 | 27:22 | 36 |
| ვანი | 22 | 9 | 4 | 9 | 16:21 | 31 |
| ტრუა | 22 | 8 | 6 | 8 | 25:25 | 30 |
| დიჟონი | 22 | 7 | 8 | 7 | 24:26 | 29 |
| ტური | 22 | 8 | 5 | 9 | 27:30 | 29 |
| გენგამი | 22 | 6 | 10 | 6 | 23:19 | 28 |
| სედანი | 22 | 7 | 7 | 8 | 22:26 | 28 |
| ბრესტი | 22 | 8 | 3 | 11 | 25:27 | 27 |
| ბასტია | 22 | 7 | 6 | 9 | 23:28 | 27 |
| კლერმონი | 22 | 6 | 8 | 8 | 27:32 | 26 |
| ამიენი | 22 | 5 | 10 | 7 | 20:21 | 25 |
| შატორუ | 22 | 5 | 8 | 9 | 21:26 | 23 |
| აიაჩო | 22 | 6 | 5 | 11 | 30:39 | 23 |
| ნიმი | 22 | 3 | 8 | 11 | 17:30 | 17 |
| რეიმსი | 21 | 3 | 7 | 11 | 23:36 | 16 |

### III ლიგა

კრეტეი — ლუანი 0:1; გენიონი — ლავალი 1:2; ნიორი — კრუა დე სავოი 3:0; პარიზი — კანი 0:0; არლე — ბაიონი 3:1; ბუვე — ისტრი 1:2; კარნო — ეური 1:3; სეტე — შერბური 4:0. კალე — ლიბურნი და ლენტენტი — როდეზი გადაიდო

## საბერძნეთი

### სუპერლიგა. XXI ტური

ტრიპოლისი — პანსერაიკოსი 3:0; პანთრაკიკოსი — ოლიმპიაკოსი 0:2; არისი — პანიონიოსი 1:0; ქსანთი — ლევადიაკოსი 4:0; ერგოტელისი — ირაკლისი 0:1; ლარისა — აეკ 1:1; პანათინაიკოსი — პაოკ 3:0; ფილისი — ოფი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 21 | 17 | 3 | 1 | 36:8 | 54 |
| პანათინაიკოსი | 21 | 12 | 6 | 3 | 39:15 | 42 |
| პაოკ | 21 | 11 | 7 | 3 | 23:12 | 40 |
| აეკ | 21 | 8 | 11 | 2 | 25:18 | 35 |
| ლარისა | 21 | 7 | 10 | 4 | 27:20 | 31 |
| არისი | 21 | 8 | 7 | 6 | 16:18 | 31 |
| პანიონიოსი | 21 | 8 | 4 | 9 | 26:26 | 28 |
| ქსანთი | 21 | 6 | 9 | 6 | 17:14 | 27 |
| ირაკლისი | 21 | 6 | 7 | 8 | 16:20 | 25 |
| ერგოტელისი | 21 | 7 | 4 | 10 | 23:31 | 25 |
| პანთრაკიკოსი | 21 | 7 | 4 | 10 | 12:23 | 25 |
| ტრიპოლისი | 21 | 5 | 9 | 7 | 22:20 | 24 |
| ლევადიაკოსი | 21 | 6 | 4 | 11 | 17:24 | 22 |
| ოფი | 21 | 4 | 5 | 12 | 23:36 | 17 |
| პანსერაიკოსი | 21 | 3 | 6 | 12 | 11:30 | 15 |
| ფილისი | 21 | 3 | 4 | 14 | 17:35 | 13 |

## თურქეთი

### სუპერლიგა. XIX ტური

ტრაბზონი — ანკარაგიუჯიუ 2:1; ბაჩეტეპე — ესქიშეპირი 2:2; სივასი — ქოჯაელი 2:0; გალათასარაი — ქაისერი 1:1; ანთალია — დენიზლი 2:1; გაზიანთეფი — ანკარა 2:0; გენჩლერი — ბურსა 1:2; ქონია — ბეშიქთაში 0:0; ისთანბული — ფენერბაჰჩე 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სივასი | 19 | 12 | 5 | 2 | 32:12 | 41 |
| ტრაბზონი | 19 | 12 | 5 | 2 | 28:15 | 41 |
| გალათასარაი | 19 | 11 | 4 | 4 | 41:22 | 37 |
| ბეშიქთაში | 19 | 10 | 5 | 4 | 29:18 | 35 |
| ფენერბაჰჩე | 19 | 10 | 4 | 5 | 32:21 | 34 |
| ანკარა | 19 | 10 | 3 | 6 | 27:16 | 33 |
| გაზიანთეფი | 19 | 8 | 6 | 5 | 27:23 | 30 |
| ქაისერი | 19 | 7 | 8 | 4 | 19:11 | 29 |
| ბურსა | 19 | 8 | 5 | 6 | 25:25 | 29 |
| ესქიშეპირი | 19 | 5 | 8 | 6 | 28:28 | 23 |
| ისთანბული | 19 | 6 | 4 | 9 | 20:29 | 22 |
| ქონია | 19 | 5 | 6 | 8 | 18:27 | 21 |
| გენჩლერი | 19 | 5 | 5 | 9 | 24:28 | 20 |
| ანთალია | 19 | 4 | 7 | 8 | 19:26 | 19 |
| დენიზლი | 19 | 4 | 3 | 12 | 23:36 | 15 |
| ანკარაგიუჯიუ | 19 | 3 | 6 | 10 | 16:29 | 15 |
| ქოჯაელი | 19 | 3 | 3 | 13 | 23:44 | 12 |
| ბაჩეტეპე | 19 | 2 | 5 | 12 | 11:32 | 11 |

### თასი

ბურსა — ფენერბაჰჩე 1:3

## ამხანაგური მატჩები

დინამო ბუქარესტი — ტეპლიცე 2:1; სტიაუა — ოლბორგი 0:1; კრაიოვა — ბოტევი 1:1; ტიმიშოარა — გეტებორგი 0:2; ამკარი — ლეხი 0:0; ცსკა მოსკოვი — ჟილინა 2:1; ლევსკი — სიგმა 0:0; ლოკომოტივი სოფია — ჟიჟკოვი 1:1; ბრონდბიუ — ტრომსიო 2:1; სლავია სოფია — ტერეკი 1:2; კლუჟი — ლიტექსი 1:0; ლიტვა — პოლონეთი 1:1; სალვადორი — პერუ 1:0

## უელსი

### პრემიერდივიზიონი

ბანგორი — კონაპი 6:0; პორტ ტალბოტი — კარმარტენი 0:0; ეარბასი — ჰევერფორდვესტი 2:4; პრესტატინი — ნიუთაუნი 1:0; რილი — ნითი 4:2; ტნს — ლანელი 0:0. დრუიდსი — კარნარფონი,ველშპული — პორთმადოგი და ქეარვსი — აბერისვითი გადაიდო

## შოტლანდია

### I დივიზიონი

ლივინგსტონი — დანდი 1:2; როსი — სტ ჯონსტონი 2:2

### II დივიზიონი

ალოა — ეარი 3:2; სტრანრარი — ბრეჩინი 0:3. პიტერჰედი — არბროა გადაიდო

### III დივიზიონი

ანანი — სტენჰაუზმური 1:1; ისტ სტირლინგი — ალბიონი 0:1; მონტროუზი — ბერვიკი 1:1. ელგინი — დამბარტონი გადაიდო

### ასოციაციის თასი

სელტიკი — ქუინზ პარკი 2:1; ჰამილტონი — დანდი იუნ. 2:1; ჰართსი — ფოლკირკი 0:1; ინვერნესი — კილმარნოკი 2:0; მოზერუელი — სტ მირენი 1:1. ფორფარი — რეინჯერსი, აბერდინი — ისტ ფაიფი და ერდრი — დანფერმლაინი გადაიდო

## ურუგვაი

### პრიმერადივიზიონი

სენტრალი — ნასიონალი 1:2; დანუბიო — პენიაროლი 2:1; დეფენსორი — ხუვენტუდი 1:0; რასინგი — უონდერერსი 0:2; ლივერპული — რივერ პლეიტი 2:1; ბელა ვისტა — სეროო 1:0; რამპლა — ლარგო 2:2; ტაკუარემბო — ესპანოლა 3:0

## სამხრეთ ამერიკა

### U-20 ჩემპიონატი

კოლუმბია — ბრაზილია 1:2; ურუგვაი — პარაგვაი 2:2; ვენესუელა — არგენტინა 1:1;

### კოპა ლიბერტადორესი

ასუნსიონი — ელ ნასიონალი 3:3

## პორტუგალია

### სუპერლიგა. XVII ტური

ლეიშოეში — ტროფენსე 2:0; ამადორა — სეტუბალი 0:0; გიმარაეში — მარიტიმუ 2:1; ნავალი — ნასიონალი 0:4; რიუ ავე — აკადემიკა 1:0; სპორტინგი — ბრაგა 2:3; პორტუ — ბენფიკა 1:1; ფერეირა — ბელენენსეში დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 17 | 10 | 5 | 2 | 30:13 | 35 |
| ბენფიკა | 17 | 9 | 7 | 1 | 27:13 | 34 |
| სპორტინგი | 17 | 9 | 4 | 4 | 21:11 | 31 |
| ლეიშოეში | 17 | 8 | 7 | 2 | 19:12 | 31 |
| ბრაგა | 17 | 8 | 5 | 4 | 19:10 | 29 |
| ნასიონალი | 17 | 8 | 5 | 4 | 27:19 | 29 |
| მარიტიმუ | 17 | 7 | 5 | 5 | 19:16 | 26 |
| გიმარაეში | 17 | 6 | 6 | 5 | 19:18 | 24 |
| ამადორა | 17 | 5 | 6 | 6 | 14:20 | 21 |
| ნავალი | 17 | 5 | 4 | 8 | 14:20 | 19 |
| აკადემიკა | 17 | 4 | 6 | 7 | 12:17 | 18 |
| ფერეირა | 16 | 4 | 3 | 9 | 20:28 | 15 |
| ბელენენსეში | 16 | 3 | 5 | 8 | 13:25 | 14 |
| რიუ ავე | 17 | 3 | 4 | 10 | 11:20 | 13 |
| ტროფენსე | 17 | 3 | 4 | 10 | 13:23 | 13 |
| სეტუბალი | 17 | 3 | 4 | 10 | 9:22 | 13 |

### II ლიგა

ფრეამუნდე — სანტა კლარა 2:1; ავეში — ვიზელა 1:3; ბეირა მარი — გონდომარი 2:1; ბოავიშტა — ვარზიმი 2:0; ფეირენსე — ჟილ ვისენტე 2:1; ოლიალენსე — კოვილია 1:2; ოლივეირენსე — ესტორილი 0:2; პორტიმონენსე — ლიერია 0:1

## ჰოლანდია

### ერედივიზიონი

#### XXII ტური

პსვ — დენ ჰააგი 6:0; გრონინგენი — ნაიმეგენი 2:0; ალკმაარი — როდა 1:0; ფეიენოორდი — სპარტა 1:0; უტრეხტი — გრააფსხაპი 3:0; ტვენტე — ბრედა 4:1; აიაქსი — ჰერაკლესი 2:2; ვიტესი — ჰერენვენი 1:0; ტილბურგი — ვოლენდამი 1:2

#### XXI ტური

პსვ — დენ ჰააგი 6:0; გრონინგენი — ნაიმეგენი 2:0; ალკმაარი — როდა 1:0; ფეიენოორდი — სპარტა 1:0; უტრეხტი — გრააფსხაპი 3:0; ტვენტე — ბრედა 4:1; აიაქსი — ჰერაკლესი 2:2; ვიტესი — ჰერენვენი 1:0; ტილბურგი — ვოლენდამი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალკმაარი | 21 | 16 | 3 | 2 | 38:11 | 51 |
| ტვენტე | 21 | 13 | 5 | 3 | 41:19 | 44 |
| აიაქსი | 21 | 13 | 3 | 5 | 47:23 | 42 |
| პსვ | 21 | 11 | 5 | 5 | 42:20 | 38 |
| ჰერენვენი | 21 | 11 | 5 | 5 | 42:39 | 38 |
| გრონინგენი | 21 | 11 | 3 | 7 | 41:25 | 36 |
| ბრედა | 21 | 9 | 5 | 7 | 31:33 | 32 |
| უტრეხტი | 21 | 8 | 7 | 6 | 30:25 | 31 |
| ნაიმეგენი | 21 | 8 | 6 | 7 | 28:24 | 30 |
| ტილბურგი | 21 | 7 | 4 | 10 | 26:32 | 25 |
| ფეიენოორდი | 21 | 6 | 5 | 10 | 33:31 | 23 |
| ჰერაკლესი | 21 | 5 | 7 | 9 | 23:35 | 22 |
| ვიტესი | 21 | 5 | 7 | 9 | 19:32 | 22 |
| სპარტა | 21 | 5 | 6 | 10 | 34:42 | 21 |
| დენ ჰააგი | 21 | 5 | 4 | 12 | 22:35 | 19 |
| როდა | 21 | 4 | 6 | 11 | 25:39 | 18 |
| გრააფსხაპი | 21 | 4 | 4 | 13 | 13:42 | 16 |
| ვოლენდამი | 21 | 4 | 3 | 14 | 22:50 | 15 |

### ერსტე დივიზიონი

ეინდჰოვენი — ჰელმონდი 1:1; ემენი — კამბური 3:2; ექსელსიორი — აპელდორნი 4:0; მაასტრიხტი — დენ ბოსხი 1:0; ომნივოლდი — იგლზი 1:2; როზენდალი — ვეენდამი 2:1; ოსი — სიტარდი 1:0; ვალვაიკი — დორდრეხტი 3:3; ზვოლე — ვენლო 1:2; ტელსტარი — ჰაარლემი 0:0

## ჩრდ. ირლანდია

### პრემიერდივიზიონი

კოლერეინი — ბანგორი 3:1; დანარჩენი მატჩები გადაიდო

## მექსიკა

### პრიმერადივიზიონი

ტეკოსი — მონტერეი 2:3; სან ლუისი — ატლასი 2:1; კრუს ასული — ტიგრესი 1:1; გვადალახარა — ნეკაქსა 1:1; ატლანტე — ჩიაპასი 0:2; ინდიოსი — სანტოსი 0:0; პუებლა — ტოლუკა 0:2; უნამი — მონარკასი 0:1

## შვეიცარია

### სუპერლიგა. XIX ტური

ვადუცი — აარაუ 1:1; იანგ ბოისი — ბაზელი 3:2; ბელინცონა — სიონი 1:0; გრასჰოპერი — ციურიხი 2:2; ქსამაქსი — ლუცერნი 3:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ციურიხი | 19 | 13 | 4 | 2 | 44:18 | 43 |
| ბაზელი | 19 | 12 | 2 | 5 | 38:24 | 38 |
| იანგ ბოისი | 19 | 10 | 5 | 4 | 40:23 | 35 |
| გრასჰოპერი | 18 | 7 | 8 | 3 | 29:17 | 29 |
| აარაუ | 18 | 6 | 7 | 5 | 22:23 | 25 |
| ქსამაქსი | 19 | 4 | 7 | 8 | 26:31 | 19 |
| ბელინცონა | 18 | 4 | 5 | 9 | 18:30 | 17 |
| სიონი | 18 | 4 | 5 | 9 | 18:31 | 17 |
| ვადუცი | 18 | 3 | 6 | 9 | 11:33 | 15 |
| ლუცერნი | 18 | 3 | 3 | 12 | 19:35 | 12 |

## ჩილე

### პრიმერადივიზიონი

სერენა — კოლო კოლო 0:3; პალესტინო — ჰიგინსი 1:2; კათოლიკა — კობრესალი 1:1; კონსეფსიონი — ევერტონი 0:0; იტალიანო — მორნინგი 1:1; კობრელოა — ნუბლენსე 3:0; მუნისიპალი — უნიდო 1:0

### თასი

ვონდერენსი — უაჩიპატო 0:0 (2:4პ); მელიპილია — ესპანოლა 0:1

## უნგრეთი

### ლიგის თასი

ვაშაში — ბორშოდი 3:0; დიორი — ლომბარდ პაპა 0:4; ნიირეგიჰაზა — ბოკში 4:0; ჰალადაში — სიოფოკი 3:0; ბუდაორში — მტკ 0:1; ვაკ — დებრეცენი 3:2; ჰონვედი — ფეჰერვარი 1:1; რეაკ — ბაქტალორანტჰაზა 4:1; უიპეშტი — დუნაივაროში 5:1; პეკსი — კაპოშვარი 2:4; კეშკემეტი — ფერენცვაროში 0:0

## ფინეთი

### ლიგის თასი

ტურკუ — JJK 3:1; ტამპერე — ინტერი 5:2; ჰიკ — იარო 1:0

## ინგლისი

### I ლიგა

ტრანმერი — ლეიტონი 0:0; ჰარტლპული — უოლსოლი 2:2; ლესტერი — ოლდემი 0:0. ლიდსი — მილუოლი დღეს გაიმართება. ბრისტოლი — ჰადერსფილდი, კოლჩესტერი — სტოკპორტი, ჰერეფორდი — ბრაიტონი, მილტონი — ქრიუ, პიტერბორო — კარლაილი, სკანთორპი — ჩელტენემი, სუინდონი — საუთენდი და იოვილი — ნორთჰემპტონი გადაიდო

### II ლიგა

ბორნმუთი — შრიუსბერი 1:0; ბრენტფორდი — ჩესტერი 3:0; ბარი — დაგენემი 2:2; ჟილინგემი — ბრედფორდი 0:2; გრიმსბი — ექსეტერი 2:2. აკრინგტონი — ლუთონი, ბარნეტი — როტერჰემი, ჩესტერფილდი — ლინკოლნი, დარლინგტონი — უიკომბლი, მაკლსფილდი — ნოთსი, პორტ ვეილი — ალდერშოტი და როჩდეილი — მორეკომბი გადაიდო

### კონფერენსლიგა

ლიუისი — რექსემი 0:2; მანსფილდი — იორკი 1:0. ბარტონი — რაშდენი, ალტრინჩემი — ისტბორნი, ბაროუ — ტორკი, ებსფლითი — ნორთვიჩი, გრეისი — ქრიული, ჰისტონი — ვეიმუთი, კეტერინგი — ოქსფორდი, სალისბერი — უოკინგი, სტივენეიჯი — ფორესტ გრინი გადაიდო

## კვიპროსი

### I დივიზიონი

ეთნიკოსი — პაფოსი 1:3; დოქსა — ომონია 1:2; აპოელი — ალკი 3:1; ლიმასოლი — ლარნაკა 1:0; ათრომიტოსი — აპოლონი 3:6; ანორთოსისი — პარალიმნი 1:0; აეპ — კინირასი დღეს გაიმართება

## რაგბი

### ექვსი ერი

შოტლანდია 13:26 უელსი

## იტალია

### სერია A

#### XXIII ტური

**პალერმო 2:1 ნაპოლი**

1:0 მილიაჩო (2), 2:0 სიმპლიციო (18), 2:1 ჰამშიკი (43)

გაფრთხილება: ბრეშიანო, მიკოლი, ნიკოლინო (პალერმო), კონტინი, ლავეცი, მაჯო (ნაპოლი)

### სერია C1/A

პრო სესტო — პადოვა 2:0; ჩეზენა — სამბენედეტეზე 1:0; ლუმეცანე — პორტოგრუარო 2:1; ნოვარა — ლეკო 1:1; პერგოკრემა — მონცა 2:1; პრო პატრია — ლენიანო 2:0; სპალ — რავენა 0:3; ვენეცია — რეჯანა 1:1; ვერონა — კრემონეზე 2:3

### სერია C1/B

არეცო — პოტენცა 2:0; ფოჯა — ფოლინიო 2:2; გალიპოლი — სტაბია 1:1; ლანჩანო — პისტოიეზე 1:0; პაგანეზე — ბენევენტო 1:1; პერუჯა — პესკარა 0:0; ტარანტო — მარკიანეზე 1:0; ტერნანა — სორენტო 2:1; კროტონე — კავეზე დღეს გაიმართება

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი

#### XXII ტური

**ბარსელონა 3:1 ხიხონი**

1:0, 2:0 ეტოო (24, 40), 3:0 ალვეში (66), 3:1 მატეო (68)

გაფრთხილება: აბიდალი, ანრი (ბარსელონა), ხერარდი, მატაბუენა, მიჩელი (ხიხონი)

## არგენტინა

### კლაუსურა

ტიგრე — სან ლორენსო 1:3; ურაკანი — სან მარტინი 1:0; არგ. ხუნიორსი — არსენალი 0:2; ნიუელსი — ხიმნასია ლპ 3:0; გოდოი — ბანფილდი 1:1; ესტუდიანტესი — როსარიო 0:0; ლანუსი — რასინგი 3:1; რივერ პლეიტი — კოლონი 2:2; ინდეპენდიენტე — ველესი 0:0

## ბელგია

### I დივიზიონი

#### XXI ტური

კორტრაიკი — სტანდარდი 0:2; ანდერლეხტი — მონსი 3:2; დენდერი — ბრიუგე 0:2; გენკი — ზულტევარეგემი 1:2; გენტი — მუსკრონი 2:0; რუზელარე — ბეერსხოტი 2:2; ტუბიცე — მეხელენი 1:5; ვესტერლო — ლოკერენი 1:0; სერკლი — შარლერუა 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტანდარდი | 21 | 14 | 4 | 3 | 39:19 | 46 |
| ანდერლეხტი | 20 | 14 | 2 | 4 | 50:22 | 44 |
| ბრიუგე | 21 | 12 | 4 | 5 | 38:27 | 40 |
| გენკი | 21 | 11 | 3 | 7 | 32:28 | 36 |
| ვესტერლო | 21 | 10 | 4 | 7 | 26:24 | 34 |
| სერკლი | 21 | 10 | 3 | 8 | 34:33 | 33 |
| გენტი | 20 | 9 | 5 | 6 | 42:27 | 32 |
| ვარეგემი | 21 | 9 | 4 | 8 | 32:28 | 31 |
| ლოკერენი | 21 | 7 | 9 | 5 | 26:20 | 30 |
| მუსკრონი | 21 | 8 | 5 | 8 | 31:29 | 29 |
| კორტრაიკი | 21 | 7 | 7 | 7 | 22:30 | 28 |
| ბეერსხოტი | 21 | 6 | 7 | 8 | 26:27 | 25 |
| მეხელენი | 21 | 5 | 8 | 8 | 27:35 | 23 |
| შარლერუა | 21 | 6 | 4 | 11 | 28:38 | 22 |
| დენდერი | 21 | 4 | 6 | 11 | 25:39 | 18 |
| ტუბიცე | 21 | 5 | 3 | 13 | 25:46 | 18 |
| მონსი | 21 | 3 | 7 | 11 | 23:32 | 16 |
| რუზელარე | 21 | 3 | 5 | 13 | 19:41 | 14 |

### II დივიზიონი

ანტვერპენი — ბევერენი 0:1; ნამური — რონსე 2:4; შარლერუა — ლეუვენი 1:1; ოსტენდე — ლიერსი 0:0; ტურნაი — ლომელი 2:0; ვაასლანდი — დაინცე 1:1; ლიეჟი — სტ ტრუიდენი 1:2; ჰამე — ბრიუსელი 1:1; ტიენენი — ეუპენი 1:3

# GUINNESS WORLD RECORDS



ირლანდიელმა ემონ კინმა დაწოლილმა ერთ საათში ჯამში 138 480 კილოგრამი ასწია.

კალიფორნიულ მარინა დელ რაის სპორტულ დარბაზში კინმა 1280-ჯერ ასწია 90-კილოიანი და 493-ჯერ 45-კილოიანი შტანგა.

ეს ამბავი 2003 წლის 22 ივლისს მოხდა.

# ანეკდოტები

— რისი ეშინია ნიკოლაი ვალუევს?
— პრაქტიკულად არაფრის. მხოლოდ სარკეში ჩახედვის.

— ახალგაზრდობაში 300-კილოიან შტანგას ვეჭიდებოდი.
— შეუძლებელია, ეგ ხომ მსოფლიოს რეკორდზე მეტია!
— მე მართლა ვეჭიდებოდი, თუმცა ვერ ავწიე.

— დიდი ხანია, დაინტერესდით საპარაშუტო სპორტით?
— მას მერე, რაც მეორე ძრავაც გაჩერდა.

თავბრუდამხვევი დევნა, სროლა, მშვენიერი გოგონები — თქვენ ქალთა ბიატლონს უყურებთ.

ფიგურული სრიალის მსოფლიოს ჩემპიონატიდან მოიხსნა ყაზახი წყვილი: მოკრძალებულმა ვაჟმა ქალის საცეკვაოდ გაწვევა ვერ გაბედა.

ჩვენი თავდამსხმელები ყველაზე პატიოსანი თავდამსხმელები არიან მსოფლიოში — არასოდეს ატყუებენ მეკარეს.

ადრე ვთამაშობდი ჩოგბურთს, ფეხბურთს, კალათბურთს, გოლფს, კერლინგს, მაგრამ ყველაფერს შევეშვი, როცა ბავშვმა კომპიუტერი გააფუჭა.

მატჩის წინ ფეხბურთელი მსაჯს აფრთხილებს:
— არ დაუსტვინო, უფულობა იცის.

# სახალისო ფოტო




# გამოჩენილ ადამიანთა გამონათქვამები



მუჰამედ ალი: მე მინახავს, როგორ ებრძოდა ჯორჯ ფორმენი ჩრდილს და დამარცხდა.

ალექსანდრე ლუკაშენკო: მე ძალიან მიყვარს სპორტი. ეს ჩემი საუკეთესო თვისებაა.

[illegible]: ქალები ვერასდროს ითამაშებენ კაცების დონეზე, რადგან ქალს არ შეუძლია, ხუთი საათი ჩუმად იჯდეს დაფასთან.

ბორის სპასკი: როდესაც ბობი ფიშერს ეთამაშებით, ნუ ფიქრობთ გამარჯვებაზე. იფიქრეთ, სამარცხვინოდ წააგებთ თუ არა.

# რას არ გაიგებ კომენტატორისგან

მოედნის ცენტრალური წრის კუთხეში შევჩენკოს ბურთი წაართვეს.

მერვედფინალში მათი მეტოქე იქნება ბერძნული „რომა“ ესპანეთის დედაქალაქიდან.

კარგი პასი იყო, მაგრამ მთავარი მსაჯი თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

საუბარი ფეხბურთელებმაც ისწავლეს — ინტერვიუებში ლაპარაკობენ ბევრს და არაფერზე.

მე მჯერა გვერდითი მსაჯის ემირზანოვის. ის ბავშვობიდან არ ეტანება ალკოჰოლს და შეუძლებელია, რომ მსაჯთა მთელი ბრიგადა მთვრალი იყოს.

# სარბიელის კვირის რეიტინგი

1. ამირან პაპინაშვილი (ვერცხლის მედალი პარიზის სუპერტურნირზე); 2. მამუკა გორგოძე (საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ლიდერი), 3. დავით ზირაქაშვილი (ერთი ლელო გერმანიასთან მატჩში); 4. მარიამ ქევხიშვილი (ტეხასის სტუდენტური ჩემპიონატის გამარჯვებული); 5. ოთარ გაბელია (დაბრუნება ქართულ საკლუბო ფეხბურთში); 6. მალხაზ ბეუქლიშვილი (გატაცებულ-დაბრუნებული მსაჯი: კვირის ყველაზე ხმაურიანი ამბავი); 7. ვიქტორ სანიკიძე (22 ქულა, 11 მოხსნა, 7 დაფარება ესტონეთის ჩემპიონატში); 8. ზაზა ფაჩულია (12 ქულა, 4 მოხსნა ნბა-ში); 9. გიორგი ცინცაძე (11 ქულა, 5 პასი ესტონეთის ჩემპიონატში); 10. რიჩარდ მათიაშვილი (26 ქულა საქართველოს ჩემპიონატში)



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე

ქართული ფეხბურთი: ილია ნანობაშვილი, მაია ჯიჯავა
უცხოური ფეხბურთი: გიო ახვლედიანი, ვაჟა ხუციშვილი
სპორტი: ლევან მაისურაძე, ირაკლი ფირაშვილი
კომპიუტერული ცენტრი: მაგდა დოგრაშვილი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge